სოსო სიგუა



# ქართული კულტურის ისტორია

I

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

## სოსო სიგუა

# ქართული კულტურის ისტორია

# I

თბილისი – 2016

„ქართული კულტურის ისტორია“ ოთხი წიგნისაგან შედგება:

I. „არქაულ-წარმართული ქართველური კულტურა“ (ძვ. წ. III ათასწლეული-ახ. წ. IV საუკუნე),
II. „ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი“ (V-XI ს.ს.),
III. „რენესანსი და ანტირენესანსი“ (XII-XVIII ს.ს.),
IV. „სინკრეტულ-ევროპული კულტურა“ (XIX-XX ს.ს.).

ნაშრომის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“.

**რედაქტორი** – პროფ. რევაზ მიშველაძე

**რეცენზენტები** – პროფ. ნომადი ბართაია
პროფ. მურმან თავდიშვილი

ISBN 978-9941-0-8488-1
ISBN 978-9941-0-8489-8

# წინასიტყვა

კულტუროლოგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და მასალა თეორიული განზოგადებისათვის, ტიპოლოგიური სისტემებისა და უნივერსალიების საჩვენებლად და დასადგენად არის კულტურის ისტორია.

ყოველი კულტურის ისტორია ეკუთვნის კონკრეტულ ეთნოსსა და ერს, უკავშირდება კონკრეტულ რელიგიასა და სახელმწიფოს, როგორც სულიერ ძალთა კონსტრუირება, ხედვა, ქმნადობა და მიმართება.

ტრანსფორმაციულ პროცესებში ყოველი ერის კულტურა ავლენს სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, აქვს განსხვავებული მასშტაბი, გავრცელებისა და გავლენის არეალი.

კულტურას ქმნიან ლიდერები. ისინი გადასცემენ მასებს სტიმულსა და იდეებს, ახალ აღქმას, რწმენას, ხედვას, არტეფაქტებს და ასე ცვლიან გემოვნებასა და ცნობიერებას. მაგრამ ითვალისწინებენ მასების მოთხოვნებს, დაკვეთას, ხელისუფლების პოზიციას.

ყველა კულტურა ავლენს ერთმანეთის მსგავს უნივერსალიებს, ტრანსფორმაციის ფაზებს, დარგობრივ და ტიპოლოგიურ სისტემებს.

ერთიანობისა და მსგავსების საფუძველია ბიოლოგიური ბაზისი, ვარიანტებსა და განსხვავებებს ქმნის აქტივობა და ინტელექტი.

ერთნი ადრე სტოვებენ პრეისტორიის ნისლეულს, მეორენი – გვიან. ერთნი სწრაფად ჰპოვებენ ადგილს მზის ქვეშეთში, მეორენი ჩრდილში რჩებიან და ქრებიან.

ერთნი მძლავრ სინათლესასხივებენ, მეორენი მათ მიჰყვებიან და ამ ნათელში მოქმედებენ.

კულტურა იცვლება და ვითარდება ეთნოსთან თუ ერთან ერ-

თად და ასევე იღუპება მათთან ერთად, სადაც გადამწყვეტი ხდება ცივილიზაციური ფაქტორი.

ქართველმა ერმა ათასწლეულების მრისხანე სრბოლაში, აგრესორ სახელმწიფოთა გარემოცვაში, მათ და მათ კულტურათა შემოტევაში ზიგზაგოვანი სვლით, სესხებითა და გაზიარებით შეძლო შეექმნა დიდი ქრისტიანული კულტურა, მასში მოექცია თავისი ფიქრი, სევდა, ოცნება, არტისტული და დაუდეგარი სული.

ამ წიგნში მე შევეცადე ქართული კულტურის ევოლუცია, სპეციფიკა და ტენდენციები წარმომედგინა არა ფილოლოგის, ისტორიკოსის ან ხელოვნებათმცოდნის, არამედ – კულტუროლოგის თვალთახედვით, იმ თეორიული თვალსაზრისის შესაბამისად, რაც გადმოცემული მაქვს „კულტუროლოგიის საფუძვლებსა“ (I-III, 2010-2013) და „მხატვრულ აზროვნებაში“ (2007).

## წიგნი პირველი

# არქაულ-წარმართული ქართველური კულტურა

(ძვ. წ. III ათასწლეული – ახ. წ. IV საუკუნე)



# I. მატერიალური კულტურა და ეთნოსი: ქართველური ტომები, ენები, მიგრაციები

ყველა უძველესმა გვარ-ტომმა და ტომმა განვლო ანიმის-ტურ-კანიბალისტური და ტოტემისტურ-მატრიარქალური პე-რიოდები, განვლო სხვადასხვა ინტერვალითა და აქტივობით, ვიდრე დაიწყებოდა მითოსურ-პოლითეისტური აღქმისა და ხე-დვის ფორმირება.

საქართველოს ტერიტორიაზე ათასწლეულების განმავლობაში, მის ყოველ რეგიონში, ქვედა თუ ზედა პალეოლითის, მეზოლითის, ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდებში ცხოვრება უწყვეტად გრძელდებოდა.

აქაც მიმდინარეობდა მაიმუნის გაადამიანების პროცესი, რასაც ადასტურებენ უდაბნოპითეკისა (ამჟამად განაკუთვნებენ დრიოპითეკს. ასაკი - 8-8,5 მლნ. წელი) და დმანისპითეკის (1,8 მლნ წელი) ნაშთები, საკაჟიას მღვიმის ნეანდერტალელის ზედა ყბის ფრაგმენტი ოთხი კბილით.

ნაპოვნია 65 მლნ წინათ გადაშენებული დინოზავრის ნაკვა-ლევიც კი (სათაფლიის მთის ჩრდილო კალთა).

პალეოლითს (ძველი ქვის ხანა) ჰყოფენ პრაკულტურის კონკრეტულ საფეხურებად – შელი, აშელი, მუსტიე, ორინ-იაკი, სოლუტრე, მადლენი, აზილტარდენუაზი.

ეს საფეხურები გონის ევოლუციის პროცესია, ჰომინიდების

ფორმირების ისტორია. ეს ისტორია გეოლოგიურად თავსდება პლეისტოცენის და ჰოლოცენის პერიოდებში.

მათ სხვა სიტყვით გამყინვარებისა და გამყინვარების შემდგომ ხანას უწოდებენ.

აქაც გამოყოფენ საფეხურებს, რომელთაგან ჩვენს ტერიტორიაზე არსებულა მინდელის, როსისა და ვიურმის გამყინვარებანი.

აქ ბინადრობდნენ სამხრეთის სპილო, ეტრუსკული მარტორქა, ბიზონი, მამონტი, ჩრდილოეთის ირემი, ხმალკბილა ვეფხვი, გამოქვაბულის ლომი და დათვი. კლიმატი ზოგჯერ მკაცრი ყოფილა, ხანაც – ზომიერად ცხელი, ლანდშაფტი – სავანის ტიპისა.

## 1. პრა-ქართველური ტომების სადგომები და არტეფაქტები

მოღწეულია აშელის ეპოქის ჰომინიდების სადგომები და ქვის იარაღები (წვეტანები, საფხეკები, ხელცულები, კაჟის ანატკეცები).

მათი რიცხვი, მათი რაოდენობა იზრდება მუსტიეს ეპოქაში.

ამ დროს ჩვენი წინაპრებიც ცხოვრობდნენ ჯოგებად, 30-80 სული ერთად, ცხოვრობდნენ კოლექტიურად, გვაროვნული დანაწევრების გარეშე. ერთად მოიპოვებენ საკვებს, იგერიებენ ნადირს, ინაწილებენ სარჩოს, ანთებენ შუაცეცხლს, ეძლევიან სექსს, არ სცნობენ ნათესავს.

მუსტიეს ეპოქის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მობინადრენი ილტვიან გამოქვაბულებისაკენ, კარსტული მღვიმეებისაკენ,

სადაც რეგულირდება ტემპერატურა, სეზონური ცვალებადობა და დაცული არიან ნადირთა ხროვის თავდასხმისაგან (მაგ., საკაჟია, საგვარჯილე, დევის ხვრელი, ჯრუჭულა, კუდარო).

ისინი კოლექტიურად ნადირობენ და შემოაქვთ მღვიმეში ნანადირევი, რომლის ძვლებმა ჩვენამდე მოაღწიეს.

მათ იციან ცეცხლის გაჩენა და მოხმარება.

ეს იყო არსებითი პროგრესი, რასაც მიაღწია ნეანდერტალელმა ადამიანმა. ცეცხლმა შეცვალა ველურის ცნობიერება და ბიძგი მისცა ჯოგის დიფერენცირებას, დედის გვარის გამოყოფას.

ცეცხლი ისევე მნიშვნელოვანი ტექნიკური მონაპოვარი იყო, როგორც შემდეგ სპილენძი, ბრინჯაო და რკინა.

პარალელურად ვითარდება თავის ტვინი, ნერვული სისტემა, მეტყველება.

მუსტიეს ეპოქის შემდეგ ადამიანი ანთროპოლოგიურად არ შეცვლილა. Homo sapiens sapiens-ის ნეანდერტალელის სინთეზი არის ევოლუციის საბოლოო ფაზა, რომელიც დასრულდა 40.000 წლის წინათ.

როგორც ვთქვით, საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია პრეისტორიის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდის არქეოლოგიური მასალა, ქვისა და ძვლის, კაჟისა და რქის იარაღები, ცხოველთა და ადამიანთა ძვლები, ასევე – სადგომები და მღვიმეები (მაგ., გვარჯილას კლდის მღვიმეში აღმოჩნდა 26.000 ერთეული „ქვისა და ძვლის ნაწარმი").

ჭიათურასთან, ძუძუანას მღვიმეში იპოვეს 34.000 წლის წინანდელი სელის ძაფის ნაშთები და სადგისები, გახვრეტილი კბილის ავგაროზი, პირველყოფილი ძაღლის ძვლები.

ეს იმასაც ადასტურებს, რომ ადამიანი დედამიწის ერთ წერტილში (ვთქვათ, აფრიკაში) არ წარმოშობილა, რომ გაადამიანების პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა ერთმანეთისაგან დაცილებულ ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით მკაცრი ყოფილა ვურმის გამყინვარების პერიოდი, რომელიც დაიწყო 70.000 წლის წინათ.

ყველაზე ცივი პერიოდი დამდგარა 18.000 წლის წინათ. მაშინ მარადი თოვლის საფარი 1200-1700 მეტრით დაბლა ჩამოსულა, 100 მეტრით დაწეულა ზღვის დონე.

ამ პერიოდის მღვიმის ველურ ბინადართ დაუხოცავთ მრავალი გრძელბეწვიანი მარტორქა, ჩრდილოეთის მაჩვი, დომბა, გარეული ცხენი, ლომი, გამოქვაბულის ლომი, დათვი და აფთარი, მაკაკა და ბიზონი.

ეს ცხოველები დიდხანია გადაშენდნენ ამიერკავკასიაში.

როგორც ვარაუდობენ, ჩვენი ველური წინაპრებიც მიმართავდნენ ტანის ტატუირებასა და შეღებვას. ამას მოწმობს ქვებზე დარჩენილი საღებავის კვალი. აქაც ყოფილა გავრცელებული ფეტიშიზმი და ანიმიზმი, ტოტემიზმი და ტაბუ, არჩევდნენ კეთილ და ბოროტ სულებს, ატარებდნენ ნიჟარებს, ცხოველის გახვრეტილ კბილებს.

ზედა პალეოლითელი მიცვალებულს მარხავდა თავის საცხოვრისში, კერასთან, ატანდნენ თავის ნივთებს.

ნადირობა, მეთევზეობა და შემგროვებლობა იყო ველურის საარსებო წყარო. მონადირე და მეთევზე იყო მამაკაცი, შემგროვებელი – დედაკაცი.

ქალი არის მშობელი და, ცნობიერების განვითარების კვალ-

დაკვალ, ამ ნიშნით გამოეყოფა ჯოგს და სათავეს აძლევს გვარ-ტომს.

სახელს იგი ღებულობს დედის ტოტემისაგან.

ველური ხედავს, რომ ბავშვს ქალი შობს, მაგრამ ვერ ხედავს კაცის ფუნქციას. მამის ცნება არ არსებობს. ამიტომ მტკიცდება ქალის მნიშვნელობა. აკეთებენ ქალის ქანდაკებებს, სექსუალური ორგანოების გამოხატვით. ამ დროს ყალიბდება აკრძალვათა – ტაბუირების სისტემა.

12000 წლის წინათ დაიწყო მკვეთრი დათბობა. ყინულის მარადი საფარი მაღლა ადის, იზრდება ზღვის დონე და ადამიანი ისევ უბრუნდება მთებს.

მეზოლითის დროიდან ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლეებს უჩნდებათ წალკატები, ხელსაფქვავები, გრდემლები, ფილთაქვები, ისრები, კაჟის ნამგლები, ხელშუბები, საჩეხები და საჭრეთლები, ქვის და რქის თოხები და ცულები, თიხის ჭურჭლები, სადგისები, ძვლის ქინძისთავები და გულსაკიდები.

უკვე იყენებენ საკვებად ხორბლეულს.

ნეოლითელი საცხოვრებლად მღვიმესთან ერთად მიმართავს ბორცვებს, ზეგანებს, იწყებს გამოქვაბულიდან გამოსვლას და ვრცელ არეალში განსახლებას, გარე სივრცის მოხილვას.

ზეგანებსა და ბორცვებს არჩევენ მდინარის სიახლოვეს.

მიწის დასამუშავებლად იყენებენ ცხოველის რქის გახვრეტილ (სატარე) იარაღებს, მოსამკელად – კაჟის ნამგლებს. ტყიან მიწას ჯერ მოწვავდნენ, შემდეგ – ქვის ან რქის კავით აჩეჩავდნენ, აფხვიერებდნენ.

ასეთ მიწას ეწერს უწოდებენ.

ამუშავებდნენ ხის იარაღითაც – მარგილით, წაწვეტებული ხით (აქედან – მარგვლა).

უძველესი დროიდან ცნობილია ხორბლის ენდემური ჯიშები – დიკა, ზანდური, მახა, ასლი, აგრეთვე – ფეტვი.

ნეოლითელ „ქართველს“ უკვე მოშინაურებული ჰყოლია ძაღლი, ცხვარი, თხა, ხარ-ძროხა. იგი ყოფილა მონადირეც, მეთევზეც, მესაქონლეც, მიწის მუშაც.

ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა, რომელიც მღვიმეებმა შემოინახეს. აღმოჩენილია თიხისაგან გამოძერწილი შიშველი ღმერთქალის ქანდაკებები საგვარჯილეში, ცხინვალის ნაცარგორაზე, ურბნისის ხიზანაანთ გორაზე.

ჩვენს ტერიტორიაზეც დასტურდება ქალის პრიმატი – მატრიარქატის არსებობა, რაც ენაშიც აირეკლა (იხ. „პირველადი წარმოდგენები“).

ქალის ქანდაკებებში ხაზგასმულია ნაყოფიერება და არა სილამაზე. ამიტომ აქვს სხვადასხვა რეგიონებში ნაპოვნ ქანდაკებებს დიდი მუცელი და დიდი, დაშვებული ძუძუები. ალბათ ავტორი მამაკაცი იყო.

იკრძალება ინცესტი და იზღუდება კანიბალიზმი. ვიწროვდება გაფეტიშებულ საგანთა წრე.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენს ისტორიულ არეალშიც გრძელდებოდა აკრძალვათა სისტემით რწმენის, კვების, სექსის, საცხოვრისის, კონტაქტების მოწესრიგება.

მღვიმიდან გამოსული, ჯოგს გამოყოფილი, ცალკე მცხოვრები გვარ-ტომი იყო ჯერ ერთი ქალის, შემდეგ კაცის შვილების და შვილიშვილების კრებული.

შემდგომ ისინი იყოფოდნენ და ახალი, ნათესაური გვარ-ტომები წარმოიშობოდნენ. როგორც ვთქვით, ტომი გვარს (სახელს) იღებდა დედისაგან ანუ დედის ტოტემისაგან. მას თვ-

ლიდა თავის წინაპრად, რომელსაც უკავშირებდა თავის წარმომავლობას, თავის სულს (სუნს).

გვარ-ტომს ჰყავდა უხუცესი (უფროსი). ეს იყო ჯერ დედა, შემდეგ – მამა.

ჰქონდა თავისი საარსებო არეალი, სადაც დიფერენცირებული იყო საცხოვრისი, სამსხვერპლო, ფეხსალაგი, სამარხი თუ საქონლის სადგომი.

საცხოვრისს ჰქონდა კერა და საკვამური. იგი იყო ძილის, კვებისა და სექსის ადგილი, ქარ-წვიმისა, სიცხისა და თოვლყინულისაგან საფარი.

საცხოვრისი კეთდებოდა ჯერ ხის, შემდეგ გადაჭრილი ხის გარშემო, რომელიც დედა-ბოძად იქცა. კედლები წრიულად იყო შემოღობილი, მიწითა და საქონლის ფუნით გალესილი, როგორც ფაცხა, იატაკი – დატკეპნილი.

საბინადროდ იყენებდნენ გორაკებსა და ბორცვებს, წყაროს ან მდინარის სიახლოვეს, რათა წყალი ჰქონოდათ.

გვარ-ტომების განტოტვა და განსახლება გრძელდება, რასაც ავრცობს ქალთა შემოყვანა სხვა გვარ-ტომიდან და კაცთა გადასვლა სხვა გვარ-ტომში, რაც წარმოქმნის ნათესაურ, შესაბამისად – ენობრივ კავშირებსა და ერთგვარობას.

ეს არის საწყისი შემდგომი ეთნიკური და კულტურული დიფერენცირებისა ანუ ახალი ინტეგრირებისათვის. მიკვლეულია 400-მდე პალეოლით-მეზოლითის და 50-მდე ნეოლითის ხანის ადამიანთა სადგომი (ნ. ბერძენიშვილი).

საქართველოს თანამედროვე თუ ისტორიულ ტერიტორიაზე ნაპოვნ უძველესი ადამიან-მაიმუნის ნაშთებს, პალეოლითის, ნეოლითის, მეზოლითის და ენეოლითის არქეოლოგიურ

საგნებსა და იარაღებს გადაჭრით ვერც ქართველთა, ვერც სხვა რომელიმე ერის წინაპრებს ვერ მივაკუთვნებთ.

შულის, აშულის, მუსტიეს თუ ორინიაკის კულტურის ეპოქები კაცთა მოდგმის საერთო წარსულია, რომლის ერთგვართობიდან 5-6 ათასი წლის წინათ დაიწყო ცალ-ცალკე მობინადრე ველური თუ ბარბაროსი ტომების ჯერ გამოყოფა და შემდეგ – შერწყმა, საერთო ტერიტორიული განსახლება, შესაბამისად – პროტო-ენების ინტეგრირება. ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემები აჩვენებენ კავკასიაში უძველესი მოსახლეობის უწყვეტობასა და ერთიანობას, რომლის ბაზაზე დაიწყო ენობრივ-ეთნიკური ფორმირება (ოთარ ჯაფარიძე).

ქართული ეთნოსი, ქართული კულტურა, მათი პირველადი ფორმები სათავეს იღებს ძვ. წ. III ათასწლეულიდან, ამიერკავკასიის ტერიტორიიდან, როგორც იბერიულ-კავკასიური ტომების ნაწილი.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა კოლხური, იბერიული და კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპები (მ. აბდუშელიშვილი).

ისინი შედიან ხმელთაშუა ზღვის ხალხთა წრეში.

ჩვენს შორეულ წინაპრებს ჰქონიათ გრძელი თავი, ვიწრო სახე, თხელი და მაღალი ცხვირი ანუ დოლიქოცეფალები ყოფილან.

ამერიკელი გენეტიკოსების აზრით, დღევანდელი კაცობრიობის საფუძველია 22 ჰაპლო ჯგუფი, რაც დაადგინეს მამაკაცის y ქრომოსომის მიხედვით.

აქედან ევროპულია 4 ჰაპლო ჯგუფი.

ჩვენ მივეკუთვნებით სამხრეთ ევროპეიდულ რასას.

კონკრეტული ძალის ზემოქმედებით წარმოიქმნება რაღაც საწყისი, რომლიდანაც იწყება დროის ათვლა, რომლითაც უსასრულო პრეისტორიას გამოეყოფა ნათესავ ტომთა კონგლომერატი.

მათ აქვთ საერთო გეოგრაფიული სივრცე, საერთო საცხოვრისი, რომელსაც შემდეგ სამშობლო დაერქმევა. ამ მიწის დაცვას, ამ მიწის გავრცობას მოჰყვება აურაცხელი მსხვერპლი, „სისხლი და ცხედრები“.

ჩვენი წინაპრებისათვის საწყისი ფუძე იყო მტკვარ-არაქსის მატერიალური კულტურა. იგი მოიცავდა ამიერკავკასიასა და წინააზიას (გარდა შავიზღვისპირეთისა), დღევანდელი ირანის ჩრდილო-დასავლეთს, ჩრდილო-კავკასიას (ძვ. წ. 3200-2200 წწ.).

მტკვარ-არაქსის კულტურიდან იწყება ქართველური სივრცისა და ხედვის ფორმირება, ისტორიის ათვლა.

მის ჩამოყალიბებას, ისევე როგორც კაცთა მოდგმის საერთო პროგრესს, ბიძგი და მიმართულება მისცა სპილენძისა და ბრინჯაოს აღმოჩენამ, ცეცხლის ფუნქციის გაზრდამ.

XIX საუკუნიდან არქაულ-წარმართული კულტურის შესწავლისათვის მტკიცე ბაზისი შექმნეს არქეოლოგებმა. ისინი ჩაწვდნენ ჩვენი ისტორიის საწყისებს (იხ. „საქართველოს არქეოლოგია“, I, 1991, გვ. 12-45). მათი მონაცემები შეავსეს ეპიგრაფიკული ფაქტებით თუ ძველი ბერძენი ავტორების აღწერა-დაკვირვებებით ელინისტებმა, ხურიტულ-ურარტული, ხეთური თუ მესოპოტამიური კულტურის სპეციალისტებმა, ისტორიკოსებმა, ლინგვისტებმა და ანთროპოლოგებმა.

## გვარ-ტომებისა და ტომების ინტეგრირება

III ათასწლეულში ჯერ არ არის ფორმირებული ქართული, სვანური და კოლხური ტომები. ისინი არ გამოყოფილან ნათესავ ტომთა სიმრავლიდან, შესაბამისად, არც ენები იქნებოდა გამოკვეთილი (თამაზ გამყრელიძე).

ამ დროს უკვე დაძრულია პრაინდოევროპული ტომები წინააზიიდან ჩრდილოეთით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით, თუ ბალკანეთიდან – სამხრეთით და აღმოსავლეთით.

ენობრივი ერთობა თავდაპირველად ყალიბდება გარკვეულ წრესა და დონეზე, მოდის გვარ-ტომიდან, შემდეგ კი განიშლება.

ასე რომ პირველადი სიმრავლე იცვლება ინტეგრირებით, შემდეგ ისევ იწყება დიფერენცირება (სიმრავლიდან – ერთობისაკენ, ერთობიდან – სიმრავლისაკენ).

ევოლუციურად პრასახელმწიფოებს, მათ პირველად გაერთიანებებს წინ უსწრებს განსახლების გეოგრაფიულ არეში მატერიალური კულტურების ერთგვარობა.

შეიძლება მათი ფორმირებაში არაერთი ტომი მონაწილეობდეს, მაგრამ ან ერთია მთავარი, ან სიმრავლეს საუკუნეთა მანძილზე მაინც მივყევართ ერთიანობისა და დამსგავსებისაკენ.

აქ ორი გზაა – ერთი, როცა რომელიმე გვარ-ტომი სწრაფი გამრავლებითა და განსახლებით იპყრობს ტერიტორიას, ძალადობრივად ცვლის მოსახლეობას; მეორე, როცა ვრცელ გეოგრაფიულ არეალში მშვიდობიანი თანაარსებობით, ურთიერთშეღწევით, მატერიალური ერთგვარობით წარმოიქმნება საერთო ეთნიკურ-ენობრივი ბაზისი.

ამ პროცესს საუკუნეები სჭირდება.

ჯერ ომი არ იციან, მხოლოდ ლოკალური კონფლიქტები, სტიქია და ნადირი თუ დაარღვევს მყუდროებას.

შემდეგ ბელადებსა და ქურუმებს ამ ერთგვარობისა, სიახლოვისა ან ნათესაობიდან სახელმწიფოებრივი პრამოდელი გამოჰყავთ, რაც იარაღის გაჩენასა და ომებს უკავშირდება და ჯერჯერობით უფრო ტომთა კავშირია.

მაგ., ტიგლათფილესერ პირველის ნაირის ქვეყნების 83 მეფე, თუქულთი-ნინურტა პირველის ნაირის 40 მეფე, ტაბალების 24 მეფე ან ალბანელების 26 მეფე რეალურად მხოლოდ ტომთა ბელადებია.

ხეთური, ასურული თუ ურარტული წარწერების ან ძველბერძენიავტორებისა და ბიბლიის ტერმინები, ცხადია, არ არის დღევანდელი გაგებისა.

მაგ., ქალაქი ბევრგან ნიშნავს დასახლებულ პუნქტს, მეფე – ბელადს, ქვეყანა-ტომის სამოსახლოს, ზღვა – ტბას.

ზოგმა მეცნიერმა პრიმიტიულ ტომებში გამოყო 650 კულტურა. ისინი არსებობდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ინტეგრირებას არ ცდილობდნენ, ვერ შექმნეს საერთო სივრცე და ვერც განვითარდნენ (შდრ. - ცხრა მილიონი ბიოლოგიური სახეობიდან მხოლოდ რამდენიმე ასეული იქცევს ყურადღებას).

ქართველური პრასახელმწიფოების (მუშქების სამეფო, ტაბალების სამეფო, კოლხების სამეფო, დიაოხი) კონსოლიდირების ბაზისი იყო მტკვარ-არაქსის, ბედენის, თრიალეთისა და კოლხური კულტურები. სხვა ერების ისტორიაშიც პირველადი კულტურის ჰორიზონტალი იცვლებოდა ძალაუფლების ვერტიკალით, რომელსაც ჯერ განაგებდნენ სახალხო კრება და

უხუცესები, შემდეგ – განსაზღვრული ვადით არჩეული მეფე, კონსული თუ არქონტი, ბოლოს – ერთპიროვნული მბრძანებელი, უფლის ნების გამცხადებელი – მეფე და იმპერატორი.

ქართულმა ეთნოსმა, ქართულმა კულტურამ განვლო ყველა საფეხური, მაგრამ დასჭირდა დიდი დრო და დიდი მსხვერპლი, ვიდრე შესძლებდა საკუთარი სახის გამოკვეთას, თავისთავადობის მიღწევას.

ა. ფერგიუსონის განსაზღვრით, ეს არის ევოლუციის ველური, ბარბაროსული და ცივილიზაციური სტადიები.

## 2. მტკვარ-არაქსის კულტურა
## (XXXII-XXII ს.ს.)

### ქრონოლოგია და გაწფენის არეალი

მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი არიან, როგორც მიიჩნევს მეცნიერთა უმრავლესი ნაწილი, ძირითადად – იბერიულ-კავკასიური, ნაწილობრივ – ინდოევროპული ტომები.

გიორგი მელიქიშვილი მას ინდოევროპელებს განაკუთვნებდა.

ბორის კუფტინის აზრით, მისი საწყისი არ იყო VI-V ათასწლეულების ადგილობრივი კულტურა. ასევე მიიჩნევს რ. მუნჩაევი.

თითქოს იგი უნდა შემოსულიყო მცირე აზიიდან.

ახლა თვლიან, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ახალი არქეოლოგიური მასალები, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მოდის ადგილობრივი ნეოლითური ძირებიდან, მაგრამ ერთვის სამხრეთული ნაკადი.

განფენილია იმავე გეოგრაფიულ არეში – ეს არის მტკვარ-არაქსის ორმდინარეთი, ანატოლიის აღმოსავლეთი, ირანის ჩრდილო-დასავლეთი, გადადის კავკასიონზე და აღწევს მაიკოპის კულტურამდე. მაგრამ საწყისი ბირთვი უნდა ჰქონოდა ქვემო ქართლში.

დასაწყისად მიიჩნევენ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს, XXXII საუკუნეს, XXIX საუკუნეს.

ქრონოლოგია მნიშვნელოვანია, ასევე – განვითარების პერიოდები, რადგან ათასწლეულის მანძილზე შიგნითაც იცვლებოდა მატერიალური ძეგლები, კერამიკა, მეტყველება, ბრინჯაოს საგნები, ტომთა საცხოვრისები, დამარხვის წესი.

მტვარ-არაქსის პერიოდიდან იწყება ქართველური ეთნოსის, ქართველური ენებისა და კულტურის ნელი და ხანგრძლივი ფორმირების პროცესი.

მატერიალური ერთიანობა არ ნიშნავს გენეტიკურ ერთიანობას. მაგრამ უძველეს დროში სწორედ სისხლით ნათესავ ტომებს უნდა ჰქონოდათ კავშირები, რასაც მოჰყვებოდა მატერიალური ერთგვარობაც.

ასე იყო ევროპისა თუ აზიის სხვადასხვა რეგიონებში.

მტკვარ-არაქსის პერიოდში არსებობს არაერთი, მისგან დამოუკიდებელი კულტურა: საბერძნეთში – კრეტა-მიკენის, გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე – მიხელსბურგული, გერმანიისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე – უნეტიცის, ინგლისში – მეგალითური, დუნაის აუზში – ბადენის, ჩრდილო კავკასიაში – მაიკოპის, ინდოეთში – ხარაპას, ჩინეთში – ლუნშანის, რაც გახდა კონსოლიდირების ბაზისი.

მანამდე მტკვარ-არაქსის სიახლოვეს, VI-V ათასწლეულებში

დასავლეთ ანატოლიაში არსებობდა ჩათალ-ჰიუკის კულტურა, ჩრდილოთ მესოპოტამიაში – ჯერ ჰასუნასა (VI-V ათასწლ.) და შემდეგ ჰალაფვას (V-IV ათასწლ.), V-IV ათასწლეულში – შულავერის კულტურა.

ისინი დაშალა და მოსპო ტომების მიგრაციამ, უცხო ნაკადის შემოსვლამ და ადგილობრივთა განსახლებამ, დაღუპვამ და ასიმილირებამ.

## ენეოლითური ძირები

მტკვარ-არაქსის ბრინჯაოს მატერიალურ კულტურას, მისი განფენის არეალში, უსწრებს V-IV ათასწლეულების ენეოლითური (გარდამავალი პერიოდი ქვიდან სპილენძისაკენ) კულტურა (ლათ. eneos-სპილენძი, ბერძნ. lithos – ქვა).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტომები ცხოვრობენ მღვიმეებში, ან აქვთ ტოტებისაგან სარებზე მიწნული, ორმხრივ თიხით შელესილი საცხოვრისები, მრგვალი და ოთხკუთხა, მეგრული ფაცხის მსგავსი.

ფართი – 12-13 კვ. მ. სიმაღლე – 2,5 მ.

ჰქონიათ ორმოები წყლისა და სურსათის შესანახად.

ცდილობდნენ კერაზე უქრობი ცეცხლის დაცვას.

ძველ ინდოელებში, ხეთებში, ირანელებში, რომაელებში ცეცხლის კულტი უკავშირდება კერას, შუაცეცხლს, რომელიც გარს იკრებდა და აერთიანებდა გვარის წევრებს.

ცეცხლი სიცოცხლისა და ნათესაობის სიმბოლო იყო.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენილი შრომის იარაღები, გარეული და შინაური ცხოველების ძვლები, ასევე – კერამიკა.

აღმოსავლეთში იარაღებსა და სამკაულებს ამზადებენ ქვისა, ძვლისა და რქისაგან, კერამიკას – სხვადასხვა მინარევის თიხისაგან.

ზოგი ჭურჭელი შეღებილია. ჭურჭლის მძერწავები ალბათ აქაც ქალები იყვნენ.

მოჰყავთ ქერი, ხორბალი, ღომი. ხის სახვნელს უკეთებენ ქვის სახნისს. ჰყავთ ცხვარი და ხარ-ძროხა. იციან მიწის მორწყვა.

VI ათასწლეულის ფენებში, ქვემო ქართლში, სოფ. იმირში აღმოჩენილია მეღვინეობის კვალი.

გავრცელებული ყოფილა ობსიდიანის (ვულკანური მინა) იარაღები.

მოღწეულია ქალისა და ხარის ქანდაკებები, ქალის სქემატური გამოსახულებები. ნაყოფიერების ღვთაება წარმოედგინათ ქალის სახით. მას ახლავს მზის დისკოს ნიშანი (ტ. ჩუბინიშვილი) ანუ მზის ღმერთქალი უნდა ყოფილიყო მთავარი ღვთაება.

გაბატონებულია მატრიარქატი. არსებობს ხარის კულტი.

მიცვალებულს კრძალავენ სამოსახლოს ტერიტორიაზე, ზოგან – ყორღანებში.

სამოსახლოები მიიწევს მთების კალთებისაკენ.

მოხატული კერამიკა, სამკაულები, ალიზის აგურები ავლენენ სიახლოვეს ირანულ და ჩრდილო მესოპოტამიურ წრესთან. შეიძლება იმიტომაც, რომ V-IV ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ტერიტორიას იკავებს შუამდინარეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა (კ. ფიცხელაური).

ასე ახასიათებენ არქეოლოგები მტკვარ-არაქსის წინამორბედ ენეოლითურ კულტურას, რომელიც ერთგვაროვანია.

სპილენძის გამოჩენა წამოსწევს მამაკაცის ძალას.

იგი არის **მონადირე, მეჯოგე, მჭედელი,** შემდეგ – **მეომარი.**

ახალი ვითარება თანდათან ცვლის მატრიარქატს და ამკვიდრებს მამაკაცის ძალაზე დამკვიდრებულ უფლებებს.

იარაღი აძლიერებს აგრესიას და ტომს უკვე სჭირდება არა მხოლოდ ნადირისა ან სტიქიისაგან, არამედ – მოძმისგანაც თავის დაცვა.

მტკვარ-არაქსის კულტურა პატრიარქატის კულტურაა, რომელიც იწყება ენეოლითურ პერიოდში და წყდება ბრინჯაოს ხანაში.

ზოგი მიიჩნევს, რომ IV ათასწლეულშიც შუამდინარეთიდან წამოვიდნენ ტომები და მათ მისცეს ბიძგი ამ კულტურას.

ისინი გადავიდნენ ჩრდილოეთშიც და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მაიკოპის კულტურის განვითარებაში.

## ბრინჯაო და მატერიალური ერთგვარობა

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ პერიოდში ჩნდება გვარ-ტომის სამოსახლოები, როცა საცხოვრისები მჭიდროდ არის თავმოყრილი.

ოჯახი შედგება 15-20 სულისაგან. შემდეგ მცირდება სულადობა ანუ იყოფა ოჯახები.

სახლებს აქვთ ოთახი და დერეფანი, შემაღლებული ადგილი რიტუალებისათვის, დედაბოძი, კერა. მაგრამ არა ბეღელი და ბოსელი – ისინი ცალკეა.

კერა არის კეთილდღეობის სიმბოლო. აქ ტარდება რიტუალები. აქ ათავსებენ კერპების გამოსახულებებს, განაყოფიერების გამომხატველ მამაკაცის ქანდაკებას, ფალოსის მოყვანილობის ვერძის რქებს.

მამაკაცის პატარა თიხის ქანდაკებებს აქვთ ღვთაებრიობის ნიშანი, რაც პატრიარქატის დასტურია.

მამაკაცის დაწინაურებას აჩვენებს ყორღანული სამარხებიც. მამაკაცს ატანდნენ იარაღებს, ჭურჭელს, შეწირულ ხარს, ქალს – სამკაულებს.

დასახლებებს სამაროვნები და მსხვერპლშეწირვის ადგილი აქვთ მთაზე. მარხავენ როგორც ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამარხებში, ისე ორმოსაფლავებში. ზოგჯერ კრემაციასაც მიმართავენ.

ზოგან ცალკეა დამარხული თავმოკვეთილი მიცვალებულები, ზოგან – მხოლოდ თავის ქალები. თავის ქალა სულის სამყოფელოდ მიიჩნეოდა.

მაგ., გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა წითელ ჟანგმიწიან ორმოში უამრავი თავის ქალა და სამკაული.

არსებობდა კოლექტიური ლოდსამარხებიც-დოლმენები.

განსხვავებული დამარხვის წესი შეიძლება ჰქონოდათ სხვადასხვა ეთნოსის ტომებს, შესაბამისად – არც მეტყველება ექნებოდათ ერთნაირი.

საერთოდ, უძველესი დროის კულტურული პანორამის აღსადგენად საჭირო მონაცემებს იძლევა სამარხები, შრომისა და ბრძოლის იარაღები, სადგომები და საცხოვრისები, სიტყვის ძირების რეკონსტრუქცია.

ლითონის აღმოჩენა რადიკალურად ცვლის როგორც ცნობიერებას, ისე ცხოვრებას.

სპილენძისა და ბრინჯაოს ჭედვა-წრთობას ძლიერი ცეცხლი სჭირდებოდა. ეს ზრდიდა მზისა და მისი მიწიერი ნაწილის – ცეცხლის მნიშვნელობას. ცეცხლის მხურვალების გარეშე ლითონს ვერ დაიმორჩილებდნენ.

ბელადის, ქურუმისა და მწყემსის შემდეგ ტომს გამოეყოფა მჭედელი. მას ლითონზე გადააქვს მეთუნის გამოცდილება, ჭურჭლის დამზადების ხელოვნება.

მჭედელი სჭირდება ბელადს, ქურუმს, მწყემსს, მონადირეს, ტომის ყოველ მამაკაცს. მამაკაცები მოიპოვებენ მადანს, მართავენ საწრთობ ქურას და ამზადებენ ბრინჯაოს იარაღსაჭურველს, სატევრებს, დანებს, ცულებს, შუბისა და ისრის ბუნიკებს, აგრეთვე – ვერცხლისა და ტყვიის სამკაულებს. ასევე მზადდება ერთიანი სახის მოხატული კერამიკა. ჭურჭელს უჩნდება ორი და სამი ყური.

კერამიკაზე გამოსახავენ ვერძს, წეროს, გველს, ირემს, ქალის სქემატურ გამოსახულებას, მზის სიმბოლო სპირალს.

ცალკეული რეგიონები საკმაოდ ყოფილა დასახლებული (მაგ., შიდა ქართლი).

აქაც ცხოვრობდნენ ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში.

აქაც აშენებდნენ მეგალითურ ციხე-დარბაზებს. გავრცელებული ყოფილა მენჰირები (ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მიწაში ჩარჭობილი ქვის სალოცავი თევზები), როგორც გვიჩვენებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

მტკვარ-არაქსელი ტომები ეწევიან ბინადარ ცხოვრებას, ამუშავებენ მიწას, იყენებენ პირუტყვს, მიწის სახნავად იშველიებენ საქონლისა და ირმის რქებს, მისდევენ მესაქონლეობას, მიმართავენ მსხვერპლშეწირვას (მაგ., ჩვილ ბავშვთა); არიან მიწათმოქმედნი, მეჯოგენი, ხელოსნები, მჭედლები, მეთუნეები.

არ იყენებდნენ ოქროს, თუმცა ალბათ იცნობდნენ, რადგან ამ დროს განეკუთვნება საყდრისის ოქროს მოპოვების კერა (ბოლნისის რაიონი). ეს მაშინ, როცა მტკვარ-არაქსელთა

თანამედროვე მაიკოპელები ზოგს საიუველირო ხელოვნების მოთავეებადაც კი მიაჩნია.

ამ კულტურის ჩასახვა, ერთგვარობა და ტომთა შეზრდა-ნათესაობა დაკავშირებულია სპილენძის გამოჩენასთან (ნ. მარის ახსნით, სპერის/ისპირის მადანი), სპილენძის მეტალურგიასთან, რომელიც ცვლიდა ქვის იარაღებს.

ბრინჯაოს სახელი მოდის სპარსული ბირინჯისაგან, რაც გვიანდელი მოვლენაა, კალა (თუთია) – ქალაქ კალაჰიდან.

ასე რომ, სპილენძსა და ბრინჯაოს სხვა სახელით იხსენიებდნენ ქართველური ტომები. მათი აღმნიშვნელი სიტყვები ალბათ იმიტომ დაიკარგა, რომ მტკვარ-არაქსიდან დევნილმა და დამარცხებულმა ქართველურმა ტომებმა შეწყვიტეს ლითონის დამუშავება.

ამ ტრადიციას მიუბრუნდნენ მოგვიანებით და ახალი სახელები მიიღეს. სპილენძის პირველაღმომჩენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც სეზონურად გადაადგილებოდნენ ბარიდან მთაში. აქ ნიადაგი გადარეცხილია და მოჩანს მადნის ძარღვი – პირველმჭედლები და სპილენძის ნივთების გამავრცელებელიც ისინი იქნებოდნენ.

იბერიელ-კავკასიელებიც ადრევე იწყებენ სპილენძის გაცხელებას, ჭედვას, გალღობასა და დაყალიბებას, რაც დაერთო ძელისა და ქვის დამუშავების ხელოვნებას.

შემდეგ შემოდის ბრინჯაო (90% სპილენძი, 10% კალა ან 10-22% დარიშხანი) – III ათასწლეულის შუახანებში. ზოგან - გაცილებით ადრე (მაგ., მესოპოტამიაში – VI ათასწლეულიდან), ან გვიან (მაგ., კუნძულ კრეტაზე –2 200 წლისათვის).

ასე მიიჩნევენ ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი.

უკვე ცეცხლგამძლე თიხისაგან ამზადებენ ციცხვებს, ტიგელებს, ყალიბებს.

სპილენძის საბადოები იყო მცირე აზიასა და წინააზიაში, კალასი – დღევანდელი ირანისა და არაბეთის ტერიტორიაზე. ეს სიახლოვე ხელს შეუწყობდა მტკვარ-არაქსელებს, რომ ბრინჯაოზე გადასულიყვნენ.

სპილენძის დნობის ტემპერატურაა 700-900$^0$, ბრინჯაოსი – 1083$^0$, ვერცხლისა - 960$^0$, ოქროსი – 1064$^0$, ხოლო რკინისა – 1,528$^0$.

რკინა ძნელად დასამუშავებელი ლითონია.

ბრინჯაოს შრომისა და ბრძოლის იარაღები უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ხის, ქვისა და სპილენძისა.

ამიტომ მოხდა ტომების კონცენტრირება ბრინჯაოს გარშემო. სპილენძის მადნის მოპოვება, გადატანა და დამუშავება, შემდეგ – დამზადებული ნივთების ტრანსპორტირება და გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებულიყო საზიდრები და გამწევი ძალა – ხარი, სახედარი, გვიან – ცხენიც.

ბორბლიანი საზიდარი გამოიგონეს IV ათასწლეულის ამიერკავკასიასა და ზედა მესოპოტამიის ზონაში.

იგი წინ უსწრებს ბრინჯაოს მეტალურგიას, ურომლისოდაც ვერ შეძლებდნენ ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, ტექნიკის განვითარებას.

შემდეგ საზიდრებს მოჰყვა საომარი ეტლები, რომლებშიც თავდაპირველად სახედრებს აბამდნენ.

ეს იყო ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც შეცვალა ადამიანი და საარსებო პირობები.

ქვის ხანა, რომელიც 1,5 მლნ წელი გრძელდებოდა, დასრულდა სულ რაღაც 5000 წლის წინათ. ამის შემდეგ პროგრესის საფუძველია ლითონების გამოჩენა, ათვისება, დამუშავება და სრულქმნა – სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, რკინა, ფოლადი ანუ ტექნიკის განვითარება და ტრანსფორმაცია, რამაც შექმნა სახელმწიფო და შემდეგ იგი მრისხანე მმართველებმა აქციეს ძალაუფლების შენარჩუნებისა და გავრცობის, აღმშენებლობისა, ჩაგვრისა და კეთილდღეობის საშუალებად.

ბრინჯაო და რკინა ძალა იყო, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები – კომფორტი და სილამაზე, ცეცხლი – ლითონის გამლღობი და თბილი კერა.

ბრინჯაოს იარაღები ზრდიდა როგორც შრომის ნაყოფიერებას, ისე აგრესიას, სივრცის ათვისებისაკენ სწრაფვას, რასაც მოჰყვა ომები, ომებს – ბარბაროსული ინტეგრირება და იაფი მუშახელი, ინტეგრირებას – გაერთიანებათა და პრასახელმწიფოთა წარმოქმნა, ბელადის წამოწევა და სამხედრო დემოკრატია, მატრიარქატის – მამაკაცის ძალისა და უფლების განმტკიცება.

ერთი ფაქტორი ბიძგს აძლევდა მეორეს, მეორე – მესამეს და ასე საფეხურებრივად მიდიოდა ადამიანი პროგრესისა და შეუცნობელი მომავლისაკენ. ეს არ ხდებოდა კომუნიკაციის გარეშე.

ამიტომ „ენობრივი სისტემა შეიძლება დავაკავშიროთ განსაზღვრულ არქეოლოგიურ კულტურასთან“ (თამაზ გამყრელიძე), ხოლო ენა არ იქმნება ეთნოსის გარეშე.

ასე რომ – ერთ ტრიადაში უნდა განვიხილოთ მტკვარ-



ხურიტულ-ხათურ-კავკასიური მოსახლეობის გავრცელების ველი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში
The area of diffusion of the Hurrian-Hattic-Caucasian population in the 4th-3rd millenium BC

არაქსის კულტურა, ეთნოსი და ენები. ამ კულტურის შიგნით არსებული მრავალი ვარიანტული სახესხვაობა მონათესავე ტომთა სიმრავლის ნიშანი უნდა იყოს.

## პროტო-ენები და ტომთა ნათესაობა

ვრცელ არეალში ტომთა კომუნიკაციას საერთო ან მსგავსი მეტყველება სჭირდებოდა. ენის გარეშე ვერც კონტაქტი, ვერც ნდობა ვერ იარსებებდა. სხვათა გამოცდილებაც გაუზიარებელი დარჩებოდა.

კონტაქტებს აძნელებდა ვრცელი განფენა, უგზოობა, უდაბური გარემო, უცხოთა სიმრავლე, გადაადგილების საშუალებათა უქონლობა – ჯერ არ იცნობენ ცხენს.

ჰყავთ გამწევ ძალად ხარი და სახედარი.

უძველეს დროში ყველა ტომი თავის პროტო-ენაზე მეტყველებდა (სიმონ ჯანაშია). ეს ენები არ იყო სტრუქტურულად მყარი, ლექსიკურად მდიდარი. ამიტომ სწრაფად იცვლებოდა – ძველს ჰკარგავდა და ახალს იძენდა. მაგრამ ათვისებაც იოლი იყო სხვათა მიერ.

მტკვარ-არაქსელთა წინარე ტომებსაც პრეისტორიულ საუკუნეებში ექნებოდათ მრავალი პროტო-ენა. მხოლოდ კონტაქტების შემდეგ შეიძლებოდა მათგან დიალექტური ბირთვების შედედება ან ერთ გვარ-ტომს ძალადობრივად მოეხდინა სხვათა ასიმილირება. ისტორიული ქარიშხლები, ომები, ახალი ტექნიკა, იძულებითი გადაადგილება წარმოშობს ინტეგრირების სტიქიურ აუცილებლობას, რაც ენაშიც ვლინდება, ინტეგრირება ააქტივებს ცნობიერებების ფორმირებასაც.

ენის შემოქმედი არის ხალხი, ტომი, გვარ-ტომი.

სახელმწიფოს დაცემა, ხალხის განადგურება, ახალი ნა-

კადების შემოჭრა და ტომთა აღრევა იწვევს ენის სიკვდილს, ან ახლებურ მოდელირებას, რომელიმე დიალექტის გაძლიერებას ან შეზრდას დამპყრობლის ენასთან.

ასე მოხდა ბაბილონში, ეგვიპტეში, ურარტუში, რომში, ბიზანტიაში, ხეთაში, ასურეთში, ისრაელში.

საუკუნეების მანძილზე კონტაქტებით, გეოგრაფიული სიახლოვით და ურთიერთშეღწევის პროცესში ტომებს უყალიბდებოდათ ერთიანი ლექსიკური ფონდი, ფონეტიკური და სინტაქსურ-მორფოლოგიური სტრუქტურა (მაგ., იბერიულ-კავკასიური ენებისათვის საერთო აბრუპტიული ანუ მკვეთრი-ხორხსზედა თანხმოვნები: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ).

კავკასიაში IV ათასწლეულიდან უნდა დაწყებულიყო პროტო-ენების შეზრდის პროცესი, რაც წარმოქმნიდა ზეენას ანუ ფუძე-ენას. ამის გარეშე ვერ იქნებოდა კომუნიკაცია, ვერც საერთო სახის კულტურა იარსებებდა.

შემდეგ წარმოიქმნებოდა განსხვავებული დონის ენები, დიალექტები. დარჩებოდა პროტო-ენებიც. ბევრიც გაქრებოდა.

კულტურის შემქმნელი, შემნახველი და გადამტანი ყველა დროში არის საზოგადოების მაღალი ფენა – ელიტა. მისი შუქი ეცემა მიწურებსა და ქოხმახებსაც, მონასა და მიწის მუშასაც.

ელიტას ქმნიდნენ ქურუმ-ბელადები და ქურუმები, უხუცესები. ისინი იქნებოდნენ საერთო ენის შემქმნელი და მქონენი, რასაც პირობითად ვუწოდებთ იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენას (იხ. „გვარ-ტომი და ფუძე-ენა“).

ამ ენას ერთგვაროვანი და მრავალრიცხოვანი რიტუალებით ამკვიდრებდნენ და ავრცელებდნენ ქურუმები. მათ ჰქონდათ ენის საიდუმლო ნიშნებიც, რომელიც მასას არ უნდა სცოდნოდა.

ეს საიდუმლო აკავშირებდა ქურუმთა კასტას, აკავშირებდა მისტერიებსა და რიტუალებს, გეოგრაფიულად დაცილებულ პუნქტებს.

მსხვერპლშეწირვის სისხლი, გლოვა და ტრიუმფი აერთიანებდათ ღმერთებს, ქურუმებს, მეომრებს, მასის რიგით წევრებს. ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა საცხოვრისს, კერას გამოეყო სამაროვანი და მსხვერპლშეწირვის ადგილი.

გამოყოფა სიმბოლურად კრავდა ტომებს, რომელთაც ერთი სისხლი ჰქონდათ, ერთი სამლოცველო და ერთი სასაფლაო.

დიფერენცირება-ინტეგრირება მუდმივი და პარალელურად მიმდინარე პროცესებია (არნ. ჩიქობავა).

## პროტო-ენები და დრო-სივრცე

არქაულ დროში, როცა არ არსებობს სახელმწიფო და ომები, როცა არ ჩამოყალიბებულა ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, გვარ-ტომები და ტომები ცხოვრობენ იზოლირებულად, დახურულ სივრცეში, ერთნაირი საგნების და გარემოს ტყვეობაში.

მათ აქვთ სიტყვები მცენარეთა, ცხოველთა, ცისა და მიწის, მზისა და მთვარის, ბუნების მოვლენებისა და დროის ცვალების, სექსისა და კვების, სხეულის ნაწილების, მშობლებისა და ნათესავების, ფიზიოლოგიური პროცესების, იარაღების, რიტუალების, ხილული გეოგრაფიული ადგილების (მდინარე, ზღვა, მთა) გამოსახატავად.

ასეთივე მცირე ლექსიკური მარაგი აქვთ სხვა ტომებსაც, სინტაქსი – მარტივი, სახელები – დაუნაწევრებელი, ბრუნება და უღლება – ლაბილური.

ეს საკმარისია კომუნიკაციისათვის. ექსპრესიას ავლენს აფექტების სიძლიერე, რაც გამოხატულია ჟესტ-მიმიკით, მოქმედებითა და ბგერათნაკადით.

ამიტომ ადვილია როგორც გაგებინება, ისე სიტყვათა ჩანაცვლება.

კონტაქტები ტომებს შორის იშვიათია და შემთხვევითი.

მათ არ უწევთ გადაადგილება, გასვლა მშობლიური ოიკუმენიდან.

ეს უწევთ მონადირეებსა და მეჯოგეებს. მათ გადააქვთ და შემოაქვთ სარჩო, კერამიკა და იარაღი, მონაწილეობენ ქალთა გაცვლა-გატაცებაში.

ესენი არიან ვაჭრებისა და თარჯიმნების წინაპრები.

სტაბილური, ერთსახოვანი, უცვლელი გარემო არ იძლევა ცნობიერების გააქტივების საშუალებას, რაც წარმოქმნის ახალ ნივთებს. ახალ ნივთს,  დაკვირვებას, დეტალიზებას სჭირდება ახალი სახელდება, ან – სხვათაგან შემოტანა, სესხება.

ამიტომ სტატიკურ, ინერტულ დროში ენაც არ ვითარდება, როგორც ეს მოხდა აფრიკულ, ავსტრალიურ და ინდიელთა ტომებში. მათ აურაცხელი ენა აქვთ დღესაც, რაც წარმოგვიდგენს ჩვენს პრეისტორიასაც.

როცა გაჩნდა ბორბალი და სპილენძი, უნდა წარმოქმნილიყო ახალი სიტყვები როგორც მათი, ისე მათთან დაკავშირებული პროცესებისა და საგნების აღსანიშნავად, გადაადგილებისა და კონტაქტებისათვის.

ამიტომ არის იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახი კონვერგენციული გზით წარმოქმნილი (კონვერგენცია – შეზრდა, ინტეგრირება).

## ეთნარქის ლეგენდა

საპირისპიროთა დერივაციული (ლათ. გამოყვანა) ანუ ძალადობრივი გზა, როცა ერთი გვარი და გვარ-ტომი იერთებს და სპობს სხვა გვარ-ტომებს, ითვისებს ახალ სივრცეს, დემოგრაფიულად ცვლის მოსახლეობას.

ასე მოხდა ინდო-ევროპელების ვრცელ ტერიტორიაზე განფენა, მუდმივი სვლა და ახალი მიწების ძიება.

შედეგად ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ფუძე უფრო გამჭვირვალეა, ისევე როგორც სემიტური, თურქული, მონღოლური ენების ოჯახისა.

ისტორიულ-ლეგენდური ტრადიციაც ტომსა და ხალხს ერთი გვარის წევრებად, ერთი დედის ან მამის შვილებად მიიჩნევდა.

ასე შეჭქონდათ სინათლე ტომებისა და ენების, ღმერთებისა და წეს-ჩვეულებების დახლართულ სისტემაში. ამის მიხედვით ეძებდნენ და იგონებდნენ ეთნარქებს, რომლისგანაც მოდის ქვეყნის ყველა კონკრეტული ეთნიკური მოსახლე, შესაბამისად – ენაც.

მაგ., ძველი ხეთების მეფე (ხასსუ) ხათთუსილი I (ძვ. წ. XVII საუკუნე) თავის ქვეშევრდომებს თვლის ერთი გვარის წევრებად, ერთი დედის მიერ შობილად (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ეს მატრიარქალური თვალსაზრისია.

ბერძნები თავიანთ პირველწინაპრად მიიჩნევენ ჰელინოსს, ლათინები – ენეასს, კავკასიელები – თარგამოსს, ქართველები – ქართლოსს, სომხები – ჰაოსს, არმენ-სომხები – არამს, ჩინელები – ფუსს, კორეელები – ტანგუნს, მონღოლები – ბორტე-ჩინოს („ლურჯი მგელი“).

ეს პატრიარქალური თვალსაზრისია.

ლეონტი მროველის მიხედვით, თარგამოსი ყოფილა თარშის ძე, იაფეტის ძმისწული, ბიბლიური ნოეს შთამომავალი, ვინც თავისი კიდობნით წარღვნისაგან გადაარჩინა ადამის მოდგმა და ყოველი სულიერი.

ეთნარქი გვიჩვენებს, რომ ეთნოსებს აინტერესებდათ თავიანთი წარმომავლობა, დასაბამი, მაგ., ბაგრატიონები თავიანთ გვარს დავით წინასწარმეტყველთან აერთებდნენ.

ქართველურ ტომებს სცოდნიათ, რომ იბერიელ-კავკასიელებს შორის არის ნათესაური კავშირი, რომ ერთი ძირიდან მოდიან. ამის გამო, ბიბლიის მოდელზე, ლეონტი მროველმა შეთხზა ქართველური ტომების ეთნარქების ლეგენდა.

ერთხანს გაუგებრად მიაჩნდათ თუ რატომ მოიხსენებდა ძმებად ქართლოსსა და ჰაოსს, ქართველსა და სომეხს. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ჰაოსი არის არა ინდო-ევროპელი არმენების, არამედ იბერიელ-კავკასიელი სოხმების (ზოხმების) ეთნარქი, რომ ხეთური წყაროებით ცნობილია ხაიასას (ჰაიასას) ქვეყანა, ქალაქი haii.

ი. დიაკონოვის აზრით, იგი მოდის სწორედ ხათიდან (Hatti).

ნ. მარის აზრით, სომხები (სოხმები) იყვნენ ქართველური ტომები, სხვათა აზრით — ხურიტული.

ერთი გვარის, ერთი ეთნოსის შვილებს ენაც ერთი ექნებოდათ, რომელსაც ისინი გადასცემდნენ შთამომავლებს.

ქართულში ნათესავი არის ერთი თესლისაგან შობილი, რუსულში – გვარისაგან (род და родственник), რომელსაც აქვს თავისი წრე. ძვ. ინდურში, ხეთურში, ავესტაში, სპარსულში, ძვ. გერმანულში, ძვ. სლავურში ქალი და ცოლი ერთი სიტყვით აღინიშნება.

ხოლო კაცი არის პატრონი, ბრძანებელი.

ბერძნულში ქალი არის gine, გვარი genos ანუ გვარის სათავე არის ქალი. დედის ფაქტორი გადამწყვეტი იყო ეგვიპტეში, ხეთებში, კრეტაზე, ფრიგიაში, ელამურ ირანში, მონღოლურ ტომებში, ინკებში.

ინდო-ევროპულში კაცი იქცა ადამიანის სინონიმად (ძვ. ინდური manus– კაცი, ადამიანი, შდრ., ქართული კაცობრიობა, რუსული человечество, გერმანული – die Menscheit).

კონვერგენციის პროცესში ჯერ უნდა წარმოქმნილიყო ენათა ფილუმი, შემდეგ – ოჯახი, რომელსაც მოჰყვებოდა განშლა და დიფერენცირება.

ასეთი გზა უნდა გაევლოთ იბერიულ-კავკასიელებს მტკვარ-არაქსის კულტურის ათასწლეულში.

## ენობრივ-ეთნიკური ბირთვი

მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ყალიბდება იბერიულ-კავკასიური ენობრივ-ეთნიკური ბირთვი. მაგრამ დიფერენციაციაც აქედანვე იწყება (თ. ჯაფარიძე).

ორივე პროცესი უკავშირდება სპილენძისა და ბრინჯაოს გამოჩენას, მათი ტექნოლოგიის განვითარებას.

იბერიულ-კავკასიური ტომებისა და ენების შორეულ გენეტიკურ ერთიანობას ავლენენ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები, ვინ და რა სახელთა კლას-კატეგორიები, ლექსიკური ძირები, ენების აგლუტინაციური ტიპი და ერგატიული კონსტრუქცია, აგრეთვე – რასობრივ-ანთროპოლოგიური ნიშნები, ისტორიულად არსებული გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე.

მთელი კავკასიის დოლიქოცეფალური (გრძელთავიანი) მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში განეკუთვნება ერთ – მედიტერანულ ტიპს (მალხაზ აბდუშელიშვილი).

ნათესაურ კავშირს ჩრდილო-კავკასიურ ენებთან ამტკიცებდნენ ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა, მათი მოწაფეები და მიმდევრები. მაგრამ საეჭვოდ მიიჩნევენ გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, უარყოფდნენ ნ. ტრუბეცკოი, ჟ. დიუმეზილი.

ამ ერთიანობას იცავდა ნ. მარი, მაგრამ მას კავკასიური ენები სემიტური სამყაროს მონათესავედ მიაჩნდა, ვიდრე იაფეტიდები არ გამოაცხადა სემიტებსა და ინდოევროპელებზე უძველეს ფენად, იაფეტური – კულტურის განვითარების სტადიად.

ენობრივი ნათესაობა ამოდის ეთნოსიდან, ენის შემოქმედი ტომებიდან.

ერთი ხსნის მეორეს და პირიქით.

აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი მიიჩნევს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურას ქმნიდნენ ადგილობრივი, უძველესი დროიდან აქ მოსახლე და შესაბამისად – მონათესავე იბერიულ-კავკასიური ტომები (რ. მუნჩაევი, ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი).

მაგრამ უნდა არსებულიყო მნიშვნელოვანი ინდოევროპული ნაკადი, რაც აირეკლა ქართველურ ენებში, მათ ლექსიკაში, ვოკალურ და კონსონანტურ სისტემებში (გ. მელიქიშვილი, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ზოგი მას განაკუთვნებს ინდოევროპელ ხეთებს (მაგ., ლ. ვული).

იბერიელ-კავკასიელთა კუნძული მოქცეული იყო ინდოევროპულ და სემიტურ ზღვაში. ალბათ მოხდებოდა ინდოევრო-

პელთა ნაწილის ასიმილირებაც, რაც შეცვლიდა აბორიგენთა ბუნებასაც.

იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული და სემიტური ნაკადები ერთმანეთს ხვდებოდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში, მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში, რასაც ახლდა ურთიერთშეღწევა და სესხება, ტომების სახეცვლა.

მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში უნდა მომხდარიყო იბერიელ-კავკასიელთა განყოფა ხურიტულ და ხათურ ნაკადებად.

როგორც ვნახავთ, ხათების მონათესავენი არიან ქაშქური, კოლხური, მუშქური და სოხმური ტომები, ალბათ – პელაზგებიც. შესაბამისად – ენებიც, როგორც პროტო-ხეთური ფუძის დაშლა-განვითარების შედეგი.

## 3. პირველი მიგრაცია და ენობრივ-ეთნიკური დაყოფა (XXIII-XXII სს)

III ათასწლეულის შუა ხანებიდან ირღვევა მშვიდი, სტაბილური ცხოვრება. მტკვარ-არაქსელები უკვე საცხოვრებლად ირჩევენ შემაღლებულ ადგილს, საცხოვრისს ამაგრებენ ქვის გალავნით, აგურ-ალიზის ზღუდით, ზოგან თხრილს ავლებენ ანუ მტრისაგან თავს იცავენ.

შემდეგ კი სულაც სტოვებენ საცხოვრისს, წინაპართა მიწას, გორებზე ქრება მოსახლეთა კვალი.

ძირითადი მასა იფანტება სხვადასხვა მიმართულებით, რო-

გორც ფუტკრები სკიდან – დასავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ლ. ვული, ჩ. ბარნეი, ო. ჯაფარიძე, რ. გორდეზიანი).

უკან ტოვებენ ნახანძრალ გორებსა და სამლოცველოებს (გ. მელიქიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ვული).

ეს იყო **პირველი დიდი გაფანტვა,** სწრაფვა ახალი მიწებისაკენ, უცნობი სივრცისაკენ.

დასრულდა ათასწლოვანი ერთიანობა და სტაბილური ცხოვრება.

მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოჭრილ ინდოევროპულ და სემიტურ ტომთა ნაკადები.

მათ დაარღვიეს როგორც მატერიალური, ისე გეოგრაფიული და ენობრივი ერთგვარობა.

ამ მხრივ საინტერესოა ცარცის გორაზე ნაპოვნი ოთხკუთხა ხიშტი, რომელიც ისეთივეა, როგორც ასურეთში აღმოჩენილი ორი ხიშტი:

ერთს აწერია სარგონ აქადელის შვილის სახელი – მანიშტუსუ (XXV ს), მეორეს – ელამის მმართველის პუზურ შუშინაკის (XXII ს.) სახელი. ასევე ნაპოვნია შუბისმაგვარი, წინააზიური იარაღები (III ათასწ. II ნახევარი).

ალბათ აქადელებმა და ელამელებმა დალაშქრეს მტკვარ-არაქსის ტერიტორია და ეს იარაღებიც ამ ფაქტის ნიშანია.

საერთოდ მიგრაცია, ტომთა დიდი მასების გადაადგილება, ტომთა შერწყმა, კულტურათა სინთეზი ააქტივებდა ადამიანის უნარს, განავრცობდა თვალსაწიერს და იყო პროგრესის

ერთ-ერთი სათავე (ედ. მაიერი, არნ. ტოინბი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ტომების მოძრაობა, აყრა, გადასახლება, წინაპართა მიწის მიტოვება სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა – ეს იყო ნიადაგის გამოფიტვა, მიწისძვრა, საძოვრების ძებნა, გვალვა და უწყლობა, პოპულაციის ზრდა, ეპიდემია, შემოსევები ან – დაპყრობითი ომები.

ისინი დიდხანს ინარჩუნებდნენ მოგონებას და სევდას მიტოვებულ მიწა-წყალზე. მაგ., ბარბაროსი მონღოლებიც გულდაწყვეტით იხსენებდნენ ალტაის მთებსა და მდინარეებს, მღეროდნენ ნაღვლიან სიმღერებს.

III ათასწლეულის დამლევს მრავალი ტომი იცვლის საცხოვრისს. ამ დროს შედიან აქაველები და დორიელები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მაშინ უნდა გადმოსულიყვნენ ჩრდილოეთიდან კავკასიაში ნესიტი ხეთების წინაპრები, რომელთაც განაგრძეს მიგრაცია მცირე აზიისაკენ (ტ. ბარტონ-ბრაუნი). ნაწილი კი აქ დამკვიდრდა.

ასე რომ – ამიერკავკასიაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოჭრილი ტომები.

აბორიგენებისათვის ადგილი აღარც დარჩა.

## მიგრაცია და ომი

მიგრანტთა ნაკადები არღვევდნენ შემხვედრი ტომების მყუდროებას, იწვევდნენ კონფლიქტებსა და სისხლისღვრას.

ადამიანთა დიდი მასა ითლად სძლევდა დაბრკოლებებს.

ჯერ სახელმწიფოები არ არსებობს, ახლაღა იწყება ომები. ხოლო ლოკალური კონფლიქტები საერთო წონასწორობას ვერ არღვევენ.

საკუთარი საცხოვრისიდან აყრილი ნათესავი ტომები ეძებენ უკეთეს გარემოსა და მიწას, ან – გაურბიან მომდგარ მიგრაციის ტალღას (მაგ., აქადები შეიჭრნენ შუმერში, ებრაელები – ქანაანის მიწაზე, აქაველები, დორიელები და ეოლიელები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხეთები – ხათების ქვეყანაში, ვედები – ინდოეთის ნახევარკუნძულზე...).

ისინი მკვიდრდებიან ახალ, უცხო მიწაზე, სადაც ყველაფერი მტრული თვალებით იმზირება.

ამიტომ ამზადებენ იარაღებს, აგებენ სიმაგრეებს. აქედან აგრძელებენ დაკავებული სივრცის ათვისებასა და გავრცობას, რაც სტიქიურად მიდის ერთობამდე, დამხდური ტომების ასიმილაციამდე ან – პირიქით – მომხდურები ერწყმიან ადგილობრივ მოსახლეობას.

სისხლით ნათესავი გვარ-ტომები და ტომები ქმნიან პირველ გაერთიანებებს, მიკრო-სამეფოებს, პრა-სახელმწიფოებს, რომელთაც განამტკიცებენ ღმერთები, ქურუმ-ბელადები, სალოცავი კერები, უხუცესები და მეომრები, ცხოვრების საერთო წესი.

მაგ., XIX საუკუნეში აფრიკული ტომები ებრძოდნენ დამპყრობელ ინგლისელებს. მათმა ბელადებმა – დინგისვაიომ, ჩაკამ, მოსელეკატსემ, ლობენგულამ დაიმორჩილეს მეზობელი ტომები და შექმნეს სამხედრო ორგანიზაციები. ცხადია, დამარცხდნენ, მაგრამ აგრესიულმა ფაქტორმა და გადარჩენის ინსტინქტებმა ინტეგრირებისაკენ უბიძგათ. ხოლო მტრის ხატმა და დაღვრილმა სისხლმა შეკრა ტომთა კავშირი (მაგ., ზულუსები).

სახელმწიფოები დედამიწის სხვადასხვა წერტილში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და თითქმის ერთდროულად ჩნდებოდა:

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს ნილოსის დაბლობსა და შუამდინარეთში, III ათასწლეულის ბოლოს – ინდის აუზში, II ათასწლეულში – ეგეოსის ზღვის აუზში, მცირე აზიაში, ფინიკიაში, სამხრეთ არაბეთში, ხუანხეს აუზში (ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი).

ადამიანის მოქმედებას წარმართავდა შიში და აგრესია, რაც არღვევდა იზოლირებულ არსებობას და სტიქიურად უბიძგებდა ინტეგრირებისაკენ.

ძალა კვეთდა არსებობის ახალ ფორმებს, რომელთა გარდასახვას აღარ ყოფნიდა ნადირობა, ცხვრის მოვლა თუ ჭურჭლის ძერწვა.

იარაღი – შუბები, მშვილდ-ისრები, ცულები და მახვილები.

როგორც ჩანს, იბერიელ-კავკასიელები გადარჩენას ცდილობდნენ არა დაპირისპირებით, არამედ – მიგრაციით.

დაშლა და აყრა რომ იძულებითი იყო, ამისი დასტურია დიდი ხანძრის კვალი და ნაცარი სხვადასხვა პუნქტებში:

ახალციხის ამირანის გორაზე, მეტეხის ნასახლარზე, აბასთუმნის ყანობილის ნასახლარზე, სოფელ ზველის სამარხებში, ქულბაქების ნასახლარზე, ილტოში, ბეშთაშენში, თზნის, თრელის, ურბნისის ქვაცხელებში, სამშვილდის ნასახლარებზე, წნორის ყორღანებში.

ზოგი თვლის, რომ ეს არის არა ხანძრის, არამედ – სამარხებზე დანთებული ცეცხლის კვალი. მაგრამ ფაქტად რჩება, რომ აყვავებული ადგილები მოსახლეობისაგან დაიცალა (ო. ჯაფარიძე).

## მტკვარ-არაქსელი მიგრანტები

მიგრაცია თავიდანვე მასიური უნდა ყოფილიყო. უგზოობის დროს უცხო მიწისაკენ ვერ დაიძვროდა მცირე ნაკადი – ერთეულებს დაღუპვა ელოდათ. ბოლოს მოუღებდათ შიმშილი ან დამხდურის ისარი.

თან უნდა წაეყვანათ ბავშვები, ქალები, მოხუცები, ცხვარი, ძროხა თუ ძაღლი, წაეღოთ შრომისა და ბრძოლის იარაღები.

ეყოლებოდათ ბელადები, რომლებიც აწესრიგებდნენ მოძრაობას, რაც უცხენობის გამო სწრაფი ვერ იქნებოდა.

ტიგლათფილესერ I ერთ-ერთ წარწერაში დეტალურად აღნიშნავს თუ როგორ იკაფავდა გზას უცხო ტომებს შორის, როგორ სძლევდა ბუნებრივ დაბრკოლებებს.

ის მეფე იყო და ჯარი ჰყავდა. ხოლო ცუდად აღჭურვილ მიგრანტებს, თანაც 1000 წლით ადრე, მეტი სიძნელე შეხვდებოდათ. მსხვერპლიც იქნებოდა, ვიდრე რომელიმე პუნქტთან შეჩერდებოდნენ. რომელიმე ადგილი უდაბური, რომელიმე დასახლებული ბრძოლით უნდა დაემორჩილებინათ, როგორც მოსეს 12 ტომს.

ადამიანთა მასას, რომელიც ნიაღვარივით მოედინებოდა, ცალკეული დასახლებანი ვერ შეაკავებდნენ. ამიტომ მოსახლენი უნდა დაეხოცათ, ან – მონებად ექციათ, რომლებიც შეეშველებოდნენ გზის გაკაფვაში.

ტომთა ნაწილი ადგილზე დარჩებოდა, რადგან შეუძლებელია ყველას ჰქონოდა ასეთი მასშტაბური ლტოლვის სურვილი ან არსებულიყო საამისო კომუნიკაცია ვრცელ არეალში.

ეს იყო თავისებური განდევნა სამოთხიდან თუ გამოსვლა ეგვიპტიდან ანუ ტომების დაბადება.

მოსეს ლიდერობით ებრაელები 40 წელი მიდიოდნენ ქა-

ნაანისაკენ და სისხლით შექმნეს ნაციონალური ერთობის მითოსი.

მტკვარ-არაქსიდან წასულ მასებსაც დიდი დრო დასჭირდებოდათ, ვიდრე ახალ მიწაზე ფეხს მოიკიდებდნენ. შეიძლება ეს ყოფილიყო თანდათანობითი, მრავალწლიანი გადაადგილებაც, როცა უკან სტოვებდნენ მოძმეთა ახალ სამოსახლოებს, სტოვებდნენ ახლობლებს.

როცა ბრიტანეთის კუნძულებზე შეიჭრნენ ანგლო-საქსები, წინ მიუძღოდათ ტყუპი ძმები – ჰენგისტი და ჰორზა.

მათ ცხენის სახელები ერქვათ:

ლიდერი აწესრიგებს და მიმართულებას აძლევს ტომებს, მათ მოქმედებასა და გადაადგილებას.

ქართველურ ტომებს არც მსგავსი ბელადები ჰყავდათ, არც მემატიანე. მაგრამ, როგორც ვთქვით, სწორედ დიდი განსაცდელი, სისხლი და მსხვერპლი, ტრიუმფი ან ტრაგედია აძლევს უსახო, ინერტულ მასას ერთიან სახეს – ტომობრივს თუ სახელმწიფოებრივს.

ჩვეულებრივ, მომთაბარე მეჯოგე ტომები იცვლიდნენ ადგილს. მაგრამ მასიური აყრა და გადასახლება იშვიათად ხდებოდა. მომთაბარენი მეომრებიც იყვნენ. მტკვარ-არაქსის ტომები უფრო მიწის მუშები ჩანან, მკვიდრ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა იყვნენ მესაქონლეებიც.

ისინი მიდიოდნენ არა საძარცვავად, არამედ – სიცოცხლის გადასარჩენად.

ბარბაროსული ტომების მოძრაობა, გადაადგილება, მშვიდობიანი თუ აგრესიული, საძოვრების საძებნელად თუ საძარცვავად, – ხშირი მოვლენა იყო.

სუსტი ტომები, ტომთა გაერთიანებები თუ პრასახელმ-

წიფოები მათ ვერ აჩერებდნენ. ისინიც იჭრებოდნენ უცხო გარემოში – სხვადასხვა მიზეზებით, სხვადასხვა ძალითა და მასშტაბით.

ბარბაროსულ ტომთა და ურდოთა დრეიფი არ იყო ერთჯერადი ან რამდენიმეთვიანი ლაშქრობა. ისინი ათწლეულების მანძილზე იცვლიდნენ საცხოვრისს, გადადიოდნენ მთებსა და მდინარეებზე, მკვიდრდებოდნენ ახალ მიწაზე, ან – ერწყმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ასე მოხდა ინდოევროპული ტომების განფენა ევროპასა და აზიაში დღევანდელი გერმანიიდან ინდოეთამდე.

ერთი უფრო კონკრეტული მაგალითი:

ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს ალპებიდან დაეშვა კელტების ურდო აპენინის ნახევარკუნძულზე, დაიკავა ეტრუსკული ციხესიმაგრეები და გაძარცვა რომი.

IV საუკუნეებში გადავიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ერთი ფრთა მისწვდა დუნაის, დაარტყა ბერძნებს, გასცურა დარდანელი და დასახლდა მცირეაზიის მთიანეთში.

მეორე ფრთა გადაეფარა სენას და რაინს.

ბარბაროსი კელტები მივიდნენ ოკეანემდე. დაიკავეს ბრიტანეთის კუნძულები, დაძლიეს ბისკაის ყურე და დამკვიდრდნენ პირენეიზე.

425-225 წლებში მათ შეძრეს ელინურ-ელინისტური სამყარო, მაგრამ შემდეგ ამ ქვეყნების მიერ იქნენ ასიმილირებული (არნ. ტოინბი).

მტკვარ-არაქსელების ოდისეა არ ყოფილა ასე ხანგრძლივი და მასშტაბური, მაგრამ მცირე აზიასა და წინააზიაში საკმა-

ოდ გადაადგილდნენ და შეცვალეს დემოგრაფიული სურათიც. შეიცვალნენ თავადაც.

## მიგრაციის ნაკადები

როგორც წყაროების შეჯერება აჩვენებს, პირველი მიგრანტები არიან ხურიტული ტომების წინაპრები. ისინი III ათასწლეულის შუა ხანებიდან სტოვებენ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს. მიდიან დასავლეთითა და სამხრეთით, აღწევენ დღევანდელ ერაყს, ისტორიულ კაპადოკიასა და კილიკიას, შეერივნენ ჩრდილო მესოპოტამიასა და ზაგროზის მთიანეთზე მოსახლე მონათესავე ტომებს.

ურმიის ტბის მიდამოები და ჩრდილო მესოპოტამია უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც მოხდა ხურების ეთნიკური ჯგუფისა და დიალექტების ჩამოყალიბება.

შემდეგი ნაკადი უნდა ყოფილიყო ხათური (პროტო-ხეთური).

ისინი ტოვებენ ზაგროსის მთიანეთსა და ჩრდილო მესოპოტამიას. მიდიან დასავლეთისაკენ, იკავებენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს (გ. მელიქიშვილი), დრო – XXIII საუკუნე.

მათ მიჰყვებიან ინდოევროპელები, რომელთა ფორმირება მოხდა მცირე აზიაში ნესიტების, ლუვიელების, ფალაელების სახელით.

სულ ბოლო, IV ნაკადი უნდა ყოფილიყო ქართველური – ხათური განშტოება.

ისინი ჯერ არ არიან აქტიური ძალა, არ ახასიათებთ ხურიტების მსგავსი ექსპანსია და ბრძოლის უნარი.

ალბათ იმიტომ, რომ ახლა, მიგრაციის შედეგად, იწყება მათი ენობრივ-ეთნიკური ფორმირება.

ქართველურ ტომთა წინაპრების ნაწილი რჩება მტკვარ-არაქსის არეალში, სადაც ქართული დიალექტი ენად გამოიკვეთა.

მეორე ნაწილი დამკვიდრდა ანატოლიასა და ჭოროხის ხეობაში – კოლხთა და სვანთა წინაპრები. მესამე ნაწილი, მათი განაყოფი, გადადის ბალკანეთში, პელოპონესში. მათ პელაზგებს უწოდებენ ბერძნები. ეს იყო წინარე ბერძნული მოსახლეობა, რომლის დაშლა-დიფერენცირება გაგრძელდა (რ. გორდეზიანი). მათთან უნდა ყოფილიყვნენ ხურიტული და ადგილობრივ ტომებიც.

გენეტიკოს-ანთროპოლოგები (მაგ., გერმანელი ვოლფგანგ ჰააგი) თვლიან, რომ ინდო-ევროპელთა მიგრაცია ევროპისაკენ დაიწყო სტეპებიდან, ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან 4.500 წლის წინათ. ამ დროს უნდა დაძრულიყო მიგრაციათა ახალი დიდი ტალღაც კავკასია-ანატოლიიდან ევროპისაკენ.

ანატოლიაში პროტო–ხეთური ტომები ერთმანეთს ებრძვიან ჰეგემონიისათვის, ისევე როგორც კოლხთა და სვანთა წინაპრები.

ჯერ იმარჯვებენ ბითხანა და მისი ძე ანიტა. ქუსარის მეფე (ბელადი) ბითხანამ აიღო ნესა, ხოლო ანიტამ დაანგრია ხათუსა.

მათი მთავარი ღმერთი იყო ხალმაშუიტა.

შემდეგ მათ ცვლის ლაბარნას – მის მოწინააღმდეგეთა დინასტია. მათ საგვარეულო სახელად აქციეს ხუცია, იმ კაცის სახელი, ვინც დაატყვევა ანიტამ.

ისინი უზენაეს ღვთაებად აცხადებენ ასევე პროტო-ხეთურ ვურუსემუს – არინას მზის ღმერთქალს. ხათუსა კი აღადგინეს და დედაქალაქი გახდა (გ. მელიქიშვილი).

პროტოხეთებს ანათესავებენ უბიხებთან და მათ ენასთან (ი. მესაროში), ქაშქებთან და აფხაზ-ადიღეველებთან (გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე, ვ. გეორგიევი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ვლ. არძინბა, ტ. შომახოვა, ხ. პხიტიკოვა), ხურიტულ ტომებთან, შემდეგდროინდელ ქაშაგებთან და ვაინახებთან.

ხათურის განშტოება ჩანს კოლხური ნაკადიც, როგორც ცხადყოფს ტომთა სახელები და ონომასტიკა (გრ. გიორგაძე).

მაგრამ ეს ატომატურად ნიშნავს ქართველთა ნათესაობასაც.

ვ. ივანოვის აზრით, აფხაზ-ადიღეველთა და ვაინახ-დაღესტნელთა წინაპრები გადავიდნენ მცირე აზიიდან აპენინის ნახევარკუნძულზე და მათი შთამომავლები იყვნენ ეტრუსკები.

მიგრაციის პროცესი, ერთობლივი ბრძოლა და თავდაცვა, დაბრკოლებათა ძლევა, მსხვერპლი, სისხლი და სექსი კრავდა ცალკეულ ნაკადებს, უყალიბებდა ერთგვაროვან წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ წარმოდგენებს, რიტუალებს, რაც მთავრდებოდა ტერიტორიის – საარსებო სივრცის მოპოვებით.

## ოთხი ძირითადი ენა

მიგრაციის შედეგად უნდა დასრულებულიყო ოთხი ძირითადი დიალექტის ენობრივი ფორმირება.

ისინი წარმოშვა განსხვავებულმა ნაკადებმა, წიაღიდან დაცილებამ. ახალი საგნები, ახალი კავშირები, დროთა მანძილზე ურთიერთიზოლირებული ცხოვრება ხელს უწყობდა ენების განტოტვას. მითუმეტეს, რომ ალბათ ერთად მიდიოდნენ მონათესავე ტომები.

შეიძლება იყო სხვა ენობრივი ბირთვიც, მაგრამ ისტორიის სიღრმიდან რამაც გამოაღწია, ის არის რეალობა.

ამრიგად, III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ნათესაურ და გეოგრაფიულად ახლობელ ტომთა სიმრავლიდან უნდა გამოკვეთილიყო ოთხი ეთნიკური ჯგუფი, რომლის გამოხატულებაა ოთხი ძირითადი ენა, როგორც თვლიან სპეციალისტები:

1. **ხურიტული** – მისგან წარმოიქმნა ურარტული → ალბანური → ნახურ-დაღესტნური;

2. **ხათური** – მისი განაკადის გაშლაა ქაშქური → ქაშაგური → აფხაზურ-ადიღეური; ახალი თვალსაზრისით, ხათური არის წინაკოლხური ენა (გრ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, ლ. გორდეზიანი).

3. ხათურიდან გამოსული **ქართველური** – იყოფა მოსოხურ-მესხურ (ქართულ), სვანურ და კოლხურ ენებად (გ. დეეტერსის სქემით, ქართველური იშლება სვანურ და ქართულ ენებად. ქართულს გამოეყოფა კოლხური, კოლხურს – მეგრული და ლაზური). ზოგიერთი მეცნიერი (მაგ., რ. გორდეზიანი) მას განაკუთვნებს პელაზგურსაც. ისევ ურთავენ ეტრუსკულსა და ბასკურსაც (მაგალითად, მ. ქურდიანი).

4. **ინდოევროპული** – აქედან გამოდის ნესიტურ-ხეთური, ლუვიური, ლიდიური, ფალაური.

ახალი ისტორიული ქარტეხილები დაშლის ამ ენებსაც, რაც ეკუთვნოდათ ყველაზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ტომებს.

ეს იქნებოდა ტრანსფორმაციის ზიგზაგოვანი პროცესი – ზოგი ტომი გადაშენდა, ზოგი – ნაკლებად განვითარდა ან ძირითადი პლასტიდან რომელიმე შტო გამოიყო.

განაყოფი ტომები მთელის ნაწილია. ისინი ცალმხრივად ანვითარებენ ძირითად ბირთვს, დიალექტებს აქცევენ ენებად და ასე თანდათან სცილდებიან საწყის ფუძეს, ზოგჯერ იმდე-

ნად, რომ ჭირს ნათესაური კავშირების მიგნება; ჰკარგავენ დიდ ტრადიციებსაც და მიდიან დეგრადაციის გზით, მაგ., ძველი ეგვიპტელების შთამომავლები არიან თანამედროვე კოპტები, რომლებმაც დაივიწყეს წინაპართა ენა, რელიგია, დაკარგეს სახელმწიფო, თუმცა არ გადაშენდნენ და შეეფარნენ ქრისტეს სჯულს.

ეროვნულ-ეთნიკური კატასტროფის შედეგად ნადგურდება ელიტა, ქურუმთა კასტა და ტრადიციას აგრძელებენ პლებეური ნაკადები, დიალექტებისა და მცირე კულტურის მქონენი.

ასე უნდა დაცემულიყო მტკვარ-არაქსელთა ელიტა და კულტურაც, ან გადაგვარებულიყო ხათების მსგავსად (იხ. „ხეთური ფედერაცია").

ჭოროხის ხეობასა და ზღვისპირეთს იკავებენ სვანთა და კოლხთა, ხოლო მცირეაზიაში მკვიდრდებიან აფხაზ-ადიღეველთა შორეული წინაპრები. მათ წრეში უნდა ყოფილიყვნენ და ანეცადათ ენობრივი ზეგავლენა სვანურ ტომებს.

აქ ქაშქების (ქასქების) სახელით მოხდა ერთი ნაკადის ფორმირება, როცა არაინდოევროპელი ხათები ჩაძირეს ინდოევროპელმა ნესიტებმა და თავად იწოდნენ ხეთებად.

ქაშქუ ხათურ ენაზე მთვარის ღვთაებაა (გრ. გიორგაძე) ანუ მთვარე იქნებოდა ხათების განაკადთა შთამომავალი ქაშქების მთავარი ღმერთი, რომლის კულტი მტკვარ-არაქსიდან უნდა წაეღოთ (ხურიტული ქუშუ-მთვარე).

ცხადია, მაშინ მკვეთრი სხვაობა არ იქნებოდა ხურიტულ და ხათურ ენებს შორის.

ეს სიახლოვე და მსგავსება დრომ და გარემომ მინიმუმამდე დაიყვანა, რასაც პოულობენ სპეციალისტები.

ძვ. წ. III-I ათასწლეულებში მთელს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიასა, ირანსა და ეგვიპტეში ცხოვრობენ მხოლოდ სამი ენობრივი ოჯახის ტომები და ხალხები – სემიტები, ინდოევროპელები, იბერიელ-კავკასიელები.

ცალკე არიან ხათური, შუმერული და ელამური ენები.

არც მანამდე, არც შემდეგ ახ. წ. XI საუკუნემდე არავინ შემოდის.

ბუნებრივია, რომ მათი, ვინც არ არის სემიტი ან ინდოევროპელი, დაკავშირება ვცადოთ იბერიელ-კავკასიელებთან.

ამიტომ ეძებენ მსგავსებას და სიახლოვეს შუმერულთან (მაგ., ივ. ჯავახიშვილი), ელამურთან (მაგ., გ. მელიქიშვილი), ხათურთან (მაგ., ვ. ივანოვი, ჰ. ფენრიხი, გრ. გიორგაძე).

ხათები არ არიან არც სემიტები, არც ინდოევროპელები.

ესეც არის ერთ-ერთი ირიბი არგუმენტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ტომთა განსახლების არეში მოქცეული ხათები მათ ნათესავებად ვიგულვოთ.

დღეს ისეა განტოტვილი იბერიულ-კავკასიური ენები, რომ არათუ აფხაზი ვერ უგებს ქართველს, დაღესტნელებსაც არ ესმით ერთმანეთის – ამ ჩრდილოკავკასიურ ეთნოსს გააჩნია 20 ენა (მოსახლეობა – 1,600 ათასი, ტერიტორია – 50,000 კვ. კმ), მათგან 5 სალიტერატურო.

როგორც შენიშნავს არნ. ჩიქობავა, დაღესტნურ ენებს შორის ისეთივე არსებითი სტრუქტურული სხვაობაა, როგორიც, ვთქვათ, ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის.

ალბანელებსაც ასევე მრავალი ენა ჰქონდათ.

ამიტომ ასეთი რადიკალური დიფერენცირება დროით, რელიეფით ან თვითიზოლირებით კი არ არის გამოწვეული, არ-

ამედ – ხურიტულ-ურარტულ-ალბანური მრავალენოვნების უძველესი ტრადიციით – კონსოლიდირების არქონით, პროტოენების შემორჩენით. ზოგი თვლის, რომ თუ არსებობდა ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ტომებსა და ენებს შორის, მისი საწყისი უნდა ყოფილიყო გაცილებით შორეულ დროში, იმდენად დიდია განსხვავება. მაგრამ დაღესტნური ენებიც კი იმდენად დასცილდნენ ერთმანეთს, რომ შეუძლებელია კომუნიკაცია.

ასე რომ – იბერიულ-კავკასიურ ენებში უფრო სწრაფი იყო დიფერენცირების პროცესი, ვიდრე ინდო-ევროპულ ენებში, რადგან ვერ გამოავლინეს ინტეგრირების ფაქტორი – სახელმწიფოებრივი ძალა.

## პრეისტორიის ფანტომები

შეიძლება გადასახლებულ ტომთა ერთ ნაკადს, რომელთა აზიაში დარჩენილ ნათესავებს შემდეგ კოლხები ეწოდათ, განეგრძო მიგრაცია და გადასულიყო ეგეიდაში. ისინიც ისევე დოლიქოცეფალები იყვნენ, როგორც პელაზგები და ეტრუსკები, ბასკები და იბერები.

ეს თეორია, რომელიც ევროპელი მეცნიერებისა და ნიკო მარისაგან მოდიოდა, ერთხანს ჩვენში დაამკვიდრა სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტმა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გერმანელმა ორიენტალისტებმა წამოსწიეს ქართული და კავკასიური ფაქტორი (ლენორმანი, ლემან-ჰაუპტი, ჰომელი, დირი, ვინკელი, ჰარნაკი, მაიერი). ისევ გაიხსენეს უძველესი ცნობები.

შემდეგ ეს პათოსი პოლიტიკაში გადავიდა, რასაც განამტკიცებდა, ერთი მხრივ – ანტიცარისტული სულისკვეთება,

მეორე მხრივ – მარქსისტული იდეოლოგია, მესამე მხრივ – გერმანული კულტურის, აზროვნებისა და სახელმწიფოებრიობის ძალმოსილება (მაგ., ი. ჭავჭავაძეს, გრ. რობაქიძეს, კ. გამსახურდიას სანიმუშოდ მიაჩნდათ გერმანელები).

ნ. მარისა და ევროპელ მეცნიერთა კვალდაკვალ სიმონ ჯანაშიამ მიიჩნია, რომ ექვსი ათასი წლის წინათ მცირეაზიასა და წინააზიაში, ამიერკავკასიასა, ბალკანეთის, პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე ერთი მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ – ხეთურ-იბერული.

II ათასწლეულში მათ გამოეყვნენ ხეთები და სუბარები, შემდეგ – მუსკები, თუბალები და ურარტუელები. მათი ნაწილი იყო დღევანდელი საქართველოს მოსახლეთა წინაპრები, რომლებიც განადგურებასა და ასიმილირებას გადაურჩნენ.

უკრიტიკოდ მოიხსნა ივანე ჯავახიშვილის პოპულარული ქართველურ ტომთა სამხრეთიდან გადმოსახლების თეორია, რომელიც ასევე ევროპელი მეცნიერებისაგან მოდიოდა.

ს. ჯანაშიას კონცეფცია აღადგენდა დამარცხებულ ქართველთა ნაციონალურ სიამაყეს და უჩვენებდა საბჭოთა ერებს, რომ ასეთი უძველესი და უდიდესი წარსულის მქონე ქვეყანამ წარმოშვა ახალი დროის მესია, მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, უდიდესი სახელმწიფოს მმართველი სტალინი, რომ ქართული ელემენტი ისევ ძალმოსილი ხდებოდა.

ასეთი სულისკვეთებით დაწერილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი) მიენიჭა სტალინური პრემია – სსრკ-ის უმაღლესი ჯილდო. ბუნებრივად დგებოდა ოსმალებისგან მიტაცებული უძველესი ქართული მიწების დაბრუნების საკითხიც (1945 წლიდან).

მეცნიერები ცდილობდნენ ამ კონცეფციის სხვადასხვა მიმართულებით გაგრძელებასა და დაკონკრეტებას: პ. ინგოროყვა წერდა გამოკვლევას პრაქართულ ხეთურ სამყაროზე, ხეთურ-ქართველურ იეროგლიფურ დამწერლობაზე და მისგან გამოყვანილ ქართულ-ბერძნულ ანბანზე, პ. ბერაძე ჰომეროსის დაქტილური ჰეგზამეტრის ქართულ საწყისებს პოულობდა, ნ. მარი და მარისტები ყველა ენასა და კულტურაში იაფეტურ სტადიებსა და პლასტებს ხედავდნენ, შ. ნუცუბიძე პეტრე იბერს ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან აიგივებდა, ისევე როგორც ს. ყაუხჩიშვილი ქართველურთან – წინარე ბერძნულ, პელაზგურ მოსახლეობას; გ. მელიქიშვილი ქართულ ტომებს უნათესავებდა ლულუბის ტომებსა და ელამურ-ზაგროსულ სამყაროს, შ. ნუცუბიძე და მ. ჩიქოვანი ამტკიცებდნენ, რომ პრომეთეს მითი ამირანის მითისაგან ისესხეს ელინელებმა; ივ. ჯავახიშვილი სკვითებსა და სარმატებსაც ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ტომთა მონათესავედ მიიჩნევდა; ქართული ანბანის შექმნას ძვ. წ. VII საუკუნეს განაკუთვნებდა.

მატერიალურ დადასტურებასაც ხედავდნენ – ეს იყო მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების აღმოჩენა (ბ. კუფტინი), კოლხური კულტურის განფენა, გათხრები მცხეთა-ბაგინეთში, უძველესი სამარხები, სამკაულები, დასახლებანი, შრომისა და ბრძოლის იარაღები, ქალაქებისა და ციხეების ნაშთები, არმაზის ბილინგვა (გ. წერეთელი).

ქართული მწერლობა არ გაკიდებია პრეისტორიის ფანტომებს.

იგი უფრო მცხეთა-არმაზის გარშემო დაკონკრეტდა – თითქმის ერთდროულად იწერება კ. გამსახურდიას „დიდოსტა-

ტის მარჯვენა“, კ. ჭიჭინაძის „სერაფიტი“, ს. ჩიქოვანის „არმაზის აჩრდილები“, გრ. აბაშიძის „ძევახ პიტიახშს“, ირ აბაშიძის „მცხეთა“, გ. ქიქოძის „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“.

პოეტები და მწერლები უფრო ნაკლებად ფანტაზიორები აღმოჩნდნენ, ვიდრე ისტორიკოსები.

შემდეგ, პოლიტიკური სიტუაცია რომ შეიცვალა, ს. ჯანაშიას კონცეფციაც შეუმჩნევლად მოიხსნა: გ. მელიქიშვილმა ქართველურ ტომებს ჩამოაცილა ხურიტულ-ურარტული, როგორც ადრე ბ. ჰროზნიმ – ხეთური სამყარო.

მაგრამ ასე არ მოხდა ენათმეცნიერებაში, სადაც ნ. მარისა და მისი მოწაფე-მიმდევრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დიდხანს აგრძელებდა არნ. ჩიქობავა, მოულოდნელად სტალინი ჩაერია.

მარი და მარისტები ისე შერისხეს, როგორც გენეტიკოსები.

ნ. მარის დამარცხებით ისარგებლეს რუსმა და რუსოფილმა მეცნიერებმა და ამ დიდ მეცნიერთან ერთად უკანა პლანზე გადასწიეს იბერიულ-კავკასიური სამყარო, მისი არქაიკა, ასევე – არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, შ. ნუცუბიძე, ბ. კუფტინი.

დავიწყების ნისლმა დაფარა პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები, ტაბალები. ვეღარც წარმართული ჟამის ანბანი აღმოჩნდა.

გ. მელიქიშვილს მიენიჭა ლენინური პრემია – სსრკ-ს უმაღლესი ჯილდო სტალინის შემდეგ.

ეს ხდებოდა სტალინ-ბერიას დაგმობის პარალელურად, რათა მათთვის ნაციონალური კვარცხლბეკიც გამოეცალათ.

ხრუშჩოვის შემდეგ, ახალი მონაცემების საფუძველზე, ისევ განახლდა ოცნება ესტრუსკებზე, ბასკებზე, პელაზგებზე (შდრ., რ. თვარაძის „ოცნება ეტრუსკებზე“).

უძველესი მედიტერანული ერთიანობა შესაძლებლად მი-

იჩნია რ. გორდეზიანმა. მან გამოჰყო ქართველური ენობრივი ფენა და ქართველური პარალელები წინარე ბერძნულსა და ეტრუსკულში, რაც ახსნა ქართველური ტომების მიგრაციით ეგეიდაში III-II ათასწლეულთა მიჯნაზე.

ესპანეთში ფრანკოს რეჟიმის შეცვლის შემდეგ სსრკ-ში აქტუალური გახდა ბასკურ-ქართული ნათესაობის თემაც (შ. ძიძიგური), რასაც ადრევე იკვლევდა რ. ლაფონი.

ბოლოს ამ ოცნების რეანიმაცია სცადა ზ. გამსახურდიამ („საქართველოს სულიერი მისსია“), რათა ისევ აღედგინა ნაციონალური მითოსი.

დღეს ისეა შეცვლილი სიტუაცია, ისე განდევნა სკეპტიციზმმა რომანტიზმი, რომ ჩვენთა წინაპართა კვალი არათუ ბალკანეთსა, აპენინებსა და პირენეიზე, ლამის მცირე აზიაშიც დაიკარგოს, ლამის ჩრდილო კავკასიური ენებიც ჩამოგვაციღონ.

მითის თხზვაში ბოლო წლებში პოლიტიკოსების, ლინგვისტებისა და ისტორიკოსების შემდეგ ჩაერთვნენ გენეტიკოსებიც.

ეგვიპტელი და შვეიცარიელი გენეტიკოსები ტუტანჰამონის, მისი ჩვილი ბავშვების და სხვათა მუმიებიდან აღებული დნმ-ის ანალიზით ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები 9,500 წლის წინათ წასულან კავკასიიდან, სავარაუდოდ – დღევანდელი საქართველოს ტერიტორიიდან.

ამასთანავე, გენეტიკოსები მიიჩნევენ, რომ მილიონი წლის წინათ ადამიანის მაგვარი მაიმუნები აქ მოვიდნენ აფრიკიდან.

ნეოლითის (ახალი ქვის) პერიოდში მოხდა სწორედ მათი შთამომავლების გაფანტვა ევროპისა და აფრიკის მიმართულებით.

თითქოს მართლდება ჰეროდოტე, რომ ჩვენ ეგვიპტელებს ვენათესავებით;

თითქოს მართლდება მარი, რომ იბერიულ-კავკასიური ენები სემიტური ოჯახის ენებია!

უფრო მეტიც, ჩვენი შორეული წინაპრებიდან წამოსულა მთელი ევროპეიდული – თეთრი რასა, თუმცა მაშინ არც ერი არსებობს და არც ეთნოსი!

ამერიკელი და ბრიტანელი გენეტიკოსები (მაგ., ანდრეა მანიკა) საწურბლიას მღვიმესა და კოტიას კლდეში ნაპოვნი ორი კრომანიონელის ნაშთების დნმ-ის ანალიზით (13-10 ათასი წლის წინანდელი) ასკვნიან, რომ საქართველოს ტერიტორიიდან 5-6 ათასი წლის წინათ წასულა ევროპისაკენ პოპულაციის მეოთხე ტალღა.

ამ კრომანიონელთა წინაპრები სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებულან 40-45 ათასი წლის წინათ და აქ იზოლირებულად უცხოვრიათ 20.000 წელი გამყინვარების პერიოდში.

ვნახოთ, რამდენად შეძლებენ გენეტიკოსები ანთროპოლოგების, პალეონტოლოგებისა და ლინგვისტების კონცეფციების შერყევას.

უნდა გვახსოვდეს, რომ საუკუნეები ცვლიან თაობათა დნმსაც. მაგ., დღევანდელი თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 5% უკავშირდება ალტაურ ძირებს. დნმ-ზე უფრო კონსერვატიულია ენის სტრუქტურა.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ არქაული კულტურის ისტორიის კვლევა წარიმართოს არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და გენეტიკურ მონაცემთა ინტეგრირებით (ვ. ივანოვი).

# 4. თრიალეთური ყორღანები
## (XX-XV ს.ს.)

კავკასიის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართველური, ხური-ტული და შემოჭრილი ინდოევროპული ტომები ერთმანეთს შეეზარდა.

იგი უნდა წარიმართულიყო ერთი რომელიმე ტომის პრი-მატობით. ერთი ელიტისა და ენის უპირატესობის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ერთგვაროვანი კულტურა.

მას „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას“ უწოდებს ბორის კუფტინი – მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულ-ტურების აღმომჩენი და სისტემატიკოსი, კოლხური კულტუ-რის სპეციფიკის, არეალისა და ქრონოლოგიის დამდგენი.

იგი არ გადასულა ანატოლიასა და ზღვისპირეთში.

ზოგი თვლის, რომ თრიალეთის კულტურას არაფერი აქვს საერთო მტკვარ-არაქსთან (ჩ. ბარნეი), რაც დღეისათვის უარყოფილია.

ახლა სპეციალისტები უფრო მსჯელობენ მაიკოპის კულ-ტურასთან კონტაქტებზე.

ბ. კუფტინი მიიჩნევს, რომ ძლიერ გავლენა უნდა ჰქონოდა ელამურ-შუმერულ სამყაროს (მაგ., სამკაულები, კერამიკა, ქა-ნდაკება, სამარხი ეტლები), მაგრამ არ მომხდარა ეთნოსის რადიკალური ცვლილება და ამ კულტურას განაკუთვნებდა ქართველთა წინაპრებს.

გ. მელიქიშვილი უპირატესობას ანიჭებს ხურიტებს.

დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მიწაზე III ათას-წლეულის დამლევიდან განვითარდა სხვა სახის კულტურა, განვითარდა მეტალურგია. იქაც ამზადებდნენ საომარ და სა-

მუშათ იარაღებს, სამკაულებს, მძივებს, ბრინჯაოს იღებდნენ სპილენძში დარიშხანის შერევით, საცხოვრებლად იყენებდნენ თხრილშემოვლებულ ბორცვებს, ამზადებდნენ სხვადასხვა სახ-ის კერამიკას. მაგრამ კავშირს ვერ ხედავენ თრიალეთურ კულ-ტურასთან.

უფრო იგრძნობა სიახლოვე ჩრდილო კავკასიასთან.

იმარხებოდნენ ქვაყუთებში, ორმოსაფლავებში, კოლექტიურ, მრავალჯერადი გამოყენების დოლმენებში (ლოდსამარხები).

ატანდნენ სხვადასხვა სახის ნივთებსა და სამკაულებს, მძივებსა და ჭურჭლეულს.

## ჩრდილო და აღმოსავლური იმპულსები

აღმოსავლეთში XXIII-XXII საუკუნეებიდან მკვიდრდება ახალი, ყორღანული ტიპის კულტურა, რაც უნდა მოეტანათ შემოჭრილ ტომებს.

მას ბედენურს უწოდებენ.

იგი არის გარდამავალი პერიოდი მტკვარ-არაქსულიდან თრიალეთური კულტურისაკენ.

ყორღანებს დგამდნენ სტეპის ბინადარი, მომთაბარე მესაქონ-ლენი, რათა საფლავი დაცული და შესამჩნევი ყოფილიყო. ისინი ცნობილია V-IV ათასწლეულებიდან (შავიზღვისპირეთის, არალის ზღვისა და ვოლგის მიდამოები).

ყორღანები აღმოჩენილია წალკაში, ფარავნის ტბასთან, შულავერში, თეთრიწყაროში, ზურტაკეტში, ყარსში, კირო-ვაკანში, სამგორში, მცხეთაში, კახეთში, მარტყოფში. პირველი ყორღანები ქართლის, კახეთისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება IV ათასწლეულიდან.

მტკვარ-არაქსელთა ნასახლარები დარჩა მიტოვებული. ალ-

ბათ ტომების ნაწილმა თავი მთებს შეაფარა, იქ გამაგრდა, სადაც მაშინ კლიმატი დღევანდელზე თბილი ყოფილა.

თრიალეთი მდებარეობს ზღვის დონიდან 1,500-2,000 მეტრზე, სადაც ზამთარში მკაცრი კლიმატია.

ახალ კულტურას ავითარებენ აქ დამკვიდრებული ტომები. როგორც ვთქვით, იგი არ გადასულა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთით კი წვდებოდა არარატის ველსა და ყარსის მიდამოებს.

ამავე პერიოდში, ასეთსავე მაღალმთიან ზონაში არსებულა იალბუზის კულტურა, რომელსაც ახლა სწავლობენ არქეოლოგები.

მაიკოპის კულტურა (ძვ. წ. III ათასწლეული) ამ დროისათვის გამქრალია, სადაც იყო გავრცელებული დიდი ყორღანები (მაგ., ბელადის სამარხი ორ ცოლთან ერთად, 11 მ სიმაღლისა).

შ. ამირანაშვილის აზრით, სწორედ მაიკოპის კულტურის შემდგომი საფეხურია თრიალეთის კულტურა.

ალბათ ჩრდილოეთიდან დევნილი ინდო-ევროპული ტომების ნაწილი დარჩა ქართლის ტერიტორიაზე, ნაწილი გადავიდა მცირე აზიაში, სადაც მოხდა მათი ფორმირება ნესიტ-ხეთების სახელით (იხ. „ხეთური ფედერაცია“).

კულტურის მახლობელი ცენტრები არსებობდა მესოპოტამიასა და ირანის ტერიტორიაზეც.

მათგან არის შემოსული კრემაცია და ეტლით დამარხვა. როგორც ვთქვით, ესენი უნდა ყოფილიყვნენ აქადელები და ელამელები.

ახალ დროსა და ძალებს მოჰქონდა ახალი სტიმულები, რასაც ითვისებდნენ ადგილობრივი მოსახლენი - ქართულენოვანი ტომები.

თრიალეთური კულტურის დროის ლოკალზეც არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი. მაგრამ არქეოლოგები მას ძირითადად განაკუთვნებენ II ათასწლეულის პირველ ნახევარს.

თრიალეთელები უნდა ყოფილიყვნენ მეჯოგე ტომები, რომელთაც ცხვარი ზამთარში ბარად ჩამოჰყავდათ, ზაფხულში კი მთებში ბრუნდებოდნენ.

ძირითადი საცხოვრისი იქ ექნებოდათ, სადაც მათი ბელადების ყორღანებია. ამ სამარხებს მიაგნეს მიწის ზედაპირიდან 5-8 მეტრის სიღრმეში (მაგ., ბ. კუფტინმა გათხარა 42 ყორღანი). ხოლო ნასახლარების კვალი თითქმის აღარ დარჩა.

## თრიალეთური არტეფაქტები

თრიალეთები ამზადებდნენ ერთგვაროვან, შავ-პრიალა, მოხატულ და წერტილოვან კერამიკას, რაც ჰგავს მტკვარ-არაქსულს, ძელებისგან აგებდნენ სახლებს, კედლებს თიხით ლესავდნენ, ამზადებდნენ ხარისა და ვერძის ქანდაკებებს, ბრინჯაოს ჩუგლუგებს, ვერცხლის თასებსა და სარწყულებს, შემკულს ადამიანთა და ცხოველთა ფიგურებით, რთული კომპოზიციებით.

ზოგი ჭურჭელი წითლად არის შეღებილი და შავად მოხატული, ზოგი ნაცრისფერია, ზოგსაც ამკობს ამოზნექილი ორნამენტები (ელ. გოგაძე).

იყენებდნენ გეომეტრიულ ფორმებს, მათ შორის – ჯვარსა და სვასტიკას, რაც მზის კულტის ნიშნებია. ყორღანების ქვებზე კვეთდნენ იეროგლიფებს თუ ორნამენტებს.

ამ არეალში უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ ოქროს (მაგ., საყდრისი) და მას ამუშავებდნენ იუველირები.

ბრინჯაოს სარტყელებზე ამოკვეთილია ნადირობის სცენები, ცხოველთა სტილიზებული ფიგურები და მოისრეები.

უცნობ ოსტატთა ხელოვნება მართლაც საოცარია, რაც ასევე გამოვლინდა ყორღანების „ბრწყინვალე კულტურაში".

განსაკუთრებით გამოირჩევა თრიალეთური ვერცხლის თასი თავისი რთული რელიეფური კომპოზიციითა და შესრულების ტექნიკით (სიმაღლე – 110 მ, დიამეტრი – 90 მმ, წონა – 250 გრ.).

იგი 1938 წლის აგვისტოში, წალკაში, ქურუხ-ტაშის ყორღანში იპოვა ბ. კუფტინის ექსპედიციის წევრმა მ. ივაშჩენკომ.

თასს ქვის ლოდი დასცემია და დაუზიანებია. ამიტომ დასჭირდა რესტავრაცია (შ. ამირანაშვილი).

ხელოვნების ასეთივე საუკეთესო ნიმუშებია – ოქროს თასი, შემკული ფერადი თვლებით, ვერცხლის სარწყული – ნადირობის კომპოზიციით (იხ. „ქართველური არქაიკის არტეფაქტები").

ახალი კულტურა მოიტანეს ჩრდილოელმა და სამხრეთელმა დამპყრობლებმა, მათ ბელადებმა და ქურუმებმა, აითვისეს და გააგრძელეს ადგილობრივმა მოსახლეებმა.

ინდოევროპული გვარ-ტომები საუკუნეების მანძილზე ჩაიძირნენ ქართველურ ტომთა მასაში და იქცნენ დამხდურთა ეთნოსის ნაწილად. ეს კიდევ იმიტომ მოხდებოდა, რომ ჩრდილოეთში დაიშალა მაიკოპის კულტურა, ხოლო სამხრეთით ხურიტულმა გაერთიანებებმა ჩაკეტეს გზა ინდოევროპელებთან და სემიტებთან.

ალბათ ბედენური კულტურა უფრო იქნებოდა უცხოური.

ამ საკითხს უფრო გაარკვევს დნმ-ის რუკები და მათი ანალიზი.

## ყორღანები და კრემაცია

თრიალეთურ ტომებში გამოირჩა დასაფლავების ორი წესი – კრემაცია და ინჰუმაცია. ყორღანები, კრემაცია და ეტლით დასაფლავება ერგებოდათ ბელადებსა და ქურუმებს. მდაბიონი იმარხებოდნენ კრემაციის გარეშე.

ასეთი მიცვალებულის ჩონჩხი წევს მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე. მაგრამ გარკვეულ პერიოდში ყორღანებშიც იყენებდნენ ინჰუმაციას.

მაგ., თრიალეთური კულტურის წინაპერიოდის ბედენური გორასამარხების (2200-2000 წლები) ორმოში ჩადგმულია ძელის აკლდამა. აკლდამაში ეტლზე ასვენია ბელადის, ხოლო იატაკზე – თითო ან ორ-ორი შეწირულის ძვლები (მაგ., წნორის №1 ყორღანი).

ჩაუტანებიათ უამრავი ნივთი.

ძვლები წითლად არის შეღებილი. წითელი მზის, ცეცხლისა და სისხლის ანუ სიცოცხლის ფერად მიიჩნეოდა. ამიტომ სხვაგანაც, მაგ., გრიმალდის მღვიმის კრომანიონების ძვლები სამარხებში წითლადაა შეღებილი. ასევეა ბაიკალისპირეთის მონგოლოიდ ტომებში (VI ათასწლეული). შემდეგ ინჰუმაციას ცვლის კრემაცია.

კრემაციას სჭირდებოდა $800^0$-$1000^0$ ტემპერატურა, რაც ასევე ჰყოფნიდა ბრინჯაოს დამუშავებას.

დასაფლავების წესს ყველგან ქურუმები ადგენდნენ. ისინი განსაზღვრავდნენ ჩასატან ნივთებს, სამარხის კონსტრუქციას.

მაგ., სამგორში ე. წ. კოხრას გორას ყორღანის დიამეტრია 51 მ. ყორღანს მიწა რომ გადააცალეს, აღმოჩნდა რიყის ქვის გუმბათოვანი ნაყარი, ქვაყრილის ქვეშ – ხის ძელური შენობა.

შენობას გარს ერტყა წრიულად, ხუთ რიგად დაწყობილი მუხის მორები.

იატაკი დატკეპნილი ყოფილა.

იატაკი რომ აყარეს, დაინახეს ორმოში ჩადგმული თიხის ჭურჭელი. შიგ დამწვარი მიცვალებულის ფერფლი ჩაეყარათ, ორმოში ჩაუმალავთ და ზედ მიწა დაუტკეპნავთ, რათა მიცვალებულის კვალი წაეშალათ (გიორგი ნიორაძე), როგორც აკეთებდნენ ეგვიპტურ პირამიდებში.

ამ სამარხს ღარიბულად მიიჩნევენ.

იგი ტომის ბელადისა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ჰქონდა ძალაუფლება და პატივისცემა, ოღონდ ქონება – არა.

ასეთივეა ანანაურის ყორღანი ლაგოდეხში, სადაც აღმოჩნდა ორი ეტლი, შვიდი ჩონჩხი, მათგან - ცოლ-ქმარი და ბავშვი და ონტკოფას მარცვლები.

თრიალეთელები კრემირებულის ფერფლს ჭურჭელში ყრიდნენ, შეწირულებთან ერთად ათავსებდნენ ურნებზე და ასე ინახავდნენ ქვაყრილებში. ამიტომ არ შემორჩა მათი ძვლები. ყორღანში ბელადის ფერფლი ხარებშებმული ოთხთვალა ეტლით (ურმით) შეჰქონდათ და თან ატანდნენ უამრავ ნივთს, დამზადებულს ფერადი და დეკორატიული სტილით, ოქროსა და ვერცხლისაგან, მათ შორის – ძაღლის გახვრეტილ კბილებს.

ეტლები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

აყოლებდნენ მსხვერპლად შეწირულ მონას, მსახურს, პირუტყვს.

ბელადს ეს ყველაფერი იმქვეყნად დასჭირდებოდა. მაგრამ ასეთ დამარხვას ჰქონდა მეორე, სოციალური ასპექტიც –

თანასწორუფლებიანობის პრინციპი: მდიდარი და გამორჩეული არავინ უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს – წასული ბელადის დარჩენილი მემკვიდრეები. ამიტომ ატანდნენ ანუ სპობდნენ მთელს ქონებას.

ასეთი სამარხები სხვადასხვა ზომისაა. ცხადია, ქურუმი და ბელადი უფრო დიდ ადგილს იკავებდა. მაგ., ერთ ყორღანს უჭირავს მთელი ჰექტარი მიწა, აქედან საკრძალი დარბაზი – 160 კვ. მ. ყრილის სიმაღლე – 8 მეტრი, შესასვლელის სიგრძე – 40 მ (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე). შესასვლელი ვიწრო იყო, დაახლოებით 0,5 მ. შემდეგ სიმაღლე იზრდებოდა და აღწევდა 3 მ-ს.

ყორღანებთან მიდიოდა ქვაწყობილი სარიტუალო გზა.

სამარხების კომპიუტერული რეკონსტრუქცია ნათლად გვიჩვენებს მათ სიდიადეს.

ყორღანის აგებას დიდი დრო და დიდძალი მუშახელიც დასჭირდებოდა. იგი ბელადს უნდა კუთვნებოდა, რომელსაც ქონებასთან ერთად საკმაო უფლება და ძალაც გააჩნდა, რათა სიცოცხლეშივე მოეწესრიგებინა განსასვენებელი.

ასეთი შეძლებული და გავლენიანი ბელადი უბრალო გვარტომს ვერ ეყოლებოდა. იგი ტომთა გაერთიანების ლიდერი უნდა ყოფილიყო. ეს კი იმას გვეუბნება, რომ ტომები ერთიანდებიან, რაც მიდის პრასახელმწიფოსაკენ, კლასობრივი დიფერენცირებისაკენ.

ჩრდილოურ ყორღანებს დაერთო აღმოსავლური კრემაცია და ეტლით დამარხვა.

## ᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲐᲚᲣᲖᲘᲐ

ეტლით დასაფლავება და კრემაცია წინააზიური წესი იყო, რაც ევროპაშიც გაავრცელეს ინდო-გერმანელებმა.

მეფეები, ბელადები და სარდლები ეტლებით იბრძოდნენ. ეტლი ისევე ძლიერი საბრძოლო ტექნიკა იყო, როგორც ტანკი მეორე მსოფლიო ომში.

ამიტომ იმარხებოდა წარჩინებული პირი ეტლით ანუ მხედრული პატივით.

ამავე პერიოდიდან იწყება ე. წ. განძის წინასწარი ჩაფლვა მიწაში, რომელიც საიქიოს გზას გაუნათებდა მიცვალებულს.

ბევრი მათგანი იპოვეს არქეოლოგებმა საქართველოს ტერიტორიაზე (შდრ – დ. შენგელაიას „განძი“).

კრემაციას ძველი დროის მრავალი ხალხი მიმართავდა (მაგ., სემიტები, ბერძნები, ინდოელები, გერმანელები, ხეთები).

ამ მხრივ, თრიალეთელები ისე იქცევიან, როგორც ხეთები. ასევე ერთმანეთს ჰგავს ჩაცმა-დახურვის, მეფე-დედოფლის დაკრძალვის წესები, რადგან ორივე სამყაროს აყალიბებენ მტკვარ-არაქსიდან წასული იბერიულ-კავკასიური და ინდოევროპული ტომების შთამომავლები.

საუკუნეთა შემდეგ თრიალეთელებს სამხრეთიდან წამოსულმა ახალმა ტალღამ გადაუარა.

მათ აღარც ყორღანებისა და აღარც არტეფაქტებისათვის არ ეცალათ.

დროთა მანძილზე მიტოვებული ყორღანები ეკალ-ბარდმა დაფარა, როგორც პალმირა – უდაბნომ და მაია – ჯუნგლებმა.

თრიალეთელები არ იცნობდნენ ცხენსა და რკინას.

## ხურიტული ექსპანსია და მეორე მიგრაცია
## (XVI ს.)

ამ კულტურის დაშლის მიზეზიც იყო **შემქმნელი ტომების მიგრაცია, მეორე ტალღა.**

ეს უნდა გამოეწვია სამხრეთით ხურიტული სახელმწიფოს მითანის (XVI ს.) ჩამოყალიბებას, ხურიტული ნაკადის მომძლავრებას, ექსპანსიას სხვადასხვა რეგიონიდან, წინსვლას ჩრდილოეთის მიმართულებითაც.

ისინი აოხრებდნენ ხეთების ტერიტორიასაც კი.

უფრო იოლად სძლევდნენ მშვიდობიან, შრომისმოყვარე თრიალეთელებს.

ამ დროს უნდა დაელაშქრათ ხურიტებს ქართლი და კახეთი, ისტორიული ალბანეთის ტერიტორია, სადაც დამკვიდრდნენ კიდეც.

შემოსულნი იკავებდნენ ადგილობრივთა სამოსახლოებს, ითვისებდნენ მათ ქონებას, ნერგავდნენ თავიანთ რწმენასა და რიტუალებს, ტოპონიმებს.

თრიალეთელები მიდიან დასავლეთისაკენ, ჭოროხისა და მცირეაზიისაკენ.

მათი შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ როგორც მესხური (მუშქური) და ტაბალური ტომები, ისე დასავლეთში გაფანტული ხურიტები.

ამ დროისათვის ხურიტული და ქართველური ტომები ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული იქნებოდნენ – ხურიტების უკან ძლიერ ძალა იდგა – მითანი და სხვა ხურიტული გაერთიანებები. აუტანელი, დაჩაგრული მდგომარეობისაგან გამოსავალი ისევ იყო არა დაპირისპირება, არამედ – მიგრაცია და ასე გადარჩენა, გადარჩენა ქონებისა და სიცოცხლისა.

ქართველურ ტომთა კულტურის ცენტრმაც გადაინაცვლა თრიალეთიდან კოლხეთისაკენ.

ქაშქები, მეგრელ-ჭანთა, სვანთა და იბერთა წინაპრები ისევ ერთი არეალში აღმოჩნდნენ, ამჯერად – მცირე აზიასა და ზღვისპირეთში.

აღმოსავლეთი საქართველო, დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორია, დაიპყრეს სამხრეთიდან წამოსულმა ხური-მითანელებმა.

ალბათ ქართულენოვანი, თრიალეთური ტომების ნაწილი დარჩა დღევანდელი ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე, სადაც განლაგდნენ ხურიტებიც.

მიგრაცია და ომი ისევ სტიქიურად უბიძგებდა ტომებს გაერთიანებისაკენ. ერთიანობის გარეშე ისინი განწირული იყვნენ. ამას გრძნობენ მგლებიც, რომლებიც ხროვად ესხმიან თავს მსხვერპლს.

ერთიანობის ინსტინქტური საფუძველი – გვარ-ტომი თავისთავად განივრცობოდა. ტომთა ბელადი კრავდა ახალ სასიცოცხლო კავშირებს.

მაგრამ ასეთი ინტეგრირება აჩქარებდა დიფერენცირებასაც. ემიგრანტები შორდებოდნენ მშობლიურ გარემოს, საგანფეტიშებს, საერთო მასას და მათგან ხანგრძლივი ან სამუდამო დაცილება იწვევდა ენობრივ, რიტუალურ, ეთნიკურ განტოტვას.

ასე რომ – მიგრაცია იყო ინტეგრირება – დიფერენცირების პროცესი, რომლის ფინალი – დამკვიდრება უცხო მიწაზე – ახალი ერთობის, სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძველი გახდებოდა.

იგი უკვე მტკიცედ გამიჯნავდა უცხოსა და თავისიანს, რომელთა შორის ზღვარს ავლებდა მახვილი და სისხლი.

მეტალურგიის კერა გახდა ჭოროხის აუზი, სადაც საკმაო ხნის დამკვიდრებული იყვნენ მეგრელ-ჭანთა წინაპარი ტომები, რომელთაც საუკუნეების წინათ დატოვეს მტკვარ-არაქსის შუამდინარეთი.

ქართულენოვანი თრიალეთური ტომების შესვლით ჭოროხის ხეობასა და ანატოლიაში შეიცვალა აფხაზ-ადიღეველთა, მეგრელ-ჭანთა და სვანთა წინაპრების განსახლების ტერიტორიაც.

გაჩნდა ხათების ნათესავ ქართველურ და ქაშქურ ტომთა ახალი კონფიგურაცია.

ალბათ ამ დროს, XVI საუკუნეში, მოხდა მათი ორი მიმართულებით წაწევა – ერთნი მიდიან მცირე აზიისა და შავი ზღვის სამხრეთისაკენ, მეორენი – ჩრდილოეთით, ზღვისპირეთისა და რიონის ხეობისაკენ. ძირითადი ბირთვი კი რჩება ძველ, საუკუნეების წინ მოპოვებულ მიწაზე.

კოლხებმა შეძლეს ახალი კულტურის განვითარება და რიონის ხეობის ათვისება.

თრიალეთელ მიგრანტთა დიდმა ნაწილმა გზა განაგრძო მცირე აზიისა და ხეთების სახელმწიფოსაკენ, სადაც მათი ფორმირება მოხდა მუშქებისა და ტაბალების სახელით.

ქართველური ტომები საუკუნეების მანძილზე ასე დარჩნენ დაშლილი და დაფანტული.

ელიტის განადგურება, მოსახლეობის მიგრაცია და კულტურის ცენტრების დაცემა და გადანაცვლება იწვევდა ენის მკვეთრ ცვალებადობას, კულტურის წყვეტას.

## 5. კოლხური ცული და დიხა-გუძუბა
### (XV-VII სს)

თრიალეთის კულტურის დაშლის შემდეგ ფორმირდება კოლხური კულტურა გეოგრაფიულად საკმაოდ დაცილებულ არეალში – სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც ადრე სხვაგვარი კულტურა არსებულა.

თანდათან იგი გადადის ჩრდილოეთ კავკასიაშიც, შედის დღევანდელი ლაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის ტერიტორიაზე, სვანთა, აფხაზ-ადიღეველთა, ვაინახელთა და დაღესტნელთა წინაპარ ტომებში ანუ მოიცავს მთელს იბერიულ-კავკასიურ სამყაროს.

ბ. კუფტინის აზრით, აღწევდა მცხეთამდე და დღევანდელ სამაჩაბლომდეც კი. ი. გაგოშიძის აზრით, დასავლეთით მისი ზღვარი იყო დღევანდელი ქალაქი ორდუ – ძველი კოტიორა (ტრაპეზუნტის დასავლეთით 180 კმ-ზე). მას ენათესავება ჩრდილოური ყობანური კულტურაც (ძვ. წ. I ათასწლეული).

ორდუს განძში (ძვ. წ. XIII-XII ს.ს.) აღმოჩნდა კოლხური ცულები.

ასე რომ – ქრონოლოგიურად მონაცვლეობენ მტკვარ-არაქსის, ბედენური, თრიალეთური და კოლხური კულტურები, რაც უნდა ნიშნავდეს მათ შემოქმედთა ეთნიკურ ნათესაობას, ანუ მთავარი მაფორმირებელი იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომები, ჯერ – ხურიტული და ხათური, შემდეგ – ქართველური.

II ათასწლეულის ბოლოს კოლხებმა (მაგ., ხალიბები და მოსინიკები) აითვისეს რკინის მადნის დამუშავების საიდუმლო (ზოგს ეს თარიღი გადააქვს XVIII საუკუნეში), თუმცა ბრინჯაოც დიდხანს თანაარსებობდა. შეიძლება ამიტომაც იყო,

რომ ზოგჯერ ერთი სიტყვით აღინიშნებოდა სპილენძი, ბრინჯაო და რკინა. მათი სახელი ეძლეოდა ტომებს. მაგ., ხალიბების სახელი რკინას უკავშირდება.

მადნეულით განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა სწორედ ჭოროხის აუზი (ერთ გეოგრაფიულ არეალშია ჭოროხის, ჰალისის, მტკვრისა და არაქსის სათავეები).

რკინის ეპოქიდან მჭედელ (მეგრ. ჭკადუ, ლაზ. მაჭკადარი, სვან. მჵშკიდ), ქართველურ ტომებში ჩნდება მითი, რომ სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა ზეცა რკინისაგან გამოჭედა, რომ სამჭედლო კვერი და მეხი გავარვარებული რკინის ლახვარია.

ალბათ ეს იყო ხურიტულ-ხეთურ-ურარტული თეშუბის მითის გამოძახილი. ამ ღვთაებას ხელთ უჭირავს მეხი-ბოძალი და კვერი, ახურავს ლითონის მუზარადი და წელზე მოკლე მახვილი არტყია.

ლაზურად ცას ჰქვია კინა (რკინა), სომხურად – ერკინ. აფხაზურადაც ცა ჭედვას უკავშირდება (შდრ. ძვ. ინდ. asma – ქვა, ავესტას asman– ცა).

ნ. მარის აზრით, ეს სიტყვა ლაზურისაგან შეითვისეს სომეხ-არმენების წინამორბედმა იბერიელ-კავკასიელმა სოხმებმა, მეზობელმა ტომებმა.

რკინისგან გამოჭედილი მუზარადი ცასავით ეხურა მეომარს (შდრ. – „ცა ქუდად, მიწა – ქალამნად“), როგორც ღმერთების საჩუქარი. ცა და რკინა ისე შეეზარდა ერთმანეთს, რომ ლაზურში ცის დღის (ხუთშაბათი – ჩაჩხა) გვერდით გაჩნდა რკინის დღეც – ერკინა-ჩხა (სამშაბათი).

მადნის მოპოვება და გადამუშავება, მითუმეტეს – ხელოვნებად ქცევა, საჭიროებდა საქმის მცოდნეებს, რათა ლითო-

ნისთვის მიეცათ სასურველი და საჭირო ფორმები, მიეღოთ სამკაულები, შრომის და ბრძოლის იარაღები.

ყველა საქმეს თავისი ოსტატი სჭირდება.

„მემთამადნე კოლექტივი ცეცხლით ახურვებდა მადნის ძარღვიან ქანებს. შემდეგ წყლის ნაკადის მიშვებით ანაპრალებდა მას და, ბოლოს, ქვის მძიმე უროებით და, ალბათ, ხის კეტებითა და ცხოველის რქისაგან ნაკეთები წერაქვებით ანგრევდა“ (გ. გობეჯიშვილი).

ცხენსა და იარაღს გადაჰქონდა კოლხური კულტურა დაცილებულ რეგიონებში, სადაც არც იყვნენ კოლხი მოსახლენი. შეიძლება ასეთი კონტაქტების გამო ჰქონოდათ შეთვისებული კოლხებს წინადაცვეთის წესი და სხეულის ტატუირება.

გაცვლის თავდაპირველი ერთეული, როცა ფული არ არსებობდა, უნდა ყოფილიყო ცხვარი (შემდეგ – ძროხა), კერძოდ – კირიბი (ბატკანი).

აქედან უნდა მოდიოდეს ქართული შე-კრებ-ა, კრება, შეკ(ვ)რ-ა (მაგ., ძნისა). მეგრ. კირიბუა არის შეკვრა, კორობუა – შეგროვება.

გ. მელიქიშვილის აზრით, სიტყვა რკინა მოდის ხეთური სპილენძიდან – kunna-დან (უფრო ზუსტად - kuuanna).

ხეთური ძირის სიტყვა ყოფილა ქვაც – აქუ (გრ. გიორგაძე), რომელსაც ბერძნულად Lithos ერქვა, ხოლო ლათინურად – metallos. შეიძლება სწორედ ხეთური აქუ გახდა რკინის სახელი (აქუ→ქუა→რქა→რქენა→რკინა. შდრ. – რიკინა).

რკინას იცნობენ III ათასწლეულიდან. მაგრამ მისი დამუშავება და გავრცელება იწყება XII საუკუნიდან, როცა შეძლეს მადნის გალღობა, საჭირო ტემპერატურის მიღწევა (1,528$^{0}$).

რკინა ყალიბში ძნელად ისხმებოდა. ჭირდა წიდისაგან გაწმენდა, რკინის ნივთი ადვილად იჟანგებოდა. მხოლოდ ხანგრძლივი და რთული წრთობის შემდეგ იძენდა ფოლადის თვისებებს.

გრძელდებოდა დასპეციალება: ერთნი მადანს მოიპოვებდნენ და გადაჰქონდათ, მეორენი – მადანს ამუშავებდნენ, ყალიბებში ასხამდნენ და ჭედდნენ, მესამენი – მხატვრულ კონსტრუქციებს იაზრებდნენ, მეოთხენი – გამავრცელებლები და გადამცველელნი იყვნენ. მჭედელიც ისე არღვევდა ტომის ვიწრო სივრცეს, როგორც მწყემსი.

სავაჭრო ცენტრი – ბაზარი ჰქონდა ქალაქური ტიპის დასახლებას.

აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ტომელები, საგნებს ცვლიდნენ და ერთმანეთს ეცნობოდნენ.

ასე იბმებოდა ლითონის ირგვლივ მთელი ქსელი, ყალიბდებოდა ინფრასტრუქტურა, რაც აკავშირებდა გაფანტულ ტომებს და გეოგრაფიულად დაცილებულ პუნქტებს. თავად მჭედლებიც განიყვნენ – რკინის მჭედლებად და ოქრომჭედლებად.

ისინი ამზადებდნენ მრავალი სახის ჭურჭლეულსა და საჭურველს, თოხებსა და ცულებს, სამკაულებსა და ქანდაკებებს.

კიმერიელთა შემოსევებამდე ჭუბერში არსებულა მთელი მეტალურგიული დასახლება (საერთო ფართობი 50-60 ჰა).

აქ აღმოჩნდა ქვის ღუმელები, კარიერები, დამუშავებული რკინის ნაშთები.

XV საუკუნიდან დიდად იყო გავრცელებული კოლხური ცულები (ო. ჯაფარიძე), რომელსაც ერთი პერიოდი ყობანურს

ეძახდნენ – თავდაპირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით. შემდეგ, ახალი მასალების საფუძველზე, მ. ივაშჩენკომ, ა. იესენმა და ბ. კუფტინმა შემოიტანეს „კოლხური კულტურის“ ცნება.

ცულებს ამკობდნენ გეომეტრიული ორნამენტებითა (მაგ., ვარსკვლავი, ჯვარი, სვასტიკა) და ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით (მაგ., ძაღლი, გველი, ბაყაყი, ირემი, ცხენი), რომელთაც მოძრაობაში აჩვენებდნენ.

ცულებზე ორნამენტები ჩნდება IX-VIII საუკუნეებიდან.

საერთოდ, ძველი კოლხების ხელოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს ფანტასტიკურ ცხოველებს, სხეულის სტილიზებულ, დინამიკურ ფორმებს (შ. ამირანაშვილი).

მათ უკავშირდება ასტრალური ნიშნები და გეომეტრიული ფიგურები, კლაკნილები (წყლის სიმბოლიკა) და ხთონური არსებები (მაგ., თევზი, გველი).

ივან მეშჩანინოვი მათ განმარტავს როგორც მგელს – კოლხების ეთნიკურ ტოტემს და ენაშიც პოულობს სათანადო მონაცემებს.

ეს არის – გრ/გერ/გვერ ძირი. მათგან – გერ (მგელი), გვერი (გველი), ეგრისი, ენგური, არგვეთი, ბარგუა (მარგვლა).

დაახლოებით ასე მსჯელობდა ბორის კუფტინიც, რომელიც, განსხვავებით ივ. ჯავახიშვილისგან, ამტკიცებდა, რომ ქართველური ტომები არსაიდან მოსულან, ისინი მუდამ თავიანთ მიწაზე ცხოვრობდნენ.

მგლის კულტი ასევე არსებულა სვანურ ტომებში, რომლის რიტუალს „შაშანგელო“ (სამგელო) ერქვა (შდრ. – მეგრული გვარი სამუგია/შამუგია, სოფლის სახელი შამგონა). ისინი ატარებდნენ მგლის ტყავის უსახელო და კუდიან ჯუბებს,

კოლექტიურად კლავდნენ მგელს, როგორც ტოტემს (ირაკლი სურგულაძე).

ეს არის იმ დროის გამოძახილი, როცა ველური მღვიმესა და ხის გარშემო წრიულად შემოწნულ, ალიზით თუ ფუნით შემოლესილ ფაცხას აფარებდა თავს.

როგორც ვთქვით, ხე შემდეგ გადაჭრეს და დედაბოძად აქციეს.

ჭაობიან ზღვისპირეთში მცხოვრები კოლხები საცხოვრებლად იმზადებდნენ დიხა-გუძუბებს. ეს იყო ხელოვნურად ამობურცული, დაზვინული მიწა, რომელსაც არხი ჰქონდა შემოვლებული, რათა წყალი დაწრეტილიყო. ანდა – სახლდებოდნენ გორაკებზე, როგორც მცირეაზიისა და სამხრეთ საქართველოს ბინადარნი. ჰიპოკრატეს (V-IV ს.ს.) სიტყვით, აქ სახლები ჭაობებში და წყალზე ჰქონიათ გამართული.

დიხა-გუძუბების ტრადიცია მოდის III ათასწლეულიდან. ადრეც და გვიანაც აგებდნენ ხის სახლებს – ჯარგვალებს, რაც მალე ქრებოდა და შემოგვრჩა მხოლოდ სახელები – ნადოხორუ (ნასახლარი), ნათხვამუ (ნასალოცავარი), ნოქალაქევი (ნაქალაქევი), ნოჯიხუ (ნაციხვარი), ნარზენა (მიწანაყარი).

მაგრამ ხის სახლი უფრო უძლებდა ნესტის შემოტევას.

დიხა-გუძუბების პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოში ჩნდება გორაკები (მაგ., ნახშირგორა, ნაცარგორა, ხოვლეგორა). ეს იყო ბუნებრივი ბორცვების მოწესრიგება და გამოყენება საცხოვრისად, ან – მიწანაყარი, რომელსაც თხრილს შემოავლებდნენ ირგვლივ.

დიხა-გუძუბებს დასავლეთში და გორას აღმოსავლეთში ამთავრებდა და ასრულებდა დოლმენები და ყორღანები, რაც

აჩვენებს საიქიოსა და სააქაოს ცხოვრების ერთგვარობას (შდრ. ეგვიპტელთა და ამერიკელ ინდიელთა პირამიდები, მესოპოტამიური ზიქურათები, კატაკომბები).

საცხოვრებელი ბორცვები (თეფეები) და ყორღანები ასევე ბევრგან იყო გავრცელებული, როგორც ინდოევროპული ტრადიცია.

კრემაციას კოლხებიც ისევე მიმართავენ, როგორც მტკვარ-არაქსელები და თრიალეთელები.

საუკუნეების მანძილზე კულტურის ერთგვარობა, საერთო გეოგრაფიული სივრცე, საერთო წეს-ჩვეულებები და რიტუალები ენობრივ ერთიანობას მოასწავებდა.

ამიტომ უნდა მომხდარიყო კოლხური კულტურის წიაღში დღევანდელ მეგრელ-ჭანთა წინაპრების ენის ფორმირებაც, სავარაუდოდ – XVI-XV საუკუნეებში, ხოლო სვანურისა – გაცილებით ადრე, ალბათ XX საუკუნეში.

კოლხური კულტურა წყდება VII საუკუნეში კიმერიელებისა და სკვითების შემოსევის შედეგად (იხ. „სკვითურ-კიმერიული ციკლონი და მესამე მიგრაცია“).

# II. ქართველური სივრცის ფორმირება: პრა-სახელმწიფოებიდან სახელმწიფოსაკენ

## 1. წინააზიური კულტურის ცენტრები (XIX-VI ს.ს.)

ქართველური სივრცის ფორმირება, ტომების კონსოლიდირება, პირველადი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების წარმოქმნა, შესაბამისად – კულტურულ წარმოდგენათა ზეპირი თუ ნივთიერი ჩამოყალიბება მრავალი საუკუნე გაგრძელდა.

პროცესი ინერტული და ზიგზაგოვანი იყო.

როგორც ჩანს, სუსტი იყო შინაგანი ნება და ძლიერი გარე, დამთრგუნველი ფაქტორი – სამხრეთელი მეომარი სახელმწიფოები – ხეთა, მითანი, ურარტუ.

ისინი მოიწევდნენ და ძირავდნენ ქართველურ ტომებს.XVI საუკუნიდან ქართველური ტომები მოექცნენ დასავლეთით ნაწილობრივ ხეთებისა და აღმოსავლეთით მთლიანად ხურიტულ-მითანური სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ხურიტულ-ურარტული და ხეთური ტოპონიმიკა,ლექსიკა, ღმერთები შევიდნენ და ჩარჩნენ ქართულ ენასა და ქართულ სამყაროში (გ. მელიქიშვილი).

კულტურის ცენტრებთან მიმართებით (ბაბილონი, მემფისი, ხათუსა, ნინევია, პერსეპოლისი, ლუქსორი, თებე, ტუშფა, კტეზიფონი) ქართველურ ტომთა ტერიტორია პერიფერიად აღიქმებოდა, რომელსაც თოვლიანი კავკასიონის ჩრდილი იფარავდა.

## ხეთური ფედერაცია

ხეთების სამეფო მდებარეობდა ანატოლიაში.

იგი წარმოიშვა ქალაქ-სახელმწიფოების შერწყმით. ადგილობრივი ხათები (პროტო-ხეთები), როგორც ვთქვით, იბერიულ-კავკასიური სამყაროდან აქ უნდა მოსულიყვნენ XXXIII საუკუნეში.

მათ პირველ მეფეს რქმევია პამბა.

იგი სხვა 16 მეფესთან ერთად დაუმარცხებია აქადის მეფე ნარამსინს (2290-2254) ანუ პამბა რეალურად ტომის ბელადი ყოფილა.

ხათებს აქ დახვედრიათ განვითარებული კულტურა - ადგილობრივ მოსახლეთ ჰქონიათ უამრავი სალოცავი, ანთროპომორფული ქანდაკებები, თიხატკეპნილი კედლიანი საცხოვრისები.

ეს უცნობი ეთნოსის ტომები იყენებდნენ ობსიდიანს, სპილენძს, ტყვიას. ისინი შეცვალეს ხათებმა, როგორც შემდეგ ხათები – ნესიტ-ხეთებმა.

მათ სამხრეთით, თურქეთის ტერიტორიაზე, გობეკლი-თეფეში 15 მეტრი მიწაყრილის ქვეშ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 12.000-10.000 წლის წინანდელი ქანდაკებები (ერთი მათგანი – ორმეტრიანი კაცის ფიგურა), რელიეფები, 10-30 მეტრიანი კოლონები (სტელები), მეგალითური ტიპის უზარმაზარი სატაძრო კომპლექსი.

ადრე მათ ბერძნულ კულტურას განაკუთვნებდნენ. გერმანელი მეცნიერების აზრით, შემქმნელი არიან უძველესი ინდოევროპელები (კ. შმიდტი).

ნესიტ-ხეთების წინაპრებიც, ინდო-ევროპული ტომები, მტკვარ-არაქსის არეალიდან აღმოჩნდნენ მცირე აზიაში.

მათ თანდათან, უსისხლოდ დაიკავეს ხათების ტერიტორია და დემოგრაფიულად შეცვალეს. შეიერთეს ადგილობრივი ინდო-ევროპული ტომები და მათი უძველესი კულტურაც.

ნესიტ-ხეთებს ანთროპოლოგიურად ზოგი მიაკუთვნებს ბალკანურ ტიპს, ზოგი – ევრო-აფრიკულს, თუმცა არ ჰქონიათ ინტერესი არც ზღვისა და არც შორეული სივრცისადმი.

მათ აღმოსავლურ წარმომავლობას ხედავენ ერთ ჰიმნში – „მზის ღმერთს, ამომავალს ზღვიდან“:

„ო, მზის ღმერთო, შენ განიკითხავ ყოველდღიურად კაცის ძეს, ძაღლს, ღორს, სტეპების ნადირს“ ანუ ზღვა მათთვის იყო არა ჩრდილოეთით (შავი ზღვა), არამედ – აღმოსავლეთით (კასპიის ზღვა).

ახსენებენ არა მთებს, არამედ – სტეპებს.

მცირერიცხოვანმა ინდო-ევროპელებმა შეძლეს მრავალრიცხოვანი ხათების მშვიდობიანი ასიმილირება. მიზეზი უნდა ყოფილიყო ხათების მრავალენიანობა (შდრ – ასე მრავალენიანი იყვნენ ალბანელები და დღესაც არიან დაღესტნელები, მათი შორეული ნათესავები), რაც აბრკოლებდა კონტაქტებს. ამიტომ გამოიყენეს ახალმოსულთა ენა, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი (შდრ – რუსული ენა დღევანდელ ჩრდილო კავკასიაში).

ხალხები და ენები ერთმანეთს შეეზარდა და წარმოიშვა ნესურ-ქანესური ანუ ხეთური ენა.

ნესიტებმა ასევე მიიღეს ხეთების სახელი, როგორც არაბებმა – ეგვიპტელებისა.

ამის შემდეგ დედაქალაქი (ცენტრი) ქუსარა შეცვალა ნესამ.

ასე შეაღწიეს გერმანელებმა რომის იმპერიის გულში,

მსახურობდნენ რომაელთა ჯარში, იმპერატორების დაცვაში, იყვნენ სარდლები, ეკავათ პოსტები.

თითქოს გარდაუვალი იყო მათი ლათინიზება.

მაგრამ IV საუკუნის შუა წლებში პროცესი შებრუნდა: გერმანელებმა დაიწყეს ძველი სახელების აღდგენა, ხოლო რომაელებმა – გერმანული სახელების დარქმევა, რაც მოდურ გატაცებადაც კი იქცა (არნ. ტოინბი).

ხეთას ისტორიაში გამოიყოფა ოთხი ეთნიკური პერიოდი – ხათური, ნესიტური, ლუვიური და ხურიტული, როცა დომინანტობდა რომელიმე ეთნოსი. ძირითადი მასა კი ინდო-ევროპული იყო.

XX-XIX საუკუნეებში უცნობ ძალებს გაუნადგურებიათ ქალაქი ქანესა, ასურული ახალშენი ქარუმ II, სხვა დასახლებული პუნქტები. ამას მიაწერენ ნესიტ-ხეთების დამანგრეველ აქტივობას, მათ შემოჭრას, რომლებიც კულტურით ჩამორჩებოდნენ პროტო-ხეთებს (ჯ. მელარტი).

უფრო შესაძლებელია, ეს ყოფილიყო ქალაქ-სახელმწიფოებისა და ტომების ბრძოლა ჰეგემონობისათვის, რაც გაუთავებლად გრძელდებოდა.

ხეთების მეფის („ხასსუ") ტიტული იყო პროტოხეთური თაბარნა (ლაბარნა), დედოფლისა („ხასსუ-სარა") – თავანანნა, ათასღმერთიანი პანთეონის უმაღლესი ღმერთიც – ასევე პროტოხეთური მზის ღმერთქალი ვურუსემუ.

დედაქალაქი – ჯერ ნესა და ქუსარა, შემდეგ – ხათუსა, ერთხანს – დათასა.

ტახტი თავდაპირველად ქალზე გადადიოდა. მეფე ხდებოდა ის, ვინც იყო ტახტის მფლობელის ქმარი. ვარაუდობენ, რომ ეს იყო ძმა.

მაგ., ხათთუსილი I იყო თავანანნას (დედოფლის) ძმისშვილი.

ეს პროტო-ხეთური ტრადიცია ყოფილა, რასაც მატრიარქატის გადმონაშთად მიიჩნევენ.

ტახტის მემკვიდრეს ამტკიცებდა ფანქუ — სახალხო (სამხედრო) კრება.

შემდეგ მეფე თელიფინუმ დააკანონა ტახტის მემკვიდრედ უფლისწული და ბოლო მოუღო ანარქიას. მაგრამ დედოფალმა შეინარჩუნა დიდი უფლებები.

ხეთელ მეფეთა ასულები იყვნენ ეგვიპტისა და მითანის დედოფლები. მაგ., რამზეს II-ს მთავარ ცოლად ჰყოლია ხათუსილი III-ის ასული. ეგვიპტის ერთ-ერთი ტაძრის სტელაზე სამივენი ერთად არიან გამოსახული.

ხეთების ქვეყანა ტომების კონგლომერატი იყო, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აერთიანებდა, თანამედროვე ფედერაციის მსგავსი.

ამიტომ თანაარსებობდნენ ღმერთები, ენები, ეთნოსები.

ხეთებმა თითქმის ყველა მიმართულებით მიაღწიეს წარმატებას, მოაწესრიგეს ქვეყნის სტრუქტურა. მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს ქაშქებს, რომლებიც ჩრდილოეთიდან პერიოდულად თავს ესხმოდნენ ხეთელთა მიწებს.

ხათების მონათესავე ტომები, რომელთაც შეინარჩუნეს თავისთავადობა, იყვნენ ზღვისპირას მცხოვრები ქაშქები (ქასქები, კასკები).

მათ არ ჰქონდათ ხათების მსგავსი დიდი კულტურა. ალბათ, იმიტომ, რომ არ ცხოვრობდნენ კულტურის ცენტრებში.

გარდა ამისა, ხათური ელიტა შეეზარდა ინდოევროპელ ხეთებს, დაკარგა თავისი ეთნიკური სახე.

განაპირა, პერიფერიული ქაშქური ტომები, რომლებიც ტომებად და ენებად იყვნენ დაშლილი, არ ყოფილან ხათების კულტურული ტრადიციების მემკვიდრეები.

აქ ისევ ბატონობდა ბარბაროსულ-მასობრივი კულტურა, თუმცა არსებობდა ხათური პუნქტებიც.

ისინი იყვნენ მესაქონლე და მიწის მუშა ტომები. მაგრამ ხშირად არბევდნენ ხეთას პროვინციებს, ძარცვავდნენ მათ ტაძრებს, მონებად მიჰყავდათ ტაძრების პერსონალი.

ამის გამო ხეთა სამეგობრო ხელშეკრულებას სდებდა ცალკეულ ქაშქურ ტომებთან, თუმცა ისინი ნაკლებად იცავდნენ ვასალურ პირობებს.

ქაშქების ერთ-ერთ „ქვეყანას" (ანუ ტომს) რქმევია „დუდუშქა", რაც დღეს მეგრულად ნიშნავს „თავის რქას" (დუდ – თავი მეგრულად, ლაზურად და სვანურად). მაგრამ შეიძლება ყოფილიყო ქიანა/ქაანას (ქვეყნის) არქეტიპი.

XIV საუკუნისათვის ზღვისპირეთში არსებულა კოლხური ვრცელი დასახლება. შდრ – ხათური „დუდდუმილი" – ჩუმად, ფარულად (გრ. გიორგაძე). მაგრამ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, შეიძლება ქართველურიდან შესულიყო ხეთურში ეს სიტყვა.

დუდუშქას ანალოგია, ასევე, ხუბუშქია (სამეფოს სახელი) – ხუბუს რქა (ქია – რქა ჭანურად, ხუბუშ –, ისევე როგორც დუდუშ – ნათ. ბრუნვა).

ზოგს იგი ქართველურად მიაჩნია, ზოგს – ხურიტულად.

მეორე დაშვებით შეიძლება ხუბუშქია იყოს თბილი, ცხელი ქვეყანა: ყაბარდ. ხუბა/ხოაბე – თბილი, ცხელი. შდრ. – ხობისწყალი/ხობწყარი – თბილი წყალი.

ამავე სიტყვებს ჰგავს ქარიქურისქა, თათისქა, ცაანთიშქა, ხუმინთეშქა, ქაშქა და მუშქა /მუშქაია.

ქაშქური სახელები და ტოპონიმები ბოლოვდება მეგრულ-ჭანურის მსგავსი ია, ქა/შქა, უვა/ვა სუფიქსებით: მაგ., ქარ-ასიევა, თითისქა, თაფასავა, თიფია (ნ. ხაზარაძე აკავშირებს ტიბარენებთან), ციხარია, გახარია, შარია/სარია, აშხარფაია, თაქაშთურია, თარიქარიმუ, ფათალია, შუხურია, თახანთარია, ბელადების სახელები - ფიხუნიაში, თითა, ფათალია, ხათეფა, დადაილუ. შდრ. სოფელი დადეში კოლას ტერიტორიაზე. და-დია მეგრულში ბატონს ნიშნავს, დადი - ბებიას. ამ სიტყვაში ჩანს მთავრის ცნების მატრიარქალური წარმომავლობა.

გრ. გიორგაძე ბოლო ხანს ქაშქებს მეგრელ-ჭანებად მიიჩ-ნევდა, უარყოფდა მათთან ქაშაგების ნათესაობას.

ტომთა სახელების მსგავსებას აბსტრაქტულად მნიშვნ-ელობა მართლაც არა აქვს (მაგ., ავარები დუნაისპირეთსა და ჩრდილო-კავკასიაში, ქასქა აფრიკაში, კასკა – ევროპაში, გაშქა – ინდოეთში), შეიძლება მოხდეს დამთხვევა. მაგრამ სხვაა, როცა კონკრეტულ სივრცე-დროში მეორდება ორი ნათესაური სახელი - ქაშქები და ქაშაგები, აბეშლები და აფსილები.

ალბათ ქაშქა იყო კრებითი რელიგიური, მთვარის ღვთაები-დან გამომდინარე სახელი, რაც ეწოდათ მონათესავე ტომებს, რომელთაც მრავალი ენა ჰქონდათ (შდრ - დღევანდელი დაღესტანი).

ამ ტერმინქვეშ უნდა ვიგულისხმოთ როგორც აფხაზ-ადი-ღეველთა, ისე მეგრელ-ჭანთა და სვანთა წინაპრები, ასევე - ჰაიკები (სოხმები).

ეს ფაქტი უნდა აიხსნას იბერიელ-კავკასიელთა გენეტი-კური ერთიანობით, რაც უფრო საგრძნობი იქნებოდა ათას-

წლეულების მიღმა, ენებიც მეტ-ნაკლებად – გასაგები. შემდეგ რელიგიური სახელი იქცა ეთნიკურად. ქაშქებს არ ჰქონდათ ერთიანი სამეფო. ცალკეულ ტომებს ჰყავდათ უხუცესთა საბჭო და არჩეული ბელადები, რაც აძნელებდა ორგანიზებასა და შეკავშირებას, ეთნიკურ ერთიანობას.

ხათების ტომთა გაშლა-დაშლის შედეგად დროთა მანძილზე წამოიწეოდა რომელიმე მათგანი - ჯერ ქაშქა, შემდეგ - კოლხა და მუშქა, რასაც მოსდევდა ძველი ტრადიციების დაკარგვა და სახე-ცვლა, ახალი ეთნიკურ-ენობრივი მოდელირება.

ხეთას დაცემის შემდეგ ქაშქებს ებრძოდნენ ასურელები და თავიანთ ქვეყანაში ტყვეებად მიჰყავდათ ისინი.

ასურელები ქაშქებს ზოჯერ აბეშლებსაც უწოდებენ, მაგრამ ესენიც მათი შემადგენელი ტომები უნდა ყოფილიყვნენ (შემდეგში – აფშილები).

ალბათ მათგან მოდის მდინარის სახელი აბაშა და გვარები – აბაშია, აბაშიძე, აბშილავა, აბესაძე.

ხეთაში ან მის მოსაზღვრედ უნდა ეცხოვრათ სხვა იბერიულ-კავკასიურ ტომებსაც. მაგ., გამოყოფენ დვალებს (დუალი), ფხოველებს (ფახუვა), წოვებს (ცუფა), პოულობენ ცალკეულ საერთო სიტყვებსა და ღმერთების სახელებს (მაგ., სვანურ ტულეფიას დღესასწაულს უკავშირებენ ხეთურ მითს თელიფინუსზე).

ეს ტომებიც უნდა წამოსულიყვნენ VI საუკუნეში, კიმერიელთა და სკვითთა შემოსევის შემდეგ, მუშქების ლიდერობით აღმოსავლეთისაკენ.

ქაშგებს ეძახიან სვანები ჩერქეზებს, ქართველები კი – ქაშაგებს.

შუასაუკუნეებში ქაშაგი გასაყიდი ტყვის სახელად ქცეულა (სულხან-საბა), იმდენად დიდი ყოფილა ჩრდილო კავკასიიდან თუ დასავლეთ საქართველოდან გატაცებულ, ოსმალებზე გასაყიდ ჩვილთა და ზრდასრულთა რიცხვი.

შეიძლება ქაშქები იმიტომაც აოხრებდნენ ხეთების დასახლებებს, რომ ებრძოდნენ გაბატონებულ უცხო ძალას, რომელმაც მიითვისა მათი მიწა და ღმერთები, თუმცა ისინიც მოსული იყვნენ.

ამ ბრძოლაში მონაწილეობენ ხურიტული ტომებიც.

ხეთების მეფე იყო უზენაესი ქურუმი, მსაჯული და მთავარსარდალი, დედოფალი – უზენაესი ქურუმი – ქალი.

მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლება შეზღუდული იყო თულიას (უხუცესთა საბჭო) და ფანქუს (სახალხო კრება) გადაწყვეტილებებით.

მესოპოტამიელთაგან განსხვავებით კანონები საგრძნობლად ჰუმანური ჰქონდათ. მაგ., სიკვდილით თითქმის არავის სჯიდნენ. მკვლელი თავისი ხარჯით ასაფლავებდა მოკლულს და ოჯახს აძლევდა ოთხ მონას ან თავისი ოჯახის წევრს. ხეთების კანონები ემყარებოდა არა სამაგიეროს გადახდას, არამედ – კომპენსაციას.

თუ მონას სიკვდილით დასჯიდნენ, მთელი მისი ოჯახიც უნდა დაეხოცათ.

მონის შთამომავლებიც მონებად რჩებოდნენ, მაგრამ შეეძლოთ ჰქონოდათ საკუთრება და ოჯახი, დაეცვათ თავიანთი უფლებები.

ხეთები მუდმივად ომებში იყვნენ გახვეული და ქვეყანაში შემოჰქონდათ დიდი ალაფი, შემოჰყავდათ უამრავი ტყვე. ბრძოლის დროს ისინი სასტიკი და ულმობელი იყვნენ.

საკუთარ თუ დაპყრობილ პროვინციებს განაგებდნენ ადგილობრივი ან მეფის მიერ დანიშნული მოხელეები.

ხეთების ქვეყანაში მოჰყავდათ ქერი და ხორბალი, აშენებდნენ ვაშლის, მსხლის, ლეღვის ხეებს, ამზადებდნენ ხორცს, რძეს, ყველს, ქონს, ტყავს, ჰყავდათ ხარ-ძროხა, სახედარი, ჰქონდათ ის ძირითადი ნატურალური პროდუქტები, რაც მოხმარებიდან არ გასულა.

ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინისაგან აკეთებდნენ სამკაულებს, საკულტო და საოჯახო ინვენტარს, საომარ და შრომის იარაღებს, ჰყავდათ ხელოსნები, მჭედლები, ვაჭრები, ქურუმები და ღმერთების მსახურები.

აგებდნენ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, სასახლეებს. ამისათვის საჭირო მუშახელი იყო უამრავი შემოყვანილი ტყვე. მათ მოპოვებას მეომრები და ომები სჭირდებოდა (მაგ., მურსილი II-ს 10 წელიწადში 100 000 „ნამრა“ აუყვანია).

არსებობდა სპეციალური სავაჭრო სახლები. მიწაზე კონტროლი მკაცრად იყო განსაზღვრული, ფასების სისტემა – დიფერენცირებული.

ჰქონდათ ლიტერატურა, ადგენდნენ ანალებს, თარგმნიდნენ (მაგ., შუმერულ-აქადური „გილგამეში“), იწერდნენ მითებს, თხზავდნენ მაგიერ ტექსტებს, სწავლობდნენ მეცხენეობას.

ჰყავდათ მუდმივი და წვეული ჯარი, ძირითადად – ქვეითი, მრავალი საომარი ეტლი. შეტევას იწყებდნენ ღამით, უეცრად, ეტლების საშინელი გრუხუნით. ეომებოდნენ ეგვიპტელებს, ხურიტებს, ასურელებს, ხალაფებს, ქაშქებს.

დაარბიეს ბაბილონი, ბრძოლით მივიდნენ ეგეოსის ზღვამდე.

ჰქონდათ დაცემის პერიოდებიც. მაგ., როცა ოთხივე მხრიდან თავს დაესხნენ: დასავლეთიდან – არცავა, ჩრდილოეთიდან

– ქაშქები, სამხრეთიდან – ეგვიპტე, აღმოსავლეთიდან – მითანი.

დალეული ხეთა აღადგინა და განავრცო სუფილულიუმამ, რომელმაც მოკლა ძმა და ტახტი მიიტაცა. შემდეგ ეს ქვეყანა ლამის მოსპო ჭირის ეპიდემიამ, რომელიც ტყვეებისგან გავრცელდა.

ხეთები ძველ პერიოდში წარჩინებულ მიცვალებულს განბანილს ასაფლავებდნენ. შემდეგ გავრცელდა კრემაცია.

ეს მდიდარი და ძლიერი ქვეყანა საბოლოოდ დამარცხდა „ზღვის ხალხებთან“ (აქაველები, ეტრუსკები, სარდები, სიკულები) ბრძოლაში – 1200 წელს, ისევე როგორც მიკენი.

ისინი დედა-წულიანად მოდიოდნენ და ნიაღვარივით გადაუარეს ანატოლიას, წალეკეს კულტურის ცენტრები.

შეიჭრნენ ქაშქებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არ ასვენებდნენ ხეთებს, როგორც გერმანული ტომები – რომაელებს.

ხათუსა დაანგრიეს და გადაწვეს – კლდოვან ბორცვზე მდგარი ქალაქი, რომელიც დაცული იყო დიდი ქვების გალავნით, კოშკებით, გვირაბებით.

იგი აღარ აღუდგენიათ. ქვეყანა მრავალ წვრილ ერთეულად დაიშალა. ამის შემდეგ ქრება ისტორიიდან ხეთა და XIX საუკუნემდე არავის არაფერი სმენია ამ სახელმწიფოზე.

მხოლოდ ჰომეროსთან და ბიბლიაში ყრუდ გაკრთება ხეთების („ქეტელთა“) სახელი, ისიც გვიანი დროის. მათ არ იცნობენ ჰეროდოტე და სტრაბონი, თუმცა მცირეაზიიდან იყვნენ (სტრაბონს დედა ჰყავდა ლაზი).

თანამედროვე ტომებს, მათ შორის – ქართველთა წინა-

პრებს, იზიდავდათ ხეთების წესრიგი და ბრწყინვალება, მათი კულტურა, ცხოვრების წესი.

ძველ დროშიც მნიშვნელოვანი იყო მეზობლობის, ურთიერთობისა და მეტოქეობის ფაქტორი, ოღონდ – დროში გაწელილი.

პროცესი შენელებულ კადრებს ჰგავდა, რომლის ფინალი კატასტროფა იყო.

ხეთური ფირფიტები კატასტროფის ამბავს არ გვაუწყებენ.

ალბათ ქურუმების კასტა გაჟლიტეს ანუ, როგორც იტყვის პოეტი – „კაცი არ დარჩა ამბის მთმყოლი“.

## ხურიტები და მითანი

ხურიტებს განაკუთვნებენ კავკასიურ ჩრდილო-აღმოსავლურ ეთნოსს (ი. დიაკონოვი).

III ათასწლეულში მათი საცხოვრისი იყო ჩრდილო მესოპოტამია, ზაგროსის მთიანეთი, ურმიის ტბის მიდამოები.

ჰქონდათ ღმერთების ნარევი პანთეონი – ადგილობრივი, ბაბილონურ-ასურული და არიული.

ხურიტები განსაკუთრებულ აგრესიულ ძალად იქცნენ მთელ ანატოლიასა და მცირეაზიაში II ათასწლეულის დამდეგიდან, რაც გაგრძელდა VI საუკუნემდე.

სხვადასხვა დროს დაიმორჩილეს ასურეთი, დააარსეს, მითანის გარდა, ხურის სამეფო, დიაოხი, შექმნეს გაერთიანება სუბართუ, ხუბუშქიას სამეფო, ნაირის წვრილი სამთავროები, ბოლოს – ურარტუ, შეაღწიეს დღევანდელი ქართლისა და კახეთის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მითანი ჩამოაყალიბეს XVI საუკუნეში. ცენტრი იყო ვა-

შუქანი, მოსახლეობა – ხურიტული. მდებარეობდა შუამდინარეთის ზემო წელში. მართავდა არიული დინასტია.

მითანი დიდხანს ებრძოდა ხეთებსა და ასურელებს.

XVI საუკუნეში მითანელებმა ააოხრეს ხეთას ტერიტორია, დედოფალი შვილებთან ერთად გაიტაცეს და ყველა სიკვდილით დასაჯეს.

ასევე დაუპირისპირდნენ ეგვიპტეს.

შემდეგ ასურეთი დაიპყრეს, გაძარცვეს ქალაქი აშური. მაგრამ ჩრდილო სირიაში დაამარცხეს ეგვიპტელებმა და მათი წინსვლა შეაჩერეს.

მითანის მეფეთა ასულები იყვნენ ეგვიპტის დედოფლები. მაგ., თუშრათას ქალიშვილი თადუ-ხეფა იყო ეხნატონის – ამენჰოტეფ IV-ის მეუღლე.

საბოლოოდ მითანი დაამარცხეს ხეთებმა და დაანგრიეს ვაშუქანი.

შეიჭრნენ ასურელებიც (გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე).

XII საუკუნეში მითანი დაიშალა.

XVI საუკუნიდან ხურიტები ცხოვრობდნენ ქართლსა და კახეთში, ალბანეთის ტერიტორიაზე, ტიგროსისა და ევფრატის ზედა ნაწილში, ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში, მცირე აზიაში – ხეთების სახელმწიფოში.

ხურიტების კვალს ხედავენ არა მხოლოდ ხეთაში, სადაც კულტურაზეც იქონიეს ზეგავლენა, არამედ – კილიკიასა და პალესტინაშიც კი.

მათ ღმერთებს სათავეში ედგნენ ქუმარბის თავიდან შობილი თეშუბი და მისი მეუღლე ხეფათი.

III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხმარობდნენ აქადურ

ლურსმულ დამწერლობას. ტექსტებს ადგენდნენ ჯერ აქადურ, შემდეგ – ხურიტულ ენაზე. II ათასწლეულიდან კი შექმნეს აქადური ლურსმულის ნაირსახეობა.

ქართველური და ხათური ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხურიტებთან.

ხურიტულია კოლხას დედაქალაქის სახელი ილდამუსა, სუფიქსი-ხი, სადაურობის აღმნიშვნელი (გ. მელიქიშვილი).

იგი აითვისეს ქართველურმა ტომებმა (კოლხი,მესხი, სომეხი, ჰენიოხი, ვიტეროხი, ზაბახა, კახი, ტაოხი, კუხი, მდინარე ჭოროხი).

შემდეგ ხეთებისაგან შეიძინეს კოლხებმა  -არ და იბერებმა -ელ სუფიქსი (შდრ. – ზუგდიდ-არ-ი და ზუგდიდ-ელ-ი).

## ურარტუ (ბიაინილი)

ხურიტული ტომების ბოლო ძლიერი სახელმწიფო იყო ურარტუ (თვითსახელი ბიაინილი).

სამეფოს დედაქალაქი – ტუშფა (ღმერთქალ ტუშფუვას სახელიდან, რომელიც იყო მზის ღვთაების მდედრობითი ორეული), ვანის ტბასთან (დღევანდელი თურქეთი). VI საუკუნიდან, ურარტუს დამხობის შემდეგ, ქალაქსაც ვანი დაერქვა.

წმინდა (რელიგიური) ქალაქი – მუსასირი (მუცაცირი), რაც ასურულად „გველის გამოსასვლელს“ ნიშნავს, ურარტულად – არდინი.

ურარტუელებიც მეომარი, დამპყრობელი ტომები იყვნენ.

ისინი არა მხოლოდ მიწებს იერთებდნენ, არამედ – მოსახლეობის მასშტაბურ დეპორტაციას ახდენდნენ (მაგ., სარდური II-ს გადმოუსახლებია 197.521 ტყვე, არგიშდი I-ს –

280.512), რათა ჰყოლოდათ ბევრი მუშახელი და მეომარი.

ღვთაება ხალდის ტაძარს მუსასირში ეკუთვნოდა უამრავი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლის ნივთი, 4,918 კგ. ვერცხლი, 109,080 კგ. სპილენძი, 6 ოქროს ფარი (157,5 კგ), 12 ვერცხლის ფარი, 33 ვერცხლის ეტლი, ასევე – მიწები, სახელოსნოები, საქონელი, სატაძრო პერსონალი (გ. მელიქიშვილი).

ქვეყანა დაყოფილი იყო ოლქებად, რომელთაც განაგებდნენ დინასტიის ნათესავი მმართველები. მათ ომის დროს თავიანთი ლაშქარიც გამოჰყავდათ მუდმივ სამეფო ჯართან ერთად.

მთავარსარდალს ერქვა ტურტანი.

ჰქონდათ მოწესრიგებული სახელმწიფო სტრუქტურა, განვითარებული ეკონომიკა. მაგრამ მაინც დამარცხდნენ ჯერ ასურელებთან და კიმერიელებთან ბრძოლებში, შემდეგ – მიდიელებთან.

590 წელს მიდიამ დაიპყრო ურარტუს ძირითადი ტერიტორია. მალე იგი ქართველურ ტომებთან ერთად მოექცა ირანის XVIII სატრაპიაში.

შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდა არა გარედან შემოჭრილი მტერი, არამედ – უამრავი ტყვე: სანამ ურარტუ ძლიერი იყო, დეპორტირებული ხალხი მორჩილად ემსახურებოდა დამპყრობელ ქვეყანას. მაგრამ როგორც კი შეირყა ტუშფას ძალმოსილება, მონები გადავიდნენ კარს მომდგარი მტრის მხარეზე, რათა ასე მოეპოვებინათ თავისუფლება და შური ეძიათ.

ურარტული მთავარღმერთის ხალდის სახელიც გავრცელდა ქართველურ ტომებში და დღემდე ტოპონიმებად მოატანა (მაგ., მყინვარი და მდინარე სვანეთში; სომხები ჭანებს ხალდებს

ეძახდნენ – „ხალდ“; ქართული და ბიზანტიური პროვინცია ხალდია ზღვისპირეთში).

ასევე შევიდა ქართულში კუერა, როგორც კვირია და კვირა, ხეფათიდან – ხიფათი (დ. შენგელაია).

ხურიტებმა ადრე შეძლეს კულტურის განვითარება, სახელმწიფოებრივი ფორმირება, თავიანთი ღმერთების გავრცელება. მაგრამ ადრევე დაქვეითდნენ და ჩაიკარგნენ ისტორიის ბარბაროსულ სრბოლაში.

## 2. ქართველური პრა-სახელმწიფოების წარმოქმნა (XII-VII ს.ს.)

ქართველური პრა-სახელმწიფოების წარმოქმნა იწყება XII საუკუნიდან ხეთასა და მითანის დაცემის შემდეგ, როგორც მათი დაშლის შედეგი (შდრ. – რუსეთის იმპერია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სსრკ და დღევანდელი საქართველო). დეზინტეგრაციის პროცესს ყოველთვის მოსდევს ახალი ერთეულების დაბადება.

ძალთა ახალი კონფიგურაცია უნდა გამოეწვია ცხენისა და რკინის იარაღების გამოჩენას.

ამ დროს წინააზიასა და მცირე აზიაში, მრავალი „ქვეყანა“ და პრა-სახელმწიფოა. მათგან გამოირჩევა ქართველური გაერთიანებები, რომელთა კვალი დარჩა ისტორიაში.

ადრე რომ ჰქონოდათ სამეფო ან ტომების კავშირი, არც ეს იქმნებოდა შეუმჩნეველი, რადგან გამოიწვევდა ხეთასთან ან მითანთან დაპირისპირებას, ომსა და მსხვერპლს, მოსახლეთა დეპორტაციას, რასაც აღნიშნავდნენ ხოლმე.

## კონსოლიდირების აუცილებლობა

მას შემდეგ, რაც დასუსტდნენ ხეთები და მითანელები, რაც შემოვიდა ცხენი და დაიწყეს რკინის წრთობა, ქართველურ ტომებსაც მიეცათ სწრაფი გადაადგილებისა და ეფექტური ბრძოლის საშუალება.

ეს იყო ახალი რევოლუცია და დიდი ნახტომი პროგრესისაკენ.

რკინა უფრო ბასრი იყო,ვიდრე ბრინჯაო.

მიუხედავად ამისა, საუკუნეების მანძილზე თანაარსებობდნენ, რადგან ძნელი იყო რკინის დამუშავება.

რკინის იარაღები სჯობდა ბრინჯაოსას, როგორც ბრინჯაოსი - ქვისას.

შესაბამისად გაიოლდა მიწის დამუშავება, ნადირის დახოცვა თუ სახლის აგება. მაგრამ ბრძოლებსაც მეტი მასშტაბი მიეცა. გაიზარდა დაპყრობის, სხვათა დამორჩილების, საკუთარი საცხოვრისის გავრცობისა და გამდიდრების შანსი.

ადამიანი თავსაც უკეთ იცავდა.

ამას დაერთო ცხენი, რომელიც მეომარს აძლევდა სწრაფი გადაადგილების საშუალებას.

ცხენშებმული საზიდრები და სახნისები ასევე აიოლებდნენ მიწის მუშის შრომას – ცხენი 10-ჯერ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ხარი.

აგრესია, უცხოთა მოძალება, შიში აიძულებდა გაფანტულ ტომებს შეკავშირებას, ერთიანობას, თავის დაცვას.

ქურუმ-ბელადი მხოლოდ მონადირე ვერ იქნებოდა.

ქართველური ტომებიც ჩაერთვნენ საომარ ბატალიებში, ტერიტორიების გადანაწილების აგრესიაში. ამას სჭირდებოდა



კარგი ცხენი, მახვილი, სატევარი, შუბი, ფარი, მშვილდ-ისარი, ჩუგლუგი, ჯავშანი, ახალ იარაღებს - ახალი ნედლეულის - რკინის მოპოვება, გადატანა და დამუშავება.

ტომთა კავშირი, გაერთიანება, პრა-სახელმწიფო იყო სასიცოცხლო აუცილებლობა, გადარჩენის ერთადერთი გზა, მომავლის პერსპექტივა.

ეს სწრაფად შეძლეს დაიანელებმა, გაცილებით ნელა და გვიან-კოლხებმა და მუშქებმა. ქაშქები საერთოდ ვერ შეკავშირდნენ.

II და I ათასწლეულებში ქართველურ ტომებს სამხრეთით მეომარი სახელმწიფოები ესაზღვრებოდნენ - მითანი, ხურიტების სამეფო, ურარტუ, ასურეთი, ხეთა, ირანი.

მათ გარდა მრავალი წვრილი გაერთიანება ებრძოდა და ენაცვლებოდა ერთმანეთს. ისინი მტაცებლური ომებით, ტყვეებითა და ნაძარცვით ძლიერდებოდნენ.

ამიერკავკასიას დასავლეთით და მცირე აზიას ჩრდილოეთით შავი ზღვა ეკრა. აქედან მხოლოდ ბერძნები შემოდიოდნენ.

ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი თითქმის გაუვალი იყო. მისი რამდენიმე უღელტეხილიც ზამთრობით იკეტებოდა.

აღმოსავლეთით იყო ნაკლებად დასახლებული ტერიტორია, - ნახევარ-უდაბნოები და კასპიის ზღვა.

მთავარი საფრთხე სამხრეთიდან ელოდათ ქართველურ ტომებს.

## კოლხა - ჭოროხისა და რიონის ხეობები

II ათასწლეულის დამლევს დაიწყო კოლხური ტომების გაერთიანება. ისინი უკვე მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვ-

რობდნენ ჭოროხის ხეობასა და ზღვისპირეთში. ნაწილი შედიოდა ხეთას, ნაწილი - მითანის გამგებლობაში. ახლა მათ აღარ ჰყავდათ მბრძანებელი.

კოლხებს მანამდე ჩამოუყალიბდათ ერთიანი სახის მატერიალური კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთიანი მეტყველებაც ექნებოდათ.

დადგა პოლიტიკურ გაერთიანებად - სახელმწიფოდ გარდაქმნის ჟამი, რომელიც დაცილებულ და დაფანტულ ტომებს შეაკავშირებდა.

ადრევე აღნიშნავდნენ, რომ კოლხეთი იხსენიება XII საუკუნიდან ასურულ წყაროებში. მაგრამ ლურსმული წარწერების kirhi (კირხი) და kilhi იკითხება როგორც ხაბხიც (გ. მელიქიშვილი).

ასევე საგულისხმოა ასურული ქალაქების სახელები - კალახა და კალხუ, ურარტული კულხა, კნოსოსის არქივის B-ხაზოვანი დამწერლობის ტექსტებში აღმოჩენილი სიტყვა Cocida, რომელსაც კოლხიდასთან აიგივებენ (ლ. გორდეზიანი). ტექსტებს ათარიღებენ XIV-XIII საუკუნეებით.

საუკუნეების მანძილზე ტომებისა და ეთნოსის სახელები იცვლებოდა. მაგ., მეგრელ-ჭანთა წინაპრებს კოლხას ეძახდნენ ურარტუელები და ბერძნები, ზანებს - სვანები, ლაზებს - ბიზანტიელები, ჭანებს - იბერები.

თავად კი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ გამაერთიანებელი სახელი და ცალკეულ ტომთა სახელებით იფარგლებოდნენ.

მათი რიცხვი საკმაოდ ბევრი იყო.

კოლხა იყო ყველაზე ძლიერი მეგრულენოვანი ტომი, რომლის სახელი დაერქვა გაერთიანებებს და გაავრცელეს

უცხოელებმა. ჩვენ კი მივმართავთ, როგორც მეგრელ-ჭანთა წინაპრების საერთო პირობით სახელს.

ეკავათ ჭოროხის ხეობა, სადაც მდებარეობს ძველქართული ოლქი კოლა. კოლხი ნიშნავს კოლელს, ისევე როგორც კლარჯი (კოლ-არ-ჯ-ი).

თავდაპირველი დედაქალაქი – ილდამუსა, რკინის წარმოების ცენტრი. იგი ხურიტების დაარსებული იყო, რადგან, როგორც ითქვა, ეს სიტყვა ხურიტულია.

შემდეგ ამ გეოგრაფიულ პუნქტს დაერქვა მდინარის სახელი არტანუჯი (ნ.მარი), რაც კოლხური სიტყვაა და ნიშნავს არტაანის ყურს (ყურეს), როგორც აღნიშნავს აკაკი შანიძე.

კოლხას წინააღმდეგ ორჯერ ილაშქრა ურარტუს მეფე სარდური II-მ, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვა.

პირველად ულაშქრია 750-748 წლებში, ხუსას (ხუშანის) მხარეში, დიაოხის დამხობის შემდეგ.

ეს ყოფილა ის ტერიტორია, რომელიც კოლხამ წაართვა დაიაენს.

სარდურს მოსახლეობა აუყრია, მეფე ხახა (ხახანი) დაუტყვევებია, ხალხი კი გამოურეკავს და თავის ქვეყანაში დაუსახლებია.

მეორედ შემოსევის დროს, 747-741 წლებში, დაანგრია და გადაწვა ილდამუსა, მოსახლეობა გაჟლიტა, ვინც გადარჩა, გააქცია.

ამის შემდეგ დედაქალაქი ჩრდილოეთით გადაიტანეს, რაც ნიშნავს, რომ კოლხა ორად გაიყო.

ახალი ცენტრი ქუთეში/კუტეში, ბერძნული ტრანსკრიფციით – კუტაია/კუტაიოს გაშენდა რიონის პირას, როგორც ილდამუსა – არტანუჯის პირას.

მაშინ რიონი უფრო წყალუხვი მდინარე იყო და ნაოსნობა შეიძლებოდა. ზღვა ახლოს იყო მომდგარი. შემდეგ ზღვამ უკან დაიწია და დატოვა ხმელეთი – კოლხეთის დაბლობი (შდრ. – ამ ჰიპოთეზის მხატვრული გარდასახვა ო. ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“).

ამ დროიდან რიონის ხეობის კოლხეთს მართავდა აიეტიდების ბერძნული დინასტია.

აიეტი მოუძღოდა იმ ბერძნებს, რომლებიც შავი ზღვიდან გადმოვიდნენ და დაიწყეს ახალშენებისა და სავაჭრო ფაქტორიების შენება, როგორც მათმა თანამემამულეებმა – სიცილიაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე.

ალბათ მათაც იოლად, უომრად და თანდათან დაიკავეს „ბარბაროსების“ ქვეყნის ზღვისპირეთი.

აიეტი იყო ბერძენი, მზის ღმერთის ჰელიოსის ძე, რომელსაც სამკვიდრო ჰქონდა კორინთოში, მისი ძმა ავგიე - ელადელების მბრძანებელი, რომელიც არგონავტებთან ერთად მოადგა კოლხეთს.

ასევე დიდადაა ცნობილი ბერძნულ მითოსსა და შემდეგ მწერლობაში აიეტის და  - კირკე, ძმისშვილი ჰეკატე. ისინი პელაზგური წარმოშავლობის ანუ იმ კოლხური ტომების შთამომავლები არიან, რომლებიც ათასი წლის წინად ეგეიდაში გადავიდნენ. კორინთო იყო მათი თავდაპირველი ცენტრი. პელაზგები შემორჩნენ ჰეროდოტეს დრომდე და მაშინაც ჰქონიათ თავიანთი ენა.

აიეტი ნიშნავს აიელს. აიას ეძახდნენ ბერძნები კოლხეთს (შდრ. მედ-ეია).

შეიძლება აია იყოს იგივე დაია-დაიაენი (თ. მიქელაძე), რომ-

ლის ნაწილი შეიერთეს კოლხებმა მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფო გაანადგურეს ურარტუელებმა (768 წ.), ან - ხეთური ოქროს საწმისის ეია (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ასურულ წარწერებში ფიქსირებულია ტოპონიმები – კუტა, კუტუ, კუტატო, კუტასიო, კუტაიო, კუტიების (მთიელთა) ქვეტანა. არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელი იწყება კუტ ძირით, რაც ნიშნავს კედელს, სახლს, დასახლებას.

მაგ., ხეთ. kutt- კედელი, ფინ. Koti- სახლი, თურქ. kota - სახლი, მონღ. qota - სახლი, დასახლება.

მაგრამ მეგრულში კუტა არის მოკლე, მცირე.

ამიტომ ქუთეში/კუტაია უნდა იყოს აიას კედელი (ციხე) ან - მცირე დაია/აია, პატარა დაიაენი.

აქ მდგარა ციხე, რომელსაც კუტაიონს ეძახდნენ ბერძნები (პროკოპი კესარიელი, ახ. წ. VI ს.). შდრ - kutaion - ადგილი კუნძულ კრეტაზე, ქალაქი kotiora მცირე აზიაში.

კუტ-აიას თავდაპირველი კოლხური ფორმა ალბათ იქნებოდა კუტ-დაია-ეშ-ი (-ეშ - ქართ. -ის. შდრ. - თბილისი, ბოლნისი, სამთავისი). აქედან კუტეში/ქუთეში, ქართულად - ქუთაისი (შდრ - გვარები ქუთელია და ქუთათელაძე, კვიტაიშვილი).

მას სახელი მისცეს და მთავარ ქალაქად აქციეს სამხრეთიდან დევნილმა კოლხებმა, კოლხასა და დაიაენის მოსახლეებმა.

ასევე უნდა დაერქმიათ სახელი რიონი მდინარისათვის ილდარუნის მიხედვით, რომელიც ურარტუს დროს ერქვა ზანგუს.

შდრ - უძველესი ტოპონიმი კრეტაზე – Rhion, მდინარეთა სახელი ევროპაში – როანა და რაინი, ლათინურ ამერიკაში – რიო-გრანდე, რიო-ბერმეხო, რიო-კოლორადო, რიო-ნეგრო,

ირან. rud (მდინარე) და ქართული რუ, მეგრ. რინა – ყოფნა, არსებობა, რაც წყალს დაუკავშირდა.

რიონს ბერძნები ფაზისს ეძახდნენ.

ჩრდილო კოლხებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს სწორედ ამ დროს - VIII საუკუნეში.

კოლხიდა ძლიერი, განვითარებული და „ოქრომრავალი“ ქვეყანა ყოფილა.

აქ არგონავტებს უნდა ელაშქრათ VIII საუკუნეში, რაც ოქროს საწმისის მოტაცების ცნობილ მითად იქცა.

არგ ფუძე ეგეიდიდან გადმოსახლებულმა ტომებმა მოიტანეს, რაც შეეზარდა ქართულ ენას (რ. გორდეზიანი).

იგი უკავშირდება ბერძნულ ტოპონიმ არგოსს და მიჩნეულია ყველაზე გავრცელებულ პელაზგურ ტერმინად. არსებობს მოსაზრება, რომ არგონავტები მიდიოდნენ არგოს ქვეყანაში (ს. ჯიქია).

ათასი წლით ადრე პროტო-ხეთებს ჰქონდათ მსგავსი მითი.

მათ ოქროს საწმისი - ცხვრის ტყავი ურთხმელის ხეზე - ეიაზე ეკიდათ.

ბერძნებს თქმულება ილუიანქაზე, ღმერთქალ ინარასა, ხუფასიასა და ოქროს საწმისზე შეუთვისებიათ ანატოლიაში და შემდეგ მოარგეს აიას ქვეყანას, ცხადია, შეცვლილი სიუჟეტით.

ოქროს საწმისი იყო სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლო.

აიეტის ქალიშვილის მედეას სახელს დაუკავშირდა სამკურნალო მეცნიერება - მედიცინა.

მაგრამ აქაც აღმოსავლეთი პირველობს: III ათასწლეულის ერთ შუმერულ ვაზაზე გამოხატულია ჯანმრთელობის

ღმერთი ნინგიშზიდა კვერთხით, რომელსაც ორი გველი ეხვევა, ხოლო XXII საუკუნის თიხის ფირფიტა გადმოგვცემს გველის ტყავის სამკურნალო თვისებებს.

გამძლეა ის რეალური და ისტორიული ფაქტი, რაც მითად და ლეგენდად იქცევა.

I ათასწლეულში კოლხურ ტომებს ეკავათ ჭოროხის ხეობა, ზღვისპირეთი და დასავლეთ საქართველოს ტერიტორია.

არცთუ შორეულ წარსულში, რამდენიმე საუკუნის წინათაც ტრაპიზონი მეგრელთა სოფლად იწოდებოდა (ვახუშტი ბატონიშვილი).

ასეა ფიქსირებული XI საუკუნის ერთ ხელნაწერშიც.

ივანე ჯავახიშვილი XV საუკუნის ბათუმს სამეგრელოს ქალაქად მიიჩნევდა.

კოლხურ (ზანურ) ენაზე არ შექმნილა დამწერლობა. არ ჰქონდათ იგი არც სვანებს, არც აფხაზ-ადიღეველთა წინაპრებს, რომლებიც კოლხურ არეალში ცხოვრობდნენ.

კოლხურ ტომთა ნაციონალიზების პროცესს აბრკოლებდა ის, რომ მათ სამეფოს ბერძნები მართავდნენ, დიდი კულტურის ხალხი.

ბერძნები თავიანთ გარშემო იკრებდნენ თანამოძმეებს ან მათ, რომლებმაც შეითვისეს ბერძნული ენა და კულტურა, ბერძნული ღმერთები.

ასე რომ – კოლხეთის ელიტა ვერ იქნებოდა კოლხურენოვანი.

ეს კი ხელს უშლიდა ნაციონალურ კონსოლიდირებას.

კოლხეთი ვერც ქართულენოვანი იქნებოდა, რადგან იგი საუკუნეების მიჯნაზე გამოყოფილი იყო ქართულენოვანი ტომები-

საგან, თუმცა ენობრივი დიფერენცირება I ათასწლეულში დაახლოებით ისეთი იქნებოდა, როგორც დღეს არის რუსულსა და უკრაინულს, ან რუსულსა და ბელორუსულს შორის ანუ შეეძლოთ ურთიერთგაგება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობდა ნათესაობისა და ახლობლობის განცდა, რაც გამოხატულია ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ ეთნარქის ლეგენდაში.

## ხურიტულ-ქართველური დაიაენი (დიაოხი)

XII საუკუნეში მითანის სახელმწიფოს დაშლის შედეგად ყალიბდება დიაოხი (დაიაენი), რომლის მოსახლენი იყვნენ ქართველური და ხურიტული ტომები. ისინი თავიანთ თავს დაიაენს უწოდებდნენ, ურარტუელები – დიაუხს (დიაოხს).

სამეფო ქალაქი იყო შაშილუნი (სასილო).

IX საუკუნის ბოლოს იგი დაანგრია და გადაწვა ურარტუს მეფე მენუამ. ამის შემდეგ „სამეფო ქალაქი" გახდა ზუაინი.

მალე ეს ქალაქიც მოსპო ურარტუმ, არგიშდი I-მა.

დაიაენი მდებარეობდა არზრუმის, სევანის ტბისა და ევფრატის სათავის მიდამოებში. გ. მელიქიშვილის აზრით, „მოსახლეობის ძირითადი ბირთვი" ხურიტული იყო.

ალბათ დაიაენის საფუძველი იქნებოდა სამხრეთ ანატოლიელი ხურიტების გაერთიანება Danuna, რომელიც არსებულა XIII საუკუნეში.

მაგრამ როგორც ტოპონიკა აჩვენებს, მოსახლეობდნენ, აგრეთვე – კოლხები, მუშქ-იბერთა წინაპრები და სოხმები (იბერიელ-კავკასიელი სომხები) ანუ იყო იბერიულ-კავკასიური ტომების პრა-სახელმწიფო.

თავიანთ ოლქებს ალბათ ისინი მართავდნენ.

დიაოხი აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ზაბახას (ჯავახეთი), ჩრდილო-დასავლეთით – კოლხას, რომელსაც წაართვა ჭოროხის ხეობა.

მეფეები ხურიტები იყვნენ. ხურიტული იყო ტოპონიმიკაც და ონომასტიკაც (მაგ., ერთ მეფეს ჰქვია სიენი, რაც ძმას ნიშნავს, მეორეს – ასია, მესამეს – უტუფურშინი), სამეფო ქალაქების სახელიც – შაშილუნი და ზუაინი.

დიაოხის მეფე სიენი ნაირის ქვეყნების კოალიციის მეთაურიც კი ყოფილა. იგი ნაირის ქვეყნებს 83 მეფესთან ერთად 1112 წელს დაუმარცხებია და დაუტყვევებია ტიგლათფილესერ პირველს (1115-1077), ასურეთის მეფეს წაუყვანია აშურში და იქ მორჩილების პირობით შეუწყალებია.

დაიაენი ამ დროს ერთი მცირე ტომობრივი გაერთიანებაა, ერთი 83-ს შორის, თუმცა – ლიდერი. სიენის სახელს ცალკე გამოყოფს გამარჯვებული ტიგლათფილესერი.

დაიაენს დიდხანს, საუკუნეების მანძილზე ეომებოდნენ ასურელები და ურარტუელები. მტრობდნენ კოლხებიც, მაგრამ შეძლო თავის დაცვა და ქვეყნის გავრცობა.

845 წელს დაიაენის მეფე ასია საზღვართან მომდგარ ასურეთის მეფე სალმანასარ III-ს ეახლა, მუხლებზე მოეხვია, ხარკი მისცა და მორჩილება აღუთქვა, რათა ქვეყანა არ აეოხრებინა.

ამ დროისათვის დაიანელებს ჰქონიათ განვითარებული მეტალურგია და მესაქონლეობა, საკმაო ტერიტორიაც. მაგრამ არა ისეთი ძალა, რომ შებრძოლებოდნენ ასურელებს.

მალე ასურეთი დაამარცხა ურარტუმ და ახალი დამპყრობელი გამოუჩნდათ დაიანელებს.

ახლა ურარტუელები მოადგნენ საზღვარს.

ამ დროს დიაოხის ოლქებად ითვლება – იგანი, დიდინი, ბია, აშტუხინი, აშქალაში, ქვადაინი, შერიაზი, ტარიუნი, ხუშანი, ახურიანი, ზაბახა...

იგანის ქალაქი იყო მაქალთუნი, რომელსაც ჰგავს მეგრული მაკალათია, როგორც დიდინს – ქართული დიდი.

ალბათ, ასევე ქართველური იყო ბია, ქვაიდანი, ახურიანი, ზაბახა (აქედან - ჯავახი).

ურარტუს მეფე მენუა (IX-VIII საუკუნეთა მიჯნა) დიაოხს „ძლევამოსილ ქვეყანას" უწოდებს, რომელიც მას ერთიანად გაუნადგურებია.

დიაოხის მეფე უტუფურშინიც ეახლა გამარჯვებულს, ძირს დაემხო და მუხლებზე მოეხვია.

მენუამ ხარკის გადახდის პირობით იგი შეიწყალა.

სასილოში დაუდგამს სალმანასარ III-ს თავისი სამეფო გამოსახულება, ხოლო მენუას – გამარჯვების აღსანიშნავი წარწერა ღვთაება ხალდისადმი.

შემდეგ არგიშდი I-მა დალაშქრა დაიაენი, დაანგრია და გადაწვა ახალი სამეფო ქალაქი ზუაინი (ზუა).

წაასხა აურაცხელი პირუტყვი, 15.181 ყრმა, 2.734 მამაკაცი, 10.607 დედაკაცი, დაასაჭურისა ოთხი მეფე (ბელადი). მძიმე ხარკი დაადო დამარცხებულ მეფეს (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ცხენი, ცხვარი, ხარ-ძროხა).

დაიაენი მაინც არ დამორჩილდა და ისევ აჯანყდა.

წამოვიდა არგიშდი I ღმერთების – ხალდის, თეშუბისა და შივინის სახელით, გაძარცვა, დაანგრია და გადაწვა დიაოხი.

ეს იყო 768 წელს.

ალბათ მეფე უტუფურშინი (უტუფურსი) ბრძოლაში დაიღუპა.

დაიანელთა შთამომავალ ტაოხების საოცარ სიმამაცესა და თავგანწირვაზე წერს საუკუნეების შემდეგ ბერძენი სარდალი ქსენოფონტე, რომელმაც 401 წელს, 10.000 მეომრით, აქ ბრძოლით გაიარა.

VIII საუკუნიდან ქრება დაიაენი (დიაოხი).

დამარცხებულის ტერიტორიას ინაწილებენ კოლხები და ურარტუელები. ალბათ კოლხებმა დაიბრუნეს ჭოროხის ხეობა, ხუსას მხარე.

ახლა მათ შორის იწყება ბრძოლები, რადგან ერთმანეთს მეზობლად აღმოჩნდნენ. მომდევნო საუკუნეებში ამ გაერთიანების ერთი ნაწილი ტაოხის სახელით ხდება ცნობილი, სადაც ხურიტები ასიმილირებული იყვნენ. მაგრამ დარჩა ხურიტული ტოპონიმები.

## მუშქების ფრიგიული სამეფო

XII საუკუნიდან მცირე აზიის აღმოსავლეთით ყალიბდება კიდევ ერთი ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ხეთების ცენტრების სიახლოვეს, ხეთას დაცემის შემდეგ, უფრო სწორად – გაერთიანებები.

მას ასურელები მუშქების ქვეყანას ეძახდნენ, ბერძნები – ფრიგიას.

მათი იგივეობა დასაბუთებული აქვს გერმანელ მეცნიერს ჰუგო ვინკლერს, ჯერ კიდევ 1898 წელს (ნანა ხაზარაძე).

ამ არქეოლოგმა XX საუკუნის დასაწყისში გათხარა ბოღაზქოი და აღმოაჩინა ათასობით ლურსმული ფირფიტა. ამ ტექსტების ენა კი 1915 წელს გაშიფრა ბედრჟიხ ჰროზნიმ. ამოხსნილ იქნა მანამდე უცნობი ხეთური ენა.

მუშქების (მოსოხების, მეშეხების) სამეფოს ცენტრი იყო მაზაკა (მდ. ღალისის ქვედა წელი, მარცხენა მხარე), შემდეგ – კაპადოკიისა (ძვ. სპარსული კატპატუკა), დღევანდელი თურქული ბოღაზქოი.

არც ეს სიტყვაა ქართველური (შდრ – მაზაკვალი/მზაკვარი, მასპინძელი/ასპინძელი. სულხან-საბა: „მარზიკნი – მბრძოლნი მაოხარნი“).

როგორც აღნიშნავს გრ. გიორგაძე, XII საუკუნის 80-იან წლებში მუშქები შეჭრილან ჩრდილო მესოპოტამიაში. 50 წლის შემდეგაც მიუტაცნიათ ცალკეული პუნქტები.

საპასუხოდ წამოსულა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ პირველი და გაუნადგურებია მუშქების 5 მეფე და მათი 20.000-იანი ლაშქარი.

როგორც ჩანს, მუშქებს ჰქონდათ არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ – ტომობრივი გაერთიანებები. მაგრამ X საუკუნისათვის მოუხერხებიათ მეტი კონსოლიდირება. მათ სათავეში მდგარა „დიდი მეფე“, „გმირი“, „ღვთაება თარხუნზასის საყვარელი კაცი“ ხართაფუ (ნ. ხაზარაძე).

მათი ეთნიკური ფორმირება ისევე მოხდა ხეთების სახელმწიფოს წიაღში, როგორც დიაოხისა – მითანის წიაღში.

ამიტომ იყვნენ მუშქები ხეთური რელიგიისა და კულტურის მტარებელი ტომები, ისევე როგორც დიაოხელები – ხურიტულისა, კოლხები – ბერძნულისა. იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I ს.) სიტყვით, მოსოხიდან წარმოშობილან მესხენები, რომელთაც ახლა კაპადოკიელებს ეძახიანო.

მესხების სახელი უკავშირდება მასისის მთას, რომელიც მდებარეობს პარხალის სიახლოვეს, ხურიტული -ხი სუფიქსის

დართვით (ტ. ფუტკარაძე). მ. ქურდიანის ვარაუდით, თითქოს ისინიც კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ.

სვანები თავიანთ თავს მუშუანს ეძახიან, რომლებიც ჯერ კოლხეთში დამკვიდრდნენ, შემდეგ მიგრაციის ახალმა ტალღამ თოვლიანი მთებისაკენ გახიზნა.

IX საუკუნეში ბალკანეთიდან შემოდიან ინდო-ევროპელი ფრიგიელები. ისინი ისევე უსისხლოდ დაეუფლნენ ამ ტერიტორიას, როგორც ნესიტები – ხათების მიწას, როგორც ბერძნები – კოლხეთის ზღვისპირეთს.

მუშქებმა ვერ შექმნეს განმასხვავებელი, თავისთავადობის დამამტკიცებელი ტოპონიმები და ტერმინები. მიზეზი უნდა ყოფილიყო ერთიანობის არქონა.

ფრიგიელები იქცნენ მუშქების სამეფოს მმართველ ფენად, როგორც ბერძნები – კოლხეთში და ირანელები – იბერიაში.

როცა თურქ-სელჯუკებმა დაიპყრეს ირანი, მათმა ელიტამ სპარსული ენა მიიღო, ამ ენით დაიწყო დაპყრობილი ტერიტორიების მართვა.

როცა ყიზილ-ბაშების დინასტია გაბატონდა სპარსეთში, მათი ენა და კულტურაც იყო სპარსული და არა მშობლიური თურქული.

მუშქების ქვეყანასაც ასე მიეცა სახელად ფრიგია, რაც დაამკვიდრეს ბერძნებმა. ფრიგიელები შედიოდნენ „ზღვის ხალხებში“, ხეთას განადგურების შემდეგ აქ რომ დასახლდნენ.

ფრიგიელების მთავარი ღმერთი იყო დიდი დედა კიბელე, რომელიც ქართლში კოპალედ იქცა.

მუშქები და ქაშქებიც დიდხანს ეომებოდნენ ასურეთს, ბოლოს კი მისი მოხარკენი გახდნენ.

„ვენახით მდიდარ ფრიგიაში“ განვითარდა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, კერამიკა და ავეჯის წარმოება.

აგებდნენ გრანდიოზულ ყორღანებს, კლდეში კვეთდნენ სამარხებსა და ღმერთების დარბაზებს.

676 წელს კიმერიელები და ურარტუელები შეესივნენ ფრიგიას. დამარცხებულმა მეფემ თავი მოიკლა. ბერძნებისათვის იგი მიდასი იყო, ასურელებისათვის – მითა.

ერთნი ფრიგიელების მბრძანებლად მიიჩნევდნენ, მეორენი – მუშქების მეფედ (შდრ. – მეგრ. მითაჟამი – უხსოვარი დრო, მითა – ვინმე, ხეთ., miti – მსახური). გაცილებით ადრე მითა რქმევია ფახუვას ტომის უხუცესს, რომელსაც გ. მელიქიშვილი ფხოვთან აკავშირებს.

## ტაბალების სამეფო

მუშქების სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოიქმნა კიდევ ერთი – ტაბალების გაერთიანება (IX-VII), რასაც ტბასთან, წყალთან აკავშირებდნენ (ს. ჯანაშია).

მათ დიდხანს ტიბარენებთან (ლაზ. ტიბა-ტბა, მეგრ. თბილი, რე/რენ – მყოფი, ე. ი. – ზღვისპირელი) აიგივებდნენ.

მაგრამ ასურული წარწერების ტოპონიმი tibira და tibir შუმერულად არის სპილენძი ანუ ამგვარი ეტიმოლოგიით ტიბარენი არის ლითონის ოსტატი (თ. მიქელაძე).

ცენტრი - მილიდდუ, ტიბარენებისა – კოტიორა (ორდუ).

ქართული ახსნით, ტაბალებიც ტბის ანუ ზღვისპირელები ყოფილან. ისინი იყენებდნენ იეროგლიფურ-ხეთურ დამწერლობას, ბორცვებზე აგებდნენ ტაძრებსა და სასახლეებს. მათ ამ-

კობდნენ ღმერთების, ადამიანების, ცხოველების ქვის ქანდაკებებით. მაგ., ერთი ტაძრის სიგრძე ყოფილა 260 მ, სიგანე – 110 მ (ნ. ხაზარაძე).

ჰქონდათ განვითარებული ეკონომიკა.

ასურეთის ერთ-ერთი მეფის წარწერაში ნახსენებია ტაბალების 24 მეფე (ბელადი). მათი სახელი, ისევე როგორც მესხებისა, გვხვდება ბიბლიაში.

ამჟამად ტაბალებს უფრო ხეთურ-ლუვიურ სამყაროს განაკუთვნებენ, თუმცა არ გამორიცხავენ მათ შორის ქართველურ ტომთა არსებობასაც, რადგან მათ მრავალეთნიკური ქვეყანა ჰქონიათ.

tapal ხეთურად არის საკვები, ხოლო tappala - სასახლის სამზარეულოს უფროსი (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ეთნონიმ ტაბალს უკავშირებენ ხეთურ, ლუვიურ და ლიდიურ გეოგრაფიულ პუნქტებსა (მაგ., tapala-ს მთის ღვთაებას – ნ. ხაზარაძე) და ონომასტიკას, თუმცა, როგორც ვნახეთ, ქართულადაც იშიფრება.

ასე რომ – არსებობს ტაბალის მრავალგვარი ინტერპრეტაცია.

საინტერესოა, რომ ბიბლიაში მოსოქი (მეშეხი) და თუბალი ძმები არიან – იაფეტის ძენი. ისინი ვაჭრობდნენ ტყვეებითა და სპილენძით, შიშის ზარს სცემდნენ ცოცხალთა ქვეყანას (ეზეკიელი, 27, 13; 32,26. ეზეკიელის წიგნი დაწერილია VI საუკუნეში).

ამ დროს უკვე დამარცხებული და დაფანტული არიან მოსხები და თუბალები (ტაბალები).

## ხალდების გაერთიანება

VII საუკუნის დამდეგიდან იხსენიება ხალიბების (ხალდების) ახალი გაერთიანება მცირე აზიაში (ჰალისის, ტრაპეზუნტისა და არზრუმის მიდამოებში).

ისინი შეაკავშირა რკინის წარმოებამ და მცირეაზია-კავკასიაში დიდი სახელმწიფოების კიდევ ერთმა განადგურებამ, რაც მოჰყვა კიმერიელებისა და სკვითების შემოსევას. მათ აითვისეს დარბეული და ქაშქების მიერ მიტოვებული მიწების ნაწილი (შდრ. - უბანი ხოფას მხარეში ხალბაში, გვარი ხალვაში).

ქალაქები — ამისოსი, სინოპე, ველი, თემისკური.

ხალიბები იყვნენ ჭანების წინაპრები. ხალიბი მოდის ბერძნული რკინის აღმნიშვნელი სიტყვიდან, რაც ნასესხები ჰქონიათ ხათური სპილენძის სახელისაგან. ხოლო ხალდი უკავშირდება ურარტუელთა მთავარ ღვთაებას.

ასე რომ – ორივე სახელი არაქართულია:

ამ ხანებში იხსენიება სხვა მრავალი ქართველური ტომიც (ტარიელ ფუტკარაძე). ისინი ან სამეფოთა შემადგენლობაში შედიოდნენ, ან თუ ცალკე იყვნენ – არ ეკავათ ვრცელი ტერიტორია, არ იყვნენ ლიდერები. მაგ., კოლხური შკვითინები – შვიდსოფლელები (მეგრ. შკვითი – შვიდი).

შეიძლება ამ რიცხვითი სახელის ძირი მოდიოდეს სკვითისაგან, სკვითური ტომიდან, ასევე როგორც რვა - სემიტური არვასაგან.

ზოგ მათგანს სახელი ეცვლებოდა ან მეზობლები სხვა სახელს არქმევდნენ.

მეტყველებაც განსხვავებული ექმნებოდათ, რაც დრომ წაშალა, თუმცა ალბათ არ ქმნიდნენ ცალკე ენობრივ ჯგუფს.

VII საუკუნისათვის ქართველურ პრა-სახელმწიფოებს ეკავათ ვრცელი ტერიტორია და თითქოს გარდაუვალი იყო კონსოლიდირება, ერთიან დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ ქცევა. ამისი დასტური უნდა იყოს გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი არტეფაქტები.

მაგრამ ინდო-ევროპულმა ტომებმა შეაჩერეს ინტეგრირების პროცესი.

მაშინაც ჩრდილოეთიდან გამოჩნდა დიდი უბედურება – სკვითებისა და კიმერიელების სახელით.

## 3. სკვითურ-კიმერიული ციკლონი და მესამე მიგრაცია (VIII-VI ს.ს.)

VIII საუკუნის ოციან წლებში შავი ზღვისპირეთის, დნეპრისა და დონის სტეპებიდან წამოვიდნენ ინდო-ევროპელი სკვითები და კიმერიელები, გაანადგურეს კოლხების სამეფო, დაამარცხეს ურარტუ, 676 წელს მოსპეს მუშქების სამეფო – ფრიგია, დაშალეს ტაბალები, დალაშქრეს მთელი კავკასია და წინა აზია და ეგვიპტეს მიადგნენ.

კიმერიელები შემოიჭრნენ აზოვის მხრიდან, სკვითები – დარიალიდან და დარუბანდიდან, ზოგი ვარაუდით – კავკასიონის ყველა უღელტეხილიდან.

როგორც წერს ჰეროდოტე და ადასტურებენ არქეოლოგები, სკვითები ოპიუმისა და კანაფისაგან აყენებდნენ ნარკოტიკულ სასმელს, ბრუვდებოდნენ ამ მცენარეთა ბოლით, შემზარავად ყიჟინებდნენ და ასე იბრძოდნენ.

კიმერიელებისაგან წარმოიშვა სიტყვა „გმირი“, რომელსაც ბოლო საუკუნეებამდე უარყოფითი მნიშვნელობაც ჰქონდა (იხ. სულხან-საბასთან).

ამ მეჯოგე და მომთაბარე ტომებმა ეფექტურად გამოიყენეს ცხენოსანი ჯარი, როგორც ქრისტეს შემდეგ ჰუნებმა და მონღოლებმა.

შემდეგ დასახლდნენ დამარცხებული ხალხების მიწებზე, თავიანთი ლაშქრით ემსახურებოდნენ ზოგიერთ ქვეყანას (მაგ., ურარტუს) და თანდათან შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგ., თრელების ტომიდან ჩნდება თრიალეთი, თრელი გორები, საკებიდან – საკაშენე, სკვითების ბიბლიური სახელი გოგიდან — გოგარენი. კაპადოკიას არმენებმა სულაც კიმერიული ტომის სახელი დაარქვეს – გამირქ.

შეიძლება მათვე უკავშირდებოდეს კოლხურ ტომთა სახელი - კორაქსებიც (კოლაქსაი - სკვითების პირველადამიანის ტარგიტაის მესამე ძე, რაც ირანულად ნიშნავს მზის უფალს).

არაერთი ბერძენი და ბიზანტიელი მემატიანე ალბათ ამიტომაც ქართველურ ტომებს სკვითებად მოიხსენიებს, ფაზისს სკვითთა მდინარეს უწოდებს, კოლხეთს – სკვითთა ქვეყანას და ლამის მთელს კავკასიასაც სკვითურად აცხადებენ.

მომთაბარე ბარბაროსების შემოსევამ შეცვალა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში ქვეყნებისა და ხალხების ბედი. შეცვალა ანთროპოლოგიურადაც – დოლიქოცეფალი ბრაქიცეფალი გახდა.

დოლიქოცეფალი იყვნენ ეგვიპტელები, წინარე ბერძნები, იბერიელ-კავკასიელები, ბრაქიცეფალი - შუმერები, ირანელები, სკვითები, სარმატები, კიმერიელები.

ლეონტი მროველი „ცხოვრებაში ქართველ მეფეთა“ სკვითებსა და კიმერიელებს ხაზარებს უწოდებს.

ისინი ზღვისკარითა (დარუბანდი) და არაგვისკარით (დარიალი) გადმოსულან, დაურბევიათ თარგამოსიანთა ქვეყანა, შეუმუსრავთ არარატისა და მასისის ქალაქები.

თარგამოსიანნი მათი მოხარკე გამხდარან.

ხაზარები აქ დასახლებულან და დაუყვიათ ქვეყანა.

ისინი დაუმარცხებია, მათი ციხე-სიმაგრები დაუნგრევია და ქართლი დაუპყრია ახლად გაძლიერებულ ირანელთა ერისთავს, სახელად არდამს.

როგორც არქეოლოგები შენიშნავენ, მეექვსე საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ნადგურდება მოსახლეობა, ცხოვრება წყდება. ჩანს ნგრევისა და ხანძრის კვალი. სიცოცხლე აღდგება მხოლოდ მეოთხე საუკუნიდან (ოთარ ლორთქიფანიძე).

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევის შემდეგ მკვიდრდებიან ჰაიკების ადგილზე ფრიგიიდან წამოსული ინდოევროპელი არმენები, რომელთაც ქართველები ისევ სომხებს ვუწოდებდით, თუმცა სომხები (სოხმები) იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომები, როგორც ვთქვით.

სკვითურ-კიმერიული სამარხებითა და იარაღებით მოიფინა ამიერკავკასია და მცირე აზია.

## პრასამშობლოსაკენ: მუშქების გაყოფა

სასტიკ დამარცხებას მოჰყვა ქართველური და იბერიულ-კავკასიური ტომების **მესამე დიდი მიგრაცია,** გაფანტვა და საცხოვრისების შეცვლა.

როგორც ჩანს, სვანურ ტომებს უცხოვრიათ ერთი პერიოდი გურია-სამეგრელოსა და ზემო იმერეთის ტერიტორიაზე.

ამისი დასტურია ცალკეული ტოპონიმები და სიტყვები, რომლებიც აქ ჩარჩა.

მაგ., მდ. ბერეჟოული, გვარი ბერეჟიანი (სვან. სემიტური ძირის ბერეჟ – რკინა), მეგრ. ჰერწემი (სვან. გველი), მეგრ. მერეხი, ქართ. მერე (ტბა), სვან. მერე – ღრუბელი, სოფ. გეზათი, გვარი გვაზავა, სვან. გეზალ – შვილი. გვარი ნარსია – სვან. ნარსილდ – პაწია, გვარი ლეჟავა – სვან. ლეჟა (ზევით), სვან. ლუზნუ – მეგრული, ზუგდიდი – სვან. ზუგულდი (ბორცვი), სოფ. სხვიტორი, სვან. ცხინტვ (ჯაგი), მეგრ. დინასკილიდი – ნამშობიარევი (დინო – გვარი), სვან. დინა – გოგო, სოფ. სურები, გვარი ზურებიანი/სურებიანი.

სვანურს უკავშირებენ ლანჩხუთის, ფოთის, სოხუმის, გაგრის ეტიმოლოგიას.

ოთხასი წლით შეფერხდა ქართველური ტომების სახელმწიფოებრივი ფორმირება.

მუშქების და სხვა ქართველური და იბერიულ-კავკასიური ტომების (დვალები, ფხოველები, წოვები) დიდი ნაწილი წავიდა აღმოსავლეთით, უკუიქცნენ იმ მიწებისაკენ, რაც დატოვეს მათმა წინაპრებმა 1000 და 1500 წლის წინათ.

დიაოხისა და ურარტუს დაცემამ გზა გაუხსნათ აღმოსავლეთისაკენ, საითაც აგრესორი არ ეგულებოდათ.

მიგრანტების ლიდერი მუშქები უნდა ყოფილიყვნენ.

მოსახლეთაგან საკმაოდ დაცლილი ფრიგია ლიდიის ქვეშევრდომი გახდა. ადრე მესხები გაჰყვეს და ერთმანეთს დააცილეს კოლხურმა ტომებმა, რომელთაც ჭოროხის ხეობა ეკავათ.

შემდეგ პირიქით მოხდა – მესხებმა გათიშეს რიონისა და ჭოროხის ხეობების მეგრელ-ჭანთა წინაპრები და წაიყოლეს აღმოსავლეთით.

მაშინ უნდა აყრილიყვნენ სვანთა წინაპრებიც ზღვისპირეთიდან და დაეკავებინათ მიუვალი, ყინულოვანი მთები – დღევანდელი საცხოვრისი (შდრ — ტოპონიმები სვანეთში ხალდე და ნასპერი). ალბათ მათ ახლდნენ მუშქებიც (შდრ. — სვანეთში ტოპონიმი ცხეთა).

სვანთა ადგილზე სახლდებიან ან ჩრდილოეთისაკენ აგრძელებენ გზას მცირე აზიიდან გამოდევნილი ის ქაშქები, რომლებიც იქცნენ აფხაზ-ადიღეველთა წინაპრებად. ასევე დევნილი მუშქები, კოლხური და სვანური ტომები მოედვნენ განადგურებული დიაოხის მიწებს, მიაღწიეს მტკვრისა და არაგვის შესართავს.

აქ დააარსეს ციხე-სიმაგრე და დასახლებანი – მთა ქართლი, ზანავი, სარკინე, რომელთაც მესხელთა სახელის მიხედვით ეწოდა მცხეთა (VI ს.); დაიწყეს ვაინახთა (ჩეჩენ-ინგუშთა) და დაღესტნელთა წინაპრების, ასევე – სკვითურ-სარმატული ჩრდილო ირანული ტომების ასიმილირება და განდევნა ჩრდილოეთისაკენ; ჰერებიც ნელ-ნელა მიდიან აღმოსავლეთისაკენ, ალბანელთა მხარეს.

ეს პროცესი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი უნდა ყოფილიყო.

ალბათ ამ გადმოსახლების ანარეკლია ანტიკური პერიოდის ავტორებთან გავრცელებული ლეგენდა, რომ თითქოს კავკასიელი იბერები პირენეის იბერიიდან წამოასხა ნაბუქოდონოსორმა და ზღვისპირეთში დაასახლა.

არაქართული ტოპონიმებია – კასპი, ბაზალეთი, ჭართალი, ფხოვი, წოვა, ძეგვი, გოგარი, თერგი, ალგეთი, შატილი, ისევე როგორც გვიანდელი გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, ახმეტა.

სკვითურ-სარმატულია (ჩრდილო-ირანული) იბერიის მეფეთა

და დიდებულთა სახელები (მაგ., საურმაგი, რადამისტი, ასპაგური, ზევახი, იოდმანგანი, შარაგასი), რაც აისახა ეგრისელთა ონომასტიკაშიც (მაგ., ქუჯი, სპადაგა), როგორც აღნიშნავს გ. მელიქიშვილი.

ქართველებს დაღესტნელები ეძახიან მოსოქს, რაც არის მოსოხი, იგივე მუშქი, მესხი. სულხან-საბას განმარტებით, მოსოქ არის „ფიცხელი მშვილდოსანი", ე. ი. კარგი მეომარი.

ქართლის მთიანეთში საუკუნეების მანძილზე დარჩნენ ვაინახური ეთნოსის მოსახლენი, რომელთაც შეინარჩუნეს ახლობლობა ჩრდილოკავკასიელებთან, მონათესავე ტომებთან. ამიტომ აქტიურად ერეოდნენ იბერიის საშინაო პოლიტიკაში.

მუშქების ნაწილიც დარჩა მცირეაზიაში და იქ მოსხიკეს სახელით გაერთიანდნენ (VI ს.). მათი ლოკალიზება მოხდა კაპადოკიაში, კოლხების შთამომავალი ჭანებისა – პონტოში.

## მესხები კაპადოკიაში

ძველი დროიდანვე თითქმის დავიწყებას მიეცა მცირე აზიაში – კაპადოკიაში დარჩენილი ქართველური ტომები. ისინი მოექცნენ აქემენიდების ირანის, პონტოს, რომისა და ბიზანტიის, ბოლოს – თურქ-სელჯუკთა და ოსმალეთის შემადგენლობაში.

კაპადოკიელი მესხების შთამომავლები იყვნენ დიდი საეკლესიო მამები – გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი (ე. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი). ქართველი იყო ევაგრე პონტოელი (კ. კეკელიძე) – ბიზანტიური ჰომილეტიკის შემქმნელი.

პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) აღზარდა იოანე ლაზმა (შ. ნუცუბიძე).

მათი ღვაწლი და სახელი ეკუთვნის ბიზანტიურ კულტურას.

პონტოსა და კაპადოკიის ქართველურ ტომებზე დროდადრო ჩნდება ინტერესი (მაგ., დ. ჩუბინაშვილი, ს. ჯანაშია, გ. გოზალიშვილი, ლ. სანიკიძე, ლ. გოთუა, პ. ინგოროყვა, ნ. ხაზარაძე, ს. ჯანაშია. შდრ. – კ. გამსახურდიას ლაზი პერსონაჟები – კონსტანტინე სავარსამიძე და კონსტანტინე არსაკიძე), განსაკუთრებით – პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების ჟამს (მაგ., XX საუკუნის 40-იანი წლები).

საბოლოოდ დაიკარგა მცირე აზია და შავი ზღვის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, თუმცა იქ დღემდე ცხოვრობენ კოლხებისა და მუშქების შთამომავლები – ლაზურ (ჭანურენოვანი) და ქართულენოვანი მოსახლენი, იმერხევურ დიალექტზე მოლაპარაკენი. მათ მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ თურქეთის მთავრობაში.

როგორც შენიშნავს მურად ქასაბი, თურქეთის იმპერიას ჰყავდა 17 ქართველი დიდვეზირი (იგივე პრემიერ-მინისტრი), უამრავი ფაშა, მინისტრი და თეოლოგი.

## კოლხების კვალი აღმოსავლეთში

მალე ამ ადგილზე ფორმირდებიან ქართულენოვანი სასპერები – იბერები. ახლა ისინი გაჰყოფენ კოლხურენოვან ტომებს.

კოლხური ტოპონიმები, მცენარეთა სახელები, გვარები დღემდე შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოში:

ქართლში – არაგვი, ქორდა, ქემერთი, ზანავი, ჭყანდი, ეგრისი, დუდეთი, დადიანეთი, ხონითი, წიფური, გერი, თირი, ტირიფონა, დგვარი, ჩხუნეთი, ჩხორეთი, კოდმანის ქედი, ქორდითირიკოს ხევი...



თბილისში – ვერე, დიღომი...

ფშავ-ხევსურეთში – ჭიჭახევი, ხონი, ხუნწი, ჯიმაღი, ლაზ-ვანი, ჟინვალი, ჩინთი...

კახეთში – ჯიმასყურე, ვეჯინი...

სამაჩაბლოში – იკორთა, დგვრისი, ჟება, სკვირეთი, დო-დოთი, ჩურისხევი...

თუშეთში – დოჭუ, დადიკურთა არა მხოლოდ აჭარასა, მესხეთსა და ბორჯომის ხეობაში, ან – გურიასა და იმერეთში (ჯ. გვასალია, გ. სოსიაშვილი, ნ. ოთინაშვილი).

კოლხურმა ტომებმა ქართლის ტერიტორიაზე გაავრცელეს ბერძნულ-ელინისტური არტეფაქტები, მიცვალებულისათ-ვის „ქარონის ობოლის“ გატანების წესი. დვანისა და ტახ-ტიძირის V-III საუკუნეთა სამარხებს განაკუთვნებენ კოლხ არისტოკრატებს (იულონ გაგოშიძე).

კოლხურ ტომებს უნდა დაეარსებინათ ოძრხე (ოძრახე). ამ ტოპონიმის ძირია ძრახ/ძერახ, რაც უნდა ნიშნავდეს ვიძერუხს (ვიტერუხს).

ნაწარმოებია კოლხური ო (ქართ. სა-) პრეფიქსითა და ე სუფიქსით (შდრ. ო-ქოთომ-ე და სა-ქათმ-ე).

ტოპონიმი ბორჯომიც კოლხურია და უკავშირდება თევზის სახელს – ღორჯოს და მოდის სიტყვა ღვარჯალიდან, რაც ლაღად ცურვას, რხევით მოძრაობას ნიშნავს.

ლეონტი მროველის ცნობით, მცხეთის ერთ უბანს ძვ. წ. III საუკუნეში ზანავი რქმევია. დღესაც ზანავი ჰქვიათ სოფლებს ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში.

გავიხსენოთ ხატებთან ერთად ქაჯავეთს მოლაშქრე ხევ-სური მეგრელაურიც.

სკვითურ-კიმერიულმა ციკლონმა ასე დაფანტა ქართველური და იბერიულ-კავკასიური ტომები, ასე დაასრულა მათი განფენა მცირე აზიასა და კავკასიაში.

დიდი ხნით დამუხრუჭდა ქართველურ ტომთა კონსოლიდირების პროცესი, სახელმწიფოებრივი ფორმირება.

მხოლოდ ახალი პოლიტიკური რყევა თუ შეცვლიდა სიტუაციას.

## 4. ბნელი ოთხასწლეული და კულტურა (VII-IV ს.ს.)

### მიგრაციები და კულტურული დაქვეითება

ყოველ მიგრაციას მოსდევდა დაქვეითება, მითუმეტეს მაშინ, როცა გადაადგილება არ იყო ნებაყოფლობითი, ხოლო იძულებით აყრას წინ უსწრებდა მაღალი ფენის განადგურება, არტეფაქტების მოსპობა, ტომების წეს-ჩვეულებათა აღრევა, მშობლიური მასებისაგან მოწყვეტა, მოპოვებული ცოდნის დავიწყება.

ახალ გარემოს სჭირდებოდა შეჩვევა, ახალი საგნების ათვისება.

ეს ერთი მხრივ პროგრესი იყო — გადაადგილება, უცხო სივრცე, იქ დამკვიდრება ააქტიურებდა ძალებს, სიცოცხლის უნარს, აერთიანებდა განცალკევებულ ჯგუფებს. მეორე მხრივ – ამას შეიძლებოდა ეთნოსის განადგურება მოჰყოლოდა.

ახალი საგნები და მათზე დაკვირვება თუ მათით გაკვირვება ზრდიდა ენის ლექსიკურ ფონდს, ენის პოტენციალს და, მაშასადამე, აზროვნების თვალსაწიერსაც.

მაგრამ კულტურის შემოქმედი ახალი გუნდი რომ გა-

ჩენილიყო, საკმაო დრო – ათწლეულები და ზოგჯერ ას-წლეულებიც ჩაივლიდა.

მტკვარ-არაქსელთა დაფანტვას მოჰყვა რამდენიმე საუკუნით ადგილობრივი ტომების კულტურული აქტივობის გაქრობა. მაგრამ გადაადგილებულებმა ახალი ცენტრი ჩამოაყალიბეს მცირე აზიაში.

თრიალეთის კულტურის განადგურებასაც ასევე დაქვეითება და კულტურის ცენტრების შეცვლა მოჰყვა, ოღონდ საუკუნეთა შემდეგ. ძალთა ახალ მოკრებას კვლავ დიდი დრო დასჭირდა.

კიმერიელ-სკვითების შემოსევის, დიაოხის, კოლხასა და მუშქების სამეფოს განადგურების შემდეგ ისევ შეიცვალა ქართველური ტომების საარსებო სივრცე, ისევ დაეცა კულტურა, მოდუნდა ენერგია და ყოველგვარი უცხოური სანიმუშო გახდა – ეთნოსის დამარცხებას კულტურის მოსპობა და წყვეტა მოჰყვა.

ეს იყო კატასტროფა, რასაც ვერ გაუძლეს ხურიტებმა.

მხოლოდ მცირეაზიიდან გამოდევნილმა მუშქებმა შეძლეს ბნელი ოთხასწლეულის გადალახვა, ხეთურ-ფრიგიული კულტურული გამოცდილების ნაწილობრივი შენარჩუნება.

## ზარატუსტრას სახელით

სკვითურ-კიმერიული ციკლონი რომ დაცხრა, თითქოს ქართველურ ტომებს ეღირსათ სიმშვიდე. მაგრამ მალე, VI საუკუნის დამლევიდან, ჩრდილო-ირანულ ტომებს შეენაცვლნენ სამხრეთ ირანული ტომები.

ისტორიის სარბიელზე გამოდის ირანი – საქართველოს ბედისწერა ათასწლეულების მანძილზე.

I ათასწლეულის დასაწყისიდან ინდური წარმომავლობის მომთაბარე ირანულმა ტომებმა დაიკავეს შუა აზია, დღევანდელი ავღანეთისა და ირანის ტერიტორია, გადავიდნენ ჩრდილოკავკასიასა და რუსეთის სტეპებზე.

მათ ტერიტორიულ ექსპანსიას შეუხამეს კულტურულ-რელიგიური აქტივობა, ორიგინალურად გაიაზრეს ვედური და ძველინდური წარმოდგენები.

შექმნეს ღმერთების ორი კლასი – კეთილი აჰურებისა და ბოროტი დევებისა, საპირისპიროდ ვედური მითოსისა, სადაც ასურები დემონებია, ხოლო დევების სათავეში დგას ინდრა, ვედების მთავარღმერთი.

ავესტამ ინდრა ვერაგ დემონად შერაცხა.

ყოფიერების საფუძვლად მიჩნეულ იქნა ცეცხლი და წყალი. ცეცხლი ქმნიდა სამყაროს და კაცთა სულს. ამიტომ ენთო ტაძრებში ჩაუქრობელი, მუდმივი ცეცხლი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო.

ირანელების წმინდა წიგნი იყო „ავესტა“, რომლის მთავარი ნაწილის – „გათების“ ავტორად ითვლება ზარატუსტრა.

ცხოვრობდა XII თუ X საუკუნეში.

თავისმა წრემ იგი არ სცნო და გააძევა, შემდეგ კი მოკლეს.

ზარატუსტრას იდეალი იყო – კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე (შდრ. – ფრ. ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“).

ირანელებმა შექმნეს რთული რელიგიურ-მითოლოგიური სისტემა და იგი წარუმძღვარეს თავიანთ გაუთავებელ ლაშქრობებს.

ირანელებიც მრავალ ტომად იყოფოდნენ და არც ერთმანეთს ინდობდნენ:

ჯერ მიდიელებმა გაანადგურეს ასურეთი და ურარტუ. შემდეგ სპარსული ტომები გაძლიერდნენ. მათ შეიერთეს მიდია და განაგრძეს ლაშქრობა ხმელთაშუა ზღვამდე.

ახალ სახელმწიფოს მართავდა აქემენიდების დინასტია, მეფე კიროსის (558-529) შთამომავალები.

აქემენიდებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერია – შუააზიიდან ნილოსამდე. მათ დაიკავეს მთელი წინააზია, მესოპოტამია, ხორეზმი, ბაქტრია, პართია, კავკასია, მცირე აზია, ეგვიპტე და V საუკუნეში ორჯერ სცადეს საბერძნეთის დაპყრობა.

ამრიგად, ქართველური ტომების ტერიტორია გაინაწილეს ბერძნებმა და ირანელებმა. შემდეგ პონტომაც მოითხოვა წილი, როცა ირანი დაეცა.

## კოლხეთის გაყოფა: ეგრისი და ლაზიკა

კოლხთა ახალ სამეფოს ზოგი ეგრისს უწოდებს, ზოგი ფასიანების ქვეყნად მოიხსენებს.

კოლხეთს ისევე აიეტიდები მართავდნენ, როგორც სპარტოკიდები – ბოსფორის სამეფოს (მოღწეულია III საუკუნის ერთი მეფის სახელი – აკე).

მისი საზღვარი ყოფილა: ჩრდილოეთით კავკასიონი, ხაზართა მდინარემდე (მდ. ყუბანი), აღმოსავლეთით – ლიხის მთა, სამხრეთით – მესხების ქედი, ჭოროხის შესართავის ჩათვლით.

ურარტუელთა გაფანტული და გადარჩენილი მოსახლენი შეერწყნენ არმენულ და ქართველურ ტომებს. მეორე ნაწილმა არსებობა გააგრძელა ალბანელების სახით დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

სკვითებისა და კიმერიელების მიერ წელგატეხილი ქართველური ტომები მინებდნენ ირანელთა ყოვლის წამლეკავ სტიქიას.

მცირეაზიელი მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები (XIX სატრაპია) ყოველწლიურად სამასი ვერცხლის ტალანტს უხდიდნენ აქემენიდებს (ჰეროდოტე).

რიონის ხეობის კოლხები ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდნენ 100-100 რჩეულ ქალ-ვაჟს. ვარაუდობენ, რომ იბერიაც ასევე ხარკს იხდიდა.

ჭოროხის ხეობისა და ტრაპეზუნტის მიდამოების კოლხურენოვანი ტომები (დღევანდელი ჭანების წინაპრები) VI საუკუნიდან ირანის იმპერიაში მოექცნენ, როგორც XIX სატრაპია.

აქაური ბერძნულ-იონიური ახალშენების ლიდერი იყო მილეტი, შემდეგ — სინოპი. სინოპელებმა დააარსეს ტრაპეზუნტი 757-756 წელს.

ამრიგად, დამარცხებული კოლხეთი ორად გაიყო – ერთს ბერძნები მართავდნენ, მეორეს – ირანელები.

ასეთი გაყოფა ხშირად მომხდარა ისტორიაში. მაგ., ახ. წ. IX საუკუნეში მადიარებმა (უნგრელებმა) დაიპყრეს დუნაის შუაწელი და სლავური ტომები სამ ნაწილად გათიშეს – სამხრეთით დარჩნენ სერბები და ხორვატები, დასავლეთით – პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, აღმოსავლეთით – რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების წინაპრები.

როგორც ვთქვით, ძველ დროში გამყოფი საზღვარი იყო ბუნებრივი ზღუდე – მთა, ზღვა, უდაბნო, მდინარე, რომელთანაც წყდებოდა ნათესავ ტომთა განსახლება (მაგ., შორაპანის ციხე ან ლიხის მთა ეგრისელთათვის).

ამიტომ VI საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო კოლხური ტომების მეტყველების გათიშვაც მეგრულ (ეგრისულ) და ჭანურ (ლაზურ) დიალექტებად, რომელთა ენებად ფორმირება უნდა მომხდარიყო მოგვიანებით, ახ. წ. VI საუკუნის შემდეგ,

როცა ეს ორი შტო საბოლოოდ დასცილდა ერთმანეთს.

ჭანები თანდათან მოსწყდნენ ქართულ სამყაროსა და კულტურას.

ზღვისპირეთში არსებულა მდიდარი და ხალხმრავალი ბერძნული ქალაქები – ტრაპეზუნტი, კერასუნტი, გიუმნიასი, კოტიორა. გავრცელდა მათი კულტურა და ღმერთები, ტოპონიმები და საკუთარი სახელები.

სხვაგვარი მდგომარეობა იყო ქვეყნის შიგნით, სადაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

## ზღვისპირა ქართველური ტომები

ივ. ჯავახიშვილის მიმოხილული აქვს ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის, პროკოპი კესარიელის ცნობები ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევრის ქართველურ ტომებზე, რომლებიც ზღვისპირეთში ბინადრობდნენ.

მასის ცხოვრების სურათები ასეთია:

ნახევრად ტიტველ მოსინიკებს ტატუირება და ღია სექსი ჰყვარებიათ; მაკრონები წინადაცვეთას მისდევდნენ, ისევე როგორც კაპადოკიელები; ტიბარენები ვაკეზე ცხოვრობდნენ, ნაწილი, შკვითინების მსგავსად, დაბურულ ტყეში; ტაოხების სამყოფელი კლდეები იყო; მოსინიკები მეთევზეები ყოფილან, ინახავდნენ თევზის ქონსა და დამარილებულ თევზს. ზოგი ტომი წაბლის პურით, ზოგი ხორბლის პურით, ზოგიც – ნიგვზით, თაფლითა და ნადირის ხორცით იკვებებოდა.

ხალიბები ხანჯალს ატარებდნენ.

ზღვისპირეთში ჰყოლიათ სხვადასხვა საქონელი. ზოგან პურის მარაგიც გააჩნდათ. ჰქონიათ მწკლარტე, ცხარე ღვინო.

მთაში მცხოვრები, მცირემიწიანი ტომები ძარცვით ირჩენდ-
ნენ თავს.

სახლებს, კოშკებსა და სიმაგრეებს ხისაგან აშენებდნენ, ზოგი ხეზეც კი ცხოვრობდა.

ციხე-სიმაგრეები მიუვალ კლდეებზე ყოფილა აგებული, რომელსაც მტერთა შემოსევის დროს აფარებდნენ თავს.

ყველა მამაკაცი იარაღს ატარებდა – ცულებს, შუბებს, ხანჯლებს.

V-IV საუკუნის ქართველური ტომები საკმაოდ ღარიბი, დაფანტული და დაუძლურებული ყოფილან. ისინი ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ცდილობდნენ საქმეში ბერძნები ჩაერიათ.

უკეთ უცხოვრიათ რიონის ხეობის კოლხებს.

ჰეროდოტესა და პინდაროსის სიტყვით, ისინი ხუჭუჭთმიანი და მუქკანიანი ყოფილან, რაც სწორად არ მიაჩნიათ.

ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით ზღვისპირა მთიანეთში მცხოვრები ჰენიოხები მეკობრეობითა და ძარცვა-გლეჯით ირ-
ჩენდნენ თავს.

სვანები ველურ პირობებში იყვნენ. იკვებებოდნენ ტყის ხილეულით, რძითა და ნანადირევით.

აპოლონიოს როდოსელის სიტყვით, ხალიბები მჭვარტლით ყოფილან გამურული, რადგან მუდამ მადანს დაეძებდნენ და ადნობდნენ: ტიბარენები მშობიარე ქალის მაგივრად კვნესოდ-
ნენ და წვალობდნენ ლოგინში (კუვადის წესი); მოსინიკები ფარულად აკეთებდნენ იმას, რაც საყოველთაოდ მიღებულია, ხოლო დასაფარს – ყველას თვალწინ: ქუჩაში ეძლეოდნენ სე-
ქსს, როგორც ღორები.

ასე ეჩვენათ ზოგიერთი ქართველური ტომი კოლხეთისკენ მიმავალ არგონავტებს.

ეს VIII საუკუნეა, მაგრამ წერს III საუკუნის ავტორი.

დაწინაურებული და კეთილმოწყობილი იყო ზღვისპირა ბერძნული დასახლებანი, „ბარბაროსების“ საპირისპიროდ, როგორც უწოდებს სტრაბონი ქართველურ ტომებს.

აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, ლაზები-კოლხები მოწესრიგებულ, კანონებზე დამყარებულ ცხოვრებას ეწევიან და კარგადაც ცხოვრობენ მას შემდეგ, რაც ზღვისპირეთში რომაელები მოვიდნენო.

მესამე საუკუნიდან ქრება კოლხეთისა და კოლხების სახელი. მათ ცვლის ეგრისი, რომელსაც უკავია ტერიტორია დღევანდელი აჭარიდან შორაპნამდე, ჩრდილოეთით „ძველ ლაზიკამდე“ (ნიკოფსიასთან), და ლაზიკა, რომელსაც უჭირავს დღევანდელი ჭოროხის ხეობის ნაწილი, ტრაპეზუნტი, რიზე, ათინა ჰერმოდონტამდეც.

საერთო სახელი კოლხი შეცვალა ზანმა,რაც აფხაზურადიღეურში სასმელს, წყაროს წყალს ნიშნავს. ასე რომ - არც ეს სიტყვაა ქართველური.

ტომის სახელიდან წარმოიქმნებოდა გვარებიც, როგორც წარმომავლობის ნიშანი. მაგ., ლაზიდან – ლაშხი (ლაზ-ხ-ი), ლასხიშვილი (ლაზ-ხიშვილი), მოლაშხია (მოლენ ლაშხი ანუ აქეთა ნაპირის ლაზი), ჭანიდან – ჭანია, ჭანტურია (ე. ი. ჭანების თური ანუ ტომის), შონიდან – შონია, სვანიდან – სვანაძე, სანიდან — სანაძე, სანაია, ზანიდან — ზანთარაია, ზამთარაძე, მესხიდან — მესხი ძირის გვარები, მეგრელიდან – მეგრელაური, მეგრელაძე, მეგრელიშვილი, ოდიშიდან – ოდიშარია, ოდიშელიძე. მაგრამ არ ჩანს კოლხიდან ნაწარმოები გვარი ან სახელი, ან თუნდაც ტოპონიმი.

## ეგრისის ბერძნული სამეფო

ბერძნებს ეგრისიდან გაჰყავდათ მონები. აქაც გაძლიერდა, როგორც ვთქვით, ელინური ქალაქები – ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი, პიტიუნტი, არქეოპოლისი.

მათ ჰქონდათ მონათა ბაზრები. აქ ყიდულობდნენ როგორც ტყვეებს, ისე ადგილობრივ მოსახლეებს.

გამოირჩა რამდენიმე კოლხური ქალაქიც – ქუთეში (ქუთათისი), ვანი, საირხე.

ცენტრი იყო ფაზისი, რომელიც VI საუკუნეში დააარსეს ბერძნებმა. შავი ზღვის სანაპირო ზოლზე განლაგებულ პოლისებსა და ფაქტორიებს გაჰქონდათ ნედლეული, შემოჰქონდათ თავიანთი ნაწარმი, ავრცელებდნენ თავიანთ წესჩვეულებებს, თავიანთ ენას, თავიანთ ფულს – ტეტრადრაქმას, რომლის მიბაძვით ჭრიდნენ „კოლხურ თეთრს“ (VI-III ს.).

მასზე გამოსახულია ერთ მხარეს ადამიანის, მეორე მხარეს – ხარის თავის პროფილი: ალბათ მზის ღმერთის ჰელიოსის ძე აიეტი და მისი მცველი ცეცხლისმფრქვეველი ხარი.

სულორში აღმოჩნდა 700-მდე კოლხური თეთრი (ძვ. წ. აღ. V ს.).

ფაზისში აპოლონის ტაძარიც კი მდგარა. აღმართული ყოფილა მდინარის ღმერთის ფასისისა და ღმერთქალ ფასიანეს (კიბელეს) ქანდაკებები. ქალაქს ჰქონია „ფრიქსის ტყე“.

ფაზისის სიახლოვეს ქარიატაში, რეკაში, ნათხვამუში, სუფსის, მალთაყვის, ხობის შესართავთან აღმოჩნდა III ათასწლეულიდან მოყოლებული ნასახლარების ნაშთები.

VI-III საუკუნეებს ზოგი კოლხეთის აღმავალ პერიოდად მიიჩნევს, მაგრამ კოლხების ახალი სამეფო ეგრისი არ იყო კოლხური – მას ბერძნები მართავდნენ. მათ ქვეყანა დაყოფილი

ჰქონდათ სკეპტუხიებად, რომელთა სათავეში მდგარან ადგილობრივი პირები (შდრ - საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიასა და სსრკ-ში).

ზღვისპირა ქალაქებში – ფაზისიდან ჰერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარი) ცხოვრობდა ბერძნული მოსახლეობა, პლატონის სიტყვით, როგორც ჭიანჭველები და ბაყაყები ჭაობის გარშემო.

მეტროპოლიის დასუსტებასთან ერთად კრიზისი დაიწყო კოლხეთის ახალ სამეფოშიც, რამაც დააჩქარა მისი მოქცევა ქართულ არეალში. ასე რომ – კოლხეთი იყო არა ქართველური, არამედ – ბერძნების სამეფო ქართველურ წრეში, როგორც შემდეგში ოსტგუთების სამეფო იტალიაში, ვესტგუთების სამეფო ესპანეთში, ვანდალების სამეფო ჩრდილო აფრიკაში, როგორც ბოსფორის სამეფო ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულზე (ძვ. წ. V ს-დან).

მაგრამ ბერძნებს შემოჰქონდათ კულტურა და ეს აშკარად დაეტყო როგორც ზღვისპირეთს, ისე იქ მოსახლე კოლხებს, ელინიზებულ არისტოკრატიას.

ქალაქი იყო კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი, რომელიც თანდათან წვდებოდა დაცილებულ წერტილებს. იქ ავრცელებდა თავის ღმერთებსა და დღესასწაულებს.

სახელმწიფოს ამ საწყის ბირთვში თავს იყრიდნენ მოსახლეობის ზედაფენა, ხელოსნები, ვაჭრები, მჭედლები, ოქრომჭედლები. აქ აშენებდნენ ტაძრებსა და სასახლეებს (შდრ. – ბერძნული პოლისები).

ზედაფენას – ელიტას ქმნიდნენ სამეფო დინასტია, ქურუმების კასტა, პროფესიონალი მხედრები, რომელთა წრიდან გამოდიოდნენ სარდლები, ერისთავები, დიდმოხელეები (იხ. „ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები“).

ცხადია, ელიტა გაცილებით კარგად ცხოვრობდა, ვიდრე ჭაობებში, კლდე-ღრეებსა და ტყეებში მიმოფანტული მეჯოგე, მიწათმოქმედი, მონადირე ან მეთევზე ტომები.

## ეგრისელთა და იბერთა საცხოვრისები

VI-III საუკუნეების როგორც იბერიის, ისე ზღვისპირეთის ეგრისული ქალაქების მთავარ ქუჩაზე აგებდნენ ქვაფენილს. ჰქონდათ წყალგაყვანილობა, საკანალიზაციო კოლექტორი, აბანოები, მდინარეებზე – ხიდები (ანდრია აფაქიძე).

მოგვიანებით, I საუკუნეში მდინარე ფაზისზე გადებული ყოფილა 120 ხიდი (სტრაბონი).

გავრცელებული ყოფილა ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, წარჩინებულ პირთათვის – აკლდამები. მათ უხვად ატანდნენ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნივთებსა და სამკაულებს, რკინის იარაღებს, ცხოველთა და ფრინველთა სკულპტურულ გამოსახულებებს, მონეტებს, ჭურჭლეულს, მძივებს.

მაგ., V საუკუნის ერთი კოლხი ქალის სამარხში (ქ. ვანი) აღმოჩნდა 3.000-ზე მეტი ოქროს და ვერცხლის ნივთი და სამკაული, სამი მსახური ქალისა და ცხენის ჩონჩხები. ძირითადად – ბერძნული და აქემენიდური (ოთარ ლორთქიფანიძე).

ჩანს, რომ კრემაციას ცვლიდა ინჰუმაცია.

მაგ., წაქცეულ ქვევრში მიცვალებული წევს გვერდზე, ხელფეხმოკეცილი.

არის ვერტიკალურად ჩადგმული და დაპირქვავებული ქვევრებიც. დასამარხად იყენებდნენ ძველ, გაცვეთილ ან დაზიანებულ ქვევრებს.

დამარხვის ასეთი წესი VI საუკუნიდან ვრცელდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. „მიცვალებულის კულტი“).

იგი უნდა დაუკავშირდეს მცირე აზიიდან მიგრაციას, მევ-ენახე და მეღვინე ტომებს.

მიცვალებულს უხვად ატანდნენ რკინის შრომის იარაღებ-საც, არა მხოლოდ ოქრო-ვერცხლის სამკაულებს. მაგ., სოფელ ერგეტაში, მხოლოდ ერთ კოლექტიურ საფლავში. აღმოჩნდა 42 რკინის თოხი, 28 სახნისი, 27 ნამგლის პირი (დავით მუსხ-ელიშვილი).

უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი პერიოდი რკინა უფრო ფასობ-და, ვიდრე ოქრო-ვერცხლი, რადგან რკინისაგან მზადდებოდა ბრძოლისა და შრომის იარაღები. ამათ კი სასიცოცხლო მნიშ-ვნელობა ჰქონდა.

ასურეთში რკინა ღირებულა ვერცხლზე 40-ჯერ, ხოლო ოქროზე 5-ჯერ ძვირი (ა. ოპენჰაიმი)!

კოლხები აგებდნენ ხის ერთოთახიან, ოთხფერდა სახურავიან ერთ ან ორსართულიან ჯარგვალებს. შუაცეცხლის საკვამლე ამავდროულად სარკმელიც იყო.

VII საუკუნიდან ჩნდება  დაბური ტიპის დასახლება. შეიძ-ლება იგი მოიტანეს აქ დამკვიდრებულმა კიმერიულ-სკვითურ-მა ტომებმა, რათა ასე გამოყოფოდნენ ადგილობრივ მოსახლეთ და თავი დაეცვათ.

ასეთი დასახლება ქალაქის პროტოტიპია.

ქართლში სახლებს ხურავდნენ შემოტანილი ან ადგილო-ბრივად მოჭრილი კრამიტით.

ქალაქებს ჰქონდა თლილი ქვებით, ალიზის აგურითა და ხით აგებული ზღუდე-გალავნები და კოშკები.

ასევე შენდებოდა ტაძრები და სასახლეები, მეტწილ-ორ-ფერდა სახურავიანი. დუღაბს – კირხსნარს იყენებდნენ ძვ. წ.

III საუკუნიდან, მეფე არდამის დროიდან, რამაც შეცვალა სამშენებლო ხელოვნება ქალაქში.

მრავლად არის აღმოჩენილი ადამიანთა და ცხოველთა მცირე ზომის ანტიკური ხანის ქანდაკებებიც.

ამზადებდნენ შრომისა და ბრძოლის იარაღებს, მინისა და თიხის ჭურჭელს, ოქროსა და ვერცხლის ნივთებსა და სამკაულებს, ართავდნენ მატყლს, ქსოვდნენ შალსა და ტილოს, ღებავდნენ ქსოვილს.

შემოდიოდა უცხოური ნაწარმიც, იყო ვაჭრობა, მაგრამ მონეტა არ იჭრებოდა. იყო ბარტერული გაცვლა ან საფასურის სხვა რაღაც საზომი არსებობდა, ალბათ, სპარსული დარიკი.

აღმოჩენილია ქვებზე ამოკაწრული მრავალი ნიშანი. მათ რიტუალური და სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდათ, რომლისგანაც სხვა ქვეყნებში განვითარდა პიქტოგრამული დამწერლობა (ა. აფაქიძე).

იგოეთთან, გრაკლიანის გორის V-IV საუკუნეთა სამარხებში იპოვეს მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთი, იურიდიული დოკუმენტების საბეჭდავები (ვ. ლიჩელი).

ჩანს, რომ აქ მოსახლე ტომებს გაცილებით შეძლებულად უცხოვრიათ, ვიდრე ზღვისპირელებს. ჰქონიათ კავშირი სამხრეთის კულტურულ ცენტრებთან.

საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალში მოსახლე ქართველურ ტომებს არ უცდიათ სახელმწიფოებრივი კონსოლიდირება, ბერძნებთან და ირანელებთან დაპირისპირება.

ასე მიჰყვებოდნენ დროთა მდინარებას.

ქართველი ტომებისათვის ახალი ხსნა აღმოჩნდა ირანის იმპერიის განადგურება.

ეს იყო ისეთივე დიდი მოვლენა, როგორიც XII საუკუნეში ხეთასა და მითანის დაცემა.

ახალმა სიტუაციამ წარმოშვა ლიდერი, რომლის ნებამ და უნარმა შეძლო გაფანტული კუთხეებისა და ტომების შემოკრება, ერთიანი ცნობიერების ფორმირების დაწყება.

ეს იყო ფარნავაზი.

## 5. ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები

### აგრესიის სიმცირე და სწრაფვა კულტურისაკენ

ქართველურ ტომებს, მცხოვრებთ ანატოლიაში, ზღვისპირეთში, ამიერკავკასიაში, აკლდათ ბარბაროსული ენერგია და სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, რაც ქმნიდა სახელმწიფო სტრუქტურას, რაც იმორჩილებდა მასებს და იძლეოდა ბიძგს სხვათა ტერიტორიისა და ქონების ხელში ჩასაგდებად, როგორც ეს ჰქონდათ ასურელებს თუ ურარტუელებს.

ამას სჭირდებოდა წესრიგი, დისციპლინა, ფანატიკური რწმენა და ლიდერი, ნაკლები ჰუმანურობა და მეტი სისხლის წყურვილი. სხვაგვარად არ ფართოვდება მშობლიური სივრცე, არ ძლიერდება ქვეყანა, არ მკვეთრდება ეროვნული ხედვა, როცა მოდის სასტიკი მტერი, იმავე მიზნით შეპყრობილი. საუკეთესო თავდაცვა იყო თავდასხმა ღმერთების ნებითა და სახელით. ამიტომაც ჩვენთა წინაპართა ვრცელი განფენა სულ უფრო იკუმშებოდა და მცირდებოდა, ექცეოდა უცხო ძალის არეში.

ვერ იქნა მიღწეული ცივილიზაციური უპირატესობა მაშინაც, როცა წარმატებით ჭედდნენ ბრინჯაოსა და რკინას, რაც გადამწყვეტი ფაქტორი უნდა ყოფილიყო.

როგორც ვთქვით, ხეთასა და მითანის დაცემამ (ძვ. წ. XII ს.) აამოძრავა ქართველური ტომები და მიეცათ საშუალება, რომ შეექმნათ გაერთიანებები. მაგრამ გამოჩნდნენ უფრო ძლიერი აგრესორები – ასურეთი და ურარტუ, შემდეგ – ჩრდილოელი მომთაბარე ტომები – სკვითები და კიმერიელები.

კოლხური სატევარი დაჯაბნა კიმერიულმა აკინაკმა.

სწრაფად დაემხნენ კოლხური, დიაოხური, მოსოხური პრა–სახელმწიფოები, განადგურდა არქაული კულტურები, მათი შემქნელი ელიტა.

ეს იწვევდა კულტურის განვითარების წყვეტას, უკუსვლასა და დაცემას, მორჩილებას უცხოურისადმი.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებმა, ერთი მხრივ – არივ–დარია ქართველური ტომები, შეცვალა კავკასიისა და მცირეაზიის რუკა, მეორე მხრივ – გააღვიძა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავდაცვის ინსტინქტები. თავდაცვა კი შეუძლებელი იყო ერთიანობის გარეშე.

ამასვე აიძულებდა მუშქებსა და მათთან ერთად აღმოსავლეთისაკენ დაძრულ ტომებს ახალი გარემო, უცხო სივრცეში დამკვიდრების პროცესი, რაც მოითხოვდა როგორც შრომას, ისე ბრძოლას.

მათ არა მხოლოდ დემოგრაფიულად, არამედ – მახვილითაც უნდა დაეპყროთ ის მიწა, რაც წინაპრებმა დატოვეს ათასი წლის წინათ, XV საუკუნეში.

კატასტროფა ან კრიზისი ამავე დროს არის განახლების ძლიერი იმპულსი: ასე მოხდა მტკვარ–არაქსისა და თრიალეთური კულტურების დამხობის შემდეგ, სკვითებისა და კიმერიელების გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგაც, რამაც დათრგუნა ქართველური ტომები, მაგრამ, აიძულა მცირეაზიელი მუშ-

ქები ებრძოლათ ბედისწერის წინააღმდეგ, მოეპოვებინათ ახალი მიწა და სამშობლო.

ცხენი და მახვილი იყო მთავარი ძალა.

200 წლის შემდეგ ქართველური ტომები მონაწილეობდნენ აწ ტრადიციად ქცეულ სხვის ომში – V საუკუნის ირანელთა ცნობილ ლაშქრობებში ბერძნების წინააღმდეგ.

ჰეროდოტეს ცნობით, კოლხებს, მოსხებს, მაკრონებს, მოსინიკებს, ტიბარენებს თავზე ხის ჩაფხუტები ეხურათ, ხოლო ფარები ტყავისა ჰქონდათ.

მხოლოდ ხალიბები ყოფილან აღჭურვილი ხარის რქებიანი სპილენძის მუზარადებით, ორ–ორი შუბით.

ყველა დროში იარაღი ერთ–ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც, იგივე შეიარაღება ჰქონიათ ზღვისპირეთის ქართველურ ტომებს.

ათენელი სარდალი ქსენოფონტე ასახელებს ხალიბებს (ხალდებს), მაკრონებს, სკვითინებს, კარდუხებს, მოსინიკებს, დრილებს, ტიბარენებს.

მათ ჰქონიათ ხის გამაგრებული პუნქტები, ჰყოლიათ ბელადები. აწრთობდნენ რკინას, ამუშავებდნენ მიწას, იყვნენ მეთევზეები.

ქსენოფონტეს ცნობით, კარდუხებს კარგი მშვილდისარი ჰქონიათ. ხალიბებს სცმიათ სელის ჯავშანი; მაკრონები და დრილები გამოდიოდნენ დაწნული ფარებით; ტაოხებს თითქმის არ ჰქონიათ იარაღი. ისინი კლდეებს იშველიებდნენ.

მოსინიკები ყოფილან ყველაზე უკეთ აღჭურვილი – ეცვათ მოკლე ქიტონი, ეხურათ ტყავის ჩაფხუტი, ხელთ ეკავათ რკი-

ნის ჩუგლუგი და შუბი, ხარის ტყავგადაკრული ფარი.

კოლხებს ხის ჩაფხუტები ეხურათ.

როგორც ვხედავთ, რკინის საომარ იარაღებს ნაკლებად იყენებდნენ. ბრინჯაო და სპილენძი, მითუმეტეს – ხე და ტყავი ვერ უძლებდა რკინის მახვილებს, ხანჯლებსა და ჩუგლუგებს.

ქართველური ტომები ქვეითი და ხმელეთზე მოლაშქრენი იყვნენ.

მათ არც ცხენოსანი რაზმები ჰყოლიათ.

ასე რომ, შეიარაღებით არ გამოირჩეოდნენ. ეს მაშინ, როცა ვამბობთ, რომ რკინას და ბრინჯაოს ჭარბად ამუშავებდნენ, რომ აკეთებდნენ მრავალგვარ საომარ იარაღს, რომ კაპადოკიაში საუკეთესო ცხენები ჰყავდათ.

კიდევ უფრო ცუდად იქნებოდნენ აღჭურვილნი კიმერიელების შემოსევის დროს. ამიტომაც ვერ გაუძლეს მეომარი, ცხენოსანი, ლითონში ჩამჯდარი ბარბაროსების შემოტევას.

კიმერიელები იბრძოდნენ ორმეტრიანი რკინის ბუნიკიანი შუბებით, რკინის მოკლე მახვილებით, მშვილდისრებით, ეხურათ მუზარადები, ეცვათ ბრინჯაოს ჯავშანი.

მათ მიერ მოტანილი მახვილი – აკინაკი მთელს კავკასიაში გაბატონდა.

მაგრამ არ კმარა არც ტექნიკა, არც ტექნიკის დაუფლება. აუცილებელია სტრატეგია და ტაქტიკა, ლაშქრის ორგანიზება, რათა მეომართა მასა მოძრაობდეს და მოქმედებდეს როგორც ერთი სხეული.

მაგ., რომაელები აღჭურვილი იყვნენ ორი შუბით, ფარითა და მახვილით, რკინის მუზარადით. ლეგიონი მოდიოდა ორ ტალღად. მათ მოჰყვებოდა მესამე ტალღა, როგორც ფალანგა – ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივებით.

ჰყავდათ როგორც ქვეითი, ისე გაწვრთნილი უშიშარი ცხენოსანი ჯარი. მათთვის მეომრის ღირსება სიცოცხლეზე მეტი იყო.

ქართველი მებრძოლები ტომობრივი პრინციპით ნაწილდებოდნენ და ცალ-ცალკე ეომებოდნენ მტერს ან იღებდნენ ქალაქსა და ციხე-სიმაგრეს.

მკაცრ ორგანიზებას სცვლიდა სტიქიური თავდასხმა და თავდაცვა. მაგ., მთებისა და ტყეების რელიეფის გამოყენება, სადაც ცხენოსანი ლაშქარი ვერ გაივლიდა და ვერც სიმრავლე იყო ეფექტური, ან კლდიდან – ლოდების დაგორება, ასე მტრის დახოცვა და გზის ჩაკეტვა.

დამარცხების დროს, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ერთიანად ცვიოდნენ კლდიდან ან თავს იწვავდნენ (შდრ. – ვაჟა-ფშაველას „ბაკური“).

სულის მხნეობის მოსაპოვებლად ბრძოლის ანუ სიკვდილის წინ მღეროდნენ. მოკლულებს რომ თავებს აჭრიდნენ, მაშინაც მღეროდნენ და როკავდნენ.

ვერც ცხენოსნობით შეედრებოდნენ ჩვენი წინაპრები სტეპებზე მოთარეშე ბარბაროსულ ტომებს, ვერც სისასტიკითა და ამტანობით.

ჰეროდოტეს სიტყვით, სკვითები მოკლულის სისხლს სვამდნენ, შემდეგ გაატყავებდნენ, კანს ხელსახოცებად, მოსასხამებად და კაპარჭების ბუდეებად აქცევდნენ, თავის ქალას – სასმურებად.

მეომართა დიდი მასის გამოყვანა მომთაბარე ტომებს უფრო იოლად შეეძლოთ, ვიდრე ჭაობიან და მთა-გორიან მიწაზე მოსახლეთ.

თუმცა საუკუნეების მანძილზე ბერძნებთან ჰქონდათ კა-

ვშირი, კოლხები ძლიერი ზღვაოსნები ვერ გახდნენ, ვერ შექმნეს ფლოტი (მაგ., სალამინის ბრძოლაში მხოლოდ ათენელებმა გამოიყვანეს 180 საომარი ხომალდი), არ ჰქონიათ ზღვის კულტი, ისევე როგორც ხეთებს.

მიზეზი ის იყო, რომ შავ ზღვაში არ არის კუნძულები, რომელთა დასამორჩილებლად საჭირო გახდებოდა საბრძოლო და არა სათევზაო (მაგ., სამკაციანი) ხომალდების აგება, ზღვის სტიქიის ძლევა, საზღვაო ომები.

საბერძნეთის გარშემო კი უთვალავი კუნძულია. მათზე გადასვლა, მათი ათვისება რომ შესძლებოდათ, ბერძნებს ხომალდები უნდა აეგოთ.

ამიტომ მოახერხეს დარიოსისა და ქსერქსეს დამარცხება.

ქართველურმა ტომებმა ვერც წყალზე, ვერც ხმელეთზე ვერ მოიპოვეს უპირატესობა. ისინი უცხო ხალხების მპყრობელობისა და გავლენის არეალში აღმოჩნდნენ, რამაც დათრგუნა ურჩი, მეომარი სული და განავითარა მორჩილი ქალური საწყისი, რაც მხოლოდ სხვათა გამოცდილების გადმოტანას, დაცვასა და გადარჩენას ჰყოფნიდა.

ამიტომ ქართველურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს წარმოშობდა და ამხობდა არა შინაგან ძალთა აფეთქება და კრიზისები, არამედ გარეგანი ფაქტორები, უცხო ძალის აგრესია, ამ აგრესიის შენელება. მაგრამ არ ხდებოდა ძალთა აკუმულირება თავად აგრესიის კერისაკენ, მის მოსასპობად.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც დიაოხის, არც კოლხეთის, არც მუშქების სამეფოში მმართველი ძალა არ ყოფილან ქართველური ტომები.

შესაბამისად – ზედაფენა, არისტოკრატია და მათი ღმერ-

თები იყო ხურიტული, ბერძნული, ფრიგიული.

ეს ტრადიცია გაგრძელდა წარმართულ ეგრის-ლაზიკასა და იბერიაში.

ეგრისელები მინებდნენ ელინურ აიეტიდების დინასტიას, იბერები – ირანელებს, ვიდრე გამოჩნდებოდა რომი.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ყველაზე დაფანტული აღმოჩნდნენ ზღვისპირელი ტომები, რომელთა წვრილი გაერთიანებანი პერიოდულად ჩნდებოდა და ქრებოდა (მაგ., ხალდია, მოსხიკე, მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო).

მხოლოდ ლაზიკამ შეძლო ტერიტორიის გავრცობა და დიდხანს არსებობა.

ფარნავაზის მიერ გაერთიანებული და შემდეგ ისევ დანაწევრებული ქართველური ტომებისათვის მთავარი იყო გადარჩენა, სიცოცხლის შენარჩუნება, რაც არის მორჩილებისა და გადაგვარების გზა. მაგრამ დროებით პერიოდში ბრძოლისაგან თავის არიდება საჭიროც იყო და აუცილებელიც.

ისტორიის ბარბაროსულ სრბოლაში სიმართლეს განსაზღვრავს ძალა, ძალა ვისაც აქვს, ის აგრძელებს არსებობას.

სასიცოცხლო ინსტინქტები კი გამოიმუშავებს შესაბამის ფორმებს თავდაცვისა და თავდასხმისათვის. მაგრამ ასევე მოქმედებს მეტოქეც, რაც სიცოცხლეს აქცევს საბედისწერო ბრძოლის ველად.

ეს იწვევს ძალთა მაქსიმალურ მობილიზებასა და კონცენტრირებას, რაც ხდება პროგრესის ზამბარა მრავალთა სიცოცხლის ხარჯზე.

თრიალეთური პერიოდიდან ქართველურ ტომებში არსებობდა მთის (გორის) კულტი. საცხოვრისები, სამლოცველოები, ციხე–სიმაგრეები იგებოდა გორაზე, იმარხებოდნენ გორაზე.

აქედან ზვერავდნენ გზასა და შორეთს, რომელსაც მტერი მოჰყვებოდა. აქ უფრო იოლად უმკლავდებოდნენ უცხო ძალას, ვიდრე გაშლილ ველზე (შდრ. ბერძნ. oros – მთა და მეგრ. ორო – ჩრდილი).

ხეებით დაბურული, პირქუში და ბნელი გორები და მთები უფრო ინახავდა ნადირსა და ფრინველს, წყალსა და ლითონთა საბადოებს (შდრ – ტყის კაცი, ოჩოკოჩი, ტყაშმაფა, ალი/დალი).

ამიტომ გაიგივდა გორა გუართან, როგორც ბუნებრივად შემოსაზღვრული და დაცული ტერიტორია, ბერძნული პოლისის მსგავსი (შდრ – კოლხური დიხა-გუძუბები).

ამირანის მიჯაჭვის ადგილი არის მთა და მღვიმე.

ჩვენი წინაპრები ორიენტირებული იყვნენ თავდაცვით სისტემაზე. ისინი იყვნენ მეჯოგეები, მიწის მუშაკები, მჭედლები, ხელოსნები. მხოლოდ მშვიდი ცხოვრების შესანარჩუნებლად იღებდნენ იარაღს – თავს არ ირჩენდნენ ნაალაფარითა და მონა–ტყვეებით.

ეს კი აფერხებდა როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო პროგრესს, ვერ უსწორდებოდნენ მეომარ აგრესორებს, რომლებიც ბარბაროსული სისასტიკით ახერხებდნენ დამატებითი ძალის მოპოვებას.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ჩერქეზულმა, ჩეჩნურმა და დაღესტნურმა ტომებმა ვერ შექმნეს ვერც სახელმწიფო, ვერც დამწერლობა, ვერც ხელოვნება და დარჩნენ არქაულ–წარმართული წარმოდგენების დონეზე, თუმცა იყვნენ მეომრები და შეინარჩუნეს ენები და ტრადიციები.

ქართველურ ტომებს აგრესიის სინაკლებე უბიძგებდათ

კულტურისაკენ, სადაც გადაჭქონდათ რეალობა და ოცნება.

ეს იყო განუხორციელებელ ზრახვათა, შეკავებულ ინსტინქტთა სიმბოლური რეალიზება, კომპენსირება და სუბლიმირება.

ფარნავაზამდელი ჩვენი წინაპრები ავლენენ ყველა იმ ნიშანთვისებას, რაც მკვეთრად გაიშალა ისტორიულ პერიოდებში:

ეს არის ინდივიდუალიზმი, გადარჩენის ინსტინქტი, სახელმწიფოებრივი შეგნების სიმცირე და სწრაფვა უცხოური კულტურისაკენ.

უცხო ყოველთვის სანიმუშო იყო. ხოლო ლიდერს არ სცნობდნენ, რადგან ყოველ ბელადსა და დიდგვაროვანს მხოლოდ თავისი თავი წარმოედგინა ერთადერთ ლიდერად (შდრ. გიორგი მეფის სიკვდილისწინა სიტყვა „დიდოსტატის მარჯვენაში").

მეტს ფიქრობდნენ კომფორტსა და კარგ ცხოვრებაზე, ვიდრე თავდაცვის აუცილებლობაზე, იარაღსა და ტექნიკაზე.

როგორც ჩანს, ქართველურ ტომებში კულტურის ნიმუშებზე, შრომის იარაღებზე გაცილებით მეტი ლითონი იხარჯებოდა, ვიდრე საომარ აღჭურვილობაზე.

ასევე მოქმედებდა მკვეთრი ინდივიდუალიზმი.

ესეც ჩამოაყალიბა ტომობრივმა პრინციპმა, როცა ვერ ხერხდებოდა ინდივიდების ეგოისტურ მისწრაფებათა დათრგუნვა კოლექტიური ერთიანობის სახელით ლიდერის (ბელადის, მეფის) მიერ.

ამიტომ მტკვარ–არაქსის, თრიალეთისა და კოლხეთის კულტურები უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე მათი აქტივობით შექმნილი პრა-სახელმწიფოები, ცალკეული ტომობრივი გაერთიანებანი.

სახელმწიფოს არქონა, მუდმივად სხვათა მპყრობელობისა

და გავლენის სფეროში ყოფნა კულტურასაც უმცირებდა თავისთავადობას, კვალს ამჩნევდა ფსიქიკასა და ხასიათს.

ხათებს, ქაშქებს, ქაშაგებს, ხურიტებს, ურარტუელებს, ალბანელებს, ვაინახებს, დაღესტნელებს, კოლხებს, მოსოხ-იბერებს არ აღმოაჩნდათ ძალა, რათა დაეძლიათ ტომობრივი და ენობრივი დანაწევრება.

ეს არის საერთო იბერიულ-კავკასიური თვისება.

ისინი მუდმივად კარგავდნენ საარსებო სივრცეს ან ქრებოდნენ ისტორიის არენიდან, იცვლიდნენ საცხოვრისს, იცვლიდნენ პოზიციებს.

მხოლოდ რწმენა და პირადი სიმამაცე ბედისწერას ვერ შეაბრუნებდა. ქართველური ტომები და ქართველები იყვნენ ამთვისებელი, სხვათა როლების შემსრულებელი და არა ახალი მოდელების შემოქმედი, რომელთაც სხვა აიტაცებს, მიბაძავს და განავითარებს, როგორც ეს ხდებოდა ევროპაში.

ამ ქალური საწყისის საპირისპირო მოვლენა აღმოჩნდა სტალინი – ცივსისხლიანი არიმანი (გრ. რობაქიძე).

## კულტურის ელიტურ-მასობრივი დიფერენციაცია

როგორც წესი, წარსულზე, ისტორიასა და პრეისტორიაზე ვმსჯელობთ სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით, რასაც მოსდევდა ტერიტორიის გავრცობა, მოსახლეობის ზრდა და აღმშენებლობა ან – ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის ამოწყვეტა და ქვეყნის გაჩანაგება.

კულტურაზე ვმსჯელობთ საუკეთესო და გადარჩენილი ნიმუშების მიხედვით, რასაც ქმნიდა, რაც ეკუთვნოდა სამეფო, რელიგიურ და ინტელექტუალურ ელიტას, რომელსაც წინ მიჰყავდა პროგრესი. მაგრამ თითქმის უცნობია თუ როგორი

იყო მასა, რომლის ოდენობა ქვეყანაში მოსახლეობის 95% მაინც აღწევდა.

მათში ისევ მძლავრობდა ველური და ბარბაროსული ყოფა, ჩვევები, მეტყველება, სიბნელე და უვიცობა, რომელშიც ძლივს ატანდა კულტურის შუქი, როგორც მზე სქელ ნისლში.

მაგ., ჰერაკლიტე პონტოელი ჰენიოხებზე წერს, რომ ესენი იყვნენ კაციჭამია და ადამიანის ტყავისგამხდელი ტომი; კედართა ქვეყანაში გვამებით იკვებებოდნენ (ფსევდო-მეთოდიოსი); აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ჭანების დიდი ნაწილი ყაჩაღობით ირჩენდა თავს; სვანთა სიახლოვეს უცხოვრიათ ტილიჭამიებს; ლეონტი მროველის სიტყვით, ფარნავაზამდე ქართლში ველურების წესით ცხოვრობდნენ.

ყველგან ასე არსებობდა ელიტარულ-კულტურული და მასობრივ-ბარბაროსული წეს-ჩვეულებანი.

ელიტა იყო წესრიგის, ღმერთების ნებისა და კანონის გამომხატველი და დამცველი, ნიმუში და ეტალონი, შეჭურვილი ცხენოსანი მეომარი.

ელიტა თავისი სიმაღლიდან უფრო შორს იხედება. იგი ხელს უწვდის სხვათა გამოცდილებასაც. ამიტომ ჰქონდა ტაძრებსა და სასახლეებს, მეფეთა და ქურუმთა სამოსელსა და ნივთებს ბრწყინვალება. მისი ანარეკლი თვალს სჭრიდა მასას და კრძალვით განაწყობდა.

მასის სისხლი და ოფლი ქმნიდა საარსებო პირობებს, ადუღაბებდა ტაძრებსა და სასახლეებს, იცავდა მათ. მაგრამ მის მარჯვენას, მის მზერას წარმართავდა უმაღლესი ერთი – მეფე – ქურუმი.

მასა იყო კვარცხლბეკი, ელიტა – ქანდაკება. ქანდაკებას ყველა ხედავდა, კვარცხლბეკს მხოლოდ ახლოდან თუ მიაპყ-

რობდნენ მზერას, ისევ როგორც ყველა უყურებს ხის ტოტებს, მაგრამ არავინ ფიქრობს ფესვებზე.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეაღწევდა აქტიური და ნიჭიერი პირი მასიდან ელიტაში, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ხანაში (მაგ., სარგონი, რომელიც, მიტოვებული დედმამისგან, გაზარდა მებაღემ. შემდეგ კი დააარსა აქადი, შეცვალა ქურუმთა ოლიგარქია, შექმნა დიდი ჯარი და გააერთიანა ქვეყანა – ძვ. წ. XXIV ს.). ალბათ ასე ხდებოდა ქართველურ პრა–სახელმწიფოთა უცხოურ ზედაფენაშიც.

მასა იყო ნედლეული, რომლისგანაც მეფე – ქურუმი ზელდა ქვეყნის ხატს, როგორც თიხისაგან უფალი–ადამს.

მხოლოდ ძალა და ღმერთები თუ შესძრავდნენ მასის ცნობიერებას. ღმერთებს, რიტუალებს, დამწერლობას აყალიბებდნენ ქურუმები ანუ ქმნიდნენ სულიერ კულტურას, ცხოვრების წესს.

მჭედლები, ოქრომქანდაკებლები, მეთუნეები (მეჭურჭლეები), კირითხურონი, ჭიქათმოქმედნი, მქსოველები მათ აძლევდნენ რეალურ და სიმბოლურ ნივთიერ სახეს (იხ. „ქართველური არქაიკის არტეფაქტები“).

ისინი ითვალისწინებდნენ უცხოურ გამოცდილებას. მაგრამ ამოდიოდნენ თავიანთი ფანტაზიიდან, მშობლიური წარმოდგენებიდან.

ამიტომ მიეცა სპეციფიკური, განსხვავებული სახე მტკვარ–არაქსის, თრიალეთისა და კოლხურ კულტურებს, კოლხურ ცულსა და დიხა–გუძუბებს, თრიალეთურ კერამიკას, თრიალეთურ ყორღანებს, საერთოდ ქართველურ ტომთა სამარხებსა და საცხოვრისებს, გორებსა და სამლოცველოებს.

არტექფაქტები იქმნებოდა ელიტისათვის. საკუთარ მიწასა და ღმერთებს იცავდა, კრავდა და განავრცობდა ხელისუფალი

(მეფე, ბელადი, მთავარი), რომელიც ემყარებოდა სამხედრო ძალას, მეომრებსა და სხვადასხვა საბრძოლო იარაღს, რწმენასა და შთაგონებას. იგი მეომარი უნდა ყოფილიყო.

არისტოკრატისათვის ფიზიკური შრომა სამარცხვინოდ ითვლებოდა. მაგ. ხეთების მეფე თელიფინუმ დიდებულებს იარაღი აჰყარა და ხელთ მისცა გუთანი (ძვ. ტერმინით – ერქვანი).

ეს იყო მძიმე სასჯელი.

ასე რომ, სახალხო დემოკრატიის უზურპაციის შემდეგ განიყოფოდა ელიტისა და მასის გზები, ცხოვრება, კულტურა და ცნობიერება. მაგრამ მომავლისაკენ მასა, ქვეყანა და კულტურა მიჰყავდა ელიტას.

როცა ქვეყნის სათავეში იდგა უცხო ტომის მმართველი და ზედაფენა, ეს ანელებდა მასის აქტივობას და ზრდიდა გაუცხოებას. ელიტას კი ყოველთვის ჰქონდა გარესამყაროსადმი მიდრეკილება.

ასე იყო ქართველურ ტომებშიც, რომელთაც მართავდნენ უცხოელები – ხურიტები, ბერძნები, ირანელები, ფრიგიელები, ხეთები.

აქვე უნდა გავიხსენოთ კულტურისა და ცივილიზაციის განყოფა. კულტურა მოდის ღმერთებისაგან, სულიდან, ცივილიზაცია – ტექნიკიდან, გონებიდან.

ქართველური ტომების ელიტას, ისევე როგორც შემდეგ – წარმართულ და ქრისტიანულ პერიოდებში, ჰქონდა დიდი კულტურა, რასაც ადასტურებს მრავალი არტეფაქტი და მდიდრული სამარხი. მაგრამ პრა–სახელმწიფოები და გაერთიანებები ჩამორჩებოდნენ ცივილიზაციურად, რაც ნიშნავს სახელმწიფოებრივი წესრიგის, მატერიალური ძალის, ტექნიკური აღჭურვის ნაკლებობას.

მასა როგორც კულტურულად, ისე ცივილიზაციურად ჩამორჩებოდა ზედაფენას. ვიწრო იყო მისი თვალსაწიერი, ინტერესები – შეზღუდული.

იგი იყო ის ნიადაგი, რომლიდანაც ამოდიოდნენ ელიტარული ყვავილები.

ელინებმა შექმნეს უდიდესი კულტურა. იგი წარმოიშვა პოლისებში, როგორც კონტინენტურ საბერძნეთში, ისე ხმელთაშუა ზღვის, ეგეოსის ზღვის, შავი ზღვის სანაპიროებზე, კიკლადებსა და სპორადებზე.

პოლისების გაერთიანება პრაქტიკულად არც უცდიათ ანუ ვერ ჩამოაყალიბეს ერთიანი სახელმწიფო, რაც ამ კულტურის შესაბამისი ცივილიზაციური გაფორმება იქნებოდა, როგორც ეს მოხდა რომში.

ამიტომ იოლად დაემხო ელინური პოლისები და მიწაში ჩავიდა კულტურა.

არქეოლოგიური მასალა წარმოდგენას იძლევა ელიტაზე, რადგან იგი გვაცნობს იმ საუკეთესოს, რაც მაშინ არსებობდა.

სამარხები ეკუთვნით ბელადებს ან ქურუმებს. მათ მდიდრულად მარხავდნენ. მასის რიგითი წევრების ან თუნდაც შეძლებული ხალხის საფლავები გამქრალია.

მდიდრულ სამარხებში ჩატანებულია საუკეთესო ნივთები, რაც მაღალ წრეს ეკუთვნოდა. ასეთი სამკაულებით ან ჭურჭლეულით ვერ ისარგებლებდა მიწის მუშა ან მეჯოგე. ასე რომ ქართველურ ტომებს ყოველთვის ჰყავდა თავისი არისტოკრატია.

ჩვენ არ ვიცით, რა ერქვათ მასის წევრებს. ხოლო ელიტა ორიენტირებული იყო უცხოეთზე ან თავად იყვნენ უცხოელე-

ბი. ამიტომ ჰქვიათ მათ ხურიტული, ხეთური, ბერძნული, ირანული თუ სკვითურ–სარმატული სახელები.

ამ მხრივ თითქოს თანამედროვე ქართველებს არაფერი აკავშირებთ უძველეს წინაპრებთან – მათი სახელები ჩვენთვის უცხოა.

იგივე ითქმის სატომო სახელებზე – ჰენიოხი, კოლხი, მოსინიკი, ლაზი, ხალიბი, მაკრონი.

ისინიც უცხოელების მიერაა შერქმეული და ჭირს ეტიმოლოგიური ახსნა (მაგ., ხალიბებს რკინას უკავშირებენ, შკვითინებს – შვიდსოფლელებს, მოსინიკებს – ხის კოშკში მცხოვრებთ თუ თითბერს, ჰენიოხებს – მეეტლეებს, კოლხებს – კოლას ოლქს). მაგრამ ჩვენი წინაპარიც ხომ ეძახდა რაღაც სახელს თავის გვარტომს, თავის ტომს.

სამაგიეროდ ზოგი უცხოელის, ვთქვათ, ხეთელის სახელი იწვევს ქართულ ასოციაციებს – ხუცია, ფილია, თუთხალია, ხანთილი, მასხუილუვა, თავანანა, წყაროს ღმერთქალი ისხასხურია, ღმერთქალი იაია.

შედარებით უფრო უნდა იყოს მოღწეული ტოპონიმები, რადგან ისინი ელიტასა და მასას თანაბრად ეკუთვნოდათ. მათი წარხოცვა დღეს უფრო ხდება, ვიდრე ძველად.

ისტორიას ტოპონიმიკა უფრო სრულად ინახავს, ვიდრე ონომასტიკა. მხოლოდ სამარხების მიხედვით მსჯელობა კი, როგორც ვთქვით, ძნელია, რადგან იძლევა ცალმხრივ სურათს, რომლის მიხედვით ეთნიკური კუთვნილების გარკვევა პირობითად თუ შეიძლება.

ღმერთებზეც თითქმის არაფერი ვიცით, ეს მაშინ, როცა ხეთებს განაწილებული ჰყავდათ, ფუნქცია და ადგილი ჰქონ-

დათ მიჩენილი 1000, ბაბილონელებს – 2.500, ეგვიპტელებს – უფრო მეტი ღვთაებისათვის.

არც ჩვენი წინაპრები იქნებოდნენ გამონაკლისი.

ფიქსირებულია ანუ ოფიციალურია და აღიარებული არაქართული ღმერთები (იხ. „წარმართული ღმერთების არმაზული პანთეონი“).

მშობლიური ენობრივი წრიდან ამოსული ადგილობრივ ღვთაებათა სახელები კი მხოლოდ ზეპირად შემორჩა ხალხის მეხსიერებას ან ძალიან გვიან მოხდა ფიქსირება. ამიტომ ეს არის ფოლკლორის ნაწილი, რომელიც წარმოშობის ქრონოლოგიას ვერასოდეს გაგვირკვევს. მხოლოდ უცხოურ წყაროებს, უცხო ავტორებს შეაქვთ სინათლის სხივი ჩვენს არქაიკაში, რომელიც სამარხებში ცოცხლობს.

ამიტომ უძველესი პერიოდის რეკონსტრუქცია ჰიპოთეზურად თუ მოხერხდება, სადაც ფანტაზია მეტია, ვიდრე დოკუმენტური მასალა.

კულტუროლოგები იშვიათად ახსენებენ ქართულ კულტურას. ისტორიის რუკაზე მისთვის ადგილი არ არის გამოყოფილი. მაგ., არნ. ტოინბის მიერ კლასიფიცირებულ 34 კულტურას შორის არც განვითარებულად, არც თანამგზავრად, არც განუვითარებლად ჩვენ არ ვიწოდებით.

## სახელმწიფო და დამწერლობა

უცხოური კულტურული ცენტრები ააქტივებენ ერის მოქმედებას. მაგრამ თუ სუსტია ეთნოწარმონაქმნი, თუ სუსტია თვითშეგნება, მაშინ იგი ნებდება ძლიერ ძალას და შეიძლება თავიც დაკარგოს და ენაც, არათუ გამაგრდეს.

საერთოდ – ენის კვდომა ან მკვეთრი სახეცვლა უკავშირდება ისტორიულ პროცესებს – მარცხსა და დაცემას, ან – მიგრაციას, ხალხთა განტოტვას, ურთიერთიზოლირებას, სახელმწიფოს პრობლემას.

დამარცხება სხვა ტომებთან აღრევასა და ასიმილირებას ნიშნავდა, რაც ენის სიკვდილიც იყო.

მ. სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, რომელსაც იყენებენ ლინგვისტები (ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვლილების ერთნაირი სიჩქარე ყველა ენაში), არ ითვალისწინებს ისტორიულ პროცესებს, ერების შეჯახებას, რაც აჩქარებს დროს – ენათა აღრევასა და შერწყმას, დაშლასა და განცალკევებას.

სახელმწიფოებრიობის საწყისს ქმნიდა მონათესავე ტომების დასახლებული ტერიტორია. მათ უნდა ჰქონოდათ ერთი ენა, გამაგრებული ცენტრი – ციხე–ქალაქი, ჰყოლოდათ ერთი ხელისუფალი, საერთო ღმერთები და ქურუმები, შესძლებოდათ მეტნაკლებად დაეცვათ ბუნებრივი ზღუდეებით (მთა, ზღვა, მდინარე, უდაბნო) შემოსაზღვრული საცხოვრისი.

ასეთი ერთეულები მრავლად იყო გაფანტული. ამიტომ იწყებოდა ბრძოლა ინტეგრირებისათვის, სხვათა საძარცვავად და დასახარკად, მათი მიწების დასაუფლებლად.

უცხოსა და ნათესავის განმასხვავებელი მთავარი ნიშანი იყო ენა. სუსტი ან არარსებული ცენტრალიზების გამო ტომთა გაერთიანებაშიც ბევრს თავისი ენა ჰქონდა, რაც აჩქარებდა განკერძოებას.

მსოფლიოში დღეისათვის ითვლიან 5.000–მდე ენას (ზოგი მეტს, ზოგი – ნაკლებს). მათგან განვითარებული სახელმწიფო ენები გაცილებით ნაკლებია იმ ქვეყნების რიცხვზე, დღეს გა-

როს წევრები რომ არიან (ინგლისურია 62 ქვეყნის მთავარი ენა, მაგ., დიდი ბრიტანეთის, აშშ–ის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის).

ძველ დროში კი, როცა არ არსებობდა სახელმწიფო სტრუქტურა, სუსტი იყო ყოველი კულტურულ–ცივილიზაციური წარმონაქმნი, კონკრეტული ენაც სუსტი და ლაბილური იყო და მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეს აკავშირებდა.

არქაულ პერიოდში ენას სიმყარეს აძლევს უცვლელი საგნები (მაგ., მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მიწა და წყალი, ცა, ჰაერი და ცეცხლი, მცენარეთა და ცხოველთა, სექსის, კვების, მშობლების აღმნიშვნელი სახელები), პირველად წარმოდგენათა წრე.

ხოლო ახალ საგანთა შემოსვლასა და ათვისებას მოაქვს ახალი ლექსიკური მარაგი, ხშირად – უცხოური.

ენა მანამდე ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, ვიდრე არ დარღვეულა მისი მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქციები.

ენათა სიმრავლიდან ისტორიულად ის გამოიყოფოდა, რომლის მტარებელ ტომსაც შეეძლო სხვა ტომთა დამორჩილება, ასიმილირება ან მათში უსისხლოდ შეღწევის უნარი ჰქონდა.

მონათესავე ტომთა ერთად ყოფნა, ერთ სივრცეში თანაარსებობა კონფლიქტის მიზეზი ნაკლებად იქნებოდა. მაგრამ ერთ ტერიტორიაზე ვერ იარსებებდა ორი ძირითადი, ავტოხთონური ეთნოსი. ტომთა სახელმწიფოებრივი კონსოლიდირება წარმოშობს დამწერლობის შექმნის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ერთი ენით სივრცეში განფენილი მოსახლეობის მართვა, დამორჩილება ერთნაირი ღმერთებისა და რიტუალებისადმი.

ქართველურ პრა–სახელმწიფოებს არ ჰქონიათ დამწერლობა, მითუმეტეს – ანბანი. ქურუმთა კასტა ემსახურებოდა უცხო ღმერთებს, დინასტიაც იყო უცხოური.

ადგილობრივი ფეტიშები, ღმერთები და ანიმისტური წარმოდგენები კულტურის ცენტრებიდან განდევნილი იყო.

ისინი ძველებურად თავს აფარებდნენ მღვიმეებს, მთებსა და ტყეებს, მიწურებს, სადაც ჰქონდათ გვარ–ტომებს სალოცავები.

დამწერლობა, ცოდნის საიდუმლო, რიტუალების მისტიკა ებარა ქურუმებს.

ძლიერი სახელმწიფოც კი იღებდა სხვის ანბანს, მოარგებდა მას თავისი ენის სპეციფიკას და აყალიბებდა სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენას. მაგრამ როცა სახელმწიფოს მართავდა უცხო ელიტა, იგი არჩევდა თავის წრის კულტურას, ან – ორიენტირს იღებდა განვითარებულ, დიდ კულტურაზე (მაგ., ინგლისში საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო ენა იყო ფრანგული, რუსეთის სამეფო კარისათვის სანიმუშოდ ითვლებოდა ფრანგული და გერმანული).

კოლხები ადრევე მოექცნენ ბერძნულ არეალში, მათ მართავდნენ აეტიდები. ამიტომ არ წარმოქმნილა კოლხური ენით სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების მოთხოვნილება ან დამწერლობის შექმნის აუცილებლობა.

ელიტის ინტერესებს აკმაყოფილებდა ბერძნული კულტურა.

მცირეაზიელი მუშქები, მათი მეზობელი ტომები სარგებლობდნენ ხეთური ენით, ხეთური დამწერლობით.

მათთვის სანიმუშო იყო ჯერ ხეთური კულტურა, ღმერთები და ცხოვრების წესი, შემდეგ – ფრიგიული.

მოგვიანებით ასევე მოხდა იბერიაში, სადაც ბატონობდა ირანული და არამეული ენები, ირანული წეს–ჩვეულებანი, მაზდეანური რელიგია.

სახელმწიფოს კი წარმართავდა, კულტურას განსაზღვრავდა მმართველი დინასტია და ქურუმების კასტა (იხ. „ქართული ენა და მწიგნობრობა ქართული").

ამრიგად, პრა–ქართულ სახელმწიფოებს და ქართველურ ტომებს არ ჰქონიათ დამწერლობის შექმნის მოთხოვნილება და საჭიროება, ნაციონალიზების პროცესი არ იყო მკვეთრი და ძლიერი, რომ დაპირისპირებოდნენ კულტურულ–რელიგიურ აგრესიას. თუნდაც ამიტომ იყრის თავს ქართველურ ენებში ადრევე შეთვისებული ამდენი ლექსიკური ძირი, რაც გავლენას ახდენდა ენობრივ მსოფლხედვაზე (გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

## 6. მუშქები და KARDA - ქართლი

მცირე აზიიდან უკუქცეულმა მუშქებმა (მესხებმა) ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩამოაყალიბეს რამდენიმე გაერთიანება, რომელთაც იბერია დაერქვა.

მათ მოსახლეობას ეკავა დღევანდელი ქართლისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორია – „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა". ისინი მტკვარს მოჰყვებოდნენ და ამ მდინარის გაყოლებით დააარსეს ოძრხე, ურბნისი, უფლისციხე, სარკინე, მცხეთა.

ოძრხე და ზანავის უბანი, სხვა მსგავსი ტოპონიმები იმაზე მეტყველებს, რომ მესხურ ნაკადს ახლდნენ კოლხური ტომებიც, ალბათ სხვებიც (მაგ., ფახუველები – ფხოველები).

მცირე აზია მუშქების შთამომავალთა მეხსიერებას შემორჩა როგორც „არიან ქართლი“, ე. ი. ირანის ტერიტორიაზე არსებული სამშობლო (დარიოსის მიხედვით, ირანელთა თვითსახელი ნიშნავს არიელთა ქვეყანას. ძვ. ინდური arya არის სახლის პატრონი, რაც მოდის თანატომელისაგან).

ამის გამო არსებობდა გადმოცემა, რომ ქართველები მცირე აზიიდან მოსულან დღევანდელ ტერიტორიაზე, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დანიშნული აზონი იყო ქართველთა პირველი მეფე.

არსენ მეტაფრასტის სიტყვით (XII ს.), „გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველთაგანი და დაეშენნეს ... ქართლს“, „ჩუენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენაჲ მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილისშვილნი არიან“.

აზონს არიან – ქართლიდან გადმოუყვანია ათასი სახლი (ოჯახი) მდაბიოთა და ათი სახლი მთავართა თავიანთი კერპებითურთ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ეს რიცხვი შემცირებულია – შესაბამისად რვა სახლი და ათი სახლი, რაც გადამწერთა შეცდომად მიაჩნიათ (პ. ინგოროყვა).

მოვსეს ხორენაცის ცნობით (V ს.), ქართველთა აყრა და გადმოსახლება მომხდარა ნაბუქოდონოსორის დროს, ე. ი. VI საუკუნეში.

ასეთი ფაქტების მიხედვით მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ჩვენი წინაპრები სამხრეთიდან არიან მოსული, რომ არა ვართ აბორიგენები.

ამასთან ერთად ქართული ანბანის შექმნასა და მის ძირებსაც წინააზიას, კერძოდ, არამეულს უკავშირებდა (შდრ -

გალაკტიონ ტაბიძე: „ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს“).

ქართველურ ტომთა მცირე აზიიდან გადმოსახლების თეორიაც ევროპელ ისტორიკოსებს ეკუთვნოდათ.

მას იზიარებდა ნ. მარი, ემხრობოდნენ ქართველი მწერლებიც – გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი.

მაშინ ჯერ არ არსებობდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა, არ იყო აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის, ბედენის, თრიალეთის, კოლხური მატერიალური კულტურები. სრულად არ იყო გამოვლენილი და წაკითხული ლურსმული წარწერები, გამოკვლეული – წინააზია და მცირე აზია. თუმცა მაშინაც ბ. კუფტინი იცავდა ქართველური ტომებისა და კულტურის ავტოქტონობის იდეას, განსხვავებით ივ. ჯავახიშვილისაგან.

როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ინდოევროპული ენების მიხედვით karda არის შემოღობილი ადგილი, გალავანი, ციხესიმაგრე; გოთ. gards – სახლი, ძველსაქს. gard, ძველინგლ. geard, ძველინდ. grha, ძველირ. gort. ფრიგ. gordum - ქალაქი.

ასევე საინტერესოა, რომ პელაზგური karda არის ქალაქი (ვლ. გეორგიევი).

ხურიტული ard ანალოგიური მნიშვნელობისაა.

მაგრამ ინდოევროპულში, ამავე დროს, arta და ard არის ღმერთი, ხოლო kardia - გული. მაგ., ხეთურ მიმართულებით ბრუნვაში გული არის karta (ქართა).

სემიტური კართაგენის ფინიკიური სახელია kartha hadatha (ქართა ჰაბათა) – „ქალაქი ახალი“. არამეულად ქალაქი არის karta (ქართა).

როგორ შევათავსოთ, რომ ერთი ძირი აქვთ ღმერთს, გულს, სახლს, ციხე-სიმაგრეს, ქალაქს?

ყველა მათგანი გამოდის სიცოცხლის ბირთვის დაცვისაგან და ამან მისცა სიტყვას პოლისემიური აზრი.

ადრე ამ სიტყვის სანაცვლო უნდა ყოფილიყო ვანი – სადგომი (ამ სახელწოდების არაერთი პუნქტია საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე).

ასე რომ – სიტყვა „ქართლი“ მესხურმა ტომებმა მოიტანეს მცირე აზიიდან, როგორც  ციხე-სიმაგრისა და ქალაქის შესატყვისი, რომელიც შემდეგ განივრცო და დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა.

ხეთები აგებდნენ ქალაქ-სიმაგრეებს ქვის კედლით, მაღალ ადგილზე (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

მუშქებიც ასევე იქცეოდნენ. მაგ., მეფე მითას (მიდასს) თავისი გორდიონი გალავნით არ ჰქონდა შემოსაზღვრული. სამაგიეროდ გარშემო, ოთხ ბორცვზე, იდგა ციხე-სიმაგრეები. ერთი მათგანი იყო მეფის სასახლე და ბანაკი.

ეს ტრადიცია გადმოიტანეს მტკვრის ხეობაში.

ამიტომ დაარქვეს მცხეთასთან ციხე-სიმაგრეს „მთა ქართლი“.

აღსანიშნავია, რომ მეგრულში ქართი არის თბილისი. ქართლის შესატყვისი არ არსებობს, ხოლო ქართველი (ანუ ქართლელი) არის ქორთუ/ქორ-თური (ქორი – სახლი ძვ. ქართულსა და სვანურში, თური – ტომელი მეგრულში).

მაგრამ მეგრულს გააჩნია სიტყვა – ქართა, რაც ნიშნავს ბაკს – საქონლისათვის შემოკავებულ ადგილს ანუ აქაც მივდივართ ინდოევროპულ და სემიტურ წრესთან, karda-სთან.

ჯერ არ არსებობს ქართველური ტომების საერთო სახელი. იგი საკმაოდ გვიან გაჩნდა.

ასევე არ არსებობს ერთიანი ენა, ერთიანი რელიგია, ერთიანი ტერიტორია და ნაციონალური თავისთავადობის იდეა, შესაბამისად - ერთიანი კულტურაც.

დაშლილ ტომებს, პოლიტიკურ გაერთიანებებს აქვთ მხოლოდ ნათესაობის გრძნობა და აზრი.

სახელმწიფოებრივი მთლიანობის ცნება არც ჩვენი წინაპრების, არც უცხოელების წარმოდგენაში არ იყო. ისინი ხედავდნენ იმ რეალობას, რასაც დღის ნაწილებად ვღებულობთ და დღევანდელი თვალთახედვით ვაერთიანებთ.

ამ ნაწილებს ჯერ ტომთა, შემდეგ ტომთა პირველადი ინტეგრირების სახელები ერქვათ – კოლხა, დიაოხი, მუშქების სამეფო, მოსხიკე, ხალდია, ტაბალების სამეფო, იბერია, ლაზიკა, ეგრისი, მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო...

უფრო გამძლე აღმოჩნდა კოლხეთისა და იბერიის სახელები. ელინისტური პერიოდის ბერძნულ ტერმინ იბერიას უკავშირებენ სასპერებს, სპერის პროვინციას (სპერი→იბერი).

ხოლო სპარსული და არაბული გურგ (აქედან – გურჯი) სათავეს იღებს მგლის ტოტემური სახელიდან.

ასურული მუშქი შეცვალა ბერძნულმა იბერმა, რაც საბოლოოდ ვერ აღმოჩნდა გამაერთიანებელი ცნება და იგი განდევნა ქართლისაგან (karda-საგან) წარმოქმნილმა ქართველმა და საქართველომ.

# 7. ქართული სახელმწიფოს წარმოშობა
## (ძვ. წ. III ს.)

### გადაგვარების პროცესი

V-IV საუკუნეების ზღვისპირა ტომების მსგავსად იბერიაშიც კლასობრივი დიფერენცირების პროცესი მძიმედ წარიმართა. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევების შედეგად დაფანტული და დაკნინებული მასები უკუიქცნენ ბარბაროსობისაკენ.

არისტოკრატიას კომფორტი, მდიდრული ცხოვრება და უცხოური კულტურა ხიბლავდა. განმაახლებელი, გამაერთიანებელი მოტივი არ არსებობდა.

ქართველური ტომები გადაგვარებისა და ასიმილირების საფრთხის წინაშე დადგნენ, ნაცვლად იმისა, რომ გამოემუშავებინათ ეროვნული შეგნება.

ერთი მხრივ, ბერძნებსა და ირანელებს შემოჰქონდათ უფრო მაღალი კულტურა და ცივილიზაცია, ვიდრე ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეთ, მეორე მხრივ – ეს ამუხრუჭებდა ხალხთა აქტივობას, ნაციონალობის შეგნების განვითარებას.

ქურუმები უცხო რელიგიის მსახურები აღმოჩნდნენ, თუმცა დარჩა ადგილობრივი ღმერთებიც, მაგრამ ადგილობრივი ღმერთები და მეტყველება კულტურის ცენტრებიდან და ტაძრებიდან განდევნეს.

უცხო ენა და ცხოვრების წესი სამაგალითო გახდა.

უცხო იქცა აღმატების და სანიმუშოს ეპითეტად – საუცხოო, ე. ი. საუკეთესო. ეს მაშინ, როცა ბერძენისათვის უცხო ბარბაროსია, ებრაელისათვის – გოიმი, რომაელისათვის – მტერი.

ქართველური ტომები ისევ უცხოელთა მმართველობაში იყვნენ მოქცეული: სპერი-იბერია – ირანის XVIII სატრაპია, ჭოროხ-ტრაპეზუნტის მოსახლენი – XIX სატრაპია, ეგრისი – ბერძენთა სამეფო და აქემენიდების მოხარკე (სპარს. hark. შდრ. ხეთური harki - ხარკი, რაც თეთრს, ვერცხლს ნიშნავს).

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლში ექვსი ენა ყოფილა გავრცელებული – სომხური, ქართული, ხაზარული (რაც ნიშნავს ირანულს), ასურული, ებრაული და ბერძნული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" მათ უმატებს ბუნთურქებსა და ჰონებს.

ბატონობდა ბარბაროსული ცხოვრების წესი – სიძვა, ნათესავთა განურჩევლობა და კანიბალიზმი – „მკუდარსა შესჭამდეს".

უცხო ტომთა სიმრავლეში იბერიელებს ახლა თავად ელოდათ ასიმილირება. ქართულ ლექსიკას სდევნიდა უცხო სიტყვები. მაგ., დაიკარგა ტოტემური და სალოცავი ხის – წყანის (მეგრ. ჭყონი) სახელი. მისი ადგილი დაიკავა დაღესტნური ტომების „მუხამ". ვაინახურმა „ხემ" მნიშვნელობა უცვალა ქართულ ძელს (მეგრ. ჯა, შდრ – სვან. ჯიჰრა – მუხა). ქართული ვერ სძლევდა უცხო ტოპონიმიკას და ონომასტიკას.

ქართლის გადარჩენა მხოლოდ ძალთა ახალ გადანაწილებას, რღვევა-დაპირისპირებას, მეტროპოლიის დამხობას თუ შეეძლო.

ეს ასეც მოხდა და დიდი განახლება დაუკავშირდა ალექსანდრე მაკედონელის სახელს, ბერძნულ სამყაროს, ირანის დაქცევას.

## ᲮᲡᲜᲐ: ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐ

ალექსანდრემ 334 წლის გაზაფხულზე გადმოლახა ჰელესპონტი და ფეხი შედგა აქემენიდების მცირე აზიაში.

ჰყავდა 5 000 ცხენოსანი და 30 000 ქვეითი მეომარი, დამხმარე რაზმები და 160 ხომალდი.

ალექსანდრემ რამდენიმეჯერ დაამარცხა დარიოს III, ხოლო საბოლოოდ 331 წელს გავგამელის ბრძოლაში გაანადგურა ირანელები.

შემდეგ ბრძოლით ინდოეთამდე მიაღწია და ლაშქრობა შეწყვიტა მაშინ, როცა ჯარმა უარი თქვა ახალ ომებზე.

324 წელს იგი ბაბილონში დამკვიდრდა და შეუდგა დაპყრობილი ქვეყნების მართვის ორგანიზებას.

ამ დროისათვის უნდა ყოფილიყო აზონი იბერიაში გამოგზავნილი. იბერიასაც ახალი მმართველი უნდა ჰყოლოდა. ძველი დაემორჩილებოდა თუ არა, სულერთია, მაინც განდევნიდნენ.

აზონმა შეცვალა ირანელთა მიერ მცხეთის მამასახლისად დანიშნული სამარი, ტომით ქართველი.

ახალი მმართველი (პატრიკი) ყოფილა ალექსანდრეს ნათესავი – მაკედონიელი აზონ იარედოსის ძე, მოვსეს ხორენაცის ცნობით – მიჰრდატი (იგივე მითრიდატე, დარიოს III-ის სატრაპი პონტოში, პონტოს სამეფოს დამაარსებელი: 337-302).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, აზო (აზონ) იყო არიან ქართლიდან, ე. ი. ირანის ქართლიდან, მუშქების მცირე აზიური ქვეყნიდან, იგივე მოსხიკედან. ეს უფრო სწორი ჩანს. იგი უნდა ყოფილიყო მიჰრდატის პროტეჟე.

წინააღმდეგობის გამო მოკლეს სამარი და მისი ძმა, იბერიის მომავალი მეფის ფარნავაზის მამა. მისი სახელი არ იციან

ქართველმა მემატიანეებმა, რაც ადასტურებს ფაქტის ნამდვილობას (არიანეს ცნობით, თითქოს ფარსმანი რქმევია).

დედამ, ტომით ირანელმა, სამი წლის ფარნავაზი ჩრდილო კავკასიაში გახიზნა და ასე გადაარჩინა. შემდეგ კი თავად აზონმა დაიახლოვა ჭაბუკი ფარნავაზი.

მართალია, თავად ალექსანდრე არ ყოფილა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ მის მიერ დარიოსის დამარცხება და ირანის იმპერიის დაშლა, ახალი მმართველების დანიშვნა და ახალი მმართველობის შემოღება აღქმულ იქნა მაკედონელის ლაშქრობად.

ალბათ ეს ლეგენდა მოდის მოვსეს ხორენაცისაგან (V ს.), რომელსაც იმეორებს ლეონტი მროველი (XI ს.).

ქართლში დაუტოვებიათ მზისა და მთვარის კულტი, ხუთი ვარსკვლავის – ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემა ანუ დარჩნენ ძველი ღმერთები. ალბათ იმიტომ, რომ თავად აზონიც მუშქი იყო („აზოჲ ძეჲ არიან ქართლისა მეფისაჲ“).

აზონმა გაწყვიტა უცხო ტომები, დაიმორჩილა ჰერეთი, ეგრისი, გავიდა სპერის ზღვამდე, დახარკა ჩრდილო-კავკასიელები.

მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია ისევ შეიცვალა: უეცრად გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი.

## პოლიტიკური სიტუაცია და ლიდერი

იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 305 წელს გამეფდა მაკედონელის სარდალი სელევკე I ნიკატორი.

ამ ელინისტური სახელმწიფოს ცენტრი იყო სირია, სატახტო ქალაქები – ტიგრის სელევკია და ანტიოქია, სახელმწიფო ენა – ბერძნული.

ელინისტურ ქალაქებს ჰქონდათ დამოუკიდებელი კანონმდებლობა და დემოკრატიული, არჩევითი მმართველობა. დატოვეს ქვეყნის სატრაპიებად დაყოფის ირანული მოდელიც.

მართალია, აქაც მეფე ღმერთად იყო გამოცხადებული, მაგრამ ჭარბმა ავტონომიურობამ ხალხთა კონგლომერატისაგან შემდგარი სელევკიდების სახელმწიფოც დაშლამდე მიიყვანა. მას მალევე გამოეყვნენ კაპადოკია, ბითინია, პონტო.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ იბერიის მდგომარეობაც IV საუკუნის დამლევიდან.

იბერიაში ისევ უნდა შეცვლილიყო ხელისუფლება.

ახალ სიტუაციაში აზონს განუდგნენ როგორც ბერძენი, ისე ქართველი მეომრები. ეს უნდა მომხდარიყო 305 წლის შემდეგ.

აზონმა დატოვა მცხეთა და კლარჯეთში გადავიდა, პონტოს მხარეს.

მცხეთაში შევიდა ფარნავაზი, დაიკავა ბიძამისის ადგილი, ძღვენი და ელჩები გააგზავნა ანტიოქიაში, ბერძნებს მსახურება აღუთქვა და დახმარება სთხოვა:

სელევკეს ხელიდან ეცლებოდა შეკოწიწებული სახელმწიფო და ამიტომ იოლად გამოუგზავნა გვირგვინი ფარნავაზს.

იმ დროს, როცა სხვები გარბოდნენ, იბერია ანტიოქიასთან სიახლოვეს ესწრაფოდა.

სელევკეს არ აინტერესებდა კავკასია – მისი მზერა მიმართული იყო მცირე აზიისა და ბალკანეთისაკენ.

მოგვიანებით, 280 წელს, გადალახა კიდეც ჰელესპონტი, მაგრამ მოკლულ იქნა და ტახტზე ავიდა ანტიოქე I სოტერი (280-261).

ქართლში ერთმანეთს ებრძოდა ორი პოლიტიკური ორი-

ენტაცია – პონტოურ-ქართული და სელევკიდურ-ქართული, ორი ლიდერი – აზონი და ფარნავაზი.

გადამწყვეტი შეტაკება მოხდა არტაანის ნაქალაქევთან, ძველ ილდამუსასთან.

ფარნავაზის მხარეს იბრძოდნენ სელევკიდები, იბერიელები, ქუჯი ეგრისელისა და ჩრდილო კავკასიური ტომების მეომრები, „ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით".

მათაც იცოდნენ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და ფარნავაზის გარშემო გაერთიანდნენ. მაგრამ ფარნავაზს რომ ლიდერის ბუნება არ ჰქონოდა, ყველა განზე გაიწევდა, როგორც ადრე და არც ახლა დატოვებდნენ თავიანთ სიმაგრეს.

აზონმა გამოიყვანა პონტოელი მეომრები („სპანი საბერძნეთით"), ალბათ, მოსხიკელებიც.

პონტოელები დამარცხდნენ, აზონი მოკლეს.

ფარნავაზმა შეიწყალა აზონის მეომრები, დაასახლა და თითქოს უწოდა მათ აზნაურნი (აზონაურნი).

მაგრამ ამ სოციალური ტერმინის ძირია სპარსული „აზნა", რაც წარჩინებულს ნიშნავს. თვით სახელი აზონი/აზოც არის ირანული წარმომავლობისა.

ხელისუფლების განსამტკიცებლად ფარნავაზმა თავისი ერთი და მიათხოვა ოვსთა მეფეს, მეორე და – ქუჯის, ეგრისელთა მთავარს. მას საუფლოდ მისცა „ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი".

ქუჯის აუშენებია ციხე-გოჯი იქ, სადაც ტეხური ეშვება ვაკეზე (დღევანდელი ნოქალაქევი).

ანტიოქეს სიკვდილის შემდეგ ცალკე წავიდნენ ბაქტრია და პართიაც.

ფარნავაზს კიდევ მეტი თავისუფალი მოქმედების დრო და საშუალება მიეცა.

## ადმინისტრაციული და რელიგიური რეფორმა

მეფემ „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა" მოაწყო ქვეყანა, დაჰყო იგი შვიდ საერისთაოდ, აღაშენა და განავრცო.„სპარსში" იგულისხმება არა დარიოსის ირანი, არამედ – სელევკიდური ანტიოქია (ოთარ ლორთქიფანიძე), რომელიც უკვე ბერძნულად აღარ მიიჩნევა.

ჰეგემონი – იბერია, დედაქალაქი – „მთა ქართლი", რომელსაც მეფემ არმაზი უწოდა, არა თავისი სპარსული, არამედ – სპარსულიდან მომდინარე ღვთაების სახელი.

არმაზს ეკავა 30 ჰექტარი მიწა, გარს ერტყა 6-8 მეტრის სისქის კედელი, სიგრძით 4 კმ (არმაზი, იგივე ბაგინეთი, გათხარეს 1938-1940 წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით).

შიგ მდგარა დედა-ციხე, მეფის სასახლე, წარმართული ტაძრები და ღმერთების ქანდაკებები (მტკვრის მარჯვენა მხარე). ადგილის შერჩევისა და შენების თვალსაზრისით პოულობენ მსგავსებას ურარტულ და აქემენიდურ არქიტექტურასთან.

რეფორმა შეეხო რელიგიის სფეროსაც.

გაუქმდა ასტრალურ ღვთაებათა – მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის კულტი. არ იქნა აღიარებული არც ადგილობრივი, ქართველური ტომების ღვთაებანი (მაგ., ბოჩი).

მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა ღმერთების ახალი პანთეონი წინა და მცირეაზიურ საფუძველზე, სადაც შეერთდა ხეთური, ურარ-

ტული და ირანული ღმერთების მოდიფიცირებული ნიშანთვისე-ბანი, როგორც ეს იყო მიღებული ხეთებში.

მეფემ ღმერთების პანთეონის სათავეში დააყენა ცისა და ომის შეჯავშნული ღმერთი არმაზი, ხეთური თუ ირანული სამყაროდან წამოსული, ინდოევროპული სამყაროს კუთვნილე-ბა. ასე – მეომრის სახით წარმოიდგენდნენ ინდოევროპელები (ვედები, ხეთები, ბერძნები, ლათინები, ბალტიელი სლავები) უმაღლეს ღვთაებას.

ღმერთებიც ისევე ემორჩილებოდნენ ევოლუციას, სახ-ელების, თვისებების, სიმბოლოების ცვლასა და შერწყმას, რო-გორც მათი შემთხზველი ადამიანები, მათი ენები და ქვეყნები.

მრავალღმერთიანი წარმართული პანთეონები მერყევი და ცვალებადი იყო. ქურუმები და ტომები იოლად ცვლიდნენ მათ ბუნებას. ღვთაება იმდენად იქნებოდა იდუმალი, დამაჯერე-ბელი და მიუწვდომელი, რაც უფრო ფანტასტიკურ სახეს, ფორმასა და ძალას შეიძენდა. შდრ. – მაგ., ბუდა, რომელმაც 43-ჯერ ხის სულად იცვალა სახე; ელვისაგან ჩასახული 300 წლის ხუან-დი, რომელიც ცხენს მოახტა და ცაში გაფრინდა; მონღოლური ლეგენდის ბელადი, რომელიც იბადება ზეციურ ქალწულთან ქორწინებით ან – უმანკოდ ჩასახვის შედეგად, როცა ჭექა-ქუხილის დროს სეტყვის მარცვალი დაეცემა ქალის ბაგეს ან ქალი ჩაყლაპავს მას; მკვდრეთით აღმდგარი ოსირისი, რომლის სხეულიდან არეკლილი სხივით დაორსულდა იზიდა და შვა ჰორი.

იბერიაში, როგორც ჩანს, ერთი პერიოდი მთვარის კულტმა დაჩრდილა უძველესი დედამზის კულტი, რომელიც ჰქონდათ მატრიარქატის დროს აქ მცხოვრებ ტომებსაც.

პატრიარქატმა უპირატესობა მთვარეს მიანიჭა მნათობთა შორის.

მნათობთა კულტი იბერიელებმა (მუშქებმა) მცირე აზიიდან წამოიღეს. ხეთურ-ლუვიურად მთვარეს არმა ერქვა. მთვარე – ხათური ქაშქუ იყო ქაშქების მთავარი ღმერთიც. იგი ენათესავება ხურიტების ქუშუს (ქუჟუხს).

სტრაბონის ცნობით, ძვ. წ. I საუკუნეშიც ალბანეთში არსებულა მთვარის სისხლიანი დღესასწაული:

ქურუმები ტყეებში მოხეტიალეს იჭერდნენ, ერთი წელი კარგად უვლიდნენ, ასუქებდნენ, შემდეგ მოზეიმე ხალხის წინ, ღამით კლავდნენ. ასეთი მწირისაგან უნდა მოდიოდეს სიტყვა შეწირვა და შესაწირი.

გვამს მიწაზე დააგდებდნენ, ჯერ მასზე მკითხაობდნენ, შემდეგ ფეხს შეაწმენდნენ. ასეთი რიტუალი უნდა არსებულიყო იბერიაშიც (ივ. ჯავახიშვილი).

შორეული აცტეკებიც, საუკუნეების შემდეგ, ასე უვლიდნენ სამსხვერპლო პირს, შემდეგ კი საზეიმოდ კლავდნენ, იყოფდნენ მის სისხლს, ხორცსა და სამოსელს.

მარდუქის დღესასწაულზე შესაწირი მონა ერთ დღით მონარქი ხდებოდა, მორთავდნენ სკიპტრითა და გვირგვინით და შემდეგ ხალხის თვალწინ კლავდნენ.

ეს იყო ტოტემისა და ღმერთის მკვლელობის ვარიაცია, რომლის სახელით ჯერ ბელადსა და მეფეს გულს უპობდნენ, შემდეგ – მისი როლის შემსრულებელ იმპერსონატორს (ჯ. ფრეზერი).

ფერმკრთალ, გალეულ მთვარეს შეწირულის სისხლი ავსებდა და ფერს უბრუნებდა. ასე სწამდათ ქართველურ ტომებსაც.

ხეთები არმას სწირავდნენ ხარს, რომელმაც შეცვალა უძველესი ბელადის მსხვერპლშეწირვა.

მეფე ფარნავაზის ნებით, აზონის საპირისპიროდ, მთვარე – არმას ნაცვლად ქართლში მთავარი ღმერთი გახდა არმაზი – ირანული აჰურამაზდა, ოღონდ გარკვეული კომპრომისული კორექტივებით: ირანელები ღმერთებს სიმბოლურად გამოსახავდნენ, თუმცა მათ მიღმა იგულისხმებოდა ცხოველები და ფრინველები, როგორც ეგვიპტურ მითოსში.

ქართლში კი შემოიღეს კერპთთაყვანისმცემლობა, როგორც ხეთასა, მითანნსა და ურარტუში (ა. აფაქიძის აზრით, ქართული არმაზის სათავეა ხეთური არმა და არა ირანული აჰურამაზდა).

## ახალი მთავარღმერთი: არმაზი – აჰურამაზდა

ნ. მარმა არმაზი აჰურამაზდას დაუკავშირა. აჰურა ნიშნავს ღვთაებრივ არსებას, მაზდა – ბრძენს.

აჰურამაზდა იყო არა ღმერთის სახელი, არამედ – ერთი ეპითეტი ორც ტაბუირებულ სახელს შორის (ვ. ტოპოროვი).

აჰურები (ასურები) ვედურ და ირანულ მითებში ებრძვიან დევებს.

ავესტა ქურუმად წარმოგვიდგენს აჰურამაზდას, რომელიც მოითხოვდა არა კაცთშეწირვას, არამედ – სულიერ თაყვანისცემას, ლოცვას ცეცხლის წინაშე (ლ. ლელეკოვი), განსხვავებით არმა-მთვარისაგან.

აჰურამაზდა – ორმუზდის სხეულებრივი გამოვლენა იყო ცეცხლი, როგორც ზევსისა – ელვა და ჭექა-ქუხილი.

იგი იყო ბოროტი ძალის – აჰრიმანის ტყუპისცალი ზერვანის მითის თანახმად.

მათი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ადამიანის დახმარებით დამთავრდა აჰურამაზდას ანუ სიკეთის გამარჯვებით.

იგი აქემენიდების დროს გახდა „ყოვლისშემძლე, დიადი და ძლევამოსილი", შეიძინა თეშუბის მსგავსი თვისებანი, ზეციური ძალა.

სხვადასხვა ხალხებში იცვლებოდა აჰურამაზდას სახელებიც – ძველსპარსულად ერქვა აურამაზდა, სომხურად – არამაზდი, ფეჰლეურად – ოჰრმიზდი, სოღდიურ-მანიქეურად – ჰორმაზდა, ხორეზმულად – რემაზდი, ბერძნულად – ორომაზდესი და ა.შ.

VI-V საუკუნეებში სომხებმა (არმენებმა) მიიღეს აჰურამაზდა და უწოდეს არამაზდი. ისიც შეერწყა ადგილობრივ ღმერთებს.

ელინისტურ ეპოქაში არამაზდი გაიგივდა ზევსთან ანუ მეომარ ღმერთად იქცა. ქართული არმაზი მიღებული ჩანს სომხური გზით.

ხალხური წარმოდგენით, არმაზი იქნებოდა ისევ ძველი ღმერთის ახალი სახელი, ხოლო რიტუალებს ძველებურად გაარძელებდნენ.

აჰურამაზდას კულტი ირანელთა მეფე ქსერქსემ სავალდებულო გახადა (V ს.). არც მისი სატრაპია იქნებოდა გამონაკლისი.

არმაზციხეს სტრაბონი ჰარმოძიკეს უწოდებს, პლინიუსი – ჰერმასტუს, კლავდიუს პტოლემაიოსი – ჰარმაკტიკას.

ალბათ, არმაზს წარმართულ ხანაში ჰარმაზი ერქვა, რაც კიდევ უფრო ახლოა აჰურაზდასთან.

ფარნავაზი დედით ირანელია და კარგად იცნობს ირანულ ღმერთებსა და რიტუალებს, მათდამი კეთილგანწყობის ნიშნად დგამს არმაზის ქანდაკებას და თავის სამყოფელსაც არქმევს

არმაზს, ლეონტი მროველის სიტყვით, თავის ირანულ (სპარსულ) სახელს.

ფარნავაზი მართლაც სპარსული, ორძირიანი სიტყვაა – ფარნ და ნავაზი.

ფარნ ირანული მითოპოეტური ტრადიციით ნიშნავს მოკაშკაშე მზიურ საწყისს, ღვთაებრივ ცეცხლს, მის მატერიალურ გამოვლენას, ქარიზმას, რაც უკავშირდება ქონებას, ძალაუფლებას და ძლიერებას.

იგი კეთილი სულიცაა, სახლის მფარველი, ინდო-ევროპული სამეფო ონომასტიკის ნაწილი (მაგ., სკვითურ-სარმატული ფარნუს, სოღდიური ბაგეფარნ, პართიული მიჰრაფარნ, ფარნბაგ, ხორეზმული ვარასპარნ), ასევე – ასურული ავარპარნუ.

სიმბოლური გამოხატულება – ყელზე ლენტშებმული ვერძი (ვ. ტოპოროვი).

ნავაზი არის მოსილი, მმოსავი, მოყვარე (შდრ. გვიანდელი შაჰ-ნავაზი, ვახტანგ V-ის სპარსული სახელი).

ამრიგად, ფარნ-ნავაზი ირანულად შარავანდედ მოსილს ნიშნავს.

ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში, ასეთი აღზრდა-წარმომავლობის მეფისათვის, გამქრალი ხათურ-ხეთურ-ლუვიური არმას კულტი უცხო უნდა ყოფილიყო.

ისიც საგულისხმოა, რომ იბერიის მეოთხე მეფე ფარნაჯომმა ზედაზნის ძირას, წიწამურთან, აღმართა ზადენის კერპი (ირან. yazadan), რაც ნიშნავს აჰურამაზდას თანაშემწე კეთილ სულს.

ფარნაჯომი სპარსოფილი და მაზდეანი იყო, წარმოშობით – არაქართველი, სპარსი. მას რომ არმაზი სპარსულად არ მიეჩნია, დაანგრევდა კიდეც. ასეთ ხელისუფალს რატომ უნდა

დაედგა ხეთური სანდონის ქანდაკი, როგორც ამტკიცებს ზოგი ცნობილი მკვლევარი (მაგ., მ. წერეთელი).

მან სპარსეთიდან მოიყვანა „ცეცხლის მსახურნი და მოგუნი", რათა საბოლოოდ განემტკიცებინა მაზდეანობა, განეწმინდა იგი ხეთურ-ურარტული ნიშან-თვისებებისაგან.

## ხეთური ღმერთები და იბერიული ტრიადა

ხეთური ღმერთების პანთეონი ათასზე მეტი ღვთაებისაგან შედგებოდა. იგი აერთიანებდა არიულ-სემიტურ-ბაბილონურ და ხურიტულ ღმერთებს.მთვარე იყო ერთი ამ ათასთაგან. გაღმერთებული ჰყავდათ ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ჭექა-ქუხილი, წვიმა, ქარიშხალი, ამინდი, ღრუბლები, მთები, მდინარეები, ზღვა, წყარო, ცალკეული ადგილები.

ისინი იმეორებდნენ არქაულ ტრადიციას, როცა ველურ ადამიანს ყველა საგანი, რომელსაც სახელი დაარქვა, გაღმერთებული ჰყავდა ანუ, ბიბლიის სიტყვით რომ ვთქვათ – სიტყვა იყო ღმერთი და ასე თაყვან-მორჩილებით ხდებოდა შიშისაგან განმუხტვა.

ასევე ყოფილა უძველეს ეგვიპტელებსა და ბერძნებშიც.

ხეთები ღმერთებს ყოფდნენ სახელმწიფო და ადგილობრივ ღვთაებებად.

სახელმწიფო ანუ მთავარი ღვთაებები იყვნენ – ხათური მზის ღმერთი ესტანი, ქალაქ არინას მზის ღმერთქალი ვურუნსემუ და მისი მეუღლე ცის ღმერთი ტაროსი.

ასევე მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ ნაყოფიერების ღმერთი თელიფუნისი, მფარველი ღვთაება ინარა და ომის ღმერთი ზაბაბა.

ტაძრებში ისმოდა გალობა და აღევლინებოდა ლოცვა ხეთურ, ხათურ, ლუვიურ და ხურიტულ ენებზე (გრიგოლ გიორგაძე).

ღმერთებს უდგამდნენ სიმბოლური ნიშნებით შემკობილ ანთროპომორფულ ქანდაკებებს.

ქურუმები ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვის ცერემონიალს, განაგებდნენ კერპებს, იცავდნენ ტაძარს, ხელმძღვანელობდნენ სატაძრო მეურნეობას.

რიტუალების გრაფიკი მკაცრად იყო განსაზღვრული.

ხეთებს აღწერილი ჰქონდათ თავიანთი ღმერთები – უთითებდნენ კერპის სახელწოდებას, სქესს, ზომას, მასალას, ვიზუალობას, ჩაცმულობას, მსახურებს.

ღვთაების გამოსახულება იცვლებოდა ადგილის მიხედვით.

მაგ., ტაროსი არის მეომარი მამაკაცი, მდგომარე, გურზით ხელში, მოოქროვილი, ვერცხლის საყრდენით. მაგრამ იგი სხვაგან წარმოდგენილია როგორც ხის ხარი, მოოქროვილი თავითა და მოვერცხლილი ტანით.

შეიძლება აჭურამაზდა – არმაზს ამის მსგავსად, თავიანთი ძველი ტრადიციის მიხედვით, მისცეს მცირეაზიური ფორმა, სადაც გამოყენებულია ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ძვირფასი თვლები და ხრმალი.

ასეთ მეომარ ღმერთად წარმოგვიდგენენ არმაზს „ქართლის ცხოვრება" და „წმინდა ნინოს ცხოვრება".

შეიძლება არმაზის კერპის პროტოტიპად გამოეყენებინათ ხეთური ცის ღმერთის ტაროსის ან ხურიტულ-ურარტულ-ხეთური ჭექა-ქუხილის ღმერთის თეშუბის გამოსახულება.

ხეთურ ტაროსს გვერდით უდგანან მცველი მთის ღვთაე-

ბები ხაცი და ნამნი და ერთ ტრიადას ქმნიან; ასევეა ლომზე მდგარი ფრთოსანი ღმერთ-კაცი იშთარი და მჯდომარე ფრთოსანი ღმერთქალი იშთარი. მათ მარჯვნივ და მარცხნივ ახლავთ ორ-ორი ვერცხლის ღმერთქალი – ნინათა და ქულითა (გრ. გიორგაძე).

აქაც მეორდება ტრიადები.

არმაზსაც გვერდით დაუყენეს ოქროსა და ვერცხლის კერპები გაც (ხაც) და გაიმ (ნამნ), მემატიანეთა ცნობით, წინაპართა ღმერთები „არიან ქართლით".

გაც და გაიმ იბერიაში დაამკვიდრა აზონმა, ე. ი. არმაზის კერპის აღმართვამდე, როგორც „არიან ქართლიდან" წამოღებული „ძუელნი ღმერთნი" (იხ. „წარმართული ღმერთების არმაზული პანთეონი").

ეს გამოხატავდა მოსახლეობის ერთი ნაწილის რწმენასაც. ესენი უნდა ყოფილიყვნენ მცირეაზიური ტრადიციების ერთგულნი. მათთვის მიუღებელი იქნებოდა წმინდა ზოროასტრიზმი, ისევე როგორც ბერძენი სელევკიდებისათვის.

ასე მოხდა მუშქების მიერ მცირეაზიიდან წამოღებული ღმერთების ტრიადის ირანული მოდერნიზება. შდრ. – სამნაწილიანი სამყარო – ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი, სამთავიანი ურჩხულები და დევები, ბუდისტური ტრიკაია, ინდუისტური ტრიმურტი, ჯაინების ტრირატნა, რომის კაპიტოლიუმის ტრიადა – იუპიტერი, მარსი, ქვირინუსი, ქრისტიანული სამება.

ირანულ პანთეონსაც ჰყავდა ტრიადა, ოღონდ ცვალებადი. არ იცვლებოდა მხოლოდ აჰურამაზდა.

ამ ღმერთების სიმრავლეში ქართველურ ტომებს თავიანთი

სატომო და ადგილის ღვთაებებიც ეყოლებოდათ, მაგრამ ფარნავაზმა უარჰყო ისინი და აჰურამაზდაში მოაქცია წინააზიისა და მცირეაზიის ღვთაებათა ნიშან-თვისებანი.

აჰურამაზდას სიმბოლო მოგვებმა აშურისაგან – ასურელთა მთავარი ღვთაებისაგან აიღეს.

ეს იყო მზის დისკოში ჩახატული ფრთებგაშლილი მეფე.

შემდეგ მზე შეცვალა დაკბილულმა გვირგვინმა.

ფრთოსანი მზის დისკოს სამშობლო ეგვიპტეა. იგი იყო მითრას სიმბოლოც.

ცეცხლთაყვანისმცემლები არ იყვნენ კერპთაყვანისმცემლები, მაგრამ თავიანთ ღვთაებებს მაინც გამოსახავდნენ.

მაგ., არტაქსერქსე მეორემ ყველა ტაძარში დაადგმევინა ღმერთქალ არდვისურა ანაჰიტას ქანდაკება. იგი იყო აჰურამაზდას ქალიშვილი (სომხურ მითოსში – არამაზდის ქალიშვილი თუ ცოლი).

ახ. წ. III საუკუნის ერთ-ერთ კლდის რელიეფზე გამოსახული აჰურამაზდა ცხენის ფლოქვებით თელავს ბოროტებისა და სიკვდილის ღვთაება ანგრო-მანის, სამეფო სიმბოლოს გადასცემს პირველ სასანიდს – არდაშირს.

ქართლში კანიბალობა არ აღკვეთილა, მაგრამ როგორც მთელს მსოფლიოში, აქაც რეგლამენტირებული გამხდარა – „არღარა ჭამდეს კაცსა თვინიერ რომელი შესწირიან კერპსა მსხვერპლად", – იუწყება ლეონტი მროველი, რუისის ეპისკოპოსი.

ყრმათა მსხვერპლშეწირვა მხოლოდ ახ. წ. III საუკუნეში აღუკვეთავს რევი მართალს. იგი ტომით სომეხი ყოფილა და ცოლად ჰყოლია ბერძნის ქალი სეფელია, რომლისგანაც იცნობდა ქრისტეს სახელს („ქართლის ცხოვრება").

დასავლეთ საქართველოში კი მსხვერპლშეწირვა და დიდი ჭყონის სისხლიანი კულტი ქრისტიანობის შემოსვლამდე დარჩა (იხ. „ხეების კულტი და უსუართშეწირვა“).

დარჩა ზოროასტრული სისხლის აღრევის წესიც. მაგ., ფარნავაზის ძეს საურმაგს ჰყავდა ორი ასული, „არა ესუა ძე". მაშინ მეფემ იშვილა სპარსი ნებროთის შვილი მირვანი და თავისი ქალიშვილი შერთო.

მეორე ასული მისცა ქუჯის, თავის მამიდაშვილს, თავად ცოლი სპარსი ჰყავდა (შდრ. – „ვისრამიანი", ძმის სიყვარული დისადმი).

## ქართული ენა და მწიგნობრობა ქართული

ისე შეცვლილა ქართლში მდგომარეობა, ქართულის გარდა სხვა ენა უკვე „არღარა იზრახებოდა". ალბათ იმიტომ, რომ – აზონს შეუმუსრავს ყოველი უცხო ნათესავი.

ფარნავაზს მიაწერს ლეონტი მროველი ქართული მწიგნობრობის შექმნას, რაც არ დასტურდება. მითუმეტეს, რომ ირანული ტენდენციები ძლიერდება, ხოლო ქართლს მართავენ ირანული და სომხური ტომის მეფეებიც (იხ. „მეფეთა წარმომავლობა“).

იქნებ გამოყენებული ყოფილიყო ალოგლოტოგრაფიული ხერხი, როცა ტექსტი იწერებოდა სხვა რომელიმე ანბანით (თ. გამყრელიძე). მაგრამ არ ჩანს ამ წესის რეალიზება. არამეული დამწერლობის არმაზული სახეობა სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ქართული ანბანისა და დამწერლობის შესაქმნელად არც მოთხოვნილება, არც კულტურულ-პოლიტიკური სიტუაცია არქაულ და წარმართულ პერიოდებში არ არსებობდა (მაგ.,

ხეთები საკმაო ხანს ტექსტებს ადგენდნენ აქადურ ენაზე. ასევე იქცეოდნენ ხურიტები).

ასეთი დრო დგება იბერიაში ახ. წ. IV საუკუნეში, როცა დაემხო ირანული და ირანიზებული ღმერთები, როცა ახალ მონოთეისტურ, დასავლეთიდან მოსულ რელიგიას – ქრისტიანობას დასჭირდა განსამტკიცებლად და გასავრცელებლად, წარმართებთან და მაზდეანებთან საბრძოლველად დამწერლობის შექმნა (კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე). თუმცა შეიძლება ქურუმთა წრეში ცალკეული ცდები არსებობდა, როგორც ამას გვაფიქრებინებს პ. ინგოროყვას, ლ. ჭილაშვილის, ვ. ლიჩელის მიერ მოკვლეული ფაქტები.

ახალი რელიგია გახდა დამოუკიდებლობის საფუძველი ენისა, კულტურისა და სახელმწიფოსათვის, გამაერთიანებელი ფაქტორი.

ასე მოხდა სხვა ქვეყნებშიც (მაგ., სომხეთში), სადაც კოსმოპოლიტური ქრისტეს სჯული ნაციონალური ფორმით იმოსებოდა.

ჯერ კი ძვ. წ. III საუკუნეა.

## ფარნავაზი – ქართველურ კუთხე-ტომთა შემომკრები

ლეონტი მროველის სიტყვით, ფარნავაზი გამეფდა 27 წლისა, იმეფა 65 წელი.

შეიძლება ეს სწორიც იყოს, როგორც ცხადყოფს სელევკიდების ქრონოლოგიასთან შეპირისპირება.

როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ფარნავაზს უნდა გაემარჯვა IV საუკუნის დამდეგს, აზონის 24-წლიანი მმართველობის შემდეგ.

იგი ბოლომდე დარჩენილა სელევკიდების ერთგული, რაც სამეფოში მშვიდობისა და ერთიანობის გარანტია იყო.

ლეონტი მროველის სიტყვით, „მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფეს ასურასტანისასა". მაგრამ კულტურა და რელიგია იყო ირანული, რადგან თავად სელევკიდებიც თმობდნენ წინაპართა ენასა და კულტურას, ბერძნულ ღმერთებსა და ტრადიციებს და აქემენიდების გზას აგრძელებდნენ.

**ქართველური პრა-სახელმწიფოები (კოლხა, დიაოხი, მუშქების სამეფო...) შეცვლა ქართულმა სახელმწიფომ, ქართველური ენები – ქართულმა ენამ, კუთხე-ტომობრივი ღმერთები – ერთიანმა რელიგიამ.** ფარნავაზმა აღადგინა კიმერიელ–სკვითების ბარბაროსული შემოსევების შედეგად შეწყვეტილი კულტურული აღმშენებლობისა და სახელმწიფოებრივი კონსოლიდირების პროცესი.

**ორიათასწლოვანი ეთნიკურ-ენობრივი დიფერენცირების შემდეგ დაიწყო ერად ინტეგრირება იბერიისა და ქართული ენის ლიდერობით, რომელსაც ასევე მრავალი საუკუნე დასჭირდა.**

**სახელმწიფოს საზღვარი გახდა: ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით – ხან მდინარე ღალიძგა, ხანაც – „ძველი ლაზიკე“ (ნიკოფსიასთან), სამხრეთით – მოსხური ანუ იბერიული მთები, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ხუნანი (დღევანდელ აზერბაიჯანშია), დასავლეთით – შავი ზღვა.**

**პირველი ქართული სახელმწიფოს მიღმა დარჩნენ ჭანები (ლაზები) პონტოში და მესხები კაპადოკიაში, დარჩნენ სამუდამოდ.**

**ასე დასრულდა ქართველური ტომების საარსებო სივრცის ფორმირება და დაიწყო ერთიან სახელმწიფოებრივ ეთნოსად ინტეგრირება.**

# III. ქართველური კოსმოლოგია: მითოსურ-პოლითეისტური წრე

## 1. ენობრივი მსოფლხედვა

### ქართული ენა – ქართული ცნობიერების ბაზისი

ენებს ქმნიან გვარ-ტომები, ტომები და ეთნოსები. ამიტომ ყველა დროში მათი ბედი და ისტორია თითქმის იდენტურია (მაგ., ტომის ან ეთნოსის განადგურება და ენის სიკვდილი, ეთნოსის აღრევა და ენის მკვეთრი შეცვლა, ეთნოსის დაქუცმაცება და ენის დიალექტობრივი განტოტვა და დაკნინება).

მათ კრავს, უნარჩუნებს მთლიანობას და ავითარებს სახელმწიფოს სტრუქტურა და რელიგიური რიტუალები, დამწერლობა და ლიტერატურა.

მაგ., თ. გამყრელიძე ემყარებოდა გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს. მაგრამ შემდეგ, როცა ასევე გაითვალისწინა ისტორიულ-ეთნიკური პროცესები, შეცვალა ქართველური ენების დიფერენცირების ქრონოლოგია ანუ მთავარია ეთნოსი, მისი ისტორია.

ენა ადამიანური ცნობიერების უდიდესი მონაპოვარია – იგი აერთიანებს და იგი თიშავს რასებს, კრებს მოქალაქეებს, განასხვავებს ნათესავსა და უცხოს, კარგსა და ცუდს, მოყვარესა და მტერს.

ენობრივი კომუნიკაციის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ვერც სახელმწიფო, ვერც კულტურა, ვერ იარსებებდნენ ღმერთები.

ენაში ცოცხლობს ერის ფსიქიკა, ხასიათი, ისტორია, კულტურული დანაშრევი ანუ, რომ გავიმეოროთ მარტინ ჰაიდეგერის სიტყვები – ენა არის ყოფიერების სახლი.

მაგრამ მეტყველების განტოტვა და ახალი საგნების სახელდება ასევე ცხადყოფს ცნობიერების აქტივობას, რაც არის შეცნობის, შექმნისა და მეხსიერების ბაზისი.

რაც ადამიანს აზრად მოუვა, რასაც სიტყვაში მოაქცევს, არ შეიძლება ადრე თუ გვიან არ აღსრულდეს, არ მოხდეს ოცნების მატერიალიზება.

ჰომინიდების ცნობიერების ჩამოყალიბება და მეტყველების წარმოქმნა ერთდროული პროცესი იქნებოდა, როგორც ეს არის ყოველი ადამიანის აზროვნებაში, როგორც ეს არის ენის ამოდგმის ბურანში.

ბიოლოგიური ფაქტორი ყველგან გადამწყვეტია:

სიცოცხლეს წარმოშობს და ინარჩუნებს ცხოველური პროცესები – სექსი და კვება (ერთის სიცოცხლის შთანთქმა მეორის მიერ), ენას – ველური (საარსებო კომუნიკაციით) და სახელმწიფოს – ბარბაროსი (იარაღითა და ომით).

როგორც მიწა აღმოაცენებს თესლს, ისე ხალხის ბნელი წიაღი ინახავს და ავითარებს მშობლიურ ენას.

ცხრა მილიონი ბიოლოგიური სახეობიდან ამეტყველდა მხოლოდ ადამიანი. და ეს უამრავი ენა, ეს სამყაროს საოცრება, არ შეუქმნია ცივილიზებულ ადამიანთა, ინტელექტუალთა ან არისტოკრატთა კასტას:

ენის პირველადი ფორმები გაჩნდა და ჩამოყალიბდა უძველეს წრეში, homo Sapiens-ამდე, მუსტიეს ეპოქაში. ხოლო საწყისები უნდა ჰქონოდა გვიანდელი აშელის პერიოდში, ნეანდერტალელებთან:

ისტორიაში ყველაზე სხივმოსილი იესო ქრისტე ბნელ მღვიმეში დაიბადა. ხოლო უამრავი ბრწყინვალე არისტოკრატი უკვალოდ გაქრა.

საგნების სახელდება და გაფეტიშება, ბრუნებისა და უღლების სისტემების, სინტაქსური კონსტრუქციების, ფონემების გამოკვეთისა და დალაგების პროცესი როგორც იყო ინსტინქტური, ასევე ინსტინქტური და ავტომატურია მათი მოხმარებაც, მათ მიერაც კი, ვისი ფსიქიკაც გახლეჩილია.

საფუძველი არის ბიოლოგიურ-ინსტინქტური წესრიგი, კოდირების სისტემა.

ამდენად - ქართული ენა არის ქართული ცნობიერების ბაზისი.

როგორც გვეუბნება ერნსტ კასირერი, როცა გვსურს ფაქტის ან მოვლენის რეკონსტრუქცია, „ნაწარმოები სიტყვებიდან უნდა დავიხიოთ ფუძესიტყვებისაკენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გამოვნახოთ სიტყვათ ძირების ანუ ყოველი სიტყვის ჭეშმარიტი და თავდაპირველი სახე" (რა არის ადამიანი? თბ., 1983).

ჩვენც ამ პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ.

## აფექტები და ამეტყველება

ამეტყველების პროცესი სხვადასხვა ჯოგსა და გვარ-ტომში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და სხვადასხვა დროს იწყებოდა.

მას საფუძვლად ედო ბიოლოგიური ტრანსფორმაცია, თავის ტვინის სტრუქტურისა და ენის გენის ფორმირება, აფექტების, ეიფორიის, შიშისა და აგრესიის მუდმივი ზემოქმედება, რაც იწვევდა აღმოთქმის აუცილებლობას.

ეს კი კვეთდა ე. წ. ბროკას ცენტრს.

შორისდებულთა მსგავსი ერთმარცვლიანი ბგერები უნდა

ყოფილიყო პირველადი კომუნიკაცია, როგორც ჩვილ ბავშვებში, აფექტურად აღმოთქმული სხეულის მოძრაობით, ჟესტ-მიმიკით გამკვეთრებული (ე. კასირერი, ნ. მარი),რაც თანდათან იქცა სამეტყველო ბგერებად (ფონემებად).

კომუნიკაციას იწვევდა შინაგანი ექსპრესია, შინაგანი ღელვის განმუხტვის მოთხოვნილება. ეს ნევროზული ტალღები გარემოს არაადექვატური აღქმით იყო გამოწვეული.

შიშის ფსიქიკიდან გამოძევება ხდებოდა საგანთა სახელდებით ანუ გაფეტიშებით (ჰ. უზენერი).

რამდენი საგანიც სიტყვაში მოექცა, იმდენი ფეტიში ჰქონდათ ველურებს.

ამიტომ ჰყავდათ უამრავი ღმერთი ეგვიპტელებს, ხეთებს, ბაბილონელებს, ინდოელებს, ჩინელებს, ბერძნებს ანუ სიტყვა იყო ღმერთი.

ტოტემი იყო გვარ-ტომისათვის მთავარი პრა-ღმერთი. მაგრამ რადგან ენაში ერთიანდებოდა მრავალი გვარ-ტომი, ტოტემებიც ამ მასაში იძირებოდნენ.

ამეტყველებისათვის აფექტებთან ერთად ასევე აუცილებელი იყო საარტიკულაციო ბაზისი, საწარმოთქმო ორგანოების ფორმირება, ფილტვებიდან ამოჭრილი ჰაერნაკადის რეგულირება, ბგერების აღქმა და განცალკევება, მათი გარჩევა სმენით ანუ ე. წ. ვერნიკეს ცენტრის ფიქსირებაც.

შუბლის ნაწილში არის ასოციაციების ცენტრი, სადაც ხდება აზროვნებისა და მეტყველების კოორდინირება (იხ. „თავის ტვინი და თავისუფლების პრინციპი“).

ამდენად არის ამეტყველების პროცესი ბიოლოგიური პრობლემა, რომელიც გადავიდა ინტელექტუალურ სფეროში, ისევე

როგორც ბგერა, რომელსაც ფიზიკა სწავლობს.

პრაქართველური ტომებიც ამ საერთო ინსტინქტურ წესრიგს ემორჩილებოდნენ.

ამეტყველება გულისხმობს ბგერით კონტაქტს, კომუნიკაციას მეორესთან, ტომთან, რომელსაც ასეთივე პირობითი ან მსგავსი სიგნალები აქვს.

ურთიერთობის სფეროში კი ყალიბდება სამეტყველო ფონი, სიტყვათა კავშირის ფორმები.

## პრა-ძირების წარმოქმნა

ამეტყველება ყველგან ერთნაირად მოხდებოდა, მაგრამ განსხვავებული და კონკრეტული ფორმებით. ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ტომთა წინაპრებიც ინსტინქტურად, სტიქიურად აღმოთქვამდნენ, ამოიძახებდნენ პირველ ბგერებს. მათაც ძალას აძლევდა ექსპრესია, შინაგანი გზნება, საგნის სახელდების მოთხოვნილება, რაც იწვევდა ბგერების განაწილებას და ასევე სტიქიურ დაჯგუფებას.

როცა ტომები იყოფოდა და ენა იტოტებოდა, გაწყვეტილი კონტაქტების, მცირე ლექსიკისა და ლაბილური სტრუქტურის გამო თითქმის ქრებოდა კავშირი პირველსათავესთან, იმდენად რადიკალურად ცვლიდა ახალი გარემო და ფაქტორები მეტყველებას.

ველურისათვის სიტყვა იგივე საგანი იყო, რომელიც ჩნდებოდა გვარ-ტომამდელ ჯოგში. პირველადი ბგერა-სიტყვები ერთმარცვლიანი ანუ მხოლოდ თანხმოვნები უნდა ყოფილიყო, შორისდებულების მსგავსი.

პრაქართველური ტომების ფორმირების პროცესში ეს იქნე-

ბოდა ჰარმონიული ბგერათ-კომპლექსები – ცხ, ჩხ, ფხ, თხ; პყ, ტყ, წყ, ჭყ; ბღ, დღ, ძღ, ჯღ.

ფილტვებიდან ამოჭრილი ჰაერ-ნაკადის შეჯახება ხახასთან, სასასთან, კბილებთან, ბაგეებთან, ცხვირთან ცვლიდა ბგერის ხმიანობას, აძლევდა სპეციფიკურ შეფერილობას (გიორგი ახვლედიანი).

ისტორიულად ყოველ ენას ჩამოუყალიბდა მეტყველების განსხვავებული ტემპი, ტემბრი, ტონი, ინტონაცია, რასაც აქცენტს ეძახიან.

მათი საფუძველია ბგერების თვისებები – მჟღერი და ყრუ, ხშული და მსკდომი, ნაზალური და ლატერალური, სისინა და შიშინა, სიგრძე და სიმოკლე, სიმაღლე და სიძლიერე, მახვილის მოქმედება – დინამიკური და ტონური, ფიქსირებული და თავისუფალი.

როგორც ბგერები, ისე მათი აღქმა განვითარების პროცესში ურიცხვ ახალ ნიუანსს ავლენდა, რასაც წარმართავდა სემანტიკა.

მსგავსი და განსხვავებული ბგერები საუკუნეების მანძილზე სტიქიური რეგულირების პრინციპით ქმნიდნენ ხმათა სიმფონიას – სამეულებს (ბ, პ, ფ; დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჭ, ჩ; გ, კ, ქ), წყვილეულებს (ზ, ს; ჟ. შ; ღ, ხ), ცალეულებს (ვ, მ, ნ, რ, ლ), ადგენდნენ ფონემათა დისტრიბუციულ კლასებს, ზუსტ მათემატიკურ სტრუქტურებს (თამაზ გამყრელიძე).

მათ გადაანაწილებს ხმოვნები – ცხოველური ბგერები (მაგ., შეძახილი, ღმუილი, კივილი), რომელთა ჟღერადობას, სიმაღლე-სიდაბლეს განსაზღვრავს ექსპრესია და პირის მოძრაობა.

თავდაპირველად ცალკე ფონემებად ხმოვნებს არც გამოჰყოფდნენ და მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა.

თვლიან, რომ ნუკლეინის მჟავების კომბინაცია აყალიბებს გენეტიკური ინფორმაციის ტექსტს, რომლის ამოსავალია ოთხი ქიმიური რადიკალი.

მათ შეესაბამება, მათგან ამოდის ენობრივი სეგმენტები (რ. იაკობსონი, თ. გამყრელიძე),რომელთაც კონკრეტულ დონეზე აფორმებს ბგერითი სისტემა, სონანტები და კონსონანტები ანუ რეალიზდება ყველა ენაში განსხვავებული სიტყვებითა და აქცენტებით.

საყრდენი ჰარმონიული ბგერათკომპლექსებიდან უნდა წარმოქმნილიყო პირველადი ქართველური სიტყვები, ველურისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგნების აღმნიშვნელი.

მათგან ბევრი გაქრა. დარჩა ისინი, რომლებიც ინსტინქტების შესაბამის სისტემას ქმნიდნენ, როგორც ფსიქოფიზიოლოგიური სტიქიონის აღმოთქმა.

მეხსიერებას შერჩა ის სიტყვები, რომლებიც მიემართებოდნენ ყოველდღიურად ხილულ, სითბოსა და სიცოცხლის მომცემ საგნებს.

## ცა-ცხა და ცეცხლი

როგორც ჩანს, ყველგან ეს იყო ცა, რომელსაც ასევე ყველგან განსხვავებული ბგერებით გამოთქვამდნენ (მაგ., სლავური небо, გერმანული der Himmel, ძვ. ინდური nabhas, ხეთ. nepis).

სხვადასხვა მითების თანახმად, მსოფლიო კვერცხის დამსხვრევას, მსოფლიო ოკეანიდან გამოსვლას თუ პრა-არსების მსხვერპლშეწირვასა და სხეულის დანაწილებას მოჰყვა სტიქიების წარმოშობა. მაგ., ბერძნულში ქაოსს გამოეყო გეა (მიწა), გეას-ურანოსი (ზეცა) და მათ შვეს ტიტანები.

ცას უკავშირდებიან, ცა არის მარადიული ღმერთი, რადგან ველური ყველაზე მეტად ცას ხედავდა. მისგან მოდიოდა სინათლე, მზისა და მთვარის შუქი, ვარსკვლავთ ციმციმი, თოვლი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, სითბო და სიცხე ანუ სიკეთეცა და რისხვაც.

იგი არის შუმერულ-აქადური ანუ ვედური ინდრა, ძველჩინური ლეი-გუნი, ძველარაბული ალაჰი, ურარტული ხალდი, ბერძნული ზევსი, რომაული იუპიტერი, მონღოლური თენგრი, სკანდინავიურ-გერმანული ოდინი, ბალტიური პერკუნასი, სლავური პერუნი...

ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არაცნობიერად ცა ყველგან არის უძველესი მთავარი ღმერთი, რომელსაც ექვემდებარებიან სხვა ღვთაებები, ხმელთა და წყალთა, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო.

ისტორიულ ეპოქაში ადამიანს ცად ეგულება ღმერთი-შემოქმედი, გმირთა, ნეტართა და ახლობელთა სულები.

პრაქართველური ტომებისთვისაც ცა ყოფილა ყოველივე არსებულისა და სიცოცხლის დასაბამი, რომელიც გადაეცათ გაფანტულ გვარ-ტომებს.

ცის თავდაპირველი ფორმა იქნებოდა ცჰა/ცხა, საწყისი და საყრდენი – ცხ – ბგერათკომპლექსი, რომლის გარშემო შეიკრა საარსებო სემანტიკური წრე სხვადასხვა პერიოდში – ცხელი, ცხოველი, ცხოვარი, კვერცხი, ცოცხალი, ცხოვრება, ცვარი, ცეცხლი, ცეხვა, სიცილი, ცხმელა, მოცემა, ცნობა, მცენარე, ცური, ცვალება, ცხონება, ასევე – ცივი და სიცივე (მეგრ. ჩხური, სვან. მეცხილი).

ასე წარმოიქმნებოდა საყრდენი ბგერათკომპლექსისაგან საყრდენი სიტყვები.

ცა ძირი, რომლის საწყისად მიაჩნიათ ხურიტული ეცი (ცა), საერთოა ქართველური ენებისათვის. ხოლო ც ბგერა იცვლება შესაბამისი ფონეტიკური კანონზომიერებით და ქმნის პარალელურ სიტყვებს (მაგ., ცხელი, მეგრ. ჩხე; ცხოვარი, მეგრ. შხური; ცხონება, მეგრ. ჩხონაფა).

დღ ბგერათკომპლექსი გვაძლევს დღეს (მეგრ. დღა, ლაზ. ნდღა, სვან. დეღ). მაგრამ ამ სიტყვის სათავეა ძველინდური dinam, რაც სხვადასხვა ვარიაციით გადავიდა რომანულ, გერმანულ, სლავურ, ბალტიურ, კელტურ, ჩრდილო კავკასიურ ენებში.

ალბათ, იბერიულ-კავკასიური ენების პირველად წრეში ცა, დღე, მზე, მთვარე ერთი პროტო-სიტყვით გამოითქმოდა და იგი ნიშნავდა სინათლეს, სინათლე – სითბოს, სიცხეს, სიცხე – სიცოცხლეს (ივ. ჯავახიშვილი).

შდრ. ხეთურში siuatt არის დღე, siuna– ღმერთი, ურარტ. ŝiuini– მზის ღმერთი, ძვ. ინდ. cvitras– თეთრი.

სიცოცხლე უკავშირდებოდა ცეცხლს, ცეცხლის ალს. ამიტომ არსებობდა უძველესი ჟამიდან ცეცხლის კულტი – არც კერაზე, არც ტაძარში ცეცხლი არ უნდა ჩამქრალიყო.

ცეცხლი ციდან და მზიდან იყო გადმოსული, როგორც სინათლის ცხელი სხივი, რომელიც სხეულში სისხლად მიმოდიოდა.

## სისხლი

სისხლი და წითელი ერთი ძირის სიტყვებით აღინიშნებოდა ძვ. ინდურში, ბერძნულში, ლათინურში, სლავურ ენებში, ისევე როგორც წყარო, შობა და გვარი (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, მ. ფასმერი).

სისხლი ხეთურიდან მომდინარეობს – eesḫar. მაგრამ შე-მოსულა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა გაწყვეტილი ტომობრივ-ენობრივი კავშირები. ამიტომ დარჩა ერთი ძირი ოთხივე ქართველურ ენაში: მეგრ. ზისხირი, ლაზ. დიცხირი, სვან. ზისხ და შევიდა ცხ ძირის არქაულ სიტყვათწრეში, ისევე როგორც დღე და ცეცხლს დაუკავშირდა.

სიტყვათწარმოქმნაში მოქმედებს როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური პროცესი, როგორც ბგერათგადასვლა, ისე აზრობრივი მსგავსება-ნათესაობა (ე. კასირერი), რაც არის სტიქიური ბიძგი სიტყვათკავშირებისაკენ.

როცა ლექსიკური ფონდი მცირეა, სიტყვას ეძლევა პოლისე-მიური მნიშვნელობა, რათა მოხდეს საგნების სახელდება და საგანთა ნიუანსების გამოყოფა.

## ᲬᲧ – ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲜᲘ

წყ ბგერათკომპლექსი ვარიაციულად გვაძლევს ჩხ, ფხ, თხ ძირებს, რაც სიტყვათა ახალ სემანტიკურ ბუდეს წარმოქმნის.

წყ/ჭყ ბგერათ კომპლექსი წარმოქმნის წყალსა და წყანს (ჭყონს).

წყალი, მეგრ. წყარი, სვან. ლიც, ლʒლწყე (სველი). ქართ. გაწყვა, მეგრ. ნწყუალა, სვან. ლინწყუ განადგურებას, დაქცე-ვას, მოსპობას ნიშნავს.

უწყალოო, ერთი მხრივ, არის ულმობელი, მეორე მხრივ – უსიცოცხლოო. წყალი სიცოცხლის წარმოქმნისა და მდინ-არების კლაკნილი ხაზია პირველყოფილ ხელოვნებაში (შდრ. უკვდავების წყლის მითი). მისი ფეტიშიდან გაჩნდა ტოტემ-ური წყანის სახელი, რომელიც ცას უერთდება, აკავშირებს ქვესკნელ-შუასკნელ-ზესკნელს, როგორც სიცოცხლის ხე.

წყანი – ჭყონის (მუხის) კულტი, მისდამი კაცთშეწირვა ქრისტიანობის შემოსვლამდე შერჩათ მეგრულენოვან მოსახლეთ (იხ. „უსუართ-შეწირვა“).

## თხ – თხრა და თიხა

თხ ბგერთკომპლექსიდან გამოდის თხრა (მეგრ. თხორუა, ლაზ. ონთხორუ, სვან. ლიშთხრი), თიხა (მეგრ. დიხა, ლაზ. დიხა), თხემი (მწვერვალი), თხევლა (თევზაობა), თხამლი (ჩირქი), თხორი (დართვა), თხა, ნთხევა.

თხრა – თხორუა არის თიხის დამუშავება, დასაფლავება და მიწაში თესლის ჩაგდება, სათხროლი კი – თოხი (სულხან-საბა).

ზოგი ვარაუდობს, რომ დიხ ქართველური ძირი მოდის შუმერულიდან – **diih**(დიხ) – ქვა, თიხის დაფა.

ადამიანი თიხის – მიწის შვილია, რომელიც მუდმივად იცვლება.

ადიღეურში თხა (თხაშხო) არის უმაღლესი ღვთაება, რომელიც საერთოდ ღმერთის სახელად ქცეულა.

მას უკავშირებენ ასტრალურ მზის კულტს.

თხ ძირიდან ამოდის გა-თხ-ოვ-ებ-ა – ქალის დაქორწინება. ეს ნიშნავს სხვა მიწაზე, სხვა თიხაზე გადასვლას, დამაგრებას (გა-თიხ-ოვ-ებ-ა).

ბგერათკომპლექსები ვარიაციულად წარმოქმნიან სიტყვათა ახალ კონსტრუქციებს და მათში ექცევიან საგნები, მათი ფარული ნიშან–თვისებები.

ამგვარად, პრა-ქართველური სიტყვათწარმოქმნის საყრდენი უნდა ყოფილიყო ცეცხლთან, წყალთან და მიწასთან დაკავ-

შირებული ბგერათკომპლექსები და სიტყვათ ძირები, რომლებიც განყოფდნენ სასიცოცხლო ძალებს. შემდეგ კი განასხვავებდნენ კვების, სექსისა და რწმენის აღმნიშვნელ პირველად საგან-სიტყვებს.

## სიცოცხლე და გამრავლება

თავდაპირველად მათ გარშემო ვერ გაჩნდებოდა სიტყვა-საგანთა წრე. შემდეგდროინდელი კი ტაბუირებას დაემორჩილა. ამიტომ coitus-ს, penis-ს და vulva-ს არა აქვს მწყობრი შესატყვისობანი ქართველურ ენებში – ჯერ არ დაწყებულა ცნობიერების დიფერენცირება.

სიცოცხლის კულტი გამოიხატა ქალისა და კაცის სასქესო ასოებით, როცა ერთმანეთს გადაეჭდო მატრიარქალური და პატრიარქალური წარმოდგენები (ძველ საბერძნეთში - ფალოსისა და კტეისის კულტები), შესაბამისად - ითიფალურ ქანდაკებებში ერთ არსებად იქცა ქალი და კაცი, როგორც გერმანულ-სკანდინავიური ორსქესიანი ღმერთი ტუისტო.

vulva-ს (წინაბერძნ. muttos, ბერძნ. - კტეისი) ქართულში ინდოევროპული სახელი მიეცა, რომლის ძირი მოდის დედისაგან: გერმ. dieMutter, სლავ. мать, ძვ. ინდ. mata, ავესტ. matar, ბერძნ. mutur, ლათ. mater, ძვ. პრუს. muti, ირლ. mathir, ლიტვ. motina (მ. ფასმერი). შდრ. ფრანგ. mutton - ცხვრის ხორცი.

ეგვიპტურ მითოსში mut (დედა) არის ცის ღმერთქალი, ამონ რას ცოლი.

დასავლურ სემიტებში mutu (სიკვდილი) მამაკაცია, მკვდართა სამეფოს ღმერთი, რომელიც ყლაპავს ყოველ ცოცხალ არსებას.

სულხან-საბა ამ ინდოევროპულ თუ სემიტურ სიტყვას განმარტავს როგორც ქალის სარცხვინელს. მეგრული და ლაზური ჩური არის ფურისა და ცურის, მათი პირველადი სამეული ბგერების ვარიაცია (შდრ – ხარ-ირემი და ფურ-ირემი).

ქართულად ითქმოდა ცური, რადგან ქართულ ც-ს შეესაბამება მეგრული და ლაზური ჩ (შდრ. ცურვა – ჩურუა – ონჩურუ, სვან. ლიქან).

**coitus** მეგრულად არის ხოდუა, ხვადთან დაკავშირებული, ძვ. ქართულში – ტყუნა, სულხან-საბას განმარტებით, კაცისაგან ქალის დამდაბლება.

ეს სიტყვა ისტორიულ ეპოქაში არის გაჩენილი და გვიჩვენებს ტყვესთან დამოკიდებულებას (შდრ – „მოტყუენნა ქვეყანანი“, „ნატყუენავი“, „ტყუენვასა მას ხაზართასა“ – „ქართლის ცხოვრება“).

ხოლო ხვადი ფალაური ხვატაჲ (ახალსპარსული ხოდაჲ) უნდა იყოს, რაც უფალს, ბატონს ნიშნავს და იქნებოდა ტომის ბელადის ისეთივე სიმბოლური ეპითეტი, როგორც – ვერძი. შდრ. – ხოდაბუნი – საბატონო მიწა (ივ. ჯავახიშვილი).

ძველქართულში არსებობდა მეგრულის შესაბამისი სიტყვები – „სიღოდა“ და „მეღოდარი“, რაც მთვრალთა პირუტყვულ საქციელს ნიშნავდა (მზექალა შანიძე).

შემდეგ ესენიც დაიკარგა, დარჩა მხოლოდ ხვადი-მამრი.

წარმართულ პერიოდში იქნებოდა ღოდუა, რომლის ნაშთი შემორჩენილია სიტყვებში – ღადრობა (დაუნდობლობა) და გამოღადრვა (გამოჭრა), ღადირი – ქედი გორაკთა წარზიდული, ღადო – ზღვის ღელვა (სულხან-საბა).

შესატყვისი აქვს **penis**-ს. იგი გადავიდა მცენარესთან

დაკავშირებულ სიტყვებშიც. მაგ., მყნობა – ცონუა (ცოლუა, ნოცოლე), ნოცილა, რაც ხის ტოტს ნიშნავს. ამავე სიტყვათწრეში შედის ნოცო, რაც არის თურისა და დინოს ნათესაური კავშირების შემდგომი დიფერენცირება.

ძველქართულში, სულხან-საბას განმარტებით, მამაკაცის ასოსარცხვინელის სინონიმი არის მორი. აქედან – მორინე: ნარდი, ჭადრაკი, განჯაფა და მისთანა სამღერელნი, სამორინე – სახლი სადა მარადის იმღერიან ანუ იგივე ბორდელი.

ალბათ სექსის აღმნიშვნელი სიტყვები წარმოიქმნა ტოტემისა და ტაბუს ეპოქაში. შემდეგ ცნობიერების გამკვეთრებამ წარმოშვა აკრძალვათა სისტემა. აქედან კი წამოვიდა ზნეობრივი ნორმები.

სიცოცხლე ისახება ბნელ, იდუმალ, ხთონურ გარსში და ამიტომ მის წარმომშობ ძალთა ხსენება ისევე აიკრძალა, როგორც ღმერთის სახელისა, რომელსაც გადაეფარა ეპითეტები.

ასევე ტაბუირებული უნდა ყოფილიყო კვებასთან დაკავშირებული სიტყვები. ისინიც დაიკარგა ან შეიძლება თავიდანვე არ ითქმოდა. დაგვრჩა მხოლოდ ფიზიოლოგიური პროცესების მანიშნებული სახელები – სა-კუებ-ი, სა-ფსმ-ელ-ი (სასმელი), სა-ჯმ-ელ-ი (საჭმელი).

ამავე პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო ჰაერის – სუნის, სულისა და სულთქმის აღმნიშვნელი სიტყვები (ვრცლად- „კულტუროლოგიის საფუძვლები“, 1, კულტურის გენეზისი, თბ., 2013), რაც რწმენის, სიცოცხლის გაჩენისა და მისი მუდმივობის საყრდენი გახდა.

ეს არის საერთო, ენობრივ-სემანტიკური ამოსავალი მოდელები პრა-ქართველური ენისათვის, საიდანაც განვითარდა ანიმისტური, ტოტემური და მითოსური წარმოდგენები.

პრეისტორიის სიღრმეში ვერ ჩადის პალეოლინგვისტიკა, განსხვავებით პალეოანთროპოლოგიისა და პალეოგენეტიკისაგან.

პალეოანთროპოლოგს აქვს უძველესი ჰომინიდების ნაშთები, პალეოგენეტიკოსს – გენურ-ქრომოსომული სტრუქტურის ჰაპლოჯგუფები, რომელთა მიხედვით საზღვრავენ ქრონოლოგიასა და გავრცელების არეალს (პირობითი „ევასა“ და „ადამისაგან“).

პალეოლინგვისტს შეუძლია მხოლოდ ისტორიის გარიჟრაჟის ენათა ძირების რეკონსტრუქცია (იხ. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейскийязык и индоевропейцы, I-II Тб., 1984).

თუ გადაცდა – ვღებულობთ ნ. მარის იაფეტური ოთხ-ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის ფანტასტიკას, ლინგვისტურ მითოსს, როცა ყველა სიტყვის საწყისად მიჩნეული იყო ოთხი ძირი – სალ, ბერ, იონ, როშ.

## 2. პირველადი წარმოდგენები

პირველადი სიტყვათა ძირები, როგორც ვნახეთ, ამოდის ჰარმონიულ ბგერათა ამოძახებიდან. მათი სემანტიკა დაუკავშირდა ჰაერს, წყალს, ცეცხლსა და მიწას, ამ საგნების სემანტიკას, ან – მხოლოდ ესენი განვითარდა.

ეს ოთხი ელემენტი, მათი შესაბამისი ოთხი სტიქია ინდურ და ბერძნულ ფილოსოფიაში მიჩნეულია სამყაროს და სიცოცხლის საწყისად.

შიშისგან გაფეტიშებული საგან-სიტყვებიდან უფრო ძლიერი ძალები გამოირჩა და ველურიც მათ დაემორჩილა, ისინი შემოინახა და განავითარა.

## ასტრალური კრა-ღმერთები

ცა, რომელიც ყველგან ღმერთების საწყისია, შემდეგ ნაწევრდება გვარ-ტომთა წრეში მზედ, მთვარედ და ვარსკვლავებად. მისი სადიდებელი დღე იყო ხუთშაბათი – ცის დღე, მეგრ. ცაშხა, ლაზ. ჩაჩხა, სვან. ცაშ.

ქართულში მზეს დაუკავშირდა გვარ-ტომის დედის სახელი, რომლისგანაც მოდის ახალი სიცოცხლე, სიმბოლურად გაიგივდა.

მზის დღე იყო კვირა, მეგრ. ჟაშხა (ბჟაშდღა), ლაზ. ბჟაჩხა, სვან. მიჟელადეღ.

არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს ენობრივ მონაცემებს;

მაგალითად, საგვარჯილეს მღვიმეში აღმოჩნდა ნეოლითის პერიოდის შიშველი ქალის თიხის ქანდაკება. შემორჩენილია მხოლოდ ზედატანი, თავი მომტვრეული აქვს.

ასეთივე ქანდაკებებს მიაგნეს ცხინვალის ნაცარგორასა და ურბნისის ხიზანაანთ გორაზე.

ესენი უნდა წარმოადგენდნენ ნაყოფიერების ღმერთქალებს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ენეოლითურ კულტურაშიც (V-IV ათასწლეული) ქალი არის ნაყოფიერების ღვთაება, მზის ღმერთი ანუ მატრიარქალური მთავარღმერთი.

დედის უპირატესი სახელი ახლავს ქართულ ყოფას და ენას – „დიასახლისი“, „დედამიწა“, „დედაბოძი“, „დედა-ენა“, „დედაქალაქი“, „დედა-ციხე“, „გუთნისდედა“, „ვაი, დედა“; გადადის საერთოდ ქალზე – და-ძმა, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი, ქალ-კაცი, გოგო-ბიჭი, დედამთილ-მამამთილი.

მიწა დედად იწოდება ძვ. ინდურში, ირანულში, ხეთურში, ბერძნულში (დემეტრა – მიწა-დედა, გეა-დედა–მიწა).

ქართულში დედა ეტიმოლოგიურად უკავშირდება დებას, დადებას. ხოლო ნანა, რომელიც მას დიალექტებში ენაცვლება, მესოპოტამიურ-მცირე აზიურია.

ადამიანის ცნობიერებაში სამყარო თავდაპირველად იყოფა ცად და მიწად, როგორც შუმერში სასტიკი ბრძოლის შედეგად თიამათი (წყალი-დრაკონი) მარდუქმა გააპო ცად და მიწად.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, კოლხები თაყვანს სცემდნენ ზეცას (ურანოსს) და დედამიწას (გეას). იაზონმა პირველი მსხვერპლი სწორედ გეას შესწირა.

ნათელი, ღრუბლიანი, მრისხანე ზეცის მიერ ნაყოფიერდება ბნელი მიწა, რომელსაც უგზავნის წყალს წვიმის სახით, სითბოს მზის სხივების სახით.

ადგილი, სადაც ელვა-მეხი დაეცემოდა, წმინდად ითვლებოდა და ტაძარიც იქ შენდებოდა.

შემდეგ ცას გამოეყოფიან მზე და მთვარე-ტყუპები.

მზე და მთვარე მთავარ ღმერთებად მონაცვლეობენ დროის ბრუნვისა და წარმოდგენათა ტრანსფორმაციის მიხედვით.

პატრიარქატის პერიოდში არსებობს მზისა და ცეცხლის კულტი. მზე არის ღმერთქალი, რომელსაც შემდეგ ჩრდილავს მთვარე – მამაკაცის სიმბოლო.

ივ. ჯავახიშვილს მთვარის, ვითარცა მთავარმეუფის თაყვანისცემა, ქართველური ტომების „უუძველეს რწმენად“ მიაჩნდა.

წარმართულ კალენდარში მთვარის დღე დაერქვა ორშაბათს – მეგ. თუთაშხა, ლაზ. თუთაჩხა, სვან. დოშდიშ (შდრ

– ქალის სახელები მთვარისა და თუთა, გვარი თუთაბერი). მაგრამ რწმენაც იცვლებოდა და ალბათ იგი უფრო იმ პერიოდში წამოიწეოდა, როცა პატრიარქატი ძლიერდებოდა.

შემდეგ ისევ მზის კულტი იქნებოდა უმთავრესი, ოღონდ უკვე მატრიარქალური ნიშნების გარეშე. მაგ., ითქმის „მზეგრძელი“ და „დღეგრძელი“ სიცოცხლის ხანგრძლივობის აღმნიშვნელად, აგრეთვე – „მზის მადლმა“, „მზედაუვალი“, „მზედალეული“, „შენმა მზემ“, კაცის სახელები მზეჭაბუკი და მამამზე (შდრ - მამამზე ერისთავი კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“, წარმართული რწმენის ერთგული), ქალის სახელები – მზექალა, მზეონა, მზევინარი, მზია, მზისადარი, ხუარა-მზე, იგივე მზეთამზე, ქალის ეპითეტი – „მზეთუნახავი“, რომელშიც იგულისხმება მზის მამრობითობა).

კაცის სახელი არ უკავშირდება მთვარეს.

ქართლსა და სამცხეში,VIII-VI საუკუნეთა სამარხების არტე-ფაქტებზეც არქეოლოგები პოულობენ მზის კულტის ნიშნებს.

ქართულში მზე არის დღის და სიცოცხლის სინონიმი და არა მთვარე (მაგ., არავინ იტყვის – „მთვარეგრძელი“ ან „მთვარედაუვალი“).

მთვარე შეიძლება ყოფილიყო მზე საიქიოში, ბნელში სულთ მეგზური და შუქმომფინარი.

მთვარიდან მოდის თვის სახელი და აღრიცხვა, მზიდან – წელიწადისა.

ისინი და-ძმაც არიან და ცოლ-ქმარიც.

მათი შვილებია მაღლა, ზეცაში ვარსკვლავები (ძველი ფორმები – მასკულავი და მასკური, მეგრ. სკუა – შვილი), დაბლა, მიწაზე – ადამიანები.

ასეთი თვალსაზრისი გადმოსცა კოლხურმა ლექსმაც:

*„მზე დედაა ჩემი,*
*მთვარე - მამა ჩემი,*
*მოციმციმე ვარსკვლავები*
*და-ძმებია ჩემი“.*

*„ბჟა დიდა რე ჩქიმი,*
*თუთა – მუმა ჩქიმი,*
*ხვიჩა-ხვიჩა მურუცხეფი –*
*და დო ჯიმა ჩქიმი“.*

ამ „და-ძმებიდან“, ამ „მოციმციმე ვარსკვლავებიდან“ ჩვენმა წინაპარმაც გამოჰყო ხუთი მნათობი, როგორც გვეუბნება ლეონტი მროველი, და მათ ეთაყვანა.

ამ ხუთი მნათობის სახელებია – ასურულ-ბაბილონურად – ნინიბი, ნებო, მარდუქი, იშთარი, ნერგალი, ელინურად – არესი, ჰერმესი, დიოსი, აფროდიტე, კრონოსი. მათ ჰქონდათ ქართული შესატყვისიც (მაგ., ჭირანი, ცორანი), როგორც შენიშნავს პავლე ინგოროყვა.

ისინი თაყვანისცემის ობიექტები იყვნენ ძვ. წ. IV საუკუნემდე, ფარნავაზის დრომდე. მზესთან და მთვარესთან ერთად მათი სახელი დაერქვათ შვიდეულის დღეებს (მაგ., მეგრ. ჯუმაშხა – ძმის, ე. ი. ვარსკვლავის დღე – ოთხშაბათი).

კიდევ უფრო ძველი უნდა ყოფილიყო მნათობთა ქართული სახელები, როგორც დავასახელეთ – ცის დღე, მზის დღე, მთვარის დღე, აგრეთვე – თახას (თარხას, თარხონის) დღე – სამშაბათი, ჯუმას (ჯიმას, ძმის ანუ ვარსკვლავთა) დღე – ოთხშაბათი, ვობის (წვიმის, ტაროსის) დღე – პარასკევი, ერგეს (ნერგალის, მორიგეს) დღე – შაბათი.

ქართველური ტომების მთავარი ღმერთები ასტრალურ სამყაროს განეკუთვნებიან. მაგრამ ასევე შემოინახეს ანიმისტური ჟამიდან, როცა ყველა სახელდებული საგანი ფეტიში იყო, იმ

საგნების კულტი, რაც მათ ცხოვრებას განსაზღვრავდა.

ეს ის დროა, როცა ყველა სახელდებული საგანი პრაღმერთია. მათდამი მორჩილებით ნევროზული ფსიქიკა, რაც ველურს ჰქონდა, შიშისა და ღელვისაგან თავისუფლდებოდა.

## ცეცხლისა და წყლის კულტი

მზის კულტის მიწიერი სახე და გაგრძელება იყო ცეცხლი, როგორც სიცოცხლისა და არსებობის ხატი.

როგორც ვთქვით, ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ენეოლითურ ტომებშიც არსებულა ცეცხლის კულტი, რაც ასევე უკავშირდება კერას, მზეს, დედასა და გვარ-ტომს. ასე იყო ძვ. ინდოელებში, ირანში, ხეთებში, ლათინებში.

ცეცხლის კულტი შემდეგაც გაგრძელდა, რასაც დაერთო მიცვალებულთა კრემაცია. ხოლო ირანულ ტომებში მაზდეანურ რელიგიად ჩამოყალიბდა.

ცეცხლის გარეშე ვერ შეძლებდნენ ლითონის დამუშავებას.

ცეცხლის ანტიპოდია წყალი, ორივე კი – სიცოცხლის სტიქია, აუცილებელი სასიცოცხლო ელემენტი ჰაერთან და მიწასთან ერთად.

კოლხურ ტომებში არსებულა წყლის ღვთაება იგრი. მას უკავშირდება ი(ნ)გირი (ენგური) – მდინარე, აპრილის თვის სახელი იგრიკა, რომელიც წყალდიდობით გამოირჩევა, ერგე – მორიგე, გურგინი (გვირგვინი)– გრგვინვა, რომელსაც მოჰყვება წვიმა.

შდრ. სოფლის სახელები – ერგე ხელვაჩაურში, ერგეტა – ზუგდიდში, ერგნეთი – ქართლში.

შ. ნუცუბიძე შენიშნავდა, რომ ქართული სიტყვა შევიდა

ბერძნულ ენაში და იქ იგრონად იქცა, რაც ჰიდორის სინონიმი ყოფილა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ზღვით გარშემორტყმულ ნახევარკუნძულსა და უამრავ კუნძულზე მოსახლე ბერძნებს წყლის სახელი ესესხათ კოლხებისაგან.

უფრო ბუნებრივია, რომ ქართველურ ტომებს შეეთვისებინოთ იგი ბერძნებისაგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე განაგებდნენ ზღვისპირეთს.

ბერძნულად მდინარის ღვთაებას ერქვა ეაგრი (ეაგროსი), რომლის ძე იყო პელაზგი ორფეოსი.

აქედან უნდა წარმოშობილიყო ეგრისი, იგივე იგრ-ის-ი ანუ წყლიანი მხარე, რომელმაც შეცვალა ძველი სახელი კოლხეთი – კოლას მხარე, სადაც ბინადრობდნენ ეგრისელთა წინაპრები.

მას კი წინ უსწრებდა არგ ფუძიანი ბერძნული ტოპონიმი არგოსი და არგონავტები, როგორც მითოსურ-ისტორიული ტრადიცია.

ი. მეშჩანინოვისა და ბ. კუფტინის პირველ თავში ფიქსირებული განსხვავებული თვალსაზრისი შეიძლება ასეც დასაბუთდეს:

გერისაგან მიღებული სამგლე მეგრულში არის ლე-გერ-ეთ-ი ანუ ლე-გერ-ის-ი, აქედან – ეგერისი/ეგრისი; მგლის ხალხები იყვნენ ლუვიელები და ლიკიელები; ძუ მგელი იყო რომაელთა ტოტემი; იბერიას მგლის ქვეყანას-ვირჩანს ეძახდნენ ირანელები.

იგრიკა ამ კონტექსტში მოიაზრება. შეიძლება იგი ნიშნავდა მგლის წყალს, როგორც ვეძა-ვერძის წყალს. ეს სიტყვა უძღვის კოლხურში წყალ/წყარს, როგორც ღვთაების სახელი.

ქართულში წყანი (მუხა) გამოდის წყალიდან.

მეგრულში წყანს ენაცვლება ჭყონი. მაგრამ წყ ძირი არ იცვლება – წყარი, წყურგილე (წყარო, სიტყვასიტყვით – ჭაგრილი). “წვიმა-ტაროსის დღე იყო ვობიშხა (პარასკევი). მეგრ. დობუმა/დობუნა-დასხმა, ვობუნქ-ვასხამ.

## ცხოველთა კულტი

მესაქონლე და მიწათმოქმედმა ტომებმა გააღმერთეს ხარი, როგორც გამწევი და მარჩენალი ძალა.

ხარის რქები მთვარის ნიშანი იყო, ისევე როგორც ცეცხლი – მზისა, ჯერ ციდან ჩამოსული, შემდეგ – ზოდიაქალურად ცად აზიდული.

ენეოლითური ხანის ფენებში ზემო ავჭალაში აღმოჩნდა ორი სადგარი ორი რქისებრი შვერილით.

ასეთივე სადგარი იპოვეს „კული ხვემში“, ცხინვალთან.

ასევე მრავლად არის მოღწეული ხარის ძვლები, ხარის გამოსახულებები სხვა ადგილებშიც (შდრ – გვიანდელი ქრისტიანული ტაძარი ნიკოლოზწმინდა→ნიკორწმინდა).

საქონლის სახელები მაშინ არ იქნებოდა დიფერენცირებული.

ამიტომ ხარს სხვა სახელი უნდა რქმეოდა.

თვით სიტყვა ხარი ენათესავება ხეთურ **ḫars**-ს (ხარზ), რაც ნიშნავს მიწის დასამუშავებლად გასუფთავებას.

შდრ – ხვნა, მეგრ. ხონუა, სვან. ლიჯნი; მეგრ. ხარუა – გამოშიგნვა, დაკვალვა.

შემდეგ ჩნდება ცხენის კულტიც, რაც ფართოდ არის ასახული ყველა ხალხის კულტურაში (იხ. „ცხენის კულტი“ და „მწვანე ცხენი“ ჩემს წიგნში – „მარტვილი და ალამდარი“).

საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა ადგილებში, აღმოჩენილია ცხენის სამარხები, როგორც ცალკე, ისე ადამიანთან ერთად.

ცხენის კულტმა დაჩრდილა ხარის კულტი. შეიძლება ეს მოხდა კიმერიელებისა და სკვითების შემოსევის შემდეგ, როცა ცხენი გახდა საომარი ძალა, მამაკაცის განუყრელი თანამგზავრი, ისევე როგორც მახვილი და ფარი.

ცხენი იყო გადაადგილების, დაბრკოლებათა დაძლევის, ხიფათის არიდების ეფექტური საშუალება, მაგრამ იგი მაინც უფრო უკავშირდება ომს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, დაპყრობასა და თავდაცვას.

ვიდრე გამოჩნდებოდა ცხენოსანი ჯარი, მესოპოტამიელები იბრძოდნენ ჯერ ვირებშებმული, შემდეგ – ცხენშებმული ეტლებით.

ლაშქარს წინ მიუძღოდა საომარი ცარიელი ეტლი. მასზე უხილავად იდგა უზენაესი ღვთაება (კ. ზ. გამსახურდია).

ასევე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მგლის კულტი.

მგლის ტყავში გახვევა ანუ გამგელება ძალით აღვსებას ნიშნავდა (შდრ. - რუსთაველის ვეფხის ტყავი).

## ხეების კულტი და უძუართშეწირვა

მღვიმიდან გამოსული ველური ხის გარშემო კრავდა პირველ საცხოვრისებს. ხე იძლეოდა საკვებს, ცეცხლს, სითბოს, ჩრდილს, იარაღებს.

წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორი წერს, რომ ქართველები „ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის სცემდეს“, რომ, ამასთან ერთად – უცხო ღმერთებს ემსახურებოდნენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღნიშნავს, რომ არმაზსა და ზადენს სწირავდნენ პირმშო (ახალშობილ) ყრმებს.

ლეონტი მროველი წერს „პირველ მამათა ჩუენთა“ კაცისჭამიობასა და ყრმათა კერპებისათვის შეწირვაზე ანუ ჩვენი წინაპრებიც ისევე იქცეოდნენ, როგორც შორეული კონტინენტების მოსახლენი.

არაერთი რიტუალურად შეწირულის ჩონჩხი აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-III საუკუნეთა ორმოსამარხებსა და ქვევრსამარხებში (მაგ., ვანსა, ნოქალაქევსა და დაბლა გომში).

ლეგენდის თანახმად, სამეგრელოში, მარტვილის გორაკზე, სადაც ახლა მონასტერია, მდგარა მუხა – სამსხვერპლო ხე ჭყონი, რომელსაც უსუარებს (ბავშვებს) სწირავდნენ, ისევე როგორც არმაზსა და ზადენს.

ეს სისხლიანი რიტუალი გაგრძელებულა ქრისტიანობის შემოსვლამდე. სხვა გადმოცემით, ამ ადგილას აღუმართავთ კაცის სახის ლითონის კერპი, ალბათ არმაზის მსგავსი, რომელსაც კაპუნია ერქვა. კერპის დაფჩენილ ხახაში ცოცხალ ბავშვებს ყრიდნენ.

შემდეგ ჭყონი მოჭრეს და იქ მონასტერი ააშენეს, ჭყონის სანაცვლოდ დარგეს ცაცხვი, თუმცა მღვდელთმთავარი დღესაც იწოდება ჭყონდიდელად და არა მარტვილელად.

სვეტიცხოველის ადგილზეც მდგარა უზარმაზარი სალოცავი ხე – მუხა.

ისიც გაქრისტიანების შემდეგ მოუჭრიათ და ზედ ეკლესია აუშენებიათ.

ხალხი მუხას ვერ ელეოდა და არმაზთან ერთად მასაც

თაყვანს სცემდა. სალოცავი მეგრულად არის თხვამე (რომელიც დარჩა და ვერ გააძევა ეკლესიამ), ხვემურა – ხვრელი, ხვამა – ლოცვა (სვან. ჯვამ – ბუჩქი).

როგორც ჩანს, ხვამ/ხვემ ფუძე უკავშირდება მღვიმეს, სადაც ბინადრობდნენ ველური ტომები და ჰქონდათ სამსხვერპლო-სამლოცველოები.

მუხა (ჭყონი) მღვიმიდან გამოსულისა და ტყეს შეფარებულის სამსხვერპლო-სამლოცველო (თხვამე) ხე იყო, ვიდრე ტაძარში შევიდოდა (შდრ. მთის სახელი ხვამლი, რომლის გულში, 2000 მეტრის სიმაღლეზე, აღმოაჩინეს საკულტო დარბაზი. მას ჰქონია გასასვლელი სხვა ქვაბულებში).

მუხის კულტი და კაცთშეწირვის რიტუალი შთაიბეჭდა ქართველურ ენებში, რომელთა მნიშვნელობის აღდგენა შეიძლება ლინგვისტური რეკონსტრუქციით.

ქართველური ტომებისათვის წყანი (მუხა) იყო მთავარი ხე, როგორც ძალისა და მუდმივობის სინონიმი:

ქართულში საწყისის, დაწყების ძირი არის – წყ – ბგერათკომპლექსი – მეგრ. „გე-ჭყ-აფ-ა“, ლაზ.: „გე-ჭკ-აფ-უ“, წყალთან და წყანთან დაკავშირებული.

ქურუმი იგივე „მწყემსი“ იყო (მეგრ. „ჭყეში“, ლაზ. „ჭკეში“), ცხოვართა შემკრები და წინამძღოლი ანუ ტომის თუ ხალხის განრიგე, უზენაესთან მაერთებელი.

წყან/ჭყონს ასევე უკავშირდება – „მოწყუედა“, „წარწყმედა“, „წყევლა“, „ჭყუნვა“, „ჭყივილი“, „წყალობა“ და „წყალი“, „ჭყანი“, „გიმნაჭყანი“, „მოჭყუდუ“, „ჭყორინი“ (გაწყრომა), ალბათ – წამებაც და ჭკნობაც.

ახლა შევადაროთ ქართული „მოწყუედა“ (ამოწყვეტა),

მეგრ. „ჭყვადუა“ (მოსპობა) და „მოჭყვიდუა“ (მოწყვეტა), ლაზ. „გიოჭყვიდუ“ (დაარტყა; გადაწყვიტა) და „ეჭკვადუ“ (ამოგლეჯა); სვან. „ლი-შყედ“ (გაწყრომა), რაც ღმერთების სასტიკ განაჩენთან – სიკვდილთან არის ასოცირებული.

ქართულ „ჭყივილს“ შეესაბამება მეგრული „ჭყია“, რაც შეწირულის სასიკვდილო გმინვაა. ხოლო სულხან-საბას განმარტებით – „გოჭთხმიანობა“.

ეს კი ეთანხმება გადმოცემას ბავშვთა მსხვერპლთშეწირვაზე, რასაც ხმასთან აკავშირებდნენ (ო. ფრეიდენბერგი)

ამავე ძირის სიტყვაა „ჭყუნვა“, რაც ჭყლეტას ნიშნავს და სათანადო შესატყვისი არსებობს როგორც მეგრულში („გოჭყილინტუ“, „გოჭყაჭყუ“ - გაჭყლიტა), ისე ლაზურში („ოჭყიპუ“ – ჭყლეტა).

ეს სიტყვა დაჭრასაც ნიშნავს (ქართული – „მოწყლვა“, „წყლული“, მეგრული – „ჭყოლუა“) და საწყალსაც, ე. ი. ვისაც წყანის სიკეთე ანუ წყალობა მოაკლდა.

„წყალობა“ თუ ერთი მხრივ წყანთან ასოცირდება (მეგრ. „ჭყოლოფუა“),მეორე მხრივ წყალს უკავშირდება ანუ წყალი უნდა ყოფილიყო წყანის პრაფორმა (შდრ. – ჭაობი და ჭყანტობი – ღრმა წყალი. ტობა მეგრულად ღრმას ნიშნავს).

როგორც ჩანს, ქართველური ტომები უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდნენ წყალს (შდრ – ინდუსთა და ემპედოკლეს ჰაერი, მიწა, ცეცხლი და წყალი).

მაგრამ უფრო მწვავე და სანატრელი უნდა ყოფილიყო არა წყალუხვ ჭაობიან მხარეში მცხოვრებთათვის, არამედ – უდაბნოსა და ცხელი მიწიდან მოსულ ტომთათვის.

ალბათ, ესეც მეტყველებს, რომ პრაქართული ტომები მცი-

რეაზიაში ბინადრობდნენ (შდრ. – ტუბალი და ტიბარენი) და ჩრდილოეთში მოიტანეს მცირეაზიური მუხის კულტი.

დავუბრუნდეთ წყანს და მის ნათესავ სიტყვა „წყევლას“ (მეგრ. „ჭყალა“), რაც უნდა ნიშნავდეს წყანისთვის (ჭყონისთვის) შესაწირად გადაცემას, დაწყევლილი („ჭყერი“) – შესაწირს, სასიკვდილოდ განწირულს, წამებული კი – წყანისთვის შეწირულს (არქეტიპულად – „წყანებული“).

ასევე ჭყონს უკავშირდება მეგრული სიტყვები – „ჭყანი“ (ძალა, გურულ დიალექტში – ხორცის ნახარში ქონიანი წყალი), „გიმნაჭყანი“ (შთამომავალი, სიტყვა-სიტყვით – ჭყონისაგან გამოსული, ჭყონის შვილი. ამ სიტყვას ახლავს დღეს ირონიული შეფერილობა, რაც მის წარმართულ შინაარსზე უნდა მეტყველებდეს), „მოჭყუდუ“ (პატარძალი, რაც მოწყვეტას, წართმევას ანუ სამსხვერპლო ქალწულის დახსნასაც ნიშნავს).

– წყ//–ჭყ ძირის სიტყვათა სემანტიკურ რეკონსტრუქციას მივყავართ წყან//ჭყონთან და კაცთშეწირვასთან, რაც სრულად შემოინახეს ქართულმა, მეგრულმა და ლაზურმა ენებმა. მაგრამ ნაკლებად ჩანს სვანურში, რომელიც ყველაზე ადრე გამოეყო ქართველურ ენას.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული სიტყვა „მარტვილი“, სულხან-საბას ცნობით, „ყრმის“ სინონიმი გახდა მესხურ დიალექტში, რადგან ბავშვთა სამსხვერპლო ადგილს ერქვა მარტვილი.

არსებობს ამ სიტყვის ხალხური ეტიმოლოგიაც, რომ თითქოს დედამ ჩვილი შესწირა ჭყონს და თქვა – „მარცვილი“ (მე მოგკალი) და აქედან გაჩნდა „მარტვილი“, ე. ი. აქაც საფუძველია მსხვერპლთშეწირვა.

ამ პროცესის წარმმართველისა (ქურუმი) და შეწირულის (ბავშვი) სახელები შემოინახა მეგრულმა ანტინომიურმა წყვილ-

მა – უჩაში (უფროსი) და უკვლაში/უკვილაში (უმცროსი).

წარმართი ქურუმ-ბელადის ქართული სახელია უ-ხუც-ეს-ი (ყველაზე ჭარმაგი ანუ უფროსი), აქედან – ქრისტიანული ხუცესი. მეგრულში შეესატყვისება უჩაში (უფროსი), რაც თავდაპირველად იქნებოდა უ-ჩე-აშ-ი, პირდაპირი თარგმანით – უთეთრესი, ყველაზე ჭარმაგი. ქართულ ც ბგერას მეგრულში ჩ შეესატყვისება ანუ მეგრული ჩე ქართულში არის მხცე.

მასვე უკავშირდება ხოცვა, ე. ი. უხუცესი იყო ბელადი, ვინც ხოცვას ანუ ნადირობას უფროსობდა, ვინც ნანადირევს, ე. ი. ხორცს ანაწილებდა.

თეთრი ქართული სიტყვა არაა. იგი შემოსულია ბერძნულიდან – ტეტრა, რაც ოთხს ნიშნავს (ტეტრადრამა, ტეტრალოგია).

ფულის სახელი – კოლხური თეთრი დღევანდელ თეთრს კი არ აღნიშნავდა, არამედ - დრაქმის მეოთხედს.

უჩაშის საპირისპიროა უკვილაში (უმცროსი).

ამ სიტყვის ძირია კვილ, რაც პატარას ნიშნავს (მაგ., კველა – პატარა სკამი) და უკავშირდება ქართულ კვლას (მეგრ. ყვილუა).ძველად ამ ანტინომს რიტუალური აზრი უნდა ჰქონოდა. ამიტომ უჩაშის (უფროსი) თავდაპირველი ანტინომი იქნებოდა ო-ყვილ-აშ-ი (საკლავი).

თუ ერთად გავიაზრებთ უკვილაშს (უმცროსს, პატარას) და ოყვილაშს (საკლავს), მივიღებთ პატარა მსხვერპლს, რაც აღადგენს ბავშვთა შეწირვის რიტუალს.

ხეთურად **saklei**(საკლაი) არის წმინდა ჩვეულება, რიტუალი. შეიძლება კვლა სიტყვა ქართველურ ენებში აქედან იღებდეს სათავეს.

ენის არქაული შრეები ინახავს სხვადასხვა დროის მონა-

ცემებს, როგორც მიწის წიაღი კაცთა ძვლებს, იარაღებსა და სამკაულებს.

როგორც ვიცით, ტომის ბელადი განსაზღვრული პერიოდის შემდეგ უნდა მოეკლათ მისივე გვარ-ტომის წევრებს, რათა მისი ძალ-ღონე შეჰმატებოდათ. მაგრამ შემდეგ ამ სასჯელს ბელადი იცილებს და იგი გადააქვს ჯერ შვილსა და ახლობლებზე, შემდეგ – საგანგებოდ შერჩეულ პირზე ან მონაზე (ჯ. ჯ. ფრეზერი).

ბოლოს კაცთშეწირვა იცვლება ცხოველთ ზვარაკით.

ჩვენში არსებულა ტრადიცია, როცა დედა შვილის, ცოლი – ქმრის ან საგანგებოდ შერჩეული პირი (იმპერსონატორი) ბელადის სანაცვლოდ რიტუალურად თავს სწირავდა.

ასეთი შენაცვლების წესი, ნებაყოფლობითი მსხვერპლი უმაღლესი სიყვარულისა და ერთგულების გამოვლენაა. იგი შემოინახა ქართულმა ენამ – „შემოგევლე“, „გენაცვალე“ (მეგრ. „ქოგალე“), „შენი ჭირიმე“ (მეგრ. „სკანი ჭირიმა“), ე. ი. შეგენაცვლო სიკვდილში.

მეომრის ცხოვრების ჰეროიკული დასასრულიც სხვის სანაცვლოდ დაღუპვა, სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი თავის გაწირვა იყო.

ადამიანის ფიქრი და ოცნება მარადიული ციდან მიწაზე ჩამოდიოდა, ზეციურის მიწიერ სიმბოლოებს იგონებდა, ზოომორფულ და ანთროპომორფულ ქანდაკებებს აკეთებდა და საბოლოოდ ღმერთებს ადამიანის სახეს აძლევდა, თუმცა ვერც ცხოველურსა და ფანტასტიკურს ელეოდა, რათა ღვთაების უჩვეულო ბუნება და ძალა წარმოედგინათ.

ღმერთის მიწიერი განსახიერება, მისი ამქვეყნიური ნების აღმსრულებელი იყო მეფე. ამიტომ უკავშირდება ქართულში

ერთმანეთს უფალი, მეუფე, დედოფალი, მეფე, სუფევა, სოფელი და მსოფლიო, უფლება და თავისუფლება, საფლავი და ფლობა.

## 3. სივრცე – დროის არქაული მოდელი

გვარ-ტომისა და ტომისათვის თავისი დასახლება არის საარსებო სივრცე. იგი მხოლოდ მას იცნობს და არ გადის ბუნებრივი საზღვრიდან.

ასევე არის დასახლებული გარეთ – მთების, მდინარის თუ ზღვის მიღმა არსებული უცხო მიწა, რომელშიც შესვლას ან რომლიდანაც გამოსვლას ყველა ერიდება.

ნადირსაც კი განსაზღვრული აქვს თავისი საცხოვრისი, რომლის მიღმა არ გადადის. მაგრამ არ უშვებს არც უცხოს, სხვა გარემოდან შემოვარდნილს.

აქ შეიძლება ბინადრობდეს, ერთად ცხოვრობდეს სხვადასხვა სახეობის ფრინველი, მწერი, ქვეწარმავალი თუ ცხოველი. მაგ., ერთ სივრცეში დასაბამიდან თანაარსებობენ შველი, ირემი, კურდღელი და მტაცებელი – მგელი, ავაზა თუ ლომი.

არცერთი მათგანი არ ცდილობს საცხოვრისის შეცვლას, თუმცა უწყინარი ცხოველები გამუდმებით ხედავენ თავიანთი ჯოგის წევრის დაღუპვას.

გადამფრენი ფრინველებიც შემოდგომაზე ათასობით კილომეტრს გადაივლიან და გაზაფხულზე უცდომელად უბრუნდებიან თავიანთ ბუდეს.

მხოლოდ ადამიანი მოწყდა თავის მიწას, დაიწყო გადაადგილება და გარე სივრცის მოხილვა-ათვისება, რათა მოეპოვებინა ახალი შინ, არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ – ხე-

დვითაც, ისტორიულ დროში – შესძლებოდა ტერიტორიის გავრცობა, ეთნოსის, ენისა და რწმენის ფორმირება.

მას მოსახლე ეძახის მშობლიურ მიწასა და ქვეყანას.

მისთვის ეს არის სამყაროს ცენტრი, რომელსაც სხვადასხვა განზომილება გააჩნია.

ქართველურ ენებში სტიქიურად შთაიბეჭდა მრავალი თაობის თვალით დანახული სამყაროს სიმაღლე, სიმრგვალე და სიღრმე, სინათლე და სიბნელე, სიცოცხლის ცვალება, რაც სკნელთა სტრუქტურად იქნა გააზრებული.

## სკნელთა სტრუქტურა

ქართველურ ტომთათვის სამყარო იყო მრგვალი („ცარგვალი"), რომლის ძირითად ნაწილს – ხმელეთს გარს ეკრა გველეშაპად სიმბოლიზებული წყალი და მთები. ბოლოს, ჰორიზონტთან, იდგა სიცოცხლის ხე.

სიცოცხლის ხე წარმოედგინათ ცადმწვდომ ირმის დატოტვილ რქებად.

ამის მიხედვით ჩვენი წინაპარი სამყაროს ყოფდა მრავალ გარსად, რომელსაც სული გაივლიდა (შდრ. „კოლხური ცული და დიხა-გუძუბა").

ვერტიკალურად გარსები შედგებოდა ქვესკნელ-შუასკნელ-ზესკნელისაგან, მცენარესთან მიმართებით – ძირი, ღერო და წვერი.

ქვესკნელი, იგივე ქრისტიანული ჯოჯოხეთი, ელინური ჰადესი, მიწისქვეშეთი, ბნელი, შავი სამყაროა. იქ ძალაუფლება უპყრიათ დევებს, დრაკონებს, ქაჯებს, ავსულებს, ბოროტ და მავნე არსებებს (მეგრ. თუდონ ქიანა).

იგი შეესაბამება ქვენა გრძნობების სფეროს. ამ ხთონურ

გარსში ისახება სიცოცხლე და ამოდის შუასკნელზე (მეგრ. თე ქიანა).

შუასკნელში ცხოვრობენ ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, ჰყვავიან მცენარეები. ეს ხმელეთის პირია, რომელსაც აქვს სიცოცხლისა და სისხლის ფერი – წითელი.

შუასკნელიდან ზესკნელისკენ (მეგრ. ჟინ ქიანა) ადიან გარდაცვლილთა სულები. იგი ზეცაა, თეთრი ფერისა, შვიდი სფეროსაგან შემდგარი და ეკუთვნით ღმერთებს, გმირებს, კეთილ სულებს.

სამივე სკნელს მოივლის ამირანი: ქვესკნელში იგი ჩაიყვანა ვეშაპმა (ქარ-ცეცხლმა), რომელმაც გადაყლაპა. ლანდების ქვეყნიდან კი გამოიყვანს კლდის არწივი. ზესკნელში დევფასკუნჯმა აიტაცა, საიდანაც დევ-ბებერას მიცემული ტყავით ჩამოფრინდა.

მეშვიდე ცაში მთავარი ღმერთი იმყოფება.

ამ მშობლიურ და ნაცნობ გარემოს აქვს დასაწყისი და დასასრული ანუ წინა სკნელი და უკანა სკნელი.

გარსებს აკრავს გარე სკნელი, ბნელი გარსი, რომლის მიღმა უცხო სამყაროა (მეგრ. გალენი-გარეთა).

იგი ისევე ჰორიზონტალურად არის განფენილი, როგორც წინა სკნელი და უკანა სკნელი (მეგრ. წოხონელი და უკახანელი).

გარსებად დაყოფილ სივრცეს აღმნიშვნელად აქვს ერთი ძირი – სკნ, ამ სიტყვით გვიხდება აღდგენა მხოლოდ ენაში დაცული წარმოდგენისა.

სკნელებთან ერთად სკნ ძირიდან მოდის სკვნა/სკუნა, რაც უკავშირდება კოლხურ შობასა (სკუალა) და შვილს (სკუა).

სკვნა არის ბმა, შერწყმა, ორისაგან ერთის წარმოშობა

(იხ. „ფასკუნჯი – მფრინავი ვერძი“), სკვირი – ბმული ანუ სიცოცხლის დასაბამი. ინდოევროპულში სკჰელ/სკელ არის ფესვი (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ სკუა/შვილის სათავეც ინდო-ევროპულია.

სივრცესთან ერთად დაიყო დროც-ღმერთებისადმი მიძღვნილი რიტუალებისა და დღესასწაულების გრაფიკით.

## დროის რიტუალური დაყოფა

გამკვეთრებულმა ცნობიერებამ აღიქვა ჟამის ცვალებადობა, დღისა და ღამის მონაცვლეობა, მზისა და მთვარის მოძრაობა, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული, რომელთა შესაბამისად დააწესა და დროში გაანაწილა რიტუალები.

ამას მოჰყვა დროის დაყოფა და დიფერენცირება რიტუალების მიხედვით.

ქართველურმა ტომებმაც გამოჰყვეს წელიწადი (მეგრ. წანა, სვან. ზა), წელიწადის დროები – ზაფხული (მეგრ. ზარხული, სვან. ზავლადეღ) და ზამთარი (მეგრ. ზოთონჯი, სვან. ლინთვ), მოაქციეს სიტყვათა გარსში.

წელიწადი დაჰყვეს თორმეტ სადღესასწაულო თვედ (ძვ. ქართ. თთუე, მეგრ. თუთა, სვან. თევ), რომელთაც ცალკე სახელები დაერქვათ (მაგ., სურწყუნისი, იგრიკა, ტირისკნისი).

თვის სახელი უკავშირდება მთოვარეს (მთვარეს), რადგან საზომად იყო მიღებული მთვარის მოძრაობა, ისევე როგორც ინდოევროპულ ენებში (მეგრ. თუთა, სვან. დოშდულ).

ორივე ერთად კი ამოდის ძველეგვიპტური თოთიდან, რომელიც იყო ჟამთა უფალიც. მას დაუყვია დრო წლებად და თვეებად, შეუდგენია წელთაღრიცხვა.

იბისისთავა თოთი მიაცილებდა მიცვალებულს მკვდართა

სამეფოში. იგი ადგენდა დაბადებისა და მიცვალების თარიღებს.

როგორც ვხედავთ, ხეთურ-ლუვიური არმასათვის არ იყო ადგილი არც ქართულ ენაში, არც ქართულ კალენდარში, არც ასტრალურ ღმერთებში.

ზაფხულისა და ზამთარის პრეფიქსი ზა – ადრე სიტყვა იქნებოდა და მზეს ნიშნავდა (მეგრ. ბჟა, ლაზ. ბჟა, სვან. მიჟ).

სვანურში ზა დროც არის და წელიწადიც – მზის მოძრაობის მიხედვით.

არნ. ჩიქობავა და ივ. ჯავახიშვილი ზა-ს წელიწადთან აკავშირებენ. მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს სეზონური, ამინდის მიხედვით ახსნა – ცხელი დრო (ზაფხული) და ცივი დრო (ზამთარი).

შდრ – ხეთური „გიმმანთარია" – გამოზამთრება (გრ. გიორგაძე).

შეიძლება აქ უძველესი გაგებაც ჩანდეს, როცა წელიწადი იყოფოდა არა თორმეტ თვედ, არამედ – ორ სეზონად. შესაბამისად იყო დღევანდელი წელიწადის ფარგლებში ორი წელი – ზაფხული და ზამთარი, რაც პერიოდულად ერთმანეთს ენაცვლებოდა, როგორც ცაზე მზე და მთვარე.

მზისა და მთვარის მოძრაობას ადამიანი უკავშირებდა სინათლისა და ამინდის ცვალებადობას, უძველეს დროშივე ხედავდნენ მათ შორის კავშირს.

დროის ციკლურობის სიმბოლო იყო წრეში ჩახატული ჯვარი (შდრ - წონას მღვიმეში აღმოჩნდა ქვედა პალეოლითის კირქვის ფილაზე გრავირებული ჯვარი).

მზისა და მთვარის მონაცვლეობა იყო იგივე დღე-ღამის – ნათლისა და ბნელის თამაში, სითბო და სიცივე.

სიტყვებში – ზამთარი და ზაფხული ზა – მზესთან ერთად

მოიცავს დროის გაგებასაც, ასევე –ამინდისა, როგორც ყინვისა და სიცხის მიზეზი.

მზე კი ზეცის თვალი და მზერა იყო (ოდრ - გერმანელ-სკანდინავიელთა ცის ღმერთი ცალთვალა ოდინი).

ამიტომ ზაფხული, როგორც ცხელიდან გამომდინარე, არის ცხ-ულ/ფხ-ჳნ (ივ. ჯავახიშვილი), რასაც პარალელები აქვს აფხაზურ-ადიღეურსა და ჩეჩნურში. სრულად იქნებოდა მზის ცხელი დრო (ჟამი).

სიტყვა ზამთარში ზა – არის დრო, მ შემდეგ განვითარებული ბგერა, თარი იგივე შეცვლილი დრო (ჟამი). დარი, სულხან-საბას ახსნით – შეცვლილი ამინდი.

მზის თვეები იყოფოდა დღეთა შვიდეულად, რომელთა სახელები, როგორც უკვე ვთქვით, ღვთაებებს უკავშირდებოდა.

შვიდეულის სახელები დაირღვა ქართულში (მაგ., ძველი აფროდიტის დღე, ახალი – შაბათების სისტემა). მეგრულმა, ლაზურმა და სვანურმა ენებმა შემოინახეს არქაულ-წარმართული სახელები (მაგ., თუთაშხა, თახაშხა, ცაშხა).

დღეც ასევე იყოფა რამდენიმე ნაწილად მზისა და სინათლის მონაცვლეობით – დღე და ღამე (მეგრ. ღუმა – წუხელ, სერი – ღამე, ლაზ. ღომან – გუშინ, სვან. ლეთ).

დღის საწყისია დილა (მეგრ. ოჭუმარე, ორდო, სვან. ჰამ),გამყოფი – შუადღე (მეგრ. შქადღა /ონდღე, ლაზ. შქაწელი, სვან.ისგლადეღ), დამამთავრებელი – საღამო (მეგრ. ონჯუა, სვან. ნებოზ).

ღამეც შუაზე იყოფა – შუაღამე (მეგრ. შქასერი, სვან. ისგლეთ), ხოლო დასასრული არის გათენება (მეგრ. გოთანა, სვან. ლიბარღანელ), ან – დილა (ოდრო/ოჭუმარე – ჰამ).

ამრიგად, ქართველურმა ენებმაც მანამდე მოახდინეს დროის სტრუქტურიზება ღმერთების სახელით, ვიდრე შემოვიდოდა ასტრონომიული ცნებები და რიცხვითი სახელები.

დროის დაყოფა – დიფერენცირება, სახელდება გამოდიოდა ღმერთებისადმი მიძღვნილი დღესასწაულებიდან, რაც იყო წელიწდეული, სეზონური, თვიური, კვირეული და ყოველდღიური, სიცოცხლის ციკლით განსაზღვრული.

შესაბამისად იცვლებოდა დღესასწაულების მასშტაბი, მისი ხასიათი (ღია და დახურული, სახალხო და სახელმწიფოებრივი, მუდმივი და მომენტალური), ხანგრძლივობა, ლოკალი (ადგილობრივი, ტომობრივი, საერთო).

დღესასწაულებით, რიტუალებით, კარნავალებით ადამიანი სცილდებოდა ყოველდღიურ, მძიმე და მოსაწყენ წვრილმანებს, რაც სთიშავდათ, და ეძლეოდნენ ეიფორიას, აღმაფრენას, საერთო ექსტაზს, რაც იყო როგორც უფლის დიდება, ისე თავაშვება და ველურობის გახსენებით თრობა, თრობა სისხლით, ალკოჰოლით, ბრძოლა-თამაშით, სექსით.

ეს ხელოვნების პრაფორმები, დრამატული და კომედიური პრასპექტაკლები საწყისს აძლევდნენ ასტროლოგიას, ასტრონომიას, თეატრს, მუსიკას, პოეზიას, სიმღერას, ცეკვას, სკულპტურას, მხატვრობას, სიმბოლურ აზროვნებას.

დღესასწაულის სცენარს მითების სახით ადგენდნენ ქურუმები და ისინი მართავდნენ ჯერ მასასთან ერთად, შემდეგ – მასის თვალწინ, როგორც სცენაზე (მაგ., ადონისი და ადონიები, დიონისე და დიონისიები).

ამ მხრივ სანიმუშოა რომაული კალენდარი, რიტუალებისა და ცერემონიების გრაფიკი და სპექტაკლური წარმოდგენის ფორმები.

# 4. მიცვალებულის კულტი

ქართული სიტყვა ღმერთი/ღმერთის (მეგრ. ღორონთი, ლაზ. ღორმოთი, სვან. ღერბეთ) სათავეა უზენაესის წინააზიელ-თა ინდოევროპული სახელი -**ard**, რომლისგანაც გამოდის, ერთი მხრივ – კაცი (ძვ. ინდური **marta**), მეორე მხრივ – მარ-თალი /სამართალი (ძვ. ინდური **rta**-კანონი, ძვ. სპარსული **arta**-კანონი).

ერთი ძირის სიტყვებია ღმერთი, კაცი და სამართალი (შდრ. წაღ**მარ**თი და უკუღ**მარ**თი, როგორც ღვთიანი და უღვთო). ისინი გამოხატავენ ქვეყნიერების წესრიგის სურათს.

პოლითეიზმის დროს ღმერთებად ქცეულ სულებს აქვთ ჯერ ზოომორფული, შემდეგ – ანთროპომორფული ნიღბები.

სული კი, როგორც ვიცით, სუნისგან არის მიღებული (მეგრ. შური-სული და სუნი, ლაზ. შური – სული და სუნი, სვან. შურ-ოხვრა, ქვინ–სული) და უკავშირდება სუნთქვასა და სულთქმას (მეგრ. შურიშ ღალა).

ამავე სემანტიკურ წრეში შედის სმა/სუმა (დალევა) – მეგრ. შუმა, ლაზ. ფშუმა (შუმერი-მთვრალი), სვან. ნაშუ-ნასვამი, ერთად კი – სულისდგმა/სულდგმა (მეგრ. შურდგუმა, შურდგუმალა – სულის დგმის ჟამი) ანუ სიცოცხლე, რაც ცხ ძირის განვითარებაა (შდრ. სული დალია – მოკვდა).

არაცნობიერად შექმნილ ენათა კონსტრუქციაში ასევე არაცნობიერად აისახა სამყაროს მოდელი და ფსიქიკიდან ღმერთებად გამოტანილი შიშების ხატი.

ხილული სამყაროს გაგრძელება არის საიქიო, გაღმა მხ-არე – მკვდართა უხილავი ქალაქი, რომელთაც მთლიანობად აღიქვამდა არქაული წარმოდგენა.

## საიქიო – ზესკნელ-ქვესკნელი

ჰერბერტ სპენსერის აზრით, სულების რწმენას მოჰყვა მიცვალებულთა კულტი. აკლდამა იქცა ტაძრად, მსხვერპლშეწირვა – ღვთაებათა და მკვდართა კვებად, ლოცვა – მიმართვად.

მიცვალებულთან მიმართებაში ვლინდება გონის ევოლუცია და ტომის თუ საზოგადოების კულტურა.

ადამიანი ვერ ეგუება ახლობლის დაკარგვას, ცდილობს განსვენებულის პატივისცემას, უკვდავყოფას, მარად ცოცხლად წარმოდგენას.

ფანტაზიით თხზავს მიღმურ, წარმოსახვით ქვეყანას, სადაც შემდეგში მასაც მოუწევს გადასვლა. ეს ფანტავს შიშს, დეპრესიას და აიოლებს ცხოვრებას.

ამიტომ განაწილდა მსოფლიო სააქიოდ და საიქიოდ (მეგრ. თექიანა და თიქიანა), ამერ (გამოღმა) და იმერ (გაღმა) მხარეებად, რომელთაც ჰყოფს წყალი. მეგრ. მერე – ტბა, სვან. მერე – ღრუბელი, მერეხი – ძლიერი წვიმა, აქედან – მეხი.

შეიძლება მერე უკავშირდებოდეს ინდოევროპულ **მარ** ფუძეს, რაც საერთოა ზღვისა, კაცისა და სიკვდილისათვის (იხ. „კრემაცია და დამარხვა").

ახლობლის სიკვდილს ყოველთვის ახლდა აფექტების მოზღვავება, როცა, ერთი მხრივ, ჭირისუფალი კარგავს თვითკონტროლს, მეორე მხრივ – იჩენს უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას განსვენებულის მიმართ.

სასოწარკვეთილს ნუგეშად ეგულება ღმერთი და მიღმა ქვეყანაში სიცოცხლის გაგრძელების ილუზია.

საიქიო ქართველისათვის სულეთია (მეგრ. ღშურეთი –

სულთა სამყოფელი), რომელშიც მიცვალებული შევა, როცა წყალს გადაივლის.

რწმენა იმისა, რომ ცხოვრება იმქვეყნად გრძელდება, რომ იცვლება მხოლოდ არსებობის ფორმა, ადამიანს ამშვიდებდა.

სულეთის ერთი ნაწილი შავეთია.

შავეთი სამყაროს ქვედა ნაწილია – ქვესკნელი (მეგრ. ქვერსემი), მიწის ბნელი სიღრმე, საიდანაც არავინ ბრუნდება: ადამიანი მოკვდავია, ღმერთი – უკვდავი.

ამიტომ ახლდა სიკვდილს გლოვა და ცრემლი, უფლისადმი ვედრება.

საიქიოში საგნებს ფერი აქვს დაკარგული. ადამიანები ლანდებს ჰგვანან. ყველგან უდაბნოა, არც სიცხეა, არც სიცივე. წყალი არ მოდის.

ასე ეჩვენა ქვესკნელი ამირანს, სადაც წყალს სდარაჯობდა გველეშაპი. ცხოვრება იქაც გრძელდებოდა, ოღონდ – უსიხარულოდ.

სიკვდილის შიში უმთავრესია ადამიანის ცხოვრებაში. იგი არეგულირებს მოქმედებას, ქცევას, ფიქრებს, კონტაქტებს.

შიში აქვს ცხოველსაც, მაგრამ საზარელ ფაქტებს არ ინახავს მისი მეხსიერება. მკვდარს იგი სწრაფად ივიწყებს. მხოლოდ მაიმუნები გლოვობენ მიცვალებულს საკმაო ხანს და ფოთლებით ფარავენ მის სხეულს.

შინაურ ცხოველს აფორიაქებს თანამოძმის ბღავილი და სისხლი. მაგრამ აგრესია სწრაფად გაუვლის და მშვიდდება, ფიქრობს, რომ ეს იმას გადახდა, თავად კი არ მოუვა. ამიტომ ქათამი, ღორი, ცხვარი თუ ხარი არ გაურბის პატრონს.

იგი ვერ ათავსებს ორ გრძნობას – ზრუნვასა და ულმობელ მოქცევას.

პატრონი მას აჭმევს, უვლის, უფრთხილდება, ე. ი. არ არის მტერი. მაგრამ რომ დასჭირდება – დაკლავს. კლავენ ერთს, არა ყველას. ეს ერთი სხვაა, არა თვითონ.

პატრონი მას ასე არ მოეპყრობა, რადგან იგი კვლავაც კეთილი და მზრუნველია. ასეთივეა უფალი – კაცთა მწყემსი, რომელსაც სწორედ რჩეული მიჰყავს.

გარეულ ცხოველს არა აქვს კაცთა ნდობა.

იგი ადამიანში მხოლოდ ულმობელ, სისხლისმღვრელ მხეცს ხედავს; მას უნდა ერიდო, ან – თავს დაესხა, გაეცალო, ან – დაასწრო.

ამიტომ არსებობს ხალხური ლექსი – „მგელი არ მოშლის მგლობასა".

როცა ადამიანი მიხვდა, რომ ერთმანეთს სამუდამოდ ეყრება სული და სხეული, რომ სხეული რჩება ქვესკნელში და იხრწნება, მაშინ იგი, უფლის რწმენით აღვსილი, ჩაეჭიდა სულის უკვდავებას, მისი მოგზაურობისა და გარდასახვის იდეას.

ყველაფერი უფლის ნებაა – ასე სწამს ქართველს.

სულთა სამყოფელი ზესკნელია, ასტრალური სამყარო. მაგრამ სულის განთავისუფლების პროცესი ანუ სიკვდილი მტკივნეულია. ეს არავის სურს, მითუმეტეს – ნაადრევი და ძალადობრივი.

შიშის დასაძლევად გულმა მოუხმო გმირულ სულს, ჰეროიკას, რომლის აღძვრა ჰგავს თრობას. მეომარს ამდენად სჭირდება სიტყვით, სიმღერით, მუსიკით პათეტიკური სულის შთაბერვა, დიადი მიზნით ანთება (მაგ., სამშობლოს დაცვა, ახლობელთა სიცოცხლის დაცვა).

როგორც ვთქვით, ბრძოლის, განსაცდელის ანუ სიკვდილის წინ მეომარი ქართველური ტომები მღეროდნენ.

მიცვალებულთან გამოთხოვებასაც ასევე ეძლევა საზეიმო, პათეტიკური, ჰეროიკული ხასიათი, რაც არის სიკვდილის შიშის, დაკარგვის ნაღველის დაძლევა.

ბერძნული ელეგიური პოეზია იყო გამხნევება, გულის გახურება და საბრძოლო შემართება, შიშის გაფანტვა.

ათენში სოლონმა აკრძალა წივილ-კივილი და სხეულის დამახინჯება; ხევსურ მამაკაცს თუნდაც შვილის სიკვდილზე გლოვის ჟამს ცრემლი არ უნდა დასდენოდა.

ალბათ ამ დროიდან ყალიბდება დატირების წესი. ხმით ნატირლები სასოწარკვეთისაგან სულის განთავისუფლებაა.

ქართველურ ტომთა დოლმენები, ყორღანები, ქვევრსამარხები, მიცვალებულთა სხეულის კრემაციით ღმერთებისათვის შეწირვა სულეთში წასულის აქ მყოფობის სიმბოლოა.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგებმა მრავალი განსხვავებული სამარხი გახსნეს. მაგრამ ენამაც შემოინახა მიცვალებულისადმი უძველესი დამოკიდებულება.

## დაფლვა და დაკრძალვა

ქართულში ერთმანეთისაგან გაირჩევა ტერმინები დაფლვა, დამარხვა და დაკრძალვა.

ისინი გამოხატავენ განსხვავებულ მიმართებას მიცვალებულისა და მიწად მიბარების პროცესისადმი, ევოლუციის პერიოდებს.

დაფლვა არის პირველადი ფორმა, როცა ადამიანმა დაიწყო მიცვალებულის დაფარვა და დამალვა კანიბალისტური მიზნით (შდრ. ქართ. დაფლვა და მეგრ. ფულუა-დამალვა).

საფლავი იყო ორმოსამარხი, სადაც კოლექტიურად ყრიდნენ, მიწაში ძირავდნენ მიცვალებულებს (მეგრ. ონთხორუეში,

რაც მიწის სათხრელ/თიხის ამოსაღებ ადგილს ნიშნავს).

დაფლვა დაიწყო მისტიური ზოოფაგური რიტუალებიდან, როცა ტოტემს კოლექტიურად კლავდნენ და ასევე კოლექტიურად ჭამდნენ გვარ-ტომის წევრები. ხოლო ძვლებს აგროვებდნენ და სადგომის მიწაში ინახავდნენ. სწამდათ, რომ დაფლული ძვლები ხელმეორედ შეისხამდა ხორცს და გამრავლდებოდა.

ამიტომ მოკლულ ცხოველთან ან ძვლებთან სრულდებოდა სექსის იმიტაცია (ი. სემიონოვი), როგორც განაყოფიერების აქტი.

ქართველური ტომები, ისევე როგორც ელინები ბუფონიებში, სწირავდნენ არა დაკოდილ ხარს, არამედ – კუროს, როგორც გამანაყოფიერებელ ძალას, რომელიც ისევ აღორძინდებოდა, როგორც გეა-მიწაში ჩაგდებული მარცვალი.

კოლექტიური ორმოსაფლავის მოწესრიგებული სახე იყო დოლმენი-საგვარეულო სამარხი, რომელიც ლოდებით იყო გაწყობილი. ინდივიდუალურ ორმოსამარხში მიცვალებული წევს მოკრუნჩხულად, გვერდზე, მარჯვენა ან მარცხენა მხარეს.

შემდეგ, ქრისტიანულ პერიოდში, გაჩნდა მიწადმიბარების ახალი ფორმა – პირაღმა, გამართული დაკრძალვა, გულზე ჯვარედინად ხელების დაკრეფა.

მას უძღვის, განსხვავებით კრემაციისაგან, განბანვა, რაც სიმბოლურად წყალში დასაფლავებას ნიშნავდა, ისევე როგორც ახალდაბადებულის დაბანვა – წყლიდან გამოსვლას ანუ წყალი იყო სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული.

შემდეგ მიეცა განწმენდის მნიშვნელობაც, როგორც ადრე – ცეცხლით ან ჰაერით.

## კრემაცია და დამარხვა

დოლმენისგან განსხვავებით ყორღანი ერთ, გამორჩეულ პირს ეკუთვნოდა, რომელმაც გრანდიოზული ფორმა ეგვიპტურ პირამიდებში მიიღო. ყორღანი იყო მიცვალებულის სამუდამო სასახლე და ტაძარი. ამიტომ მას უფრო ექცეოდა ყურადღება, ვიდრე საცხოვრებელს.

თრიალეთურ პერიოდამდე ყორღანებში იმარხებოდნენ ბედენური კულტურის მოსახლენი. მაგ., წნორში გათხრილი ყორღანის სიმაღლე არის 11 მ, ყრილის სიგრძე-სიგანე – 168X136 მ. ცხრა მეტრის სიღრმეში ნაპოვნია 2 მ სიმაღლის ქვის შენობა, მისგან 12 მეტრის დაცილებით საკრძალი ორმო – 8X7 მ (ძვ. წ. XXII საუკუნე).

აქ იდგა 2 მეტრის სიმაღლის ძელის შენობა.

აღმოჩნდა ოთხი ადამიანის ძვლების ნაშთები, მათგან სამი – შეწირულისა, ოთხთვალა ურმის თვლები, თიხის, ძვლის, ოქროს, ბრინჯაოს ნივთები (კ. ფიცხელაური).

ყორღანული სამარხის სიდიდითა და სიმდიდრით განიზომებოდა მიცვალებულის სოციალური სტატუსი.

ახლა ვნახოთ, საიდან უნდა წარმომდგარიყო ტერმინები-სამარხი, დამარხვა, სამარე, რას ნიშნავს ამ სიტყვების ძირი **მარ**.

ხურიტულ-მითანურში mari-anne ეწოდება წარჩინებულ პირს. ურარტულში მას შეესაბამება mari (გ. მელიქიშვილი).

ინდოევროპულ ენებში ამ ძირის სიტყვებს კაცთან ერთად სიკვდილის მნიშვნელობა აქვს (ძვ.ინდური marta-კაცი, მოკვდავი; mara – სიკვდილი; ავესტას marta – ბებერი, მკვდარი), როგორც აღნიშნავენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი.

ერთი მხრივ – მათ უკავშირდება **მარ**-ჯვე, **მარ**-ჯვენა და

გა-**მარ**-ჯვება, მეორე მხრივ – და–**მარ**–ცხება, და-**მარ**-ხ-ვ-ა, სა-**მარ**-ხ-ი და სა-**მარ**-ე – ბელადის, ქურუმის, საპატიო პირის გასვენება და განსასვენებელი ადგილი.

შდრ – ქართ. კაცი, მეგრ. კოჩი, სვან. მარე.

მათ არა აქვთ ერთი ძირი.

ასევეა დამარხული – ნთხორილი- ჩუ ლუშდვიღვ, მკვდარი – ღურელი – ლდგარ.

არც ამ სიტყვებს გააჩნიათ საერთო ქართველური ძირი.

ასე რომ, ქართველური ენის დაშლის შემდეგ შემოდის ქართულში ხურიტული mari და დაერთვის ასევე ხურიტული სადაურობის აღმნიშვნელი – ხ სუფიქსი (ქართული -ელ, კოლხური – არ).

**საფლავს** ენაცვლება **სამარხი**. მაგრამ არ გადადის სვანურსა და მეგრულ-ჭანურში.

სიტყვა დამარხვა უნდა გაჩენილიყო თრიალეთური კულტურის პერიოდში, როგორც ბელადის ან გამორჩეული პირის კრემაციისა და ყორღანებში ფერფლის შენახვის პროცესი (სულხან-საბა:"დამარხვა-შენახვა"; „მარჯე-ღონიერი და გამძრავი კაცი"), როგორც მისი დაცვა.

ერთი ძირიდან წამოსულ ღმერთს, კაცსა და სამართალს ასევე გამოეყოფა გამარჯვება, დამარცხება და დამარხვა, რაც ერთიანი საარსებო წრეა.

ხურიტულ-ურარტულია მზის ძველი სახელიც ვაინახურ ენებში – მარხ (დღ.-მალხ), ძველ აფხაზურში – მარახი და მარა (დღ. - ამრა), როგორც გამორჩეული პირის გაღმერთება.

შდრ – დაღესტნურ ენებში მთვარეს ჰქვია უარძ ანუ მამალი ცხვარის სხვა სახელი, როგორც ქართულში ტომის ბელადს – ვერძი (ივ. ჯავახიშვილი).

სვანური მარე აფხაზურიდან უნდა იყოს ნასესხები.

ყორღანიც განირჩეოდა ორმოსამარხისა თუ ლოდსამარხ-ისაგან, ისევე როგორც ბელადი და ქურუმი – მიწის მუშისა და მეთუნისაგან.

## კრემაცია, როგორც მსხვერპლშეწირვა და განწმენდა

ქართველური ტომები კრემაციას მიმართავენ მტკვარ-არაქ-სის პერიოდიდან.

როგორც ვთქვით, იგი ფართოდ გავრცელდა თრიალეთურ კულტურაში და გაგრძელდა ძვ.წ. I ათასწლეულშიც:

რიტუალური კრემაცია, მუდმივ ცეცხლზე დაწვა ნიშნავ-და მსხვერპლშეწირვას ღმერთებისადმი, ტომის წევრების მიერ ვადაგასულ ან მოხუცი ბელადის რიტუალურ მკვლელობას.

კრემირებული პირი სურნელის სახით მიუვიდოდათ ზეცაში ღმერთებს – მიწა და წყალი არ უნდა წაბილწულიყო.

ხეთები კრემაციის შემდეგ 12 დღე აგრძელებდნენ სხვადასხ-ვაგვარ მსხვერპლშეწირვებს, რაც შეესაბამებოდა ადამიანის სხეულის 12 ნაწილს, რომელთაგანაც იშვა სამყარო.

მეორე დღეს ქალები ლუდით, ღვინით, თაფლისწყლით აქრობდნენ ცეცხლს, აგროვებდნენ ფერფლსა და ძვლების ნაშ-თებს, რათა შემდეგ შეეტანათ ყორღანში (აკლდამაში).

„ილიადაშიც“ასე წვავენ ჰექტორის ცხედარს, აქრობენ ცე-ცხლსა და აგროვებენ კრემირებულის ნაშთებს.

ძველბერძნული ტრადიციით, გმირს ცეცხლზე ხომალდში წვავდნენ (შდრ. ელინური ქარონის ნავი) ცოლთან და ცხენთან ერთად.

ასე რომ, დამარხვა იყო დასაფლავებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული პატივდება, იგივე მეორედ გამოთხოვება.

აღმოსავლელი სლავები მიცვალებულ მამაკაცთან ერთად წვავდნენ მის ცოლს, ცეცხლში ყრიდნენ პირად ნივთებს, საქონელს, ცხოველებს, ფრინველებს, მსახურებს, იარაღს.

მიცვალებულთან ერთად მისი საკუთრება ფერფლად იქცეოდა და ასე განწმენდილი მიუვიდოდა ღმერთებს. შეიძლება კიდევ იმიტომაც, რომ საკუთრება ტაბუირებული იყო და ვერ შეეხებოდნენ.

შემდეგ მას მიეცა სოციალური ელფერი – თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე (იხ. „ყორღანები და კრემაცია")!

მრავალი საუკუნის შემდეგ, ანდერძის თანახმად, ფრიდრიხ ენგელსის ნეშთი დაწვეს და ფერფლი ზარბაზნიდან გაისროლეს.

## ხორცისა და ძვალის განყოფა

ქართველურ ტომებში, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, გავრცელებული იყო მამაკაცის ორჯერადი დამარხვაც – ჯერ ჰაერზე, ხეზე ან ხეებს შორის დაკიდებდნენ მიცვალებულს. შემდეგ, როცა გვამი გაიხრწნებოდა და ხორცი შემოეცლებოდა, ან ფრინველები დაძიძგნიდნენ – თსუარში – თიხის ჭურჭელში ან ქვევრში ათავსებდნენ ძვლებს.

არქეოლოგებმა და ეთნოგრაფებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება ორჯერადი დამარხვის ფაქტებს. მაგ., ყუბაჩების წინაპრები ხორცს აცლიდნენ ძვლებს. ხორცს ფრინველებს უტოვებდნენ, ძვლებს ტომარაში ყრიდნენ და სპეციალურ ადგილას ათავსებდნენ – ქალისას – ცალკე, კაცისას – ცალკე.

ასევე იქცეოდნენ ებრაელები, პონტოელები, მესოპოტამიელები, სამხრეთ ირანელები, შუააზიელები, ძველი ეგვიპტელები.

საფრანგეთის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ აზილის კულ-ტურიდან (VIII ათასწლეული) გავრცელებულა მეორადი დამ-არხვა.

მაზდეანები კრძალავდნენ დასაფლავებას – კრემაცია ან დამარხვა მას შემდეგ, რაც ფრინველ-მხეცები მიცვალებულს ხორცს შემოაცლიდნენ.

ასე იცავდნენ მიწისა და წყლის სიწმინდეს.

ცეცხლში განწმენდას ცვლიდა ჰაერზე განიავება.

სულ და ხორცგაცლილი ადამიანისაგან რჩებოდა ძვლები, რაც არსებობას გააგრძელებდა.

კანიბალიზმი დაძლეულ იქნა – ახლა კაცთა ხორცს სჭამდ-ნენ ნადირ-ფრინველები.

შუა აზიაში ხეებზე დაკიდული ცხედრები უნახავთ XIX საუკუნეშიც კი.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, კოლხები ხეებზე კიდებდნენ მიცვალებულებს, ან – წვავდნენ (ძვ. წ. III ს.).

იაზონი განუცვიფრებია ამ ფაქტს.

ამასვე ადასტურებენ კათოლიკე მისიონერები, ვახუშტი ბა-ტონიშვილი (XVIII ს.), პოლკოვნიკი სოლომონ ზვანბაია (1885 წ.).

ასე მარხავენ შვილის მიერ მოკლულ აფხაზ კაც ზვამბაიას კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში".

1190 წელს წყალში დაიხრჩო ჯვაროსანი ფრიდრიხ ბარ-ბაროსა. მისი ხორცი დამარხეს ანტიოქიაში, ძვლები – პალ-ესტინაში.

ჰეროდოტეს ცნობით, ბაქტრიაში სპეციალურად ძაღლებიც კი ჰყოლიათ მიცვალებულთა საჯიჯგნად.

ზოგან უბრალოდ ცისქვეშ, ჰაერზე ტოვებდნენ ცხედარს.

ხორცგაცლილ ძვლებს თიხის ჭურჭელში ყრიდნენ.

ხეთებიც ჭურჭელში ათავსებდნენ ძვლებს. მათგან უნდა აეღოთ ეს წესი აფხაზებს და იბერიელებს.

ჭურჭელში მხოლოდ მამაკაცი იმარხებოდა. ასევე – მხოლოდ მამაკაცის ცხედარს ჰკიდებდნენ ხეზე.

დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, პირენეის იბერიაში მიცვალებულს ჯოხის დაკვრით ანაწევრებდნენ, სხეულის ნაწილებს აწყობდნენ ჭურჭელში (თსუარში) და შემდეგ დააყრიდნენ ქვების გროვას.

სული სწრაფად უნდა გაყროდა სხეულს.

საპირისპირო წესი იყო ეგვიპტური მუმიფიცირება – მიცვალებულის სხეული უნდა სულთან ერთად ხლებოდა ღმერთქალ ამენთეტს მკვდართა სამეფოში.

მისი მარადი საცხოვრისი იყო პირამიდა, რომლის საიდუმლო დარბაზში თავს იყრიდა ყოველი კუთვნილი ნივთი.

მკვდრის დამარხვა არის დისტანცირება. მაგრამ არა გარდაცვლილის დავიწყება, არამედ – ხსოვნა და დაკარგვის ტკივილი, დაფასება და თაყვანისცემა.

ყალიბდება წინაპართა კულტი. მაგრამ ისე, რომ დაცულ იქნეს ცოცხალთა საცხოვრისი, მიწა და წყალი. ამიტომაც გადაჰყავს ქარონს წყალგაღმა, იმერ მხარეს მიცვალებული.

დასჯის ფორმა – ძელზე გაკვრა (ჯვარცმა) ნიშნავდა, რომ დამნაშავის სხეულს მიწა არ უნდა წაებილწა.

წინაპართა კულტი გულისხმობს მამაკაცს, ე.ი. განეკუთვნება პატრიარქატის ეპოქას (ს. ტოკარევი).

ფანტაზიით გამოგონილ სულეთში, რაც სიცოცხლის მუდმივობას ნიშნავს, ოღონდ ღირსების მიხედვით დახარისხებას, გა-

დადიან სულები და იქ, მკრთალ სინათლეში, ლანდებივით მოძრაობენ (შდრ. რ. მიშველაძის ნოველა „სიყვარულმისჯილნი").

## ქვევრში დამარხვა – აღდგომის სიმბოლო

ქვევრში დამარხვის წესი საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება გვიანი ბრინჯაოს ხანაში. მას უკავშირებენ მეღვინეობას, მუშქური ტომების გადაადგილებას ფრიგია-კაპადოკიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (შდრ. ქვევრის ხეთური სახელი ქარამ).

მიცვალებული ასე უბრუნდებოდა თავის წარმომშობ წიაღს – დედა გეას, დედის ქვარას (მეგრ. მუცელი),რომლის ალეგორიაა მიწაში ჩასმული ქვევრი.

მიცვალებული იყო მოკუნტული, როგორც ემბრიონი, ზოგან – დამჯდარი. ღვინის შესანახ ჭურჭელს – ლაგვან/ლაგვინს ამიტომ დაერქვა ჭური – ცურისა და მეგრულ-ჭანური **vulva**-ს ვარიაცია (შდრ. ლაგვანა-ლაგუნა-აგუნა). ჭური ერქვა აბჯარსაც. აქედან – საჭურველი ანუ გაკეთებული, შექმნილი. ხოლო მუცელს – ქარამ-ქვევრის ანალოგიით – ქვარა, რომელსაც არა აქვს ბგერაშესატყვისი ქართულსა და სვანურში (სვან. ჯად).

ძვლები დედა-მიწაში ისევ შეისხამდნენ ხორცს და მიცვალებული აღორძინდებოდა.

მითებში ღმერთები პირველკაცს მიწისაგან, თიხისაგან ქმნიან. მაგ., შუმერმა ღმერთქალმა არურუმ პირველკაცი თიხისაგან სისხლით მოზილა.

პირველი ანთროპომორფული, ცხოველური თუ ფანტასტიკური გამოსახულებანი, პირველი ჭურჭლეული, რომელსაც

სასმელად იყენებდა, ველურმა თიხისაგან გამოძერწა.

თიხის ნაირგვარმა ტრანსფორმაციამ ქურუმებს შთააგონა აზრი, რომ ზენაარმა ძალამაც ასე მოზილა პირველკაცი.

ქვევრიც თიხის ჭურჭელია, ღმერთების ნებითა და კაცთა ხელით გაკეთებული, საშვილოსნოს იმიტაცია.

ზოგი ქვევრსამარხის გვერდით (მაგ., ნოქალაქევში),მიწაზე, სახე შებრუნებით წვანან კაცთა ჩონჩხები – ალბათ შეწირული მსახურები.

მკვდარი თუ დაღუპული – გარდაცვლილი ასე გადაიცვლებოდა, ასე გადანაწილდებოდა სამ სკნელში – სული ზესკნელში (ზეცაში)მიფრინავდა, ხორცს შუასკნელში იყოფდნენ ცის ფრინველები, ძვლები ჭურში ლაგდებოდა, რათა კვლავ აღორძინებულიყო.

სიცოცხლის დასასრული დასაწყისს იმეორებდა და ამ წრეში მოძრაობდა ადამიანი (შდრ – „სივრცე-დროის არქაული მოდელი").

ახალ საუკუნეებში ქვევრების ჩამარხვის ადგილს ეწოდა **მარ**-ანი (ა. ბოხოჩაძე).

## რწმენა და განშორება

ჩვენს წინაპარსაც სწამდა სულის უკვდავება და საიქიო ცხოვრება.

მიუხედავად ამისა, მიცვალებულთან გამოთხოვებას, მის გაცილებას მაინც ახლდა გლოვა, კივილი, ცრემლი და სისხლი, მსხვერპლი და ქელეხი, სახის გაკაწვრა.

დაკრძალვის რიტუალი რთული, მკაცრი და ზუსტი იყო, როცა ბელადს ან ქურუმებს აბარებდნენ მიღმა ქვეყანას.

მათ გამორჩეული და მდიდრული სამარხები ჰქონდათ (მაგ. თრიალეთელებს).

ადრე ძველი ტომები მიცვალებულს ჭამდნენ, შემდგომ დროებში მარხავდნენ: წყალში, მიწაში, მღვიმეში, ჰაერზე, აგდებდნენ, ანაკუწებდნენ, წვავდნენ, ინახავდნენ მუმიის სახით, ძვლებს ყრიდნენ ოსუარებში, ქვევრებში, ურნებში, ფერფლს, ძვლებს ან ცხედარს ათავსებდნენ პირამიდებში, ყორღანებში, აკლდამებში, მავზოლეუმებში, კატაკომბებში.

ატანდნენ ცოლს, მსახურებს, ცხენს, ეტლს, საჭურველს, პირად ნივთებს და სამკაულებს. სამარხის ფართიც შესაბამისი იყო.

დაკრძალვის ფორმების სიმრავლე სხვადასხვა მიზეზით უნდა აიხსნას ქართველურ ტომებშიც:

პირველი, ტომის სოციალური დიფერენცირება, მაღალი ფენის წარმოშობა, რომელიც მეტ პატივს იმსახურებს როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად.

მეორე: სხვადასხვა ტომთა ნაკადის შემოსვლა და ტრადიციის დარღვევა, თავიანთი წესების დამკვიდრება.

სხვა მხრივ, მარტო ქრონოლოგიის მიხედვით ვარაუდი, რომ დრო ცვლის ყველაფერს, ვერ განვმარტავთ უცნაურ წესებს – მიცვალებულის ხეზე დაკიდებას ან ქვევრში მოთავსებას.

აქაც მოქმედებდა რელიგიური ფაქტორი, რწმენა, ისევე როგორც კრემაციის ან აკლდამების აგების დროს.

დამარხვა უკავშირდება ღმერთებსა და რიტუალებს, საიქიო ცხოვრების სულეთში გაგრძელებას, აფექტებით ფანტაზირებას.

ამიტომ განსხვავებული წესი მეტყველებს განსხვავებულ

რწმენაზეც, რაც ათასწლეულების მანძილზე შეუთვისებიათ ქართველურ ტომებს.

მათ არ ჰქონდათ ერთიანი საარსებო სივრცე, ერთიანი ენა. შესაბამისად – ვერც რელიგიური რწმენა და მსოფლხედვა ექნებოდათ ერთნაირი.

ორიათასწლოვან დაშლასა და გათიშვას ყველა სფეროში მოჰყვა განყოფა.

მხოლოდ სახელმწიფოებრივი ფაქტორი თუ შესძლებდა ინტეგრირებას.

# 5. მითი და რიტუალი

## არგონავტული იმპულსები

არგონავტების მითი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დიდად პოპულარულია მსოფლიო კულტურაში, ელინური სამყაროს კუთვნილებაა.

ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეში ამ თემაზე დაიწერა აპოლონიოს როდოსელის ეპიკური პოემა „არგონავტიკა“.

ეს მითი და ეს პოემა გვაცნობს აია-კოლხიდას, აქაური მბრძანებლის ოჯახის ტრაგედიას.

მითი ისე შეეზარდა ქართულ სინამდვილეს, ჩვენს ისტორიას, თითქოს ჩვენს წინაპარს შეეთხზას. არგონავტებმა გაიტანეს კოლხეთიდან ოქროს საწმისთან ერთად აიეტის, აფსირტეს, ჰეკატეს, ფაზისის სახელები, გაიტაცეს მედეა.

ფაზისიდან მოფრინავს ფასკუნჯი – გრძნეული ვერძი.

ასეთი ვერძით გადმოფრინდა ფრიქსე საბერძნეთიდან რიონის პირას, აიაში, ბრწყინვალე და ოქრომრავალ ქვეყანაში.

ამ ვერძის ოქროს ტყავი აიეტმა არესის ჭალაში მუხის

ხეზე დაკიდა და მცველად დრაკონი მიუჩინა.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ხეთებს ათასი წლით ადრე შეუთხზავთ ეიას ხეზე დაკიდული საწმისის – ცხვრის ტყავის მითი, რომელიც ჩაურთავთ ტელეფინუს ამბების ციკლში.

კავკასიას რომ მიუახლოვდნენ არგონავტები, დაინახეს არწივი, რომელიც მიჯაჭვულ პრომეთესთან მიფრინავდა, და კვნესაც მოესმათ.

ასე რომ, არგონავტების მითის ეს სამი შენაკადი ქართველურ სინამდვილეში სამ დამოუკიდებელ მითად განვითარდა:

ერთი – ეს არის ჯადოსნური ფასკუნჯი, მეორე – სვანური მელია ტულეფიას რიტუალი და მესამე – ღვთმებრძოლ ამირანის კლდეზე მიჯაჭვის ისტორია.

დრომ ისინი შეცვალა და გადააგვარა, მაგრამ შეიძლება მოღწეული ფრაგმენტებით ნაწილობრივი აღდგენა, რათა ვიცოდეთ თუ როგორ წარმოედგინა სამყარო და სიცოცხლე ჩვენს წინაპარს.

## ტელეფინუ და მელია-ტულეფია

ტელეფინუ (თელიფინუ, თალიფინუ) ხათურ-ხეთურ მითოსში ნაყოფიერების ღმერთია, ჭექა-ქუხილის ღმერთის ტარუს (ტაროსის) შვილი, კვდომადი და აღდგომადი ღვთაება.

იგი ქრება თავისი რისხვის მიზეზით, როცა მარჯვენა ფეხის ჩექმა მარცხენაზე ჩაიცვა, მარცხენასი – მარჯვენაზე ანუ დაებინდა ცნობიერება.

ამის შემდეგ სამსხვერპლოს ეხვევა ფუტკრის გუნდის ღრუბელი, საქონელი აღარ მაკდება, დგება გვალვა და ხორბალი აღარ ისხამს თავთავს.

შიმშილით დამწუხრებული ღმერთები ეძებენ ტელეფინუს,

რომელმაც თან წაიყოლა მინდვრებისა და მარცვლეულის ღმერთ-ქალები.

მზის ღმერთმა საძებნელად გაუშვა არწივი.

ბოლოს ტარუმ მიაგნო და შეეცადა დაემტვრია ტელეფი-ნუს სამყოფელის კარები. დედა ხანახანამ გააგზავნა ფუტკარი, რომელმაც მიაგნო წმინდა ქალაქში ველად მძინარე ჭაბუკს და ნესტარი უჩხვლიტა.

გაღვიძებული, განრისხებული ტელეფინუ ქვეყნის მოსპო-ბით იმუქრება. მაგრამ რისხვას დაუცხრობს ღმერთქალი ქამ-რუსეფა, რომელიც ჩაუტარებს ლოცვის რიტუალს.

ტელეფინუ დაბრუნდა და ქვეყანა ისევ აღორძინდა ანუ დადგა ამწვანების ჟამი – გაზაფხული.

მის წინ აღიმართება მარადმწვანე ეია – ურთხელის ხე, რომელზეც საწმისი ჰკიდია.

ეს მითი ფიქსირებულია XIV-XIII საუკუნეთა ტექსტებში. ტელეფინუ მონაწილეობს სხვა მითებსა და რიტუალებშიც (ვ.ივანოვი).

ამ ღვთაებას ხეთურად ჰქვია ტელეფინუ, ხათურად – ტალიფინუ ანუ ტალის/დალის შვილი. მაგრამ როგორც გრ. გიორგაძე გადმოგვცემს, თუ მისი ზუსტი სახელია თელიფინუ, მაშინ იგი ყოფილა ქალაქ თელიურას შვილი (ფინუ/ბინუ-შვილი), თელიურას მკვიდრი.

თელიურას ღვთაება იყო ტაროსი (ტარუ) – მამამისი.

ტელეფინუს მითები შესულა მცირაზიურ, ბერძნულ, ეტრუსკულ, კავკასიურ კულტურებში. ბერძნულში მას დაერქ-ვა ტელეფი, რაც ირმის ძუძუს მწოველს ნიშნავს, ეტრუსკულ-ში - ტელეფა, სვანურში – ტულეფია – მელია, ე. ი. აქ ირემს

ენაცვლება მელია, მისი ზოომორფული სიმბოლო, როგორც ხეთურში იყო ფუტკარი.

სვანური „მელიაჲ ტულეფიაც" ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდება. მაგრამ დღესასწაული განსხვავებულად ტარდება, იმართება გაზაფხულზე.

ერთ მამაკაცს გააშიშვლებენ და პენისს დააჭერინებენ. შემდეგ მიყოლებით ერთმანეთს ერთ მწკრივად მიუდგებიან მამაკაცები და სექსის იმიტაციას ახდენენ.

შიშველი მამაკაცი იძახის გაუგებარ სიტყვას – „მელიაჲ-ტულეფია, ოჰ, ოჰ" და მოქაქუნეებს წკეპლას გადაუჭერს.

მას უკავშირებს ივ. ჯავახიშვილი მურყვამობის (კოშკის) და კვირიას დღესასწაულს, ადრეკილასა და საქმისაჲს, როგორც სექსუალობისა და შვილოსნობის კულტს.

მათ ახლავთ ქალები და მეფერხულე, მგალობელი და მროკავი ბილწსიტყვა მამაკაცები.

საქმისაჲ იფურთხება და სამგზის იძახის– „ფუჲ, ლამარია" (შდრ. კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება").

თავიდან ეს დღესასწაული უნდა ყოფილიყო მთლიანად სექსუალურ-ორგიასტული, სადაც ყველა მონაწილე შიშვლდებოდა, როკავდა, ბილწსიტყვაობდა და სექსს ეძლეოდა და ასეთი გადარევით უბრუნდებოდნენ ჯოგურ ცხოვრებას.

აქედან განვითარდა ყეინობა-ბერიკობა, ნიღბების კარნავალი.

გაუგებარი „მელიაჲ ტულეფია" მოდის ხათურ-ხეთური ტელეფინუს მითიდან.

ასევე მაშინდელი უნდა იყოს „ფუჲ, ლამარია", რასაც ელამური ღმერთქალის ლაგამარის სახელით ხსნიან.

იმერეთში სოფელ ტოლებს ადრე რქმევია ტელეფა (დ. შენგელაია).

მასთანვე აკავშირებენ ურბნისთან არსებულ ტოპონიმს „ტვ-

ლეპიას (ტულეფია) ქოხს“. მოღწეულია „საქმისაჲს“ ფერხულის მონაწილე შიშველი მამაკაცების ფიგურებიც.

ალბათ ეს დღესასწაული სვანების წინაპრებმა შეითვისეს უძველეს დროში, როცა ისინი ბინადრობდნენ მცირე აზიაში ხეთების სიახლოვეს, როგორც ქაშქები და ჭოროხის ხეობის კოლხები (შდრ. – ხეთების დედაქალაქის ხათუსას მმართველის სახელი „ფჲუსტის“ და სვანურ. „ფუსტ/ფუსდ“ – ბატონი, პატრონი).

## 6. ამირანიანის პლასტები და პერსონაჟები

ამირანის მითი, როგორც ღმერთისა და ადამიანის ნათესაობა და ანტინომია, საქართველოს ყოველ კუთხეში იყო გავრცელებული. აქედან გადასულა აფხაზებში – აბრსკილი, ოსებში – ამრან, სომხებში – მჰერი.

ნიკო მარს სახელი ამირანი გამოჰყავდა აფხაზური ამრადან, რაც სინათლეს ნიშნავს, ივანე ჯავახიშვილს – მითრადან.

მოვსეს ხორენაცს (V ს.) „ამირანიანის” დრამატული ფინალი სომეხთა მეფე არტავაზდზე აქვს გადატანილი.

ბერძენი ავტორები ძვ. წ. V საუკუნიდან კავკასიონს ასახელებენ პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად, რაც დიოსის (ზევსის) ბრძანებით ჰეფესტოს შეუსრულებია.

მოგვიანებით ზოგი შენიშნავს, რომ მსგავსი თქმულება აქვთ ადგილობრივ მოსახლეებსაცო.

ალბათ მითი შექმნილია კოლხურ არეალში, კოლხური ტომების მიერ, ძვ. წ. VIII საუკუნის შემდეგ, რაც გაეცნენ ბერძნებს, მათ კულტურასა და თქმულებებს.

მიხეილ ჩიქოვანი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში” ათარიღებს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით, „მსოფლიო

ხალხების მითებში" – III ათასწლეულით. სხვაობა მთელი ათასი წელია.

შალვა ამირანაშვილი თვლიდა, რომ ჩამოყალიბდა რკინის გამოჩენის ხანაში.

შალვა ნუცუბიძის აზრით, უნდა შექმნილიყო ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში.

მანვე სცადა აღედგინა პოემა „ამირანიანის" პირველსახე.

რეკონსტრუქციამ არ გაამართლა. მაგრამ აშკარაა, რომ ამირანის თქმულება რამდენიმე ძირითადი პლასტისა და შენაკადისაგან შედგება, რაც სავსებით ბუნებრივია, ისევე როგორც ვერსიების არსებობა.

ტექსტის ფიქსირება და ჩაწერა ძალიან გვიან მოხდა (XIX ს).

## არქაულ-მითოსური პლასტი

„ამირანიანი" საუკუნეების განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა და ყოველ კუთხეში, ყოველი მთხრობელის მიერ ტექსტში შედიოდა ახალ-ახალი სიუჟეტები, ძველი ქრებოდა ან დროის შესაბამისად იცვლებოდა.

მაგ., ერთგან ყამარის ნათლიაა წმ. გიორგი, რაც ქრისტიანული დროის ჩანართია. ასეთივეა არაბის და ხუცესის ხსენება, ასლან გმირის სიუჟეტი, ამირანის დარეჯანის ძედ სახელდება, დალის დარეჯანით შეცვლა, რაც მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანიდან" მოდის.

ასევე – ცალკეული დეტალიზება და ყოფითი მასალა. მაგ., ყამარი ჭურჭელს რეცხავს, მოხუცი ტუფა მკითხაობს, სულკალმახი სახლკარს უვლის, ამირანი სტუმრობს მოხუც დედაკაცთან, შველის მეღვინე მეურმეს, საჭმელს მოიკითხავს, ხვდება მაქცია ქალს.

არათუ ზეპირი თქმულება, წერილობით ფიქსირებული ტექსტებიც იცვლებოდა. მაგ., „ვეფხისტყაოსანი". გადამწერი წერდა გაგრძელებებს, ვითომ უფრო სრულად გაშლიდა შეკუმშულ სიუჟეტს, ზოგ დეტალს ამოაგდებდა, ზოგსაც ვერ იგებდა და შეცდომით გადაიწერდა.

საუკუნეების მანძილზე იცვლება საზოგადოების ინტერესი და გემოვნება. ეს აისახება ხალხურ მასალაზე, რომელსაც ყოველი თაობა ხელახლა თხზავს. გაცხრილვის და გარდაქმნის პროცესი მუდმივად გრძელდება და ძნელია თქმა თუ რა დარჩა ძირითადი ნარატივიდან.

დღევანდელი ამირანის ტექსტი უფრო ცალკეული ამბების კრებულია, რომელთაც აერთიანებს ამირანის ბრძოლა დევებთან. მაგრამ შეიძლება გამოიყოს ცალკეული სიუჟეტური ხაზები, რომელთაც არქაული ელფერი გადაჰკრავთ და შეიძლება ძველი ჟამის კუთვნილება იყოს.

მაგ., ოქროსთმიანი მზისუნახავი დალი, მისი თმების მოკვეცა სულკალმახის ცოლის მიერ, მონადირე და მჭედელი სულკალმახი, ნადირთმწყემსის დალის დაორსულება, ოქროს კბილა ამირანის დიდი ძალა და რამდენიმე ბრძოლა დევებთან – ბოროტ ძალებთან, ცეცხლის მოტანა, ირმებთან და ზღვის ტალღებში ყოფნა, ცამცუმის თეთრონი, გველეშაპები, დევის მოჭრილი თავიდან ამოსული ჭიები, ამირანის ყოფნა ქვესკნელსა და ზესკნელში, ქარ-ცეცხლის მიერ გადაყლაპვა, თავის ქალაში ღამის გათევა, ამირანის სავარცხლად ქცევა, ყამარის ცის კოშკში გაზრდა, ქალის ბრძოლით მოპოვება ანუ მოტაცება, ღმერთთან გაჯიბრება და ამირანის რკინის ბოძზე, მღვიმეში მიჯაჭვა, ყურშა და ფასკუნჯი.

ამირანი დალის ძეა და არა სულკალმახისა, რაც მატრი-არქატის გამოძახილია.

დალის ძალა მის ოქროსფერ თმებშია, როგორც აიეტისა – ოქროს საწმისში.

ამირანის ტანი წელს ზევით ოქროსია, წელს ქვევით – ვერცხლისა, ე. ი. ხშირად არის აქცენტირებული ლითონი და ჭედვა.

დალი ირმად გადაიქცევა ხოლმე და მის საფლავსაც ირემი სდარაჯობს; დევებს ცხრა თავი აქვთ; ამირანის მამიდა შვე-ლის სახით ბრუნდება სახლში.

ღმერთქალი დალი, რომელმაც თავისი ღვთიურობის ნი-შანი – ოქროსფერი თმები ოქროს კბილად გააყოლა თავის ძეს, ეწირება ნახევრადღმერთის – გმირის შობას. მრავალი მითის თანახმად სამყარო არის ღმერთის მკვლელობისა და თვითშეწირვის შედეგი. გმირიც ხალხისთვის უნდა ეწამოს ან დაიღუპოს, რათა მისი ძალა და რწმენა შეემატოს თანამოძმეე-ბს, გაუნათოს ცხოვრების გზა ანუ, როგორც ამბობს იოანეს სახარება – თესლი კვდება და ამოდის მცენარე – ამ იდეას გამოხატავენ როგორც დალი, ისე ამირანი.

ეს არის **პირველადი არქაულ-მითოსური პლასტი,** რო-მელიც, შესაძლოა, ახალ ვარიაციებს წარმოქმნიდა.

ასევე ძველი დროის მეტაფორები უნდა იყოს სისხლის სუფრა, სისხლის პური, ცეცხლის ბეგარა, დევების შავ-თეთრ-წითელი ფერები, რქააყრილი ირემი, ქარცეცხლი და ღრუ-ბელთუფალი, დალი – მტრედი, წვიმა – დედის ცრემლები, ქარი – ლაშქარის ფეხის ნიავი, რკინის ქალამანი, ქალი-შველი, თეთრი კლდე, ქარის ფრთები – რკინისგან გამოჭედილი.

ქრისტიანობის დროინდელი ჩანართია აღდგომის წინ, დიდ ხუთშაბათს მჭედლების მიერ ამირანის დათხელებული ჯაჭვის გასქელება:

ამირანი წარმართია, იგი კი არ აღდგება, არამედ – ქრისტე. უფლის, მამა-ღმერთის მეტოქე გმირი ისევე მიჯაჭვული უნდა დარჩეს, როგორც ბერძენი პრომეთე, ფილიპინელი ლაკან ადია და ინდონეზიელი ტამბოლი.

ასეთია ახალი დროის განაჩენი და ამას ასრულებენ ძველი მჭედლები, რომელთაც ცეცხლი ამირანმა გადასცა, ღვთაებისათვის წართმეული (შდრ. ელინელთა 12 ოლიმპიურ ღმერთს შორის ვერ მოხვდა პრომეთე).

როგორც ვნახავთ, ამ სიუჟეტის პირველადი პლასტი შეიძლება ყოფილიყო აჰრიმანის დამარცხება აჰურამაზდას მიერ. ამირანი რომ უფლის ნათლულია და მანვე დაუბრუნა მზერა თვალებდათხრილ ჩვილს, ე. ი. ახლობლები არიან.

„ამირანიანის" არქაულ-მითოსურ პლასტს უნდა მოსცილდეს შემდეგდროინდელი სალექსო და ყოფითი წვრილმანები, ზღაპრული სიუჟეტური ვარიაციები. მაგ., ამირანის, ბადრისა და უსუპის ბრძოლების ფანტასტიკა – ღრუბელთუფალის ურიცხვი ჯარის დახოცვა, რაც მოსე ხონელის რომანის გავლენაა.

„ამირანიანის" პირველადი შრეც რამდენიმე შენაკადისაგან შედგება, რაც დროთა მანძილზე ერთმანეთს შეეზარდა და შექმნა თქმულების აზრობრივი კონსტრუქცია.

პირველი – ეს არის **ელინური პრომეთეს მითიდან** მომდინარე ცეცხლის მოტანა და გმირის კლდეზე მიჯაჭვა. სიუჟეტურად ორივე მოტივი განსხვავებულადაა წარმოდგენილი. მაგ., ამირანს ღმერთი სჯის მეტოქეობის გამო და არა კაცთათვის ცეცხლის მოტანისათვის.

მეორე შენაკადი **მესოპოტამიურია**.

„ამირანიანი" „გილგამეშიანთან", III ათასწლეულის შუმ-ერულ-აქადურ ეპოსთან, შ. ნუცუბიძემ დააკავშირა. მან მსგავსება დაინახა ღმერთმებრძოლობის ასპექტში, ზეციურ ცეცხლთან მიმართებით, აზრობრივ პლანში.

მართლაც, ამირანის ბრძოლა დევებთან, ყამარის ზეციდან მოტაცება, ბრძოლა ღრუბელთ უფალთან (ტაროსის ღვთაებასთან) და მისი ლაშქრის გაწყვეტა, ღმერთმებრძოლობაა და უნებურად შემოქმედ ღმერთთან გაჯიბრება.

გ. მელიქიშვილმა გილგამეშთან სიახლოვის უფრო კონკრეტულ დეტალებს მიაგნო.

იგი ქართველურ-კავკასიურ სამყაროს ანათესავებდა ელამელებთან, ლულუბის ხალხთან. ამის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევდა ამირანიანის მსგავსებას გილგამეშის ეპოსთან:

გილგამეშსა და ამირანს დედა ღმერთქალი ჰყავთ, მამა – ადამიანი, თავად კი ღმერთკაცები არიან.

ამირანის მონადირე მჭედელ მამას სულკალმახი ჰქვია. ეს სიტყვა თითქოს ქართულია – სული და კალმახი (შდრ. სულა კალმახელი, XI საუკუნის მესხი ფეოდალი),მაგრამ გ. მელიქიშვილმა გაარკვია, რომ იგი ყოფილა ელამის მმართველთა უმაღლესი ტიტული – სუქქალმახი.

მათ იგი შუმერებისგან აუღიათ და დაახლოებით ჩვენს ერისთავს ნიშნავდა. მეფე ღმერთთან მიმართებით თავად იყო სუქქალმახი.

სუქქალ არის ვეზირი, შიკრიკი, წარმოგზავნილი, მახ – ძლიერი, დიდი.

ამ ტერმინს მიმართავდნენ კასიტებიცა და ასურებიც.

სხვადასხვა რანგობრივ-იერარქიული მნიშვნელობით იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული III-I ათასწლეულების მესოპოტამიურ სახელმწიფოებში და, ბუნებრივია, რომ ჩვენთანაც შემოატანა.

ივ. ჯავახიშვილი ყამარს იშთარის ვარიაციად მიიჩნევდა, გ. მელიქიშვილი კი ელამურ ლაგამართან აკავშირებდა.

სემიტების ღმერთქალი იშთარი იგივე ელამელთა ლაგამარი იყო.

მაგრამ ყამარი არაბულად მთვარეა და თავისი საცოლეც ამირანმა ზეციდან უნდა მოიტაცოს, სადაც ჰკიდია მზისუნახავის კოშკი (შდრ. ქართული ცის კამარა). ქართველურ და კახურ ვარიანტებში ყამარს სწორედ კამარი ჰქვია. შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ - ხეთ. kammar არის სინათლე. ყამარის მამაა ღრუბელთ უფალი, იგივე ტაროსის ღვთაება.

მესამე შენაკადი **ირანულ-მაზდეანურია.**

აქედან უნდა მოდიოდეს სახელი ამირანი, რომელიც მიღებულია ზეპირი გზით, ბგერათგადასმის წესით (შდრ. ნამგალიმანგალი. ჯავახური ვარიანტით – ამინარი).

აჰრიმანი/არიმანი ისევე ებრძვის აჰურამაზდას, როგორც ზევსი – პრომეთეს, რაც თქმულებაში ღმერთმებრძოლობის მოტივად იქცა.

აჰრიმანი ბოროტების უმაღლესი ღვთაებაა ირანულ მითოსში, რომლის პირველმა კაცთა წყვილმა მარტიამ და მარტიანგმა მსოფლიო წესრიგის შემოქმედად გამოაცხადეს იგი.

ამის გამო ორივე ჯოჯოხეთში ჩააგდეს, საიდანაც გამოვლენ მხოლოდ განკითხვის დღის შემდეგ.

უცხო ღმერთის აჰურამაზდას წინააღმდეგ მებრძოლი აჰ-

რიმანი შეიძლება მოკავშირედ აღექვათ. ამირანიც ხომ ღმერთმა დასაჯა, კეთილმა და ყოვლისმხილველმა დასაჯა თავისი ნათლული.

ღმერთ-შემოქმედს შველიან მჭედლები, ისევე როგორც აჰურამაზდას – კაიუმარსი, რომლის თესლიდან იშვნენ პირველადამიანები. აქ ვლინდება არიმან/ამირანისადმი ორგვარი დამოკიდებულება – ქართული და ირანულ-მაზდეანური ან შეიძლება ბევრი რამ დრომ გააბუნდოვანა.

შდრ. ხევსურული ვერსიის მიხედვით ამირანი ავსული და იუდას ნაწილია (ქ. სიხარულიძე).

უნდა განვასხვავოთ ხალხური ამირანის/არიმანისა და მოსე ხონელის ამირ-ანდარე-ჯანის სახელების წარმომავლობა და არსი.

ეს სახელი სპარსული სიტყვაა და ასე შიფრავენ – ამირ-ამირა, მმართველი, უფროსი, ანდარე-ში (თანდებული), ჯან/ჯეჰან-ქვეყანა.

რუსთაველის ნესტანდარეჯანიც ასე განიმარტება, როგორც ჯერ კიდევ ნ. მარმა აღნიშნა, ნესტ – არ არის, ანდარე-ში თანდებული და ჯან/ჯეჰან-ქვეყანა, ნ. ბართაიას მართებული კორექტივით, არაამქვეყნიური.

ამირანისა და ამირანდარეჯანიანისძის სახელების მსგავსება მეორეულია, განსხვავება – ძირეული.

ამირანი გამუდმებით ებრძვის და ხოცავს დევებს, როგორც ურჩხულებსა და გველეშაპებს.

დევი ირანულ მითოსში ბოროტი სულია. დევებს ებრძვიან კეთილი სულები – აჰურები. მაგრამ ძველინდურში დევები ღმერთებია, ხოლო ასურები – დემონები.

დევთა კლასს ქმნის 33 (333, 3306, 3339) ღვთაება, რომლის ძირია div – ნათება, ბრწყინვა (ვ. ტოპოროვი).

ისინი 3 სფეროდ ნაწილდებიან:

ზეციური (მაგ., დიოსი, ვარუნა, მითრა), ატმოსფერული (მაგ., ინდრა, მარუთები) და მიწიერი (მაგ., აგნი, სომა, სარავასტი).

მოგვიანებით ქურუმებმა დევები ბოროტ სულებად შერაცხეს, აღარ სცნეს ასურებად. ასევე მოიქცნენ ქრისტიანები.

ირანულშიც მათდამი მიმართება შეიცვალა. ლეგენდარული ირანელი მეფეები და დევგმირები დევთმებრძოლები არიან. მაგ., რუსტამი, შემდეგში ფირდოუსის „შაჰნამეს" პერსონაჟი. ამ პოემის ერთი ნაწილი ჩვენში „როსტომიანის" სახელით გავრცელდა.

ირანული დევები ხოცავენ ადამიანებს და მათი ხორცით იკვებებიან.

ასეთივე ბუნება აქვთ მათ ქართულ, სომხურ, დაღესტნურ, თურქულ ენოვან ხალხთა მითებსა და ზღაპრებში.

## შუასაუკუნეთა სპარსული პლასტი

**მეორადი ქრონოლოგიური პლასტი სპარსულია.** იგი შემოდის მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანის" გზით (XII ს.).

ამ ნაკადმა დაამახინჯა ძველი ტექსტი – მითოსურის პროფანაცია მოხდა ზღაპრულ-ფანტასტიკური სიუჟეტებით.

ხალხურ ამირანზე დიდი გავლენა მოუხდენია ამ წიგნს, რომელიც საფალავნო-სადევგმირო რომანია და სპარსული ტენდენციების გამომხატველი, ასევე – ირანულ მითოსს, შეიძლება ფირდოუსის „შაჰ-ნამესაც" (მაგ., ფარიდუნის მიერ სამთავა

დრაკონის სამჯერ თავის მოჭრა, წყლის განთავისუფლება და გვალვის შეწყვეტა).

მოსე ხონელის პერსონაჟები არიან – თავად ამირან დარეჯანისძე, ბადრი, უსუბი, ამბრი არაბი, ყამარ ყამრელი, რომელთა სახელები გადავიდა ხალხურ თქმულებაში და ჩაძირა არქაული ონომასტიკა.

ამირანდარეჯანიანისძის სახელის დასაწყისი სპარსული, ჩვენთვის კარგად ცნობილი სიტყვა ამირაა (მაგ., ამირ-სპასალარი), რაც ახალ სპარსულში ვრცელდება IX-X საუკუნეებიდან.

მოსე ხონელი და სავარსამისძე არაფერს გვეუბნებიან დარეჯანისძის დაბადებაზე, ბავშვობის პერიოდზე, მშობლებზე.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ მათ არა აქვთ ერთი ძირი, ერთი წარმომავლობა.

ამირანს ახსენებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (XIII ს.) – „ვითარ ამირან ხორაშნისათვის".

სახელი ამირანი ხალხშიც გავრცელებული ყოფილა. მაგ., 1448 წლის დოკუმენტში იხსენიება ამირან გაბელისძე, 1699 წლის დოკუმენტში - ამირან ინდოაშვილი (ანოტ. პირთა ლექსიკონი, ტ. II).

## ამირან დალის ძე და ამირან დარეჯანის ძე

ბუნებრივია, რომ ყურადღებას იქცევს მსგავსება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანთან" (XII ს). ეს რომანი ქართული ძეგლია, მაგრამ დაწერილი სპარსული სამყაროს ძლიერი გავლენით (ალ. ბარამიძე).

კ. კეკელიძემ არაერთი სიუჟეტური პარალელი გამოყო ამ ორ თხზულებას შორის. მათ აერთიანებს სისხლის ნიაღვარი,

ხალხურში უფრო დევებისა, ლიტერატურულში – უფრო ადამიანებისა, ფიზიკური ძალის აღმატება, ძალღონის სტიქია (გ. იმედაშვილი).

ორივეგან ბრძოლა წარმოდგენილია როგორც სპექტაკლი.

მოსე ხონელის გმირი იბრძვის რაინდული ღირსებისათვის. მისთვის კაცთა ხოცვა შეჯიბრია, სპორტული ჟინი, გარკვეული წესების დაცვით. იგი სამჯერ ირთავს ცოლს და სამივეს ბრძოლით მოიპოვებს, როგორც გამარჯვებული – თასს.

ხალხური ამირანი დევებს ხოცავს, როგორც ბოროტ სტიქიას, რათა კაცთათვის სიკეთე მოიტანოს. იგი ღმერთმებრძოლი გმირია, რომელმაც გაუძლო მრავალ განსაცდელს, ვიდრე ღმერთი-შემოქმედი, მთავარი ღმერთი არ დაამარცხებდა.

ხონელის პერსონაჟი უძლეველი რაინდია, რომელსაც სურს ყველას აჩვენოს თავისი ფიზიკური ძალა, რომ ტოლი არ ჰყავდეს ქვეყანაზე. მისი ბრძოლის ესთეტიკა და ძალის კულტი განსაზღვრულია რაინდობის, „ჭაბუკობის" წესებით, რაც გამორიცხავს ღალატსა და მეტოქისადმი სიძულვილს, ბოროტისა და კეთილის ბრძოლის იდეას.

რელიგიის თვალსაზრისით, ხალხური ამირანი წარმართია, ხოლო ხონელის გმირი – მუსულმანი, რომელმაც „დიადი შესწირა მიზგითთა", თუმცა მათთვის აღმსარებლობა ისევე არაა მთავარი, როგორც „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებისათვის.

ეთნიკური თვალსაზრისით, ხონელის ამირანი სპარსია და მოქმედებს აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხალხური ამირანი დალის ძეა, ირმებთან გაზრდილი და შავ ზღვაში მცხოვრები ანუ კოლხი. სამოქმედო გარემოც ისტორიული კოლხეთის არეალია, სადაც მჭედლობს მამამისი – ცალთვალა სულკალმახი.

იგი მიჯაჭვულია კოლხიდის ამირანის მთაზე (მ. ჩიქოვანი).

„ამირან-დარეჯანიანიც" ცალკეული ამბების კრებულია.

„ამირანიანის" პერსონაჟები ადამიანები, დევები, ცხოველები და ფრინველებია – სულკალმახი, დალ-დარეჯანი, ამირანი, ბადრი, უსუპი,ყამარი,ასლანგმირი,იგრი ბატონი, ნათობუანი, ამბრი ბუმბერაზი, ცამცუმი, ღრუბელთ უფალი (ყამარის მამა), ფასკუნჯი, არწივი, შველი, მტრედი, ფრთოსანი ყურშა, ყორანი, უცხო მონადირე, ამირანის დედინაცვალი, ტუფა, ბაყბაყდევი, დევი აშლოყინა, ტყის დევი, დევ-დედაბერი.

მათ სახელებშიც აირეკლა სხვადასხვა დრო და კულტურული ნაკადი. არქაულ-მითოსურს გადაეფარა შუასაუკუნეობრივ-დევგმირული მოტივები.

## არქაულ-მითოსური პლასტის თარიღი

ამირანი არის ხან დალის, ხან – დალ-დარეჯანის ძე. დარეჯანი, როგორც ვთქვით, გვიანდელი ჩანართია.

ასევე სპარსულია უსუპ/უსიპი, რომლის საწყისია ებრაული იოსები. ასლანი თურქული სიტყვაა და ლომს ნიშნავს. იგი ვერ შემოვიდოდა XI საუკუნემდე, თურქ-სელჯუკთა გამოჩენამდე.

ქართულია ცამცუმი, კოლხურ-ბერძნულია იგრი, სვანურია დალი. ყამარი, ბადრი და ამბრი არაბულია, სულკალმახი – მესოპოტამიური.

არაბებს ქართველები გაეცნენ VII საუკუნიდან. მაგრამ მათი სახელები ხალხურში გადასულია ლიტერატურული ტექსტიდან.

ამირანს ძმები არ უნდა ჰყოლოდა, ისინი დალის ძემ მოსე ხონელის წიგნიდან შეიძინა.

ფშაურ ვარიანტში ნათქვამია:

*„უძმოსა, უდედმამოსა*
*ამირანს თავი მოეკლა".*

კახურ და სვანურ ვარიანტებშიც მას მხოლოდ ძმობილები ჰყავს, ძირითადი, რესტავრირებული ტექსტის მიხედვით – ნახევარ-ძმები.

ერთ-ერთი სვანური ვარიანტით, ამირანი მომაკვდავი დალის მუცლიდან ამოიყვანა ცალთვალა მონადირე იამანმა (შდრ. ბადრი იამანის ძე). ნამდვილ მამასაც ამირანი ერქვა. შემდეგ ორივეს მიაჯაჭვავენ, ჯერ მამას, მისი სიკვდილის შემდეგ – შვილსაც.

ისტორიის ვრცელ მანძილზე იცვლებოდა პერსონაჟთა სახელები, შემოდიოდა ახალი სიუჟეტები, თუმცა, როგორც ვნახეთ, არქაულ-მითოსური რჩებოდა, რაც თქმულების საუკეთესო ნაწილია.

რკინის მჭედლობა, ცეცხლის მოპოვება, არიმანი, დალი, იგრი, სულკალმახი, დევები, გმირის დასჯა ღმერთის მიერ სავარაუდოს ხდის, რომ „ამირანიანის" პირველადი პლასტი შექმნილია როგორც ბერძნული, ისე ირანული სამყაროს გაცნობის შემდეგ.

დევთა სიმრავლე, მათი ძალადობა და ბატონობა უნდა იყოს კიმერიული ტომების შემოსევისა და განსახლების დროის ანარეკლი, მათი მითოსური წარმოდგენა, როგორც ბოროტი და სასტიკი ძალისა, როცა კოლხთა ქვეყანას ლამის სკვითების სახელი მიეცა.

მათგან ქვეყნის მხსნელი ძალა არის ამირან/აჰრიმანი.

თითქოს გაუგებარია ქალთმოძულეობის მოტივი (მაგ., ამი-

რანის დედინაცვალი კოჭლი, ბოროტი და ეჭვიანია; დალი ავხორცია; ყამარი მოტაცების შემდეგ ქრება ამირანის თვალთახედვიდან; მონადირის ცოლს მიჯაჭვული ამირანის ასაშვებად არ ემეტება გუთნის ჯამბარა; ამირანი იმუქრება, თუ თავი დავიხსენი, ქალებისა და მჭედლების ჯავრს ამოვიყრიო).

ეს უნდა იყოს მატრიარქალური დროის ანარეკლი, როცა ზუსტად იცავდნენ ტაბუს (მაგ., მონადირულ წესებს), რათა მამაკაცს წარმატება ჰქონოდა (იხ. დ. შენგელაიას „ამირანის გარშემო").

ბერძენი ავტორები ძვ. წ. IV საუკუნიდან ფაზისის სათავედ ხშირად ასახელებენ Amaranto-ს – ამირანმთას (შდრ – მეგრული ფორმები – ამრანი, ამარანი, ამერანი), მაგ., აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა").

ამ დროს უკვე არსებულა კოლხურ ტომებში სახელი ამირანი (შდრ. – ქალაქი პონტოში ამარანტოსი).

ზოროასტრიზმს, აჰურამაზდასა და აჰრიმანს ქართველური ტომები კარგად გაეცნენ ძვ.წ. V საუკუნეში, როცა დარიოსისა და ქსერქსეს ლაშქარში იბრძოდნენ. ამირანის მითის პირველადი ფენაც მაშინ უნდა შექმნილიყო, როცა პრომეთეს მითი მოერგო დევთმებრძოლ აჰრიმანს.

***

ჩრდილოელ ბარბაროსებთან დამარცხებული კოლხების ოცნებამ შვა კაცთა მფარველი, დევთ და ღმერთმებრძოლი გმირი.

აკაკი წერთელის წარმოდგენით, „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი – ყვავ–ყორანი".

ამირანიანის ტექსტიც ისევეა სახეცვლილი და დაფლეთილი, როგორც საქართველოს ისტორია.

ქართველური კოსმოლოგიური ხედვა უფრო სრულად შემოინახეს არქაულმა არტეფაქტებმა.

## 7. ქართველური არქაიკის არტეფაქტები (ძვ. წ. III ათასწლეული-ძვ. წ. IV საუკუნე)

კულტურის ცენტრი უძველესი დროიდან იყო ქალაქი, დაცული და შემოზღუდული არე, რომელსაც აგეგმარებდა და აშენებდა არქიტექტორი (ხუროთმოძღვარი) ქურუმ–ბელადის, ქურუმების თუ მეფის იდეის თანახმად.

ქალაქის სტრუქტურა – ქუჩები, ტაძრები, გალავანი, კოშკები, საცხოვრისები გარემოსთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ქალაქი შენდებოდა ზღვის (მაგ., ფაზისი), ტბის (მაგ., ტუშფა), მეტწილად კი – მდინარის პირას (მაგ., ქუთეში და მცხეთა), ციხე–სიმაგრე, ტაძარი და სამსხვერპლო – მთაზე ან ბორცვზე, ზოგან – კლდეში (მაგ., უფლისციხე).

ყველაზე იდეალური იყო თუ ქალაქის ადგილმდებარეობა აერთებდა წყალსა და მთას. ასეთი იყო მცხეთა, რომელიც გაშენდა როგორც რელიგიური და სახელისუფლებო ცენტრი, მთებს შორის, ორი მდინარის – მტკვრისა და არაგვის შესართავთან, აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით მომავალ გზათა შესაყართან.

როგორც შენიშნავენ, იბერიის მეფეები, ასევე – ტომთა ბელადები იყვნენ მთავარ–ქურუმები. ქურუმთა კასტა ფლობდა ღვთაებრივი და რეალური ცოდნის საიდუმლოს, იგონებდა და განაგებდა რიტუალებს, დღესასწაულებს, წეს–ჩვეულებებს, ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას.

ქურუმები იძლეოდნენ დაკვეთებს თუ როგორი რელიგიური სიუჟეტები, რომელი ღმერთები გამოესახათ იუველირ–მჭედლებს, მეთუნეებს, სკულპტორებს, მხატვრებს, მქსოველებს. ისინი დამოუკიდებლადაც მოქმედებდნენ, იღებდნენ არისტოკრატთა დაკვეთებსაც, მაგრამ რელიგიურ ნორმებს ფანტაზიით განავრცობდნენ.

თიხის, წნელის, ქსოვილის, ძელის თუ ლითონისაგან დამზადებულ ყოველ ნივთს ერქვა ჭურჭელი, რომელსაც სულხან–საბა 15 სახეობად გამოყოფს. მათგან ერთ–ერთი იყო საჭურველი (აბჯარი). ჭურჭელის (თავდაპირველად – ჭურ–წელი) ცნება შემდეგ შეცვალა საგანმა და ნივთმა, ჩვენს დროში – artefactus–მა, რაც ხელოვნურად შექმნილს ნიშნავს.

ღმერთების რწმენა სისხლხორცეული განცდა იყო, მაგრამ ოსტატს მიცემული მიმართულება და დაკვეთა უადვილებდა შრომას. სხვანაირად მის მიერ დამზადებულ ნივთებს მომხმარებელი არ ეყოლებოდა. ამიტომ ყოველ საგანს, რომელზეც ძვირფასი, ძნელად მოსაპოვებელი ლითონი იხარჯებოდა, რომელსაც სჭირდებოდა ფიქრი და გარჯა–ადრესატი უნდა ჰყოლოდა.

პრაქტიკული მოხმარების ნივთებიც, შრომისა და ომის იარაღებიც რელიგიური მოტივებით იყო განსაზღვრული და დაცული.

რაც შეეხება თავად ქალაქს, იგი სახალხო კრების ნებითა და დასტურით, ქურუმ–ბელადის თუ ქურუმ–მეფის ანუ საერთო სახსრებით უნდა აგებულიყო.

დამოუკიდებლად ხუროთმოძღვარი ამას ვერ შეძლებდა, უფლებასაც არავინ მისცემდა. ქართველი მეფეები ან ტომთა

ბელადები ხშირად ვერ ისარგებლებდნენ შემოყვანილი ტყვეების სამუშაო ძალით, მათგან გადარჩეული ოსტატების უნარით ან ნაძარცვი ქონებით.

ისინი საკუთარი მწირი ეკონომიკური პოტენციალით აგებდნენ ქალაქებს, მენჰირებსა და კრომლეხებს, ხიდებს, ტაძრებს, ციხე–სიმაგრეებს, ყორღანებს, ავითარებდნენ მეტალურგიის კერებს, ამუშავებდნენ მიწას, უვლიდნენ საქონელს, თავს იცავდნენ მომხდური მტრისაგან, ფიქრს, ოცნებას, რწმენას, პრაქტიკულ მოთხოვნილებას აქცევდნენ იარაღებად, ქანდაკებებად, კერამიკულ მხატვრობად, სამკაულებად.

ქართველური არქაიკის მოღწეული არტეფაქტები არქეოლოგების მონაპოვარია.

ათასწლეულების მანძილზე მათ მიწის სქელი ფენა ფარავდა და კაცთა ხელი არ შეხებია. უძველესია, როგორც ვთქვით, ქართველურ ტომთა წინაპრების ქვის, კაჟის, რქის, თიხის საგნები, რომელთა უამრავ ნიმუშს ინახავდა მღვიმეები (მაგ., საკაჟია, საგვარჯილე, კუდარო).

დაბა წალკასთან, მდინარე ქციის ხეობაში, 1976 წელს მიაკვლიეს მეზოლითის პერიოდის კლდეზე ამოკაწრულ ნახატებს.

ესენია – ირმის, ცხენის, გველის, აქლემის, ფრინველის, ფანტასტიკურ ცხოველთა ფიგურები, მშვილდისრიანი მონადირე კაცუნები, სულ – 100–მდე პეტროგლიფი (მ. გაბუნია, ა. ვეკუა).

ხელოვნების პრანიმუშები მაგიიდან, ტოტემებიდან, სამყაროს ფანტასტიკური აღქმიდან იღებენ სათავეს, ისევე როგორც ზეპირი სიტყვა, მითები და რიტუალები. შემდეგ გამოი-

ყოფა პრაქტიკული ასპექტი და მზადდება ის ნივთები, რაც ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ესეც ზეციურ ძალთა მონაწილეობით, უფლის ხედვის გათვალისწინებით, მისი თანაზიარობით.

ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში ჩნდება მეთუნეობა. ამზადებენ ხელით ნაძერწ ბრტყელძირა, უყურო, ქილისებურ, ცუდად გამომწვარ და სუსტად გაპრიალებულ ჭურჭლეულს, თიხისაგან აკეთებენ ქალის, კაცის, ხარის, ცხვრის ქანდაკებებს.

მასალა – თიხაში არეული ნამჯა, ქვიშა და კვარცი.

წინარე ქართველურ ტომებში ერთ–ერთი უძველესია V ათასწლეულის ქალის 21 ფიგურა, ზოგი მთელი, ზოგი – ფრაგმენტული, სიმბოლური და დაუხვეწავი, თიხისგან ნაძერწი, მეტწილად – მჯდომარე პოზაში. ისინი განასახიერებენ ნაყოფიერების კულტს, „დიდ დედას".

ამავე დროისაა იმირის გორისა და ნახიდურის კაცის ფიგურები. ამ ქანდაკებებს ანათესავებენ ჰასუნასა და ჰალაფის აღმოსავლურ კულტურებთან. III ათასწეულს განეკუთვნება ურბნისთან ქვაცხელებში ნაპოვნი გრძელკაბიანი კაცის სამი ფიგურა. ზომა 6X8 სმ (გ. ჯავახიშვილი). საერთოდ ითვლება, რომ ადამიანის გამოსახულებანი ჩნდება ორინიაკის ხანაში, 35.000 წლის წინათ.

მას შემდეგ, რაც შემოდის ლითონი, შავი, ნაცრისფერი, ყვითელი, წითელი კერამიკის პარალელურად, მზადდება ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის ნივთები. აქ უკვე თავს იყრის მათი სამმაგი დანიშნულება – რიტუალურ–მაგიური, პრაქტიკული და ესთეტიკური.

განვიხილოთ ზოგი მათგანი:

მაგ., ბრინჯაოს კვერთხი სტეფანწმინდის განძიდან (ძვ. წ. I ათასწ. I ნახევარი) სწორედ იმიტომ იყო ფანტასტიკურად გააზრებული, რომ მეტი ძალმოსილება ჰქონოდა. აქვს სამი ზარი, გამობმული სამ გრეხილ რქაზე. ისინი ერთად ქორბუდა ირმის სტილიზებული რქებია. მათ ზევით დგას შიშველი ღვთაება, რომელსაც აცვია ყელიანი ფეხსაცმელი და მარცხენა ხელში უკავია კვერთხი.

ღვთაების მზერა დაძაბულია. იგი საბრძოლველად არის გამზადებული, ალბათ იმის დასაცავად, ვისაც ეკუთვნის ეს კვერთხი.

ამ რთულ კომპოზიციას ამზადებდა ოსტატი, რომელსაც ჯერ ჩანაფიქრი უნდა ჩამოეყალიბებინა, შემდეგ – ბრინჯაოში მოექცია, დაეხვეწა დეტალები, რაც იწვევს ახალ ასოციაციებს. მაგ., ცალკე რქა დაგრაგნილი გველია. კვერთხს ზარიც უკეთია, რომლის ხმა არის მოხმობა და გაფრთხილება.

ყოველივე ერთად ქმნის სიდიადის შთაბეჭდილებას (სტეფანწმინდის განძი აღმოაჩინა გ. ფილიმონოვმა 1877 წელს).

ასეთივეა რახტის ოქროს საკიდი ახალგორის განძიდან (ძვ. წ. V ს.).

იგი სამკაულია და, მაშასადამე, ლამაზი უნდა იყოს. სილამაზეს ამ ნივთსაც აძლევს რთული კომპოზიცია. ზედა ნაწილი მრგვალი დისკოა, გარშემორტყმული ორი წრით. მათგან მეორე მარცვლებად არის გაწყობილი. შიგნით ჩაჭდეულია რვა ფოთოლი, რომლის უკანაც არის რვა ფოთოლი და მოჩანს მათი წვეროები.

ფოთლების ძირას, ცენტრში მცირე, ამობურცული დისკოა, რომელსაც არტყია ორი დამარცვლილი წრე.

დისკოდან ეშვება ექვს–ექვსი რომბითა და თხუთმეტმარცვლიანი სწორი ხაზით გაწყობილი, დაწინწკლული სარტყელი . იგი დისკოს აერთებს ცხენის ორ ქანდაკებასთან.

მოხატული, დარახტული ცხენები ტყუპად დგანან და გარს ევლებათ ოქროს ფირფიტები. ისინი დგანან კვარცხლბეკზე, რომლიდანაც ძეწკვებით ჩამოშვებულია თთხკუთხა, შუბის ბუნიკისებური მარცვლები (ახალგორის განძი 1908 წელს იპოვეს წარჩინებული ქალის სამარხში).

ასეთი სამკაულის დამზადებას მდიდარი ფანტაზია, იუველირის გამოცდილი ხელი და ზუსტი მზერა სჭირდებოდა, რათა დაეცვა პროპორციები, რაც ყველაზე უკეთ გამოჩნდა ცნობილ თრიალეთურ ვერცხლის თასზე (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

თასი მოზრდილია, გაყოფილი ორი ფრიზით. დგას შემაღლებულ ფეხზე, როგორც დღევანდელი სასმისები.

ფეხს ზემოთ გამოხატულია ლოტოსის ყვავილი, ქვედა ფრიზზე – ხარირემი და ცხრა ფურ–ირემი.

ზედა ფრიზი უკავია ცხოვრების ხეს. მის წინა მცირე კვარცხლბეკზე დგას სკამი. სკამზე ზის, როგორც ანუბისი, მგლისთავა კაცი, რთულად და მდიდრულად შემოსილი, მოკლე ქულაჯით, შარვლით.

ხელთ უკავია სასმისი. აცვია ჭვინტიანი ფეხსაცმელი, ხეთურის მსგავსი.

წინ უდგას საკურთხეველი, რომლის სამი ფეხი ცხოველის ჩლიქებით ბოლოვდება.

საკურთხეველს იქეთ–აქეთ უწევს ორი ცხოველი. მათ უკან დგას დიდი ჭურჭელი, რომლიდანაც იღებს ალბათ სასმელს.

მისკენ მოემართება ასეთივე ნიღბოსანი, ასევე ჩაცმული 22 ცხოველ–კაცი. მათაც სასმისები უკავიათ. ხოლო ფოჩებიანი, ქულაჯისებრი სამოსი კუდით ბოლოვდება (ბ. კუფტინი, შ. ამირანაშვილი), რაც საიქიოსთან კავშირის ნიშანია.

რიტუალურ პროცესიას სხვადასხვანაირად განმარტავენ სპეციალისტები – ხედავენ მსგავსებას ხეთურ, კლდეზე ნაკვეთ რელიეფებთან. ზოგი მაიკოპის ყორღანების ხელოვნებასთან აკავშირებს.

ასევე საინტერესოა კოლხური ვერძის თავის ქანდაკებები, რომელთაგან ზოგს ცულებად ქცეული ფრთები აქვთ გამოსხმული და ამკობთ მზის ნიშნები (ძვ. წ. I ათასწლეული).

შეიძლება ეს ფანტასტიკური ფრინველ–ვერძი ყოფილიყო ფასკუნჯი (იხ. „ფასკუნჯი – მფრინავი ვერძი“).

ქართველურ ტომებს, განსხვავებით ეგვიპტელებისა, ხეთებისა, ასურელებისა, ირანელებისაგან, არ ჰქონიათ გიგანტური მითიური გამოსახულებანი.

მაგ., პერსეპოლისში, ტაძრის „ქვეყნიერების კარიბჭის“ შესასვლელთან იდგა 10 მეტრის სიმაღლის ხარ–კაცის ქანდაკებები.

არც ისეთი სიუხვით დაუმზადებიათ ღმერთების, ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, ურჩხულების გამოსახულებანი, როგორც ძველ ბერძნებს.

მაგ., დელფოს ორაკულამდე მიმავალ გზაზე მდგარა 3.000 ქანდაკება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტების დიდი ნაწილი ფანტასტიკური ხედვის ნაყოფია. როგორც ვიცით, ველურის აზროვნება დღევანდელი სიზმ-

რული ცნობიერების მსგავსია, სადაც რეალობა, სივრცე–დრო ირღვევა, დაცილებულია სიბრტყეები და საგნები უცნაურად წაებმის ერთმანეთს, როგორც მრუდე სარკეში არეკლილი.

შემდეგ არქაული, პირველყოფილი აღქმა და ხედვა გადავიდა მითებსა და რიტუალებში, ტოტემურ და აკრძალვათა სისტემაში, იქცა სიტყვებად და ღმერთებად ანუ განიმუხტა ნევროზული შიშებისაგან, რასაც ადამიანს ჰგვრიდა ტვინის სტრუქტურის ცვალებადობა.

მსგავსი ხედვა ჰქონდა პირველყოფილ მხატვარსაც, სკულპტორსაც, ქურუმსაც. ამიტომ რასაც ისინი თხზავდნენ, რაც გადაჰქონდათ რიტუალებში, მაგიურ ქცევაში, თიხის ჭურჭელებზე თუ ბრინჯაოს ბალთებზე, სამაჯურებსა და ყელსაბამებზე, ცულებსა და თასებზე – ჩვენ ფანტასტიკური გვეჩვენება.

მაგრამ თავად შემოქმედი ასეთი ცნობიერებით ცხოვრობდა და მისი ხედვაც ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სიზმარი დღეს (მაგ.: ქალღვთაება ირმის სახით).

ამ მხრივ ჩვენი წინაპარიც ისეთივე იყო, როგორც ინდოევროპელისა თუ სემიტისა.

ცნობიერების სტრუქტურა ყველგან ერთნაირია, განსხვავებულია გამოვლენის სივრცე – დრო და ფორმები, განვითარების სტადია.

საქართველოს ტერიტორიაზეც დიდად იყო გავრცელებული თიხის და მინის ჭურჭლეული, სხვადასხვა სახის კერამიკა, ფერადი და მოხატული.

განსაკუთრებით გამოირჩევა თრიალეთური შავი და პრიალა კერამიკა, შემკული გრავირებული ორნამენტებით. ეს არის კლაკნილი ხაზები, სვასტიკა, ფრინველები (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

მაგრამ მეთუნეების ოსტატობასა და ფანტაზიას მეტ

გამომსახველობას და დამაჯერებლობას აძლევდა ლითონი, მჭედლისა და იუველირის ხელი, ჭედურობა.

თიხის ზოლიანი სასმისები, დოქები, ქამრები, ბრინჯაოსა და რკინის გრავირებული ცულები, სამაჯურები, სურები, ფიბულები, ოქროს საკიდები და საყურეები, ყელსაბამები, ოქროსა და ვერცხლის თასები, მოჭიქული მძივები, მინის ჭურჭლეული, ოქროს სამაგრები, ვერცხლის სარწყული, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბალთები და სარტყელები, თიხის ბეჭედი ირმის გამოსახულებით, ითიფალური ქანდაკებები, ცხენოსნის ქანდაკება, ცხენშებმული საომარი ეტლი, ღმერთქალის ქანდაკებები, ვერძის ქანდაკებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც უჩინარ და უსახელო ოსტატებს უკეთებიათ.

წნორის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბედენური დროის ოქროს ლომის ქანდაკება (ძვ. წ. XXII ს.).

ეს არის ის, რაც მიწაში ჩარჩა და დღემდე მოატანა.

ეს ყოველივე ეკუთვნოდა ელიტას – ბელადებს, ქურუმებს, მათ ნათესავთა წრეს. ზოგი შეიძლება შემოტანილია. მაგრამ უმრავლესი ნაწილის სტილური ერთგვარობა (მაგ., კოლხური, თრიალეთური) და მხოლოდ მსგავსება უცხოურ ნიმუშებთან, ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ოსტატების ნახელავია.

ელინელები და მესოპოტამიელები ფანტასტიკურ რელიეფებსა და ქანდაკებებს ამზადებდნენ ცხოველებისა და ადამიანების შეერთებით, არა შერევითა და შერწყმით, სადაც ზღვარი წაშლილია. მაგ., კენტავრები, მინოტავრები, სირინოზები. მათი ერთ ნაწილი ცხოველურია, მეორე – ადამიანური, როგორც ეგვიპტური სფინქსისა.

ქართველურ ტომებს უფრო ჰყვარებიათ ფანტასტიკურ,

გაურკვეველ არსებათა წარმოდგენა, მათი სტილიზება, სხეულების ნაწილების კომბინაცია (მაგ., თავი, ფეხები, ფრთები). ამიტომ ამ ცხოველთა ზოოლოგიური ტიპების განსაზღვრა შეუძლებელია.

ისინი თავისუფალი ფანტაზირების ნაყოფია. მაგ., კოლხურ ცულებსა და ჩუგლუგებს პირველ რიგში პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქცია ჰქონდათ, იმდენად გავრცელდა კავკასიაში და გავიდა მის გარეთაც. მაგრამ ცულებზე ამოკვეთილია ფრინველები, გველები, თევზები, წყლის სპირალები და ცხოველები. მათი ფიგურები სტილიზებულია და დღევანდელ მულტფილმების პერსონაჟებს მოგვაგონებს. ამ ორნამენტებში სიმბოლურად გაერთიანებულია ზესკნელი და ქვესკნელი, ხთონური და ზეციური სამყაროები, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალური ნიშნები.

ძველი ოსტატი ისე მუშაობდა ამ ცულებზე, როგორც ბალზაკის მხატვარი ფრენჰოფერი, რომელმაც ხანგრძლივი ფანტაზირებით, ასოციაციური გადასვლებით სურათი ფერებისა და ხაზების გაურკვეველ გროვად აქცია.

ზოგჯერ გეომეტრიულ და ფანტასტიკურ ორნამენტს ერთვის ცულის ყუაზე დასკუპებული ცხოველის მინიქანდაკება. ცხადია, ასეთი ცულები რიტუალებისათვის იყო გათვალისწინებული, არა ხის საჩეხად ან ტყის საკაფად.

სიმბოლური ხაზები, პირობითი ნიშნები, დეფორმირებული საგნები რეალობის ფანტაზიით გავრცობა და შევსებაა.

ალბათ, იუველირი როცა კვეთდა ცხოველის ფიგურებს, მოდელად სახავდა მგელს, რომელსაც ასოციაციების ჯაჭვი ფანტასტიკურ არსებად აქცევდა.

ამას რელიგიურ-რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა,

რათა მისტიკურ ძალებს დაეცვათ პატრონი, უკუეგდოთ მტერი და ზეციურ ძალთა მეშვეობით გზა გაეკაფათ.

ნადირი მისი ძმობილი იყო.

ფანტასტიკური ცხოველები გადადიან ფართო და მდიდრულ სარტყელებზე (მაგ., რქოსანი ცხენი).

ეს გავრცელებულია მიკენურ, მესოპოტამიურ, ურარტულ, ყობანურ კულტურებშიც.

ფანტასტიკურ თუ ნატურალისტურ ფიგურებს ჰქონდათ თავისი მაგიური და სიმბოლური ნიშნები (მაგ., ძაღლის დაღებული ხახა ყეფაა, წინ ვარსკვლავი – მიმართულება, უკან გველი – მდევარი ძალა, მოხრილი რქა – ახალი მთვარე, კლაკნილი – წყალი და მდინარე, ფარფლი – თევზი, ღრუბელი – ფრინველი, სპირალი – მზე, წერო – გაზაფხული).

ზოგ საბეჭდავზე გამოსახულია ცხენი და ფრინველი, რვასხივიანი ვარსკვლავი. ცხენი მზის ღვთაების სიმბოლოა, ფრინველი – მონადირე მამაკაცისა (შდრ. „მთვარის მოტაცებაში" მონადირეთა მეთაური თემური ნაპოთლს დაირქმევს, რაც სვანურად ფრინველს ნიშნავს), ვარსკვლავი – ოჯახი (სახლი).

სიმბოლური ნიშნების თავმოყრა - ეს ქვეყნიერების სურათი იყო (მ. ხიდაშელი).

ადრეულ სარტყელებზე სიუჟეტი სქემატური და გეომეტრიულია. შემდეგ რთულდება სტილიზება და ფანტასტიკა ჭარბობს. ბოლოს იმარჯვებს რეალური ფიგურები.

მაგ., თრიალეთურ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული ნადირობის სცენა სტილიზებულია, სტილიზებულია ირმების, ლომების და მშვილდოსანი მონადირეების ფიგურები, მაგრამ

არა ფანტასტიკური. ასეთივეა ოქროს ლომის, ბრინჯაოს ჯიხვის ქანდაკებები.

ფანტასტიკურია ის დეკორი, რომელიც ნადირობის სურათს ახლავს. ეს არის ჯვრის ასტრალური ნიშანი, თევზი, გველი, თხა და ვერძი.

ნადირობის სცენა ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, რომელიც არის ორმწკრივად განლაგებული ხვეულები (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

ასევე ნადირობის სცენას გვაცნობს თრიალეთის ვერცხლის სარწყული. აქ მხოლოდ ცხოველებია, ზოგი – მკერდში ისარგაყრილი.

თრიალეთის შემდეგ ქრება ანთროპომორფული გამოსახულებანი. ისინი ბრუნდებიან მე–9 საუკუნიდან. მაგ., გურჯაანის მელაღელეს ბრინჯაოს ფიგურები, თოჯინის მსგავსი. ისინი უკავშირდებიან დიდი დედის კულტს. იქვე ჭურჭელზე გამოუსახავთ შიშველი ქალი. ასევე შიშველია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღვთაება, რომელსაც ყანწი უჭირავს. მეორე მეომრის ფიგურაა. ასევე მრავლადაა ნაპოვნი ამავე დროის ბრინჯაოს ქალის შიშველი ქანდაკებები.

გეომეტრიულად სტილიზებულია სამთავროს სამარხის ბრინჯაოს სარტყელის ნადირობის სურათი, ცხოველები და მონადირეები (ძვ. წ. I ათასწ. I ნახ.).

სტილიზება, მინიშნება, სიმბოლიზება, ფანტასტიკა, დეტალით საგნის გადმოცემა და საერთოდ ასეთი პირობითობათა სისტემა არის გაშლა არქაული პრინციპისა – ნაწილი უდრის მთელს.

მამაკაცის ქანდაკებები აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილას

(მაგ., გუდაბერტყაში, სტეფანწმინდაში, მელაანში, საირმეში, ზეკარში). ზოგი დგას ხარის თუ ირმის რქებზე, ზოგიც – მხედარია.

მხედრის ფიგურა სტილიზებულია. თავზე ჩაფხუტი ახურავს. ზის ცხენზე, რომელიც სახედარს ჰგავს. ცხენს არა აქვს ლაგამი და უნაგირი. უიარაღო მხედარი წინ იხედება, ხელები მოუმუშტავს და ყვირის. ზურგზე უჩანს მოსასხამი.

ითიფალური ქანდაკებები ერთმანეთს ჰგავს. ესენიც სტილიზებულია. ზოგი კაცი როკავს, ზოგი დადის. ხელი ყველას გაშლილი აქვს, ან – წინ შემართული.

თავზე ხურავთ ძაბრისებური ან ხარისრქიანი ჩაფხუტები. ყველა შიშველია. ფეხზე კი აცვიათ (I ათასწლეული).

ზოგი ფიგურა აქაც მხედარია. ერთი ჰკლავს მეორეს. სხვა კომპოზიციებში კაცი მოხუცს მიათრევს ან ცხვრის რქებზე დგას ორი შიშველი მხედარი.

საერთოდ, ხელოვნებაში ცხენოსანი მხედარი ჩნდება II-I ათასწლეულების მიჯნაზე, როცა საბრძოლო ეტლი დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი დაიკავა ცხენოსანმა მეომარმა (შ. ამირანაშვილი).

ამ დროიდან იწყება ცხენის კულტიც. იგი უკავშირდება ღვთაებებს და ხდება ბელადის, მეფის, სარდლის განუყრელი ატრიბუტი.

შემდეგ ცხენი იქცევა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ და დაიტვირთება მრავალი მისტიკური და საბრძოლო ნიშნით (მაგ. სიმბოლური ქორწინება მოკლულ ცხენზე ინდოევროპულ ტომებში).

მოღწეულია ირმისა და ვერძის, ხარისა და ძაღლის ქანდა-

კებები. მაგრამ უმთავრესია ცხენი, რომელიც კოლხურ კულტურაში ბრინჯაოს ბალთების კომპოზიციაში დიდ ადგილს იჭერს.

მხედრები მეტწილ შიშველია, თუმცა ხურავთ ჩაფხუტი და წელზე სარტყელი აქვთ შემოვლებული. მაგ., ცხინვალურ ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახულია ცხენ–ირემზე მჯდარი შიშველი მამრი ღვთაება. საერთოდ სიშიშვლე, ეროტიკა, სექსი არქაული ხელოვნების თვისებაა.

კიმერიელ–სკვითების შემოსევამ შეწყვიტა ხელოვნების განვითარება. შემდეგ ჩნდება ჩრდილოური ელემენტები. მაგ., ოქროთი მოჭედილი აკინაკები, ორფრთიანი ან სამწახნაგიანი ბრინჯაოს ისრის ბუნიკები. ურდოებმა თავადაც განიცადეს კოლხური ხელოვნების გავლენა. მაგ., ცხოველის თეძოსა და ბეჭზე დეკორის მოთავსების წესი.

ქართველური არქაიკის არტეფაქტები გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

მაგ., ჩრდილო კავკასიის ერთ ყორღანში იპოვეს თასი, რომელსაც ბერძნულად აწერია – „ვეკუთვნი აპოლონ წინამძღვარს, რომელიც ფაზისშია".

თასზე რელიეფურად გამოუსახავთ რქებგაშლილი ირმის თავები და დახვეული გველი.

ათენში ნაპოვნია ძვ. წ. VI საუკუნის კოლხის მიერ დამზადებული ჰიდრია და ამფორა, ყობანში – ვერცხლის თასი (ფიალა).

ჰიდრია (წყალსაზიდი ყურიანი ჭურჭელი) დაფარულია არეოსთან ჰერაკლეს ბრძოლის სცენით. აქ არიან ზევსი, ათინა, კიკლოსი.

ფრიზის ქვემოთ ცხოველთა ფიგურებია.

ასევე ორნამენტებითაა დაფარული ჭურჭლის ყელი და სახელური (ჰიდრია ინახება ბერლინში).

„კოლხმა გამაკეთა", – ბერძნულად აწერია ჭურჭელს (თ. ყაუხჩიშვილი).

როგორც ჩანს, ავტორი ათენში ყოფილა განსწავლული. ალბათ იგი კოლხეთიდან მონად იყო წაყვანილი.

ამფორაზე (თიხის ორყურიანი ჭურჭელი ღვინისა და ზეთისათვის) კი წარწერილია – „ევქსითეოსმა გამაკეთა კოლხმა მომხატა" (შდრ – კოლხი ქალის საფლავი ათენში, 153 დრაქმად შეფასებული კოლხი მონა – 415–414 წ. წ.).

ბრინჯაოს ბალთები, ისევე როგორც ცულები, კოლხური კულტურის სპეციფიკაა. ბალთებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები, ვერძები, ფრინველები, ირმები, ძაღლები, ხარები, გველები, ორთავა ირემი, რომელზეც ზის ღვთაება, ალბათ ნადირობის ღმერთი (სოფ. ღებში ასეთი 13 ბალთა აღმოაჩინა და გაანალიზა გ. გობეჯიშვილმა).

ასეთივე ფანტასტიკური მოტივები, ცხოველები, ფრინველები და ღმერთებია გადახლართული წინარე აქემენიდურ და სკვითურ ცხოველსახოვან ხელოვნებაში (ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა).

ამათ უნდა დავურთოთ შრომისა და ბრძოლის იარაღები. ისინი მტკიცე და გამძლე უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქაც გადაჰქონდათ გეომეტრიული ფიგურები, სტილიზებული სურათები. მაგ., კოლხური ცული მხოლოდ შრომისათვის არ გამოიყენებოდა, იგი საომარი ჩუგლუგიც იყო.

სატევრები, მახვილები, შუბისპირები, ისრისპირები, მშვილ-

დები, ცხენის აღკაზმულობა ზოგჯერ ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა. ზოგ სატევარზე გველი იყო ამოტვიფრული.

იუველირს აქაც უნდა გამოევლინა ფანტაზია, ოსტატობა, გემოვნება. მაგრამ მაშინაც, როცა მათ ბრინჯაოსა და რკინისაგან აკეთებდა, იჩენდა გამომგონებლობას (მაგ., ბრინჯაოს სატევრის ტარის მოხატვა, სისხლსადენი ღარები).

ხუროებიც ასევე მუშაობდნენ. მაგრამ მათი ნამუშევარი დროს, თმის ხანძარს, გემოვნების ცვალებადობას ვერ უძლებდა და სწრაფად ნადგურდებოდა.

ხელოვანი თავის ნიჭს მდიდრული სამარხების, მაგ., ყორღანების მოწყობის დროსაც ავლენდა, როცა უნდა მოეფიქრებინა სამარხის კონსტრუქცია, ჩასატანი ნივთები. ამას იგი ქურუმის გარეშე ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ ნივთი თავად უნდა დაემზადებინა, თუმცა გაითვალისწინებდა შემკვეთის მითითებებს.

მეტალურგიას მჭიდროდ დაუკავშირდა იუველირული ხელოვნება, სამყაროს რელიგიური და ესთეტიკური აღქმა, თუმცა თითქოს მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ჰქონოდა.

ვანში ნაპოვნ ოქროს დიადემებზე (ძვ. წ. V ს.) გამოსახულია თუ როგორ გლეჯენ ლომები ხარსა და ქურციკს. საერთოდ ცხოველთა ბრძოლის სურათები IV ათასწლეულიდან ჩნდება მესოპოტამიურ გლიპტიკურ ძეგლებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკულტო ცენტრების და სამლოცველოების აგება. მათგან გამოყოფდნენ საკურთხეველს და სამსხვერპლოს, საიდანაც სისხლი გაედინებოდა.

ზოგან საკურთხევლის სკამის ზურგზე გამოყვანილი იყო ხარის თავი და სვასტიკა.

იქვე იდგა თიხის ხარებისა და ვერძების ქანდაკებები.

კულტურისა და ხელოვნების ყოველ ფორმას აერთიანებდა სამლოცველო და საცხოვრისი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სტიქიური არქიტექტორული გამომგონებლობით იძენდა სხვადასხვა სახეს – იგი იყო **მენჰირი, კრომლეხი,** ვეშაპი, ტაძარი, სასახლე, ციხე–სიმაგრე, გალავნით შემოზღუდული დასახლება – ქალაქი (ქართა – кarda).

უფლის–ციხის, არმაზ–ციხის, ზადენ–ციხის აგებას მონა–ტყვეების ქანცგამწყვეტი შრომა სჭირდებოდა.

ეს იყო ბრძოლით მოპოვებული ენერგია, ზედმეტი ღირებულება, რაც შეუძლებელს აქცევდა შესაძლებლად.

მეფე–სარდალთა და ქურუმთა ფანტასტიკურ ოცნებას რეალობად აქცევდა მონების სასიკვდილო ჯაფა, სიცოცხლის ძალადობრივი შეწირვა ან კიდევ – მასის კოლექტიური შრომა.

ალბათ, ამის სიმბოლურ ნიშნად ატანდნენ საძირკველში ადამიანს, ადამიანის სხეულის ნაწილს, ადამიანის ჩრდილს, საქონლის თუ ფრინველის სისხლს (ჯ. ჯ. ფრეზერი), სამხრეთელი სლავები — სპერმას.

მონების ძალას ფორმასა და მიმართულებას აძლევდა ხუროთმოძღვარი. ბრძანებას იგი აკონკრეტებდა (მაგ., ნინევიაში, სინაქერიბის სასახლის რელიეფზე გამოსახულია თუ როგორი ორგანიზებით გადააქვს უამრავ მონას გიგანტური ქანდაკება – ძვ. წ. VII ს.).

ციხე–სიმაგრეებს, სასახლეებს, ტაძრებს, გალავნებს, აკლდამა– ყორღანებს აგებდნენ ლოდებისა და ქვებისაგან, ხისა და აგურისაგან (ა. აფაქიძე).

მაინც მათაც სპობდა ულმობელი დრო, მტერი და ხანძარი.

ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მხოლოდ მიწამ და სიტყვამ შემოინახა უძველესი არტეფაქტების კვალი, ცოცხალთა და მკვდართა ქალაქების ნაშთები.

* * *

ასე რომ – უძველესი ქართველური ტომების კოსმოლოგია, სამყაროს აღქმა და ხედვა გამოსახულია ენის თხზვითა და ენობრივი ცნობიერებით, საცხოვრისებით, კულტებითა და რიტუალებით, არტეფაქტებით, სამარხებით, რაც ინახავს უცხოურ კულტურებთან კონტაქტის კვალს.

# IV. ელინისტური და ირანული ნაკადები: ფარნავაზიდან მირიანამდე

ქვეყნის კულტურას ცვლის და განსაზღვრავს არაერთი ფაქტორი - ხელისუფლება, რელიგია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კონტაქტები უცხოეთთან, უცხოეთის კულტურულ ცენტრებთან, ტერიტორიული განფენა, რაც აყალიბებს ინტელქტუალთა ფენას.

კულტურას ქმნიან ცალკეული ინდივიდები. მაგრამ სჭირდებათ ბაზისი, ელიტისა და მასის მოთხოვნა, რათა გამოავლინონ უნარი და საერთო ძალისხმევა, რათა ჩამოყალიბდეს საერთო პანორამა, ქვეყნის ინტელექტუალური პორტრეტი.

მათგან უმთავრესია ხელისუფლება და რელიგია.

## 1. „მეფენი ქართლს შინა წარმართნი"
### (ძვ. წ. III, ახ. წ. IV ს.)

იბერიის პირველი მეფის ფარნავაზის რეალურ არსებობას უარყოფდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე. მაგრამ ჯერ პ. ინგოროყვამ, შემდეგ – გ. მელიქიშვილმა გაარკვიეს უცხოურ წყაროებთან და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებთან შეპირისპირებით, რომ ლეონტი მროველის და „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ცნობები წარმართ იბერიელ მეფეებზე ძირითადად სწორი იყო.

წარმართობის პერიოდში იბერიას უწყვეტად ჰყავს მეფეები. ყველა მათგანი სპარსოფილია. ძალაუფლება მემკვიდრეობით გადადის ვაჟზე.

IV საუკუნის 20-იან წლებში სამეფო კარმა უარყო წარმართული ღმერთები და დაიწყო ქრისტიანიზების პროცესი, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

## მეფეთა წარმომავლობა

ამ ექვსასი წლის მანძილზე, როგორც გადმოგვცემს პავლე ინგოროყვა, იბერიას ჰყოლია 28 მეფე და 6 თანა-მეფე, ერთი რეგენტი („ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“).

პ. ინგოროყვა მეფეთა ქრონოლოგიას, სახელებსა და მეფობის წლებს ძირითადად აღგენს ძველ-ქართული და ძველ-სომხური წყაროების შეჯერებით.

ესენია – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველის „ცხორება ქართველთა მეფეთა“, „ნინოს ცხოვრება“ (შატბერდულ-ჭელიშური), არსენი მეტაფრასტის (XII-XIII სს) „უწყებაჲ“, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, ბერძნულ-რომაული წყაროები და მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი წარწერები. პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ უნდა არსებულიყო IV საუკუნის ქართველი ებრაელის აბიათარის მიერ დაწერილი საისტორიო მატიანეც.

მათი წარმომავლობით შეიძლება გავიგოთ იბერიელთა აღმსარებლობა, რელიგიის მიხედვით კი – ცხოვრების წესი და კულტურა.

როგორც ვნახავთ, ქართლს 35 წარმართი მეფიდან იბერიული წარმომავლობის მხოლოდ ორი მეფე ჰყავდა.

პირველი მეფის – ფარნავაზის მმართველობა დასრულდა ძვ. წ. III საუკუნის ბოლო მესამედში.

მოხუცი ფარნავაზი დაფლეს არმაზის კერპის წინ.

გამეფდა მისი ძე საურმაგი, რომელსაც დედა ჰყავდა დურძუკი.

ახალ ხელისუფალს ერისთავებმა შეთქმულება მოუწყვეს, მოვკლათ მეფე და ვიცხოვროთ ძველებურად, ვიყოთ თავისუფლად. ხარკი მივცეთ მას, ვინც მძლე იქნებაო.

მეფე დედულეთში – დურძუკეთში გაიქცა.

ფარნავაზის დანიშნულმა ერისთავებმა სცადეს ტომობრივი მართვის აღდგენა. მაგრამ საურმაგმა დედის ნათესავი დურძუკებისა და თავისი მამიდაშვილის, ოვსთა მეფის დახმარებით სძლია ურჩ ერისთავებს.

სამეფოს მაინც ვერ დაიბრუნებდა, რომ არ დახმარებოდნენ აზონის მომხრე მხედრები, ე. ი. არიან – ქართლიდან, კაპადოკიიდან წამოსული მუშქი-მესხები.

სწორედ მათ გააკეთეს ბრძოლის ორგანიზება.

გამარჯვებული მეფე დაბრუნდა მცხეთაში. ააშენა ახალი სიმაგრეები და მცხეთის გზაზე დადგა ორი ახალი კერპი – აინინა და დანანა, შეიძლება სწორედ „არიან ქართლელთა" პატივსაცემად.

საურმაგმა შეინარჩუნა კეთილგანწყობა სელევკიდებთან და ცოლად სპარსელი შეირთო. მასთან ეყოლა ორი ასული. რადგან ძე არ ჰყავდა, იშვილა სპარსი, ნებროთის ძე მირვანი და მას ცოლად მისცა თავისი ქალიშვილი.

იბერიის მეფე გახდა მირვანი, ტომით სპარსი.

ისიც სელევკიდების ერთგული იყო, რომელთაც 247 წელს გამოეყვნენ პართები. პართიაში გამეფდნენ არშაკიდები, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით – „აჟღალანები".



არშაკიდების მეფეს, ძველი სამხედრო დემოკრატიის წესის მიხედვით, ირჩევდა დიდებულთა საბჭო მოგვებთან (ქურუმებთან) ერთად.

## სპარსული დინასტია

მირვანს ჩრდილოკავკასიელთა შემოსევის საპასუხოდ დაულაშქრავს დურძუკეთი, „მოსრნეს და ტყუე-ქმნესო“, ამბობს მემატიანე.

მირვანის შვილი ფარნაჯომი არშაკიდების ერთგული გამხდარა. მან შეცვალა რელიგიური კურსიც. სპარსეთიდან მოიყვანა მოგვები და ცეცხლის მსახურნი, რათა წმინდა მაზდეანობა დაემკვიდრებინა ქართლში, თუმცა, ალბათ მანამდე, აღუმართავს კერპი ზადენი და აუშენებია ციხე ზადენი.

მცხეთას იცავდა იქეთ-აქეთ კლდეზე აგებული ორი ციხე-სიმაგრე – არმაზი მტკვართან და სევსამორა, იგივე ზადენ-ციხე არაგვთან (გ. მელიქიშვილი).

ზადენ-ციხეს არქეოლოგებმა მიაგნეს 1953 წელს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით.

ერისთავებს არ მოეწონათ ფარნაჯომის რელიგიური პოლიტიკა – მამის, ე. ი. სპარსთა რჯული შემოიღო და დედის, ე. ი. ქართველთა რჯული უარყოო.

შეთქმულებმა მიმართეს სომხებს, რომელნიც 190 წელს გამოეყვნენ სელევკიდებს და თავიანთი სამეფო ჩამოაყალიბეს, ალბათ არშაკიდების დახმარებით.

იგი ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგებოდა: დასავლეთით – მცირე არმენია და აღმოსავლეთით – დიდი არმენია.

მათ მეფეს, არშაკს, მირვანმა თავისი ქალიშვილი, ფარნაჯომის და მიათხოვა. მეამბოხე ქართველებმა მოინდომეს მისი ვაჟი გაემეფებინათ, მაინც ფარნავაზიანი არისო.

ბრძოლა მოხდა ტაშირთან.

სომხებს გვერდით დაუდგნენ მეამბოხე ქართველები, ფარნაჯომს – სპარსელები და თავისი ერთგული ქართველები.

ფარნაჯომი მოკლეს. მისი ერთი წლის ვაჟი სპარსეთში გახიზნეს.

იბერიაში კერპები მაინც დარჩა. დარჩა წმინდა ცეცხლიც.

## სპარსულ-სომხური დინასტია

იბერიაში გამეფდა სომეხი არშაკ არშაკის ძე, მირვანის შვილიშვილი, შემდეგ – მისი ძე არტაგ, არტაგის შემდგომ – ბარტომ.

გაბატონდა სომხური დინასტია და სპარსული, მაზდეანური რჯული. მაგრამ ამ დინასტიასაც სათავე სპარსეთში ჰქონდა – ისინიც არშაკიდები (არშაკუნიანები) იყვნენ.

სომეხთა მმართველობა გაგრძელდა მთელი ასი წელი.

ფარნავაზიანთა დინასტია აღარც ფორმალურად არსებობდა.

ქართლი იქცა სომეხთა და სპარსთა ბრძოლის არენად.

იბერიას სომხებმა წაართვეს „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე“. ასევე შეავიწროვეს ხალიბები და მოსინიკები (სტრაბონი). შეიერთეს კოლას მხარეც.

ფარნავაზის შემდეგ იბერიამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ისევ ცხოვრობდნენ ვაინახთა და დაღესტნელთა წინაპრები, აღმოსავლეთით, კამბეჩოანში

(ქიზიყში) – ჰერ-ალბანელები, რომელთაც ხან სომხები იმორჩილებდნენ.

ერისთავები ვერ ეგუებოდნენ სამეფო ხელისუფლებას და შეთქმულებას აწყობდნენ, მოჰყავდათ უცხო ძალები, ოღონდ შეენარჩუნებინათ გვარ-ტომობრივი დამოუკიდებლობა. დასავლეთით გაძლიერდა პონტო, შეიერთა ქართველური ტომები და დაიპყრო ზღვისპირეთი.

ასევე გაძლიერდა ტიგრან II-ის სომხეთი და დიდად განავრცო თავისი ტერიტორია, განსაკუთრებით – სამხრეთის მიმართულებით.

იბერიელთა დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ არ ჰყავდათ ძლიერი ჯარი. როგორც სტრაბონი წერს, მათ შეეძლოთ 20000 მეომრის გამოყვანა, ეს მაშინ, როცა ალბანელები აიარაღებდნენ 60000 ქვეითსა და 22000 ცხენოსანს, ჰენიოხები – 200000-ს.

ცხადია, ეს ციფრები ფანტასტიკას ჰგავს. მაგრამ აშკარაა, რომ იბერიელებს არ ჰყოლიათ ძლიერი ძალა, რაც აისახა ქვეყნის მდგომარეობაზე.

იბერიის მეფეებს ისევ ჩრდილო-კავკასიური ტომები შველოდნენ, რომელთაც შეეძლოთ გაცილებით მრავალრიცხოვანი ლაშქრის მობილიზება.

იბერიას პონტომ ჩამოაშორა ეგრისი.

როგორც ვთქვით, სამხრეთით ქართველური ტომები მოექცნენ პონტოსა და არმენიის შემადგენლობაში. ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისისათვის იბერიას ძლიერი მეზობლები ჰყავდა – სპარსეთი, სომხეთი, პონტო.

დაუძლურებულ სამეფოს მართავდა სომხური დინასტია.

აღმსარებლობა იყო სპარსული – ცეცხლთაყვანისმცემლობა (მაზდეანობა).

ასეთ დროს გამოჩნდნენ რომაელები. ამჯერადაც ეს იყო ხსნა.

მათ ძვ. წ. 65 წელს მცხეთასთან გაანადგურეს მეფე არტაგი. ასევე დაამარცხეს ძლიერი აგრესორები – სომხეთი და პონტო.

იბერიას ერთი უცხო ძალა მეორე უცხო ძალით უნდა მოეშორებინა. ამჯერად კი იგი ფაქტიურად სამ აგრესორს ანეიტრალებდა.

რომაელებმა მანამდე ლუკულუსის სარდლობით რამდენიმეჯერ დაამარცხეს პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი, 69 წელს კი ტიგრან II და აიღეს ტიგრანაკერტი.

სომეხთა მხარეს უბრძოლიათ იბერიელ მშვილდოსნებსა და ალბანელ ცხენოსნებსაც.

გამარჯვებულ პომპეუსს როცა რომში ტრიუმფი მოუწყვეს, წარჩინებულ ტყვეებს შორის მიაბიჯებდნენ კოლხების ერთი სკეპტუხი, იბერთა სამი და ალბანელთა ორი წინამძღოლი.

## ეგრისული დინასტია

ძვ. წ. I საუკუნის მიწურულიდან იბერიას მართავდა ეგრისული დინასტია, რომელსაც იწყებენ ქართამი და ადერკი.

ქართამი იყო ქუჯის ძმისშვილი, იბერიის მეფე ბარტომის შვილობილი და ქალიშვილის მეუღლე, ადერკის მამა.

ამის შემდეგ მეგრელები ყველა ბრძოლაში იღებენ მონაწილეობას, როგორც ეს ჩანს ლეონტი მროველის ისტორიაში.

ქართლი ისევ იწყებს ძალთა მოკრებას.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ პირველი ორი მეფე – ფარნავაზი და საურმაგი იყვნენ იბერები, დანარჩენი – სომხები, სპარსი და ეგრისელები. მაგრამ დინასტიის შეცვლა არ ნიშნავდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას, თუმცა იწვევდა პოლიტიკური კურსი ცვალებადობას. ყოველ დროში არსებობდა ეროვნული და პიროვნული ფაქტორები.

მეფე იცავდა თავის საბრძანისს, ხალხს, საზღვრებს.

მისი შთამომავლები იქცეოდნენ იმ ხალხის ნაწილად, რომელსაც მართავდნენ და უკვე თავიანთ სამკვიდროდ თვლიდნენ.

ასე ხდებოდა აზიისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში, სადაც წარმომავლობას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა თუ ჰქონდა (მაგ., შაჰ-აბასი ყიზილბაში იყო, ეკატერინე II – გერმანელი, სტალინი – ქართველი, ნაპოლეონი – კორსიკელი, კარლოს დიდი – გერმანელი).

პირველი ეგრისელი მეფე იყო ადერკი (ადეროკი). პ. ინგოროყვას გამოთვლით, იგი იბერიას მართავდა ძვ. წ. 27 წლიდან ახ. წ. 30 წლამდე, ანუ, როგორც ამბობს ლეონტი მროველი, 57 წელი.

მან ისარგებლა ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციით, დაძლია ძველი ინერტულობა და დაიწყო ქვეყნის საზღვრების აღდგენა.

შეიერთა ეგრისის ნაწილიც.

ეგრისი მთელი საუკუნე პონტოს ეკუთვნოდა. შემდეგ იქ დათარეშობდნენ ჩრდილოური ტომები.

მეფეს წუხილი გამოუთქვამს, რომ მეგრელები ქრისტეს

რჯულს ეზიარნენ – „შერისხნა მეფე ერისთავთა კლარჯეთისათა“.

ადერკს ცოლად ჰყოლია სომეხთა მეფის ასული. ალბათ ამიტომ შეიჭრა ადერკის ვაჟი ფარსმანი სომხეთში, დაიკავა დედაქალაქი არტაქსატა. პართიელებმა დიდი ლაშქარი გამოაგზავნეს. იბერიელებმა ჩრდილოეთიდან სარმატები გადმოიყვანეს. მათვე მიემხრნენ ალბანელები.

სომხეთში გამეფდა ფარსმანის ძმა – უფლისწული მითრიდატე (მიჰრდატი).

იგი კეისარ კალიგულას (37-41 წწ.) რომში გაუწვევია და იქ ციხეში ჩაუგდია. კეისრის სიკვდილის შემდეგ გაუთავისუფლებიათ და აღუდგენიათ ტახტზე.

ახლა ძმებს შორის დაწყებულა კონფლიქტი, რაც იმით დასრულდა, რომ ფარსმანის ძემ რადამისტმა ვერაგულად მოკლა ბიძა, რომელიც ამავე დროს ყოფილა მისი დის ქმარი და სიმამრი, ამოწყვიტა ბიძის ოჯახი. ფარსმანმა და რადამისტმა მაინც ვერ შეძლეს სომხეთის შენარჩუნება.

ქართველთა და სომეხთა ბრძოლა იმ წლებში ისევ გრძელდებოდა.

სომეხთა სარდალს სუმბატ ბივრიტიანს დაუმარცხებია იბერიელები, ალბანელები და ჩრდილო-კავკასიელები და ქართლი აუოხრებია.

ამ დროიდან იწყება ორმეფობა ქართლში: ერთი მეფე არმაზში იჯდა, მეორე – მცხეთაში.

ამ უცნაურ ფაქტს ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხსნიან.

შემდეგ მეფობენ – მირდატ I (I საუკუნის 70-იანი წლები),

ქართამ I, ფარსმან II, ხსე-ფარნუგი, ამაზასპ I (II საუკუნის 20-იანი წლები).

იბერიამ წარმატებას მიაღწია II საუკუნის I ნახევარში , როცა მცხეთაში მეფობდა ფარსმან III ქველი (ზოგი გამოთვლით – ფარსმან II).

ამ პერიოდში საზღვარმა ჭოროხის მიმართულებით ისევ მიაღწია ზღვისპირეთამდე. იბერიამ დაიბრუნა კლარჯეთი, სამცხე და აჭარა, დასავლეთით – არგვეთი.

როგორც სამარხები და მათი ინვენტარი ადასტურებს, ქართველთა ლაშქარში საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ ალან-ოვსები, სარმატები, საერთოდ – ჩრდილო-კავკასიელები.

ფარსმანის მიერ საზღვრების გავრცობა რომაელებს არ მოეწონათ. იბერიას გაურთულდა ურთიერთობა რომაელებთან. მაგრამ როცა ადრიანეს შემდეგ ტახტზე ავიდა იმპერატორი ანტონინუს პიუსი (138-161), ფარსმან III ჩავიდა რომში, ვაჟთან და მეუღლესთან ერთად.

ბელონის ტაძარში ცხენოსანი ფარსმან მეფის ქანდაკებაც კი დაუდგამთ (დიონ კასიუსი).

რომმა სცნო იბერიის ახალი საზღვრები.

ახლა სპარსელები მოიკიდა მტრად ფარსმანმა. მათ არაერთხელ სცადეს იბერთა მეფის დამხობა, მაგრამ ვერ შეძლეს.

მაშინ მზარეულს მოაწამვლინეს ფარსმანი.

დინასტიის ინტერესების ყველაზე თავგამოდებული დამცველნი ყოფილან მეგრელები – „მეგრელნი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისა“.

სომხებმა, ბერძნებმა (ანუ რომაელებმა) და მეგრელებმა დაამარცხეს სპარსელები და მეფედ დასვეს ფარსმანის ძე ღადამი.

იგი მალე მომკვდარა და იბერიას მართავდა დედამისი ღადანა, დედოფალ-რეგენტი. იგი ზრდიდა თავის ერთი წლის შვილიშვილს. მაგრამ ტახტზე ასულა ფარსმან ქველის ძმისწული – ფარსმანის სახელით (პ. ინგოროყვას გამოთვლით, ფარსმან IV, იბერიის XXI მეფე).

შეიძლება ღადამს შვილი არც დარჩენია და ღადანა ზრდიდა მაზლიშვილს.

III საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ სომხურ-სპარსული არშაკუნიანების დინასტია იმარჯვებს.

ეს ასე მომხდარა:

იბერიის მეფე ამაზასპ II ცდილობდა ესარგებლა რომაელებისა და ირანელების დასუსტებით და ასე შეენარჩუნებინა ხელისუფლება. მაგრამ ირანში უკვე შეცვლილია პართული დინასტია და იწყება შეტევა რომაელთა წინააღმდეგ.

224 წელს ბოლო არშაკიდი არტაბან V სასტიკად დაამარცხა არდაშირ სასანიანმა და „მოსრნა" მისი გვარი, მოკლა არტაბანიც.

სასანიდები აქემენიდურ, ძველ-ირანულ ტრადიციებს აგრძელებდნენ. გაძლიერდა ზოროასტრიზმი, დაიწყო აქტიური მოქმედება ძველი მიწების დასაბრუნებლად.

260 წელს შაბურ პირველმა (242-272) დაამარცხა რომის ჯარი და იმპერატორი ვალერიანეც დაატყვევა. იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ამაზასპი შაბურს მიემხრო.

ერთ-ერთ წარწერაში ირანელთა მეფე იბერიას თავის მოხარკედ ასახელებს, ხოლო ამაზასპს – მათ შორის, ვინც მისი მეფობის დროს მიიღო ძალაუფლება.

ამაზასპი ირანელებთან ერთად ებრძოდა რომაელებს.

მაგრამ შაბურის შემდეგ ირანელები რამდენიმეჯერ დამარცხდნენ.

როგორც ჩანს, იბერიაში სცადეს ახლა ორიენტაცია რომზე აეღოთ. ამიტომ როგორც იბერები, ისე სომხები დაუპირისპირდნენ მეფე ამაზასპს.

მეგრელებმაც მიიღეს მონაწილეობა გოლიათ ამაზასპის დამხობაში.

ეგრისელთა დინასტიის ბოლო მეფე ბრძოლაში მოკლეს.

ტახტზე ადის სომეხთა მეფის ძე რევი, შემდეგში მართლად წოდებული. მას დედა ჰყავდა იბერი – ამაზასპის და.

დაუსრულებელი შემოსევებისა და ომების შედეგად იბერია ისევ დაუძლურდა.

298 წელს ნიზიბინში რომსა და სპარსეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. ქართული სამეფო-გაერთიანებები დარჩნენ რომაელთა პროექტორატის ქვეშ. მაგრამ შაბურ II-ის დროიდან (310-379) ისევ ძლიერდება ირანი.

ამის შედეგად იბერიის ტახტზე მკვიდრდება სპარსული დინასტია.

იბერიის უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფე იყო სპარსეთის მეფე ქასრე სასანიდის ძე მიჰრან (მირიანი).

ქართველებს თავად მოუთხოვიათ სპარსელი მეფე, რათა ობლად შთენილი ქვეყანა მთლად არ დაღუპულიყო, რათა მფარველი ჰყოლოდათ („ქართლის ცხოვრება“).

ამჟამად უფრო თვლიან, რომ მირიანი იყო არა ირანელი, არამედ – ლევის (რევის) ძე და ასპაგურის ასულის აბეშურას მეუღლე, რომელიც ადრევე გარდაცვლილა.

ამ ექვსასი წლის მანძილზე, იბერიის წარმართი მეფეების

ხანაში, იცვლებოდა ირან-სპარსეთთან ურთიერთობა – ხან იყვნენ მოხარკე, ხან – ვასალი, ხანაც – მეტოქე, ჰქონდათ კონფლიქტი და მეგობრობა რომაელთა უდიდეს იმპერიასთან, მეზობელ სომხებთან . მაგრამ არავის უცდია, რომ ქვეყანაში გაუქმებულიყო მეფის ინსტიტუტი და იბერია ექცია თავის სატრაპიად, შემადგენელ ნაწილად.

შეზღუდული ფორმით, კონფლიქტებითა და ომებით, მეგობრობითა და დიპლომატიური ლავირებით იბერია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, თუმცა მძლავრობდა სპარსული ზეგავლენა, კულტურა და რელიგია.

ახლა დავუბრუნდეთ რადამისტ ფარსმანის ძეს.

## რადამისტი

რადამისტის სახელი კარგადაა ცნობილი ისტორიასა და ხელოვნებაში. იგი უკვდავჰყო რომაელმა ისტორიკოსმა ტაციტუსმა.

მან თავის „ანალებში" გადმოგვცა იბერიელი უფლისწულის რომანტიკული და ტრაგიკული სიყვარულის ამბავი:

სომხეთის მეფის ტახტი ვერ შეინარჩუნა რადამისტმა.

სომხები აჯანყდნენ და სიკვდილს რომ გადარჩენოდა, იბერიისაკენ გამოიქცა. მდევრებს თავი დააღწია ფეხმარდი ცხენების წყალობით.

თან ახლდა ორსული ცოლი ზენობია, თავის მიერ მოკლული მითრიდატეს ასული.

ცხენის ჭენებას ვერ გაუძლო ქალმა, მუცელი ასტკივდა და იგრძნო, რომ კვდებოდა. ამიტომ შეევედრა ქმარს, რომ მოეკლა, რათა ასე გადარჩენოდა საშინელ ტყვეობას.

რადამისტმა მახვილი ჩასცა ზენობიას და ცხედარი არაქს-ში გადააგდო, რათა მიცვალებულის სხეული არ წაებილწათ.

დევნილი რადამისტი დაბრუნდა მცხეთაში, მაგრამ აქაც ვერ მოისვენა – ახლა სცადა მამისათვის წაერთმია ტახტი.

ფარსმანმა შვილი სიკვდილით დაასჯევინა.

ტაციტუსის სიუჟეტის მიხედვით დაწერა ტრაგედია „რად-ამისტი და ზენობია“ ფრანგმა დრამატურგმა პროსპერ ჟოლიო კრიბილიონ-უფროსმა (1771წ.).

იგივე სიუჟეტი დაამუშავა ალექსანდრ გრიბოედოვმა.

ხოლო ფრიდრიხ ჰენდელმა დაწერა ცნობილი ოპერა „რად-ამისტი“ (1720 წ), რომელიც შვიდი წელი სცენიდან არ ჩამო-სულა (აკაკი გაწერელია).

ეს ისტორია აირეკლა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერ-ანგში“, ოღონდ გადმოტანილია გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში.

## ონომასტიკა

იბერიის წარმართ მეფეთა უმრავლესი ნაწილის სახელები ირანულია.

ფარნ ძირიანი სახელებია ფარნავაზი და ფარნაჯომი. თუ რას ნიშნავს ფარნ, ნათქვამი გვაქვს.

ფარ ძირი აქვს ფარ-ნუგს.

სპარსული ფარრ ბრწყინვალებას, დიდებულებას ნიშნავს.

იბერიას ჰყავდა ოთხი მეფე ფარს-მანი.

ფარს იგივე სპარსია, მან – კაცი, ე. ი. სპარსელი.

ასევე ცნობილი სპარსული სახელებია მირვან, არშაკი (ქა-რთულში – არსაკ, არსოკ), მიჰრდატი (სამი მეფე).

ამაზასპ არის იგივე არმაზ-ასპ. ასპ ირანულად არის ცხ-

ენი ანუ ამაზასპ ნიშნავს აჰურმაზდას ცხენს, სიმბოლურად – აჰურამაზდას მონა-მორჩილს.

სკვითურ-სარმატულია (ჩრდილო-ირანული) საურმაგი, რადამისტი, ასპაგური.

35 მეფეს შორის მხოლოდ ხუთს აქვს ქართული (ეგრისული) სახელი.

ესენია – ქართამი, ადერკი, ვაჩე, ღადამი და ღადანა.

ეს სახელები ჰქვიათ ეგრისული დინასტიის მეფეებს.

ქართამი უკავშირდება ქართას, რაც, როგორც ვთქვით, არის შემოკავებული ადგილი, სადგომი, ბაკი და შემოვიდა მცირე აზიიდან (იხ. „მუშქები და karda – ქართლი").

-ამ არის ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი მეგრულში. ქართულში კი შეესაბამება -იან, ე. ი. ქართამი არის კაცი, რომელსაც აქვს ციხე-სიმაგრე.

ადერკი ჩვენთვის ცნობილი სვანური ადრეკილას ვარიაციაა (შდრ. – დრკუ-მრუდი, მეგრ. გო-დირკ-უ – შედრკა). მაგრამ იქ თუ ეროტიკული მნიშვნელობა აქვს, აქ მხედრული აზრი გააჩნია და შემართულს ნიშნავს.

ვაჩე ფართოდ გავრცელებული სახელია. იგი ვაცის მეგრული შესატყვისია, რომლისგანაც ჩნდება თჩი. აქედან – თჩოკთჩი (ვაც-კაცი).

ვაცი (ვაჩე) მამალი თხაა, ისევე როგორც ვერძი – მამალი ცხვარი. ეტიმოლოგიურად კი ვაჩე არის ჸვაჩე – შუბლთეთრა (ჸვა – შუბლი, ჩე – თეთრი).

ღადამისა და ღადანას საწყისი უნდა ყოფილიყო ღადო – რაც სულხან-საბას განმარტებით არის „ზღვის ღელვის ნჩქრევა", ე. ი. ტალღა.

გვარები ჯერ არ არსებობს, ჯერ არის „სახლი“. გვარების წარმოქმნა იწყება ქრისტიანობის ეპოქაში, V საუკუნიდან, არისტოკრატიის წრეში.

IV საუკუნიდან ქრისტიანობას შემოაქვს ბერძნული და ებრაული (ბიბლიური) სახელები. ისინი თანდათან სდევნიან როგორც წარმართულ, ისე სპარსულ სახელებს, რაც დამკვიდრდა იბერიელ არისტოკრატთა წრეში (მაგ., ბერსუმა, ასპარუკი, იამასასპთ, კარპაკი, ბუზმიჰრი, ჰამაზასპუხი, შარაგასი, იოდმანგანი, სერაფიტი, ზევახი), არა მხოლოდ სამეფო დინასტიებში.

ასევე შემოდის ირანული ტიტულატურა (პიტიახში, სპასპეტი, მარზპანი), შემდეგ – ბერძნულიც (მაგ., ეპიტროპოსი – ეზოს მოძღვარი).

ეს ბუნებრივი პროცესია – ყველა რელიგია, ყველა იდეოლოგია თავისი მრწამსის შესაბამის ტერმინებსა და ონომასტიკონს ამკვიდრებს.

წარმართული სახელები ძველებურად ცოცხლობდა ხალხის წიაღში და ჩვენს დრომდეც მოიტანეს. არისტოკრატია მათ არ ღებულობდა, როგორც წარმართულსა და მდაბიურს (მაგ., ვეფხვია, ძაღლიკა, ჯოღორია, ირემა, იმედა, მთვარისა, ყვაყვა, ჩიტო, ცისმარი, მაყვალა, ტურა, დათვია, მზია, მახარე, ნიორა, თეთრუა, ფოცხვერა).

## არმაზის ბილინგვა

არმაზის ბილინგვა – ბერძნულ-არამეული წარწერა საფლავის სტელაზე აღმოაჩინეს არმაზისხევში 1940 წლის 25 ნოემბერს.

წარწერა გაშიფრა და გამოიკვლია გიორგი წერეთელმა.

ამ მცირე ფაქტით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი გაირკვა.

ეპიტაფია იუწყება 21 წლის ულამაზესი სერაფიტის გარდაცვალებას. იგი ყოფილა ზევახ მცირე პიტიახშის ასული.

ზევახი პიტიახში ყოფილა ფარსმან მეფის დროს.

სერაფიტის მეუღლეს იოდმანგანს მოიხსენიებს ბილინგვა ხსეფარნუგ მეფის ეზოს მოძღვრად (ეპიტროპად).

ეს კაცი სარდალია და მრავალი გამარჯვება მოუპოვებია ანუ ვიგებთ, რომ სერაფიტის მეუღლე გაცილებით ასაკოვანია ცოლზე, რაკი წარმატებული და ძლევამოსილი გამხდარა.

ცოლ-ქმარი იბერიის უმაღლეს არისტოკრატიას მიეკუთვნებოდნენ. იოდმანგანის მამა აგრიპაც ეზოსმოძღვარი ყოფილა ფარსმან მეფის დროს.

პ. ინგოროყვას მიერ დადგენილ იბერიის წარმართ მეფეთა სიაში ფარსმან მეორეს უკავია XV ადგილი.

მას უმეფია I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისში. წარწერაში მოხსენიებული აგრიპა არის თანამეფე, არმაზის პიტიახში კაოს პუპლიკი აგრიპა.

ამის შემდეგ, XVI მეფე არის ფარნუკ I, წარწერის ხსეფარნუგი. მას უმეფია II საუკუნის 10-იან წლებში.

არმაზის ბილინგვა მეტ დამაჯერებლობას სძენს მემატიანეთა ცნობებს, რაც ზღაპრული ეგონათ და ამ წარწერით დადასტურდა.

წარწერა შესრულებულია ბერძნულად და არამეულად. ეს იმას ნიშნავს, რომ არისტოკრატია ამ ენებზე წერდა და მეტყველებდა.

აქ არ იხსენიება არც ქართული, არც სპარსული.

გ. წერეთლის კვლევის თანახმად, არმაზის ბილინგვა და ქართლში აღმოჩენილი სხვა წარწერები არამეულის ვარიაციაა, ისევე როგორც ფალაური და ფარსული.

ასე რომ, როგორც ღმერთების არმაზული პანთეონი იყო მცირეაზიულ-ირანული, მათი მონათესავე, მაგრამ არა კოპირებული, ისეთივე ყოფილა დამწერლობაც – არამეულის არმაზული სახე.

ბერძნული ენა კი იბერიაში გავრცელდა ძვ. წ. I საუკუნიდან, რომაელების შემოსვლის შემდეგ.

## სახელმწიფო სტრუქტურა იბერიაში

პირველი და გამორჩეული პირი იყო მეფე. მას არ ირჩევდნენ – ძალაუფლებას მემკვიდრეობით ღებულობდა მამისაგან. ამ წესს ცვლიდა ვაჟის არყოლა.

მეორე პირი იყო სპასპეტი, ჯარის სარდალი. იგი იჯდა არმაზის ციხეში და ერთი პერიოდი თანამეფედ იწოდებოდა. განაგებდა ადმინისტრაციასაც.

მეფის საბრძანისი იყო მცხეთა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშლილი ქალაქი.

სამეფო სტრუქტურაში მესამე პირია ეპიტროპოსი – ეზოსმოძღვარი, რომელიც შეესაბამება ძველ მამასახლისს. იგი განაგებს მეურნეობას.

იბერია ფარნავაზის დროიდან დაყოფილი იყო ოლქებად (კუთხეებად).

მათ ერისთავები განაგებდნენ.

შემდეგ შემოვიდა სპარსული სამოხელეო ტიტული პიტიახში. თავიდან იგი იყო მეფისნაცვალი, როგორც რუსული

ნამესტნიკი, შემდეგ – დიდი ერისთავის აღმნიშვნელი. მაგ., ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი.

საერისთაოები ისტორიულად არსებული „ხევები“ იყო. მაგ., კახეთის, კლარჯეთის, არტაანის, ეგრისის ხევები.

ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე იბერია ცხრა ხევად (საერისთაოდ) იყოფოდა: მარგვი (არგვეთი), კახეთ-კუხეთი, გარდაბანი, ტაშირ-აბოცი, კოლა-არტაანი, სამცხე-აჭარა, კლარჯეთი, ეგრისი, შიდა ქართლი.

ამ ერთეულთა საზღვრები იცვლებოდა, ზოგი გამოაკლდებოდა ქვეყანას. მაგრამ ასეთი ისტორიული დაყოფა დარჩა.

ჯარი იყო სახალხო ლაშქარი. იგი გამოჰყავდათ ერისთავებს. მეფე იშველიებდა დაქირავებულ მეომრებსაც – ჩრდილო კავკასიელებს.

გარკვეულ პერიოდში შეიძლება არსებობდა მუდმივი ჯარიც, როგორც მეფის გვარდია, რომელსაც სათავეში ედგნენ სეფეწულები.

გადასახადის ამკრეფს ერქვა „მეზუერე“.

ხარკს ანუ გადასახადს კრებდნენ როგორც ადგილობრივი ერისთავებისათვის, ისე ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

თავისუფალი მეთემენი, მიწათმოქმედნი, გლეხები, მონები ასრულებდნენ ძირითად სამუშაოებს (მაგ., ციხე-სიმაგრეთა აგება, გზების გაყვანა).

ქალაქში მეტწილად ცხოვრობდნენ ხელოსნები და ვაჭრები.

სასახლეთა ნაშთები, მდიდრული სამარხები, ჩატანებული უამრავი ოქრო-ვერცხლის ნივთი და სამკაული გვაჩვენებენ, რომ იბერიის არისტოკრატიას ირანელთა და რომაელთა მსგავსად ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა.

საზოგადოების მაღალ ფენას ერთვოდნენ მოგვები (ქურუმები). მათ ჰქონდათ სატაძრო მამულები, ჰყავდათ მსახურები და მონები. ხუცესები და ხევისბერები ზოგან, მაგ., მთიანეთში, განასახიერებდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლებას. ქურუმთა კასტა ღმერთების მიხედვით იყოფოდა.

ქურუმთქურუმის ფუნქციას ასრულებდა მეფე.

## 2. წარმართული ღმერთების არმაზული პანთეონი

ქართული წარმართული ღმერთების შესახებ ცნობებს გვაწვდიან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „წმ. ნინოს ცხოვრება“, ლეონტი მროველი, ექვთიმე მთაწმინდელი. ავტორები ქრისტიანები არიან და თანაც – საკმაოდ დაცილებული არათუ ფარნავაზის ეპოქას, არამედ – წარმართობის ჟამსაც.

ამიტომ ყველაფერი სწორად ვერ იქნება გადმოცემული. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, რაც შემორჩა – ისიც ბუნდოვანების ნისლში გაეხვია (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. აფაქიძე).

რეალობის აღსადგენად უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული სიტუაცია და რელიგიური ატმოსფერო.

იბერია იყო საუკუნეების მანძილზე ირანის სახელმწიფოს ჯერ ნაწილი, შემდეგ ვასალი, მოხარკე, მასზე დამოკიდებული ქვეყანა.

როგორც ვთქვით, სახელმწიფო სტრუქტურა ფარნავაზმა ირანულ პრინციპზე ჩამოაყალიბა, რაც შემდგომ მეფეებს არ შეუცვლიათ, პირიქით – გააძლიერეს კიდეც, როცა შემოიღეს პიტიახშისა და სპასპეტის ცნებები.

შესაბამისად – რელიგიაც ირანულ მაზედანობაზე იყო აგებული, მაგრამ არა ზუსტად გადმონერგილი. გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი, ტომობრივი და მცირეაზიური ტრადიციები.

საკუთრივ ქართველური ღმერთები სამეფო დინასტიამ და არისტოკრატიამ არ მიიღო. ამიტომ მოხდა კულტის მსახურთა – ქურუმთა კასტის გაყოფაც.

ერთნი ემსახურებოდნენ სპარსოფილურ არისტოკრატიას, მეორენი – ადგილობრივ, წინაპართაგან გადმოცემულ ღვთაებებს, მესამენი ანტიკური – ბერძნულ-რომაული სამყაროსა და ღმერთების მიმდევრები იყვნენ. მრავალ ტომს, მრავალ ენასა და დიალექტს შეესაბამებოდა მრავალი ღმერთი.

წარმოშობის თვალსაზრისით გამოიყოფა ქართველურ ტომთა ღმერთების რამდენიმე ფენა, რაც ევოლუციის საფეხურებია.

პირველია, როგორც ვაჩვენეთ, ანიმისტურ-ტოტემური.

## ანიმისტურ-ტოტემური პრა-ღმერთები

მათი კვალი არც არის შემორჩენილი. მხოლოდ ენობრივი და არქეოლოგიური მასალა ინახავს უძველეს ინფორმაციას.

პრა-ღმერთები, როგორც ტოტემები და ფეტიშები იშვნენ უძველეს დროში და პარალელურად, სხვა ეპოქებშიც აგრძელებდნენ სიცოცხლეს.

ქართველურ ტომებს ჰქონდათ დედის, ცეცხლის, მიწის, წყლის, ცის, ხარის, ცხვრის, ცხენის, ლომის, მუხის, მგლის კულტი, ადგილის დედის სალოცავები და სამსხვერპლოები, როგორც გვარწმუნებენ არქეოლოგები და ეთნოგრაფები.

ყოველ ტომს ჰყავდა თავისი ადგილის დედა - მიწის ღმერთქალი.

ჰქონდათ სულების რწმენა.

ისინი იყოფოდნენ კეთილ და ბოროტ სულებად.

კეთილი სული ჩრდილივით ადამიანის თანამდევი და დამცველი, მფარველი იყო, როგორც შემდეგში – ანგელოზები.

ბოროტ სულებს კაცთათვის მხოლოდ ზიანი და სიკვდილი მოჰქონდათ. ისინიავრცელებდნენ სნეულებასა და ეპიდემიას, შხამავდნენ წყალსა და საკვებს.

ხალხის წიაღში ცოცხლობდა უძველესი, არქაული წარმოდგენები, წეს-ჩვეულებანი, მათი სალოცავები, მათდამი სამსახურის წესი (მაგ., მსხვერპლშეწირვა).

ისინი ვერ განდევნა არათუ წარმართულმა კერპებმა, არამედ – ქრისტეს სჯულმაც კი. მასა მათი ერთგული, მათი მიმდევარი იყო.

ამიტომ რჩებოდა ხალხში მამა-პაპათა სალოცავები, რომელთანაც გვარი იყო დაკავშირებული.

ასევე დარჩა სატომო და საერთო ქართველური რიტუალები და დღესასწაულები, რწმენა სულებსა და საიქიოს ცხოვრებაზე, აკრძალვათა სისტემა.

აი ეს უძველესი შრე, უძველესი ფენა შეესაბამება ქართველურ ფუძე-ენას. იგი საერთო უნდა ყოფილიყო ქართველური ტომებისათვის.

შემდეგ, როცა დაიწყო ენობრივ-ეთნიკური განტოტვა, დაიშალა არქაულ წარმოდგენათა ინსტინქტური სისტემაც.

ზოგი დავიწყებას მიეცა, ან სახე იცვალა. მათ დაერთო ახალი კულტურული ფენაც. ამის შედეგად ღმერთებიც განიყვნენ.

## მეორე ფენა – ასტრალური

ასტრალური ღმერთები – მზე, მთვარე და ხუთი მნათობი დღეთა შვიდეულის სახელით შემორჩა ქართველურ ტომებს, ქართულ ენას.

ვანში აღმოჩნდა ბერძნული წარწერა, რომელიც მათ ადგილობრივ მოსახლეთა ღმერთებად მიიჩნევს (თ. ყაუხჩიშვილი), მიწასთან ერთად. ისინი IV საუკუნეში შეუცვლია ფარნავაზ მეფეს, როგორც ვთქვით.

მათგან ჯერ მზე ყოფილა მთავარი, შემდეგ – მთვარე (იხ. „პირველადი წარმოდგენები“), ბოლოს ისევ მზე.

ასტრალური ღმერთების პარალელურად სულებს სახელი ეძლევათ და ღმერთებად ყალიბდებიან – კაპუნია, ბოჩი, ვობი, ანატორი, მესეფი, ნერჩი პატენი, ჯიმაღი, მორიგე...

ექვთიმე მთაწმინდელი ბოჩს აიგივებს „არტემისთან“, ე.ი. ელინელთა ნადირობის ღმერთქალ არტემიდესთან.

სულხან-საბას განმარტებით, ბოჩოლა არის გამოზამთრული ზროხა წლამდე, ბოჩიკი - წლის ირემი. ბოჩი იქნებოდა ცხოველისა და ნადირის ჯერ ზოგადი სახელი, შემდეგ კი – ღვთაებისა.

აქედან მოდის (ბ)ოჩოკოჩი და (ბ)ოჩოპინტრე. მეგრულში ოჩი ვაცს, მამალ თხას ნიშნავს. თავდაპირველად იქნებოდა ბოჩი, როგორც ეს არის ჭანურში.

მზისა და ნაყორიერების ღმერთქალი ბარბალე (აქედან – ბორბალი) მოდიოდა შუმერულ-აქადური bibbirru-დან (ბრწყინვა, ნათება).

შემდეგ სახელთან ერთად ღმერთებს ადამიანის სახეც მიეცათ.

## მესამე ფენა – ანთროპომორფული

ანთროპომორფულმა ღმერთებმა, რომელთა საწყისი ჰქონდათ მცირე აზიასა და წინააზიაში, ხეთასა, ურარტუსა, ეგვიპტესა და საბერძნეთში, მესოპოტამიის ქვეყნებში, გადაფარეს ანიმისტურ-ტოტემისტური და ასტრალური ღმერთები.

ისინი მათ საფუძველზე იშვნენ, მათი სიმბოლური სახეები მოირგეს ან ცხოველთა ნიღბები აიფარეს, როგორც ეგვიპტეში.

ღმერთებს მიეცათ ადამიანის სახე, ადამიანის თვისებები (მაგ., დალი, ოჩოპინტრე).

ანთროპომორფული ანტიღმერთები ბოროტ ძალთა პერსონიფიცირება იყვნენ: დევი, ქაჯი, როკაპი, ალი (გენეტიკურად – დალი), ოჩოკოჩი (ვაცკ-კაცი).

ქართველურ ტომთა წარმოდგენებს შეერივნენ უცხოური ღმერთებიც. მაგ., ხალიბებში არსებულა ბერძნული ომის ღმერთის – არესის სამისნო. ახალ საუკუნეებში ლაზებში გავრცელებულა მითრას კულტი.

მცირე აზიური კიბელეს ვარიაცია იყო კოპალა, ურარტული კუერასი – კვირია. ბერძნულიდან მოდიოდნენ იგრი (ეაგროსი) და ფასისი, რომელსაც მხეცკაცის სახე ჰქონია.

ფაზისში მდგარა ღმერთქალ კიბელეს ქანდაკება. მას ხელთ კიმბალი (სპილენძის თეფშისებური საკრავი) ეკავა, ფერხთით კი ლომები ეწვა (საერთოდ, ქალაქსა და სახელმწიფოს ქალის სახით გამოხატავდნენ).

## მეოთხე ფენა – არმაზული

პოლითეისტური ღმერთების მეოთხე ფენა შეიქმნა იბერიის სამეფოში, არისტოკრატთა წრეში. არმაზული ღმერთები ის-

ევე იყო კანონიზებული, როგორც ბერძნული ოლიმპიური, 12 ღმერთისაგან შემდგარი პანთეონი.

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს იბერიის ელიტის ღმერთებს – არმაზი და ზადენი, გაც და გაიმ, აინინა და დანანა.

ამ ღმერთებზე არ ლოცულობდნენ სვანები, ლაზები და ეგრისელები. ტერიტორიულმა გათიშვამ გაჰყო ენები და ღმერთებიც. მაგრამ არც ქართველთა მეხსიერებაში, არც ფოლკლორში არ დამკვიდრდა მათი სახელი.

ხალხი იოლად შეელია მათ სიკვდილს.

არმაზულ პანთეონზე ვიმსჯელეთ ფარნავაზთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა ისევ დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

არმაზული პანთეონი უცხოური ღმერთების მოზაიკა იყო, ისიც სახეცვლილი, მმართველი ზედაფენის რელიგია.

პარალელურად დარჩა ადილობრივი ღვთაებების კულტი, რაც ეკუთვნოდა მასას.

მათი გაძევება ხალხის მეხსიერებიდან ქრისტიანობამაც ვერ შეძლო, რომელიც სასტიკად სდევნიდა წარმართებსა და მწვალებლებს, როგორც მონოთეისტური რელიგია.

საერთოდ, პოლითეისტური რელიგიები, თავისი არსიდან გამომდინარე, ტოლერანტული იყო სხვა ღმერთებისა და რიტუალების მიმართ.

პოლითეიზმი იყო სამხედრო, სახალხო, არქაული დემოკრატიისა და ენათა სიმრავლის შესატყვისი.

ქრისტეს გამოჩენამდე იბერიაში ადგილობრივი და შემოსული ღმერთები მშვიდად თანაარსებობდნენ. მსხვერპლშეწირვა, ლოცვა, დღესასწაული შეეძლოთ ადამიანებს ერთდროულად აღევლინათ მრავალ ღმერთზე. ეგ იმიტომ, რომ ყოველ ღვთაე-

ბას თავისი ფუნქცია ჰქონდა. ტაძართა და ქურუმთა სიმრავლე ერთმანეთს ხელს არ უშლიდა.

ასე იყო ეგვიპტეში, ირანში, ბაბილონში, ასურეთში, ურარტუში, ხეთაში (სადაც ათასი ღვთაება არსებობდა), ელადაში, რომში.

მასებს თავისი ღმერთები ჰყავდათ, არისტოკრატებს – თავისი. ისინი იცვლებოდნენ ადგილის მიხედვითაც. იცვლებოდნენ ტომებშიც (მაგ., კაპუნია მეგრელებში, ზადენი – იბერებში).

პირველი ორი ვერცხლის კერპი მცხეთაში აღუმართავს აზონს – გაც და გაიმ. როგორც ითქვა, მათი სახელები ხეთურია, არიან ქართლიდან წამოსული.

ფარნავაზმა მთავარ ღმერთად შერაცხა არმაზი (არამაზდი – აჰურამაზდა), ოღონდ კერპად წარმოდგენილი.

მათ დაუმორჩილა გაც და გაიმ.

კერპის მოდელი უნდა ყოფილიყო თეშუბი.

წმინდა ნინომ ასეთი სახის არმაზი იხილა:

დგას სპილენძის ტანის კაცი, თავზე ხურავს მუზარადი, ტანზე აცვია ოქროს ჯავშანი, რომელშიც ჩასმულია ზურმუხტი და ბივრიტი, ხელთ უპყრია ელვარე ხმალი.

მარჯვნივ უდგას ოქროს კერპი გაც და მარცხნივ – ვერცხლის კერპი გაიმ.

აზონის დროს გაც ვერცხლისა ყოფილა, როგორც თავად ლეონტი მროველი გვეუბნება. შემდეგ შეუცვლიათ. შეიძლება ექვსასი წლის მანძილზე არმაზიც შეიცვალა ან – ლითონს დასჭირდა რესტავრაცია და განახლება.

არმაზის დღესასწაულზე უამრავი ხალხი გამოსულა, გამოუტანიათ დროშები. საყვირები საშინელ ხმას გამოსცემდა.

მოზეიმე ხალხი ზრიალებდა. მათ წინაშე წარსდგნენ ცეცხლის მსახური მოგვები, მეფე მირიანი და დედოფალი ნინა.

არმაზის კერპი შიშის მომგვრელი ყოფილა.

ის რომ აჰურამაზდა არ ყოფილიყო, არამედ – მთვარე, მაშინ დღისით, საზეიმოდ რატომ უნდა გამოსულიყვნენ ცეცხლის მსახური მოგვები ანუ მაზდეანი ქურუმები.

როგორც ხეთასა და ურარტუში, ასე იბერიაშიც მთავარი ღმერთი განსაზღვრავდა პანთეონს, რომელშიც თავს იყრიდნენ სხვადასხვა წარმომავლობის, სხვადასხვა ფუნქციის ღვთაებები.

ნინოს ცხოვრების ავტორი შენიშნავს, რომ ქართველები „უცხოთა ღმერთთა“ ემსახურებოდნენ, რომ „ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის სცემდეს“.

სრულიად ნათელია, რომ იბერიელები ცეცხლთაყვანისმცემლები (მაზდეანები) იყვნენ. ირანული აღმსარებლობა საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულა და გაძლიერებულა, არმაზის დღესასწაული სახალხო ზეიმად ქცეულა. ამას ხელს უწყობდა ენეოლითიდან მომდინარე ტრადიციაც (იხ. „ენეოლითური ძირები“).

ფარნავაზის ძემ საურმაგმა მცხეთის გზაზე აინინასა და დანანას კერპები აღმართა.

ამ სახელების ძირია ნანა/ნინა, რაც მცირეაზიურ-მესოპოტამიურ ღმერთქალებს ერქვათ.

დავასახელოთ ზოგი მათგანი:

ხეთური თავანანა-დედოფალი, შუმერული ინანა – ნაყოფიერების ღმერთქალი, შუმერულ-აქადური ნანა – მთვარის ღვთაება, აქადური ნანაია – სექსუალობის ღმერთქალი.

ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს აინინა და დანანა ღმერთქალებად მიაჩნიათ, მაგრამ წარმომავლობას ვერ ხსნიან.

როგორც ვთქვით, ერთ-ერთი მცირეაზიური ხურიტული ტომი დანუნას სახელს ატარებდა.

ზადენზე უკვე ვისაუბრეთ. იგი მაზდეანური სამყაროდან შემოსული ღვთაებაა და დადგა იბერიელთა სპარსელმა მეფე ფარნაჯომმა, თავადაც მაზდეანმა („შეიყუარა სჯული სპარსთა“, „მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი მცხეთას“).

იბერიაში როგორც ჩამოყალიბდა არამეული დამწერლობის არმაზული ვარიანტი (გ. წერეთელი), ისე შეიქმნა წინა და მცირე აზიურ ღვთაებათა არმაზული პანთეონი, სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის (მაზდეანობის) ნარევი ვარიანტი.

მოვსეს ხორენაცის ცნობით, ქართველებს აღმართული ჰქონიათ ვეშაპის მკვლელი ინდო-ირანული ღვთაება ვაჰაგნის (ვარათრაგნის) კერპიც.

სომხურ მითოსში იგი იყო ჭექა-ქუხილის ღმერთი.

ვ. ბარნოვს ძველქართულ წარმართულ ღვთაებად გამოჰყავს ციშუბ-თარხუჯი. მაგრამ ეს არის შერწყმა ხეთურ-ურარტული თეშუბისა და გვიანხეთური უზენაესი ღვთაება თარხუნთისა.

იბერიის ღმერთებს შორის ასახელებენ ითრუჯანსაც.

ივ. ჯავახიშვილი ითრუჯანს ქართველთა ღვთაებად არ მიიჩნევს, უარყოფს მისი კერპის ან სალოცავის არსებობას იბერიაში.

მირიან მეფის სიტყვით, „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან“.

ითრუჯანი იგივე ატროშანია ანუ მაზდეანობა. აქ გაყოფა იმიტომ არსებობს, რომ არმაზული პანთეონი არ იყო მხოლოდ

ირანული – ცეცხლთაყვანისმცემლობას ერთვოდა კერპთაყვანისმცემლობა.

იგი იერთებდა მცირეაზიურ ღვთაებებს და დღესასწაულებსაც ანუ ქურუმები ცდილობდნენ ორიგინალური ფორმის მოპოვებას.

რელიგიების დიფერენცირება ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ., ქრისტიანების განყოფა მონოფიზიტებად და დიოფიზიტებად, არიოზისა და ორიგენეს მიმდევრებად, კათოლიკეებად და მართლმადიდებლებად, პროტესტანტებად და ბაპტისტებად, თანამედროვე უამრავ სექტად.

განსხვავებით ქრისტეს სჯულისაგან, წარმართულ რელიგიებს პოლითეიზმის გამო არ ჰქონდათ მკაცრად კანონიზებული სტრუქტურა. ისინი ხშირად იცვლებოდნენ, შემოჰყავდათ ახალი ღმერთები, შემოჰქონდათ ახალი რიტუალები და დღესასწაულები.

წარმართული ღმერთების პანთეონი აღადგინა და განიხილა ივ. ჯავახიშვილმა. მას შემდეგ მოხდა ცალკეული საკითხების კორექტირება, გამოვლინდა ახალი მასალებიც. მაგრამ კვლევის საფუძვლად დარჩა ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია („ქართველების წარმართობა“ „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში).

ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ნ. მარის გამოკვლევა „Боги языческой Грузии“(1902 წ.).

## 3. არმაზის მსხვერპლა (326 წ.)

### მითრა და ქრისტე

ახ. წ. I საუკუნიდან წინააზიასა და მცირეაზიაში ორი რელიგია ვრცელდება – მონოთეისტური იუდაიზმის წიაღიდან ამოსული ქრისტიანობა და პოლითეისტური მაზდეანობის განშტოება მითრაიზმი.

მათ შემოატანეს იბერიასა და ლაზიკაში (ს. მაკალათია).

ამ ფაქტს განიხილავს მრავალი მეცნიერი (მაგ., კ. კეკელიძე). მითრას თვე იყო მარტი – მიჰრაკანი, საიდანაც მოდის საგაზაფხულო ბუნიობის სახელი მარიოტა (პ. ინგოროყვა).

გველშემოგრაგნილი, ლომისთავიანი, კვერთხითა და ნაჯახით აღჭურვილი ხარის მკვლელი, ხალხთა შორის წესრიგისა და საზღვრების, ბოროტისა და კეთილის, სიმართლისა და სიცრუის დამდგენი მზის ღმერთი მითრა ავესტის მიხედვით დადებულ შეთანხმებას ასრულებდა.

ამიტომ მას აჰურამაზდასთან ერთად წარმოადგენდნენ, რიგვედას მიხედვით კი – ვარუნასთან ერთად.

ლოტოსის ფურცელზე ან ხარზე მდგარი მითრას მისტერიები მოედო მთელს აღმოსავლეთსა და რომის იმპერიას.

მითრას მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ცხენს. სტრაბონის ცნობით, სომხეთიდან ყოველწლიურად გაჰყავდათ 20.000 ულაყი მითრას დღესასწაულებისათვის.

არმაზის ნეკროპოლში, ასპარუკ და ბერსუმა პიტიახშების სამარხში იპოვეს ორი ვერცხლის ლანგარი. მათ ფსკერზე გამოსახულია მითრას სამსხვერპლოს წინ ტორშემართული ცხენი. ასეთივეა ბორის ვერცხლის თასი.

საუკუნეების მანძილზე მითრას სახე და ფუნქციები იცვლე-

ბოდა, რთულდებოდა და ხალხების წარმოდგენაში უმაღლეს ღვთაებად იქცა. მითრამ დაჩრდილა აჰურამაზდა.

მასთან დაპირისპირება, მისი შეჩერება და დამარცხება მხოლოდ ქრისტემ შეძლო, ღარიბთა და უპოვართა, ჩაგრულთა და ტანჯულთა ჯვარცმულმა ღმერთმა, რომელსაც ასევე ადიდებდნენ აღმოსავლეთსა და რომის იმპერიაში, პირველ საუკუნეში – ქართველურ ტომებშიც.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ამ ორი ღმერთის შეჯახებამ განსაზღვრა კაცობრიობის დიდი ნაწილის მომავალი.

გამარჯვებულ ინდო-ირანულ ღვთაებას ტანჯულმა მასებმა იუდაიზმის მემკვიდრე წამებული ქრისტე არჩიეს, როგორც სულის გმირი.

იბერიაში შემოსულ მითრას დახვდა ცეცხლისა და მზის კულტი, არმაზი და ზადენი, სპარსოფილური სამეფო დინასტია და არისტოკრატია. ამიტომ იოლად გაიკვლია გზა.

უფრო ადრე, I საუკუნეში ქართლოსიანთა მიწა მოიხილეს ქრისტეს მოციქულებმა. ისინი კაპადოკია-პონტოდან შემოვიდნენ.

ლეგენდების თანახმად, იესო ქრისტემ მოუწოდა მოციქულებს, თავის მოწაფეებს, რომ ახალი მოძღვრება მთელ მსოფლიოში გაევრცელებინათ, წასულიყვნენ საქადაგებლად.

საქართველოში წამოსულან ანდრია პირველწოდებული – პეტრე მოციქულის ძმა, სიმონ კანანელი, რომელიც დაიმარხა ნიკოფსიაში, მატათა, რომელმაც აფსარში (გონიოში) ჰპოვა განსასვენებელი.

პონტოსა და კაპადოკიაში უქადაგნიათ პეტრეს, პავლესა და იოანეს. ეფრემ მცირის ცნობით, იბერიაში ყოფილა ბართლომე მოციქული.

იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებიან ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

მაშინ ქრისტიანობამ ფეხი ვერ მოიკიდა ქართველურ ტომებში.

## კაპადოკიელი ნინო

„ქართლის ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ნინოს ცხოვრება" იბერიის მოქცევას უკავშირებს კაპადოკიელი ტყვე ქალის ნინოს სახელს.

ამასვე წერს მოვსეს ხორენაცი. ამასთანავე – იგი ნინოს (ნუნეს) აკავშირებს გრიგორი განმანათლებელთან.

ქრისტეს გარდა ამ ქალს არაფერი ამქვეყნიური არ იზიდავდა და თავისი გულმოდგინებით მოიპოვა სისხლის გვირგვინი (მოვსეს ხორენაცი).

ნინოს მამა ყოფილა სარდალი ზაბილონი, დედა – იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და სუსანა.

ბავშვობაში ნინოს იერუსალიმში სომეხი ქრისტიანი ქალისაგან სომხური უსწავლია. შემდეგ რიფსიმიანელებთან ერთად სომხეთში გაქცეულა, იქიდან კი ილტვოდა იბერიაში.

ამ ტყვე ქალს ახსენებენ გელასი კესარიელი (IV ს.) და რუფინუსი (V ს.).

ნინოს ლეგენდა მოგვიანებით შეთხზეს ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა. რეალურად კი, თუ არ იქნებოდა სათანადო პოლიტიკური სიტუაცია, ერთი კი არა, ასი ქადაგიც ვერ შეარყევდა სამეფო კარის რწმენას, არც სასწაულებს ირწმუნებდა ვინმე.

სიტუაცია კი ასეთი იყო:

298 წლის ნიზიბინის 40-წლიანი ზავის შემდეგ დასუსტდა ირანის პოზიცია. გაძლიერდნენ რომაელები. იბერია მათი გავლენის სფერო იყო. მილანის ედიქტით იმპერატორმა კონსტანტინემ 313 წელს ქრისტიანობა თანასწორუფლებიან რელიგიად გამოაცხადა, იმდენად მოედო იგი დაბალ ფენებს და გავრცელდა მთელს იმპერიაში.

ამ პერიოდს დაემთხვა ქრისტიანობის აღიარება რომის მიერ.

ქრისტიანებმა გაუძლეს სამსაუკუნოვან დევნას, ტანჯვაწამებას და მიაღწიეს აღიარებას. ამან მათ შესძინა შურისძიების პათოსი, რაც კულტურაშიც გამოვლინდა.

325 წელს შედგა პირველი საეკლესიო კრება ნიკეაში, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს ტერიტორიიდან პიტიუნტის (ბიჭვინთის) ეპისკოპოსი სტრატოფილე.

300 წელს სომხებმა მიიღეს ქრისტიანობა, 326 წელს – იბერიელებმა (ივ. ჯავახიშვილის აზრით, 337 წელს), ნიკეის კრების შემდეგ.

იბერიის მეფეებიც სამეფო ნიშნებს რომაელებისაგან ღებულობდნენ. ამიტომ იმპერიაში მიმდინარე მოვლენები აქაც სწრაფად ირეკლებოდა. ირანელები, მათი ღმერთები, მათი წესჩვეულებანი შეცვალა ბერძნულმა გარემომ. მაგრამ ირანი ისევ იკრებდა ძალას და ქვეყანას ემუქრებოდა.

იბერიამ პოლიტიკურთან ერთად რელიგიური არჩევანიც გააკეთა.

III საუკუნიდან აქ უკვე არსებულა ქრისტიანული თემები და ქრისტიანული ეკლესიები. ერთი მათგანი აღმოჩნდა ნაქალაქარ ნასტაკისში.

ახალ რელიგიას დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე საბოლოოდ

დაამარცხებდა წარმართებს. მაგრამ იგი პირველ რიგში უნდა შებრძოლებოდა არმაზის კერპს და დაემსხვრია იგი (შდრ. – ვ. ბარნოვის რომანი „არმაზის მსხვრევა“), როგორც უარყოფილი რწმენის სიმბოლო.

ამ დროს იბერიის მეფე არის მირიანი, დედოფალი – პონტოელი ბერძენი ნანა. მირიანი კონსტანტინესთან აგზავნის ელჩებს, სთავაზობს სამხედრო კავშირის განმტკიცებას და რელიგიური მრწამსის შეცვლას.

რომაელებს სჭირდებოდათ ეს „ბარბაროსი ტომი“, რათა ჩრდილოეთის კარი დახშული ყოფილიყო (მაგ., მირიანს დაუმარცხებია შემოსეული ოსები და ხაზარეთამდე მისულა).

იმპერატორმა დააბრუნა მძევალი უფლისწული და წარმოგზავნა ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკონები. 330 წლიდან ბიზანტიონი (კონსტანტინეპოლი) გახდა იმპერიის დედაქალაქი, კიდევ უფრო დაუახლოვდა ლაზიკას, რომელიც ასევე ამავე დროს მოიქცა ქრისტეს რჯულზე (323 წ.).

აქ კიდევ უფრო მეტად არსებობდა ქრისტიანული ტრადიციები. მაგრამ მაინც დიდი დრო დასჭირდა მასებში ახალი რწმენის დამკვიდრებას (მაგ., VI საუკუნეში მეფე წათემ უარყო ქრისტიანობა, შემდეგ ისევ დაუბრუნდა).

სამეფო კარი და არისტოკრატია სწრაფად მოინათლა, მაგრამ ხალხი, რომელსაც არ ჰქონდა მშობლიური ანბანი და წიგნი, არ ჰქონდა ეკლესია, არ ჰყავდა მოძღვარი, არ ესმოდა თუ რითი სჯობდა ჯვარცმული თავის აქაურ ღვთაებებს, უცებ არ იწამებდა ნაზარეველის მოძღვრებას, თანაც – მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა.

მისთვის ქრისტე უფრო უცხო იყო, ვიდრე არმაზი.

## 4. ლაზიკის სამეფო I-IV საუკუნეებში

იბერიის მიღმა რჩებოდნენ ზღვისპირეთის ლაზები და ჩრდილოეთით მოსახლე ჰენიოხები (სვანთა წინაპრები – გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე), სამხრეთით – მახელონები (მაკრონები) და ჰენიოხები.

შავი ზღვისპირას რომაელებმა ციხე-სიმაგრეები ააგეს და გარნიზონები ჩააყენეს (მაგ., ფაზისი, აფსარი, დიოსკურია, ტრაპეზუნტი). ამის გამო 69 წელს აჯანყდნენ პონტოელი ტომები.

მათ მეთაურობდა ყოფილი მონა, პონტოს სამეფო ფლოტის უფროსი ანიკენტი, ალბათ ლაზი.

ტაციტუსის ცნობით, მათ დაარბიეს ტრაპეზუნტი, ამოხოცეს რომაელები და ხელთ იგდეს ხომალდები.

ვესპასიანეს რაზმმა დაამარცხა ანიკენტი. იგი ეგრისში გაიქცა. მაგრამ იქ ერთ-ერთი გაერთიანების (სედოხეზების) მეფემ რომაელებს გადასცა მეამბოხე.

ტრაპეზუნტის სიახლოვეს, რიზასა და ათინას შორის, არსებულა „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო", იგივე ტომობრივი გაერთიანება. მაგრამ, ამავე დროს, ჰენიოხებს ჩრდილოეთით, დიოსკურიის ახლო მთიანეთსა და ზღვისპირას ჰქონიათ ოთხი დიდი გაერთიანება, ოთხი ბასილევსით, 300 კაციანი უხუცესთა საბჭოთი და შესძლებიათ 200.000 მეომრის გამოყვანა (სტრაბონი)!

როგორც ჩანს, ჰენიოხებიც ისევ გაყოფილან, როგორც კოლხები. მათი ნაწილი დარჩენილა სამხრეთით – ზღვისპირეთსა და მთიანეთში ჭანებთან ერთად. ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას აზრით, ჰენიოხები მეგრელ-ჭანები იყვნენ.

ლაზიკაში დაშვებული ყოფილა მამა-შვილის თანამეფობა

(ივ. ჯავახიშვილი), რომლის მსგავსი ერთი პერიოდი იბერიაშიც არსებობდა.

ოფიციალური ენა, ისევე როგორც ეგრისსა და ფაზისის კოლხეთში, იყო ბერძნული.

III საუკუნეში ზღვისპირეთის რომაული ციხე-სიმაგრეები დაურბევიათ ოსტგუთების გერმანულ ტომებსაც. ისინი კაპადოკიამდე მისულან.

იბერთა დასუსტების პარალელურად ძლიერდებოდა ლაზთა სამეფო.

II საუკუნიდან ისინი ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ, იმორჩილებენ ეგრისელებს, უკუაქცევენ აფშილებსა და აბაზგებს, სვანურ ტომებს, გადადიან კავკასიონის მიღმა, აღწევენ ნიკოფსიამდე.

ლაზიკა ხარკს არ უხდიდა რომაელებს. ვასალობის ნიშანი იყო აქ მდგარი რომაული გარნიზონები (IV ს-მდე) და მეფედ კურთხევის წესი: ახალ მეფეს დამტკიცების ნიშნად უგზავნიდნენ ძალაუფლების სიმბოლოებს – ოქროს გვირგვინს, ოქრომკედით მოქარგულ გრძელ ქიტონს, ოქროთი და თვლებით შემკულ მიტრას (მაღალი თავსარქმელი), წითელ წაღებს, თეთრ ქლამიდს (ლაბადა), როგორც გადმოგვცემს აგათია სქოლასტიკოსი (შდრ. – გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრული ინვესტიტურა).

თავის მხრივ, ლაზიკას ჰყავდა ვასალები და მოხარკენი. მაგ., სვანები, აბაზგები, სკვიმნიელები (ლეჩხუმელები), აფსილები.

სვანების არქონტს (ბელადს) ლაზების მეფე ამტკიცებდა.

ლაზები და ეგრისელები ერთმანეთს შეერწყნენ, ისევ გაერთიანდნენ.

ლაზიკის დედაქალაქი გახდა არქეოპოლისი (დღ. ნოქალაქევი, ძველი ციხე-გოჯი).

მათ ააშენეს სარაპანისის (შორაპნის) და სკანდის ციხე-სიმაგრეებიც. გააძლიერეს ვარდციხე, ქუთაისი, ტელეფისი.

IV საუკუნის ბოლოს დაულაშქრავთ კაპადოკია, კილიკია, სირია. ასე შორს, სამხრეთით, ქართველურ ტომებს არც მანამდე, არც შემდეგ არ ულაშქრიათ.

VI საუკუნეში ლაზიკის აღმოსავლეთი საზღვარი სურამის ქედზე გადიოდა. ამ საუკუნეში იგი უფრო ძლიერია, ვიდრე იბერია.

ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ლაზების ექსპანსიას ჩრდილოეთისაკენ ხელს უწყობდნენ რომაელები, რათა კავკასიონის მხრიდან მომთაბარე ბარბაროსი ტომების შემოჭრა აღეკვეთათ.

მაგრამ ასე არ მოხდა სამხრეთის მიმართულებით.

აქ ლაზიკის საზღვრების მიღმა დარჩნენ ცალკეული ქართველური ტომები. მხოლოდ საეკლესიო ხაზით ემორჩილებოდნენ ლაზიკის ეპისკოპოსს ათინა, არხაბე და აფსარუნტი.

უფრო სამხრეთით არსებული „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო" რომაელებს ეკუთვნოდათ (მახელონები უნდა ყოფილიყვნენ იგივე მაკრონები, მეგრულ-ჭანური ტომები).

„ქართლის ცხოვრების" მემატიანეები გადმოგვცემენ იბერიის ისტორიას, იბერიის მეფეთა ბრძოლებს და მხოლოდ კანტიკუნტად ახსენებენ მეგრელთა, ჭანთა და სვანთა სახელებს.

მაგრამ უცხოური წყაროები გვაუწყებენ, რომ არსებობდა ლაზიკის, ხალიბების, მაკრონ-ჰენიოხთა, მოსხიკესა და მუშქების სამეფოები, ცალკეული ტომობრივი კავშირები და გაერთიანებები.

მათგან რამდენიმე მეფის სახელი თუ ვიცით (მაგ., მაკრონ-

ჰენიოხთა მეფე ანქიალე, ლაზების მეფეები მალასა და პაკორი, იგივე ბაკური, სანიგთა მეფე სპადაგა).

დროდადრო ლაზიკის (ეგრისის) ნაწილი შედიოდა იბერიაში. მაგრამ ფარნავაზის შემდგომი დროიდან ისინი ისევ გაიყვნენ.

მათ შორის საზღვარი მუდმივად იცვლებოდა.

ამ სამეფო გაერთიანებებს, რომელთაც ეკავათ მთელი ზღვისპირეთი ტრაპეზუნტიდან ნიკოფსიამდე, აღმოსავლეთით – ლიხის ქედამდე, სამხრეთ საქართველოს ერთი ნაწილი, არც აგრესია აკლდათ.

მაგ., ახ. წ. პირველ საუკუნეში ჩრდილოელ ჰენიოხებს პიტიუნტი ისე გაუძარცვავთ და დაუნგრევიათ, რომ იქ სიცოცხლე საერთოდ შემწყდარა. ასეთივე ბედი რგებია დიოსკურიას, რომლის ადგილზე აშენდა სებასტოპოლისი – რომაული ციხესიმაგრე.

საბრძოლო წესრიგს ქმნიდა როგორც კლასობრივი, ისე გვაროვნული სტრუქტურა და იერარქია.

ძველ-კოლხური ტრადიციით, ტომის უჩაშს (უხუცესს) ჰქვია დადია, რაც მოდის დადის (დიდედას) სახელისაგან, ე. ი. მატრიარქატის დროიდან.

თავად ტომელს თური (თ-ურ-ი) ერქვა. თ არის სიმრავლის, კრებულის ნიშანი. მაგ., მეუ სქანი თიშა/წადი შენს სახლში ანუ საკრებულოში. აქედან – გვარები: მაგ., ჟღენ-თი (ტი), ღლონ-თი (ტი), ოთარაანთი, მელაანთი, ჭან-ტურ-ია (ჭანების თური). თ-სგან ფორმირდება მრავლობითი ნარ-თანიანი.

თი (სახლეული, ტომი) იყოფა დინოებად, დინო (დინო-ორ-თ-ი) არის გვარი, რომლის სათავეში მდგარა ქალი. სვანურად ქალი, გოგო არის დინა, რომლის კვალი შემორჩა მეგრულ

ენას. მაგ., დინასკილიდი – ნამშობიარევი, სიტყვა-სიტყვით – ქალი მორჩენილი. შდრ. ქართულში დინება და მდინარი. დინოს გამოეყოფა ნათესავთა წრე, როგორც ხეს – ტოტი, მეგრ. ნოცილა. მას ჰქვია ნოცო.

ქართულში ნათესავი არის ერთი თესლიდან წარმოშობილი, მეგრულში – ერთი nenis-ისაგან (ნოცოლე – ნაყლევი).

მატრიარქალური დინოს შემდგომი დიფერენცირებაა პატრიარქალური ნოცო. მათ ჰყავთ თავიანთი უჩაშები (უფროსები – უხუცესები).

გვარტომის, სისხლით ნათესაობის სურათი კოლხურ ტომებში ვერ წაშალა ჟამთა მდინარებამ, ვერც კლასობრივმა დიფერენცირებამ, თუმცა ოფიციალურად გამოიყენებოდა ბერძნულ-რომაული ტერმინები.

ახალ საუკუნეებშიც გრძელდებოდა ელინისტური ტრადიციები.

ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388) ცნობით, ფაზისში არსებულა რიტორიკული სკოლა (აკადემია).

აქ უსწავლიათ თავად თემისტიოსსა და მამამისს – ევგენიოსს, VI საუკუნეში – ლაზ პოლიტიკოსებს აიეტსა და ფარტაზს (აგათია სქოლასტიკოსი).

ეს იყო ელინისტური ტიპის წარმართული სასწავლებელი, რომელიც არსებულა IV-VI საუკუნეებში.

აქ ახალგაზრდები რიტორიკაში იწვრთნებოდნენ. მაგრამ სწავლობდნენ ძირითად საგნებსაც – ფილოსოფიას, ლიტერატურას, მუსიკას, სამართალს, ასტრონომიას.

სწავლების ენა იყო ბერძნული და ძირითად კონტიგენტსაც ალბათ ბერძნები შეადგენდნენ. მაგრამ უსწავლიათ ლაზებსაც.

ლაზები ვარჯიშობდნენ მხოლოდ ისართ ტყორცნასა და ცხენთა ჯირითში, რაც „ბარბაროსულ“ ჩვეულებად მიაჩნია თემისტიოსს.

* * *

მეგრელ-ჭანებმა გაუძლეს გერმანელი ოსტ-გუთებისა (III საუკუნის 50-იანი წლები) და სარმატების (III საუკუნის მიწურული) ლაშქრობებს, რომელთაც მდ. ჰალისამდე მიაღწიეს, ჰუნების შემოსევას (IV ს.), რომელთაც გაანადგურეს ბიჭვინთა.

ლაზიკის სტაბილობასა და ეკონომიკურ აღმავლობას განსაზღვრავდა რომაელთა კეთილგანწყობა, მათი ციხე-სიმაგრეები და გარნიზონები.

## 5. ლაზთა და იბერთა კულტურის კონტურები

### (ძვ. წ. III ს. – ახ. წ. IV ს)

არქიტექტურა, შრომისა და ბრძოლის იარაღები, იუველური ხელოვნება, წერილობითი სიტყვა არის გარდასულ დღეთა სარკე.

დანარჩენი ყოველივე დრომ და ხანძარმა ფერფლად აქცია.

როგორ ცხოვრობდა, როგორი კულტურა ჰქონდა იბერიისა და ლაზიკის არისტოკრატიას, ჩანს სამარხებსა და ციხე-ქალაქის ნაშთებში, შემორჩენილ არტეფაქტებში.

არისტოკრატია ბერძნულად, არამეულად და სპარსულად მეტყველებდა.

როგორი იყო ქართული, ლაზური, სვანური ენები რა დი-

ალექტური ფორმები ჰქონდათ, რა შეიცვალა ან რა დარჩა – არავინ იცის.

ჩვენ ვახსენეთ სამეფო ნიშნები, რომელთაც უგზავნიდნენ ლაზიკის მეფეებს რომაელები.

ასე ბრწყინვალედ შემოსილ და აღკაზმულ მეფეებს სასახლეც და ინვენტარიც შესაბამისი ექნებოდათ.

მეფის მიბაძვით დიდებულებსა და ქურუმებსაც ასევე უნდა ეცხოვრათ, დაეცვათ არისტოკრატიული კულტურა და ეტიკეტი.

იბერიელების სამარხები ცხადყოფენ, რომ მათ კიდევ მეტი ბრწყინვალებით უცხოვრიათ, ჰქონდათ გემოვნება და ესთეტიკური აღქმა.

მიცვალებულს ლამის მთელს ქონებას ატანდნენ. მაგ., 25 წლის ქალის აკლდამაში ძვირფას ნივთებს შორის ათას ცალამდე აღმოჩნდა მხოლოდ ტანსაცმლის ოქროსამკაული!

მეფის ოჯახი აკლდამას წინასწარ აგებდა, როგორც ეგვიპტის ფარაონი – პირამიდას. მაგ., როცა მირიანის ძე რევი გარდაიცვალა, იგი „დაფლეს აკლდამასავე, რომელი თვით მასვე რევს აღეშენა“ („ქართლის ცხოვრება“).

ეს ძველი ტრადიციაც იყო. მაგ., ჩინელი იმპერატორის ცინ შიხუანდის სამარხს 36 წელი აშენებდა 700.000 კაცი. მიუხედავად ამისა, მბრძანებლის სიცოცხლეში ვერ დაამთავრეს (ძვ. წ. III ს.).

სამივე დარბაზის საერთო ფართია 120.780 კვ. მ. მიცვალებულს ჩააყოლეს უამრავი თიხის ცხენებშებმული ბრინჯაოს ეტლი და 8.000 ნატურალური მეომრის ქანდაკება.

იმპერატორის სამარხი დაფარეს გორაკით, რომლის სი-

მაღლეა 47 მ (იგი ჯერაც არ გახსნილა). ასეთი ბრწყინვალე არა, მაგრამ ბედენისა და თრიალეთის შემდეგ შთამბეჭდავია ბაგინეთის, არმაზისხევის, სამთავროს, ვანის სამაროვნები. საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგანაც ბევრი გამორჩეული სამარხია. ზოგან სოფლადაც კი (მაგ., თაგილონში, კლდეეთში, ურეკში, ბორში).

როგორც ჩანს, მხოლოდ სამეფო სახლის წევრებს, ქურუმებს ან ერისთავებს როდი ასაფლავებდნენ ასეთი დიდებით.

მათ და მათი ოჯახის წევრებს მეტი ძვირფასი ნივთები ექნებოდათ, ეყოლებოდათ მომსახურე პერსონალი, კომფორტული ცხოვრებისა და არისტოკრატიული ეტიკეტის განმრიგე და დამცველი.

ჩვენს წინაპრებს ასევე დიდი მონდომებით უშენებიათ ქალაქები, აკროპოლები, ციხე-სიმაგრეები, გაუყვანიათ მოკირწყლული ქუჩები, ჰქონიათ წყალსადენები, აბანოები, ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, სამლოცველო-სამსხვერპლოები.

ეს არ ეხება მხოლოდ ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებს.

ასეთივე ყოფილა არმაზი, მცხეთა, ვანი, ნოქალაქევი, უფლისციხე.

უფლისციხე არის ქალაქი-გამოქვაბული (გათხრა და შესწავლა დაიწყო დიმიტრი მეღვინეთხუციშვილმა 1852 წელს).

კლდეში გამოკვეთილი ოთახები ერთმანეთს უერთდება დერეფნებით ან ცალკე ჯგუფებადაა წარმოდგენილი.

ზოგი რამდენიმე სართულისაგან შედგება, როგორც გვიანდელი ვარძია.

ცენტრში მოთავსებულია თეატრონის მსგავსი დიდი დარბაზი.

ასეთი ქალაქები და კომპლექსები შენდებოდა ეგვიპტეში (მაგ., რამზეს II-ის ტაძარი), ინდოეთში (მაგ., აჯანტას ბუდ-ისტური სამონასტრო კომპლექსი), კაპადოკიაში – უძველეს მღვიმეთა ანალოგიით (შდრ. – ცუცხვათის მღვიმე შედგება 13 სართულისაგან).

1963 წელს კაპადოკიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ხეთების დროინდელი მიწისქვეშა, 60 მეტრის სიღრმე რვასართულიანი ქალაქის დერინკუიუ.

შიგ ცხოვრობდა 30.000 ადამიანი, ჰყავდათ შინაური ცხოველები, ჰქონდათ მარნები, სავენტილაციო და წყალსად-ენი სისტემები.

ამ მღვიმური ტიპის ლაბირინთში მუდმივი ტემპერატურა იყო 10-15$^0$.

ქალაქს ჰქონდა უამრავი საიდუმლო გასასვლელი.

ასეთი იყო ურარტუს დედაქალაქი ტუშფაც, რომელიც ძირითადად ვანის კლდეში იყო ნაკვეთი (შდრ. სამხრეთ ავსტრ-ალიაში ოპალის მომპოვებლებმა XX საუკუნეშიც კი გამოჭრეს მიწისქვეშა ქალაქი, რომელშიც 1500 სახლია).

კლდეში ჭრიდნენ აკლდამებსაც.

კოლხური ქალაქი ვანი (ძვ. წ. VI-I ს.ს.) განლაგებული იყო ბორცვზე, 12 ჰ-ზე, იცავდა ხევები და კლდეები, სამი მეტრის სისქის კედელი (ო. ლორთქიფანიძე).

იგი ყოფილა ელინისტური ტიპის მდიდარი ქალაქი. გა-ნადგურდა ძვ. წ. I საუკუნეში ბოსფორელი ფარნაკესა და პერგამოსელი მითრიდატე VII-ის ლაშქრობების შედეგად.

ფაზისის ციხე-სიმაგრეს ჰქონდა გამომწვარი აგურის კედლე-ბი და კოშკები, გარს უვლიდა ორმაგი თხრილი (არიანე, II ს.).

ქალაქებში მოუწყვიათ აბანოებიც.

ნოქალაქევთან (ციხე-გოჯი – არქეოპოლისი) დღესაც ამოდის ცხელი წყალი. ხოლო მცხეთაში წყალს ათბობდნენ და მილებით ანაწილებდნენ.

თბილისმა იმიტომ დაჩრდილა მცხეთა, რომ აქ აღმოჩნდა გოგირდის ცხელი წყალი.

ქართველური ტომები ცხოვრობდნენ დიდი კულტურის სახელმწიფოების მეზობლად, მათი გავლენის, მათი პროტექტორატის ქვეშ (ხეთა, საბერძნეთი, ირანი, რომი).

ეგრის-ლაზიკასა და იბერიას ჰქონდათ კულტურული კავშირები მრავალ დიდ თუ პატარა, შორეულ თუ მეზობელ ქვეყანასთან.

ამისი დასტურია აღმოჩენილი მონეტებიც – ალექსანდრე მაკედონელის სტატერი და დრაქმა, სოღდიური და ტიგრან მეორის ტეტრადრაქმები, ლისიმაქეს ოქროს სტატერები და მისი მიბაძვით ეგრისში მოჭრილი სტატერები, ბაქტრიული და პართიული ფულის ერთეულები, ელინისტური ეგვიპტისა და სელევკიდი მეფეების სპილენძის მონეტები, მითრიდატე VI-ის მონეტები, რომაელ იმპერატორთა ვერცხლის მონეტები, რომაული და პართულ-სასანიდური გემმები და ბეჭდები.

ურთიერთობათა კვალი ჩანს არქიტექტურაში, ქალაქის დაგეგმარებაში, სახლების კრამიტით გადახურვაში, კერამიკაში, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებში, ყოფით ნივთებში, საომარ იარაღებში, დასაფლავების ფორმებში, ორმხრივ პროტომიან ცხოველთა ფიგურებში.

ახალ საუკუნეებში დიდად საგრძნობია ელინისტურ-რომაული კულტურით გატაცება. ამ კულტურის ნიშნებითაა აღბეჭდილი ოქროს სამკაულები, დიადემები, ბალთები, მედალიონები, ყელსაბამები, იარაღები, ბეჭდები, ბრინჯაოს სურე-

ბი, ვერცხლის თასები და ფიალები, მინის ჭურჭლეული.

არმაზის ნეკროპოლში აღმოჩნდა ვერცხლის თასები. მათზე, ცალკ-ცალკე, გამოსახული არიან ადრიანე კეისარი, ანტონიუ და სეპტიმი სევერი.

შ. ამირანაშვილი სახვითი ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს კიდევ ერთი თასის ფსკერზე მიმაგრებულ ღმერთქალის რელიეფურ გამოსახულებას. მას ხელში ჯიხვის ყანწი უჭირავს, როგორც სიუხვის სიმბოლო.

იგი უნდა იყოს ნაყოფიერების ღმერთქალი კიბელე, რომლის ქანდაკება იდგა ფაზისის შესასვლელში.

სხვა თასის ფსკერზე, წრეში გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი, მთვარითა და ვარსკვლავებით შემკული. მასზე აღმოჩნდა ფალაური წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს კაცი ყოფილა ირანელი ფაფაკ პიტიახში.

მას თასი უჩუქნია ქართლის პიტიახშ არზამესათვის (ახ. წ. III ს).

ვანში აღმოჩნდა პანისა და ჰერაკლეს გამოსახულების მედალიონი, ეოსის რელიეფი, აპოლონის, დიონისესა და ღმერთქალ ნიკეს, სარკინეში - დიონისესა და არიადნას ქანდაკებები, ქალის და კაცის მოწითალო, გამომწვარი თიხის ნიღბები, მაგრანეთში – ოქროს ბეჭდის გრანატის თვალზე ამოტვიფრული ღმერთქალი ათენა, გონიოში – დიოსკურის ოქროს ქანდაკება, ოქროს ფალარი ცხოველთა ბრძოლის სცენით.

მცხეთას ჰყოლია მხატვართ და ხუროთმოძღვართ უხუცესი. ერთი მათგანის –ავრელი აქოლეუსის საფლავის ქვაზე ლექსად დაწერილმა ეპიტაფიამ ჩვენამდე მოაღწია. ეს კი ნიშნავს, რომ ასევე მრავალი ფორმა უნდა მიეღო ცეკვას, სიმღერას, ზეპირ პოეზიას, მუსიკას. მათ გარეშე არ არსებობს წარმარ-

თული დღესასწაულები და რიტუალები, როგორც სტიქიური სპექტაკლები.

მათი მოწესრიგებული სახე იყო თეატრი, რომელშიც ერთმანეთს დასცილდა სცენა, როგორც სამსხვერპლო, და მაყურებელთა დარბაზი, როგორც მოზეიმეთა მასა.

ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან სიახლოვე ლაზ და იბერ არისტოკრატებს უბიძგებდა კულტურის სხვადასხვა სახეობისაკენ. მაგრამ მათზე მსჯელობა დღევანდელი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით – არასწორია.

პოლიტიკური და კულტურული სიახლოვე და ზეგავლენა, ერთი მხრივ, ზრდიდა მოსახლეთა თვალსაწიერს, გემოვნებას, სწრაფვას კომფორტისა და ცივილიზაციისაკენ, მეორე მხრივ – ადუნებდა შემოქმედებით სულს, ხელს უშლიდა თვითშეგნების წარმოქმნასა და თვითმყოფადობას, სახელმწიფოებრივ ორგანიზებას.

არისტოკრატიის უცხოელებისადმი მიმბაძველობა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ წარმართულ დროში არ შეიქმნა ანბანი და დამწერლობა – არც იბერიაში, არც ლაზიკაში.

IV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც დაემხნენ წარმართული ღმერთები და იბერიასა და ლაზიკაში, ქართველურ ტომებში მკვიდრდება ქრისტეს მონოთეისტური რელიგია, ყალიბდება რადიკალურად განსხვავებული, ასკეტური და მწიგნობრული ქრისტიანულ-ბიზანტიური ტიპის კულტურა.

ფარნავაზიდან მირიანამდე, არმაზის კერპის აღმართვიდან ქრისტეს რჯულის მიღებამდე ექვსი საუკუნეა, 600 წელი.

ამ წლების მანძილზეც ქართველურმა ტომებმა მრავალ ქარიშხალს გაუძლეს, დიდი სისხლიც დაიღვარა, იყო წარმატებებიც. მაგრამ ლაზიკის ან იბერიის საზღვარი წინ არ წაწეულა.

ისინი იცავდნენ იმ საცხოვრისს, სადაც მათი წინაპრები ბი-

ნადრობდნენ. მათ შორის კი მუდმივად იცვლებოდა საზღვრები, თუმცა ამას კონფლიქტები არ მოსდევდა.

ეს ხდებოდა მცირე აზიასა და წინა აზიაში პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობის შესაბამისად.

ძვ. წ. I საუკუნიდან კი აქ მოვლენებს განსაზღვრავდნენ რომი და ირანი, მათი ურთიერთობები.

ლაზიკა ორიენტირებული იყო რომზე, იბერია – ირანზე, თუმცა ვითარება როგორც შეიცვლებოდა, ისე უნდა გამოევლინათ ლავირების უნარი. ეს პროცესი აისახა რელიგიაში, წესჩვეულებებში, არტეფაქტებში, სახელმწიფოს სტრუქტურაში.

* * *

დასრულდა ქართველური ტომების არსებობის არქაულწარმართული 3000-წლეული.

ქრისტიანობის მიღება აღმოჩნდა უდიდესი და გადამწყვეტი ფაქტორი ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობისათვის, ეროვნული თვითშეგნებისა და ქართველურ ტომთა ერად კონსოლიდირებისათვის.

ამიერიდან ერთობის სიმბოლო იქნება ჯვარი და ჯვარცმული. რომ არა ნაზარეველის რჯული, ქართველური ტომები სამუდამოდ დარჩებოდნენ გაყოფილი ორ სახელმწიფოდ – იბერიად და ლაზიკად, აღმოსავლეთად და დასავლეთად.

ტომების ინტეგრირება იქცა სახელმწიფოდ, დიალექტებისა – სახელმწიფო და საეკლესიო ენად, ღმერთებისა – ერთ ღმერთად.

2014, ნოემბერ-დეკემბერი,

2015, იანვარ-თებერვალი

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ბიბლია თბ., 2013;
2. მ. აბდუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1979;
3. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
4. გ. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბ., 1995;
5. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971;
6. ამირანის თქმულება, თბ., 1961;
7. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975;
8. ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინა, ნ. პომერანცევა, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, თბ., 1986;
9. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცენტრები ძველ საქართველოში, I, თბ., 1963;
10. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966;
11. ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973;
12. პ. ბერაძე, ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, თბ., 1969;
13. მ. გაბუნია, ა. ვეკუა, პატარა ხრამის პეტროგლიფები, თბ., 1980;
14. ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991;
15. ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990;
16. კ. ზ. გამსახურდია, წერილები უცხოეთიდან, თბ., 2006;
17. თამარ გამსახურდია - 70, თბ., 2007;
18. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობი-

დან, თბ., 1964;
19. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989;
20. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962;
21. არნ. გეგეჭკორი, ადამიანის ევოლუცია, გაუჩინარებული და ტრაიბალური ცივილიზაციები, თბ., 2004;
22. გეორგიკა, I-VIII, თბ., 1934-1970;
23. გრ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988;
24. გრ. გიორგაძე, ხეთური და ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, თბ., 2000;
25. ელ. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972;
26. ვ. გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990;
27. ლ. გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2009;
28. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, I, თბ., 1988; II, თბ., 1997;
29. რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980;
30. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985;
31. რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1992;
32. რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებანი, I-II, თბ., 2007;
33. ვანი, I-VIII, 1972-1983;
34. ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964;
35. მ. თავდიშვილი, ღვინო, ვენახი, ვაზი, თბ., 2015;
36. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972;

37. ქ. თამაზაშვილი, პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების იარაღები საქართველოში, თბ., 2014;
38. გ. ინანიშვილი, ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ., 2015;
39. პ. ინგოროყვა, თხზ., IV, თბ., 1978, ტ. V, თბ., 2012;
40. კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა, თბ., 2010;
41. ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983;
42. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981;
43. ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986;
44. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002;
45. ს. მაკალათია, ღვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1948;
46. ნ. მაკიაველი, მთავარი, თბ., 1984;
47. ნ. მარი, წარმართული საქართველოს ღმერთები, ჟურნ. „ლიტერატურა და სხვა", 2001, №1;
48. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999;
49. ლ. მელიქსეთბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938;
50. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000;
51. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები), თბ., 1974;
52. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984;

53. დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 2012;
54. მცხეთა, ტ. I-IX, თბ., 1955-1985;
55. ნოქალაქევი - არქეოპოლისი, I, თბ., 1981;
56. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, შრომები, VIII, თბ., 1983;
57. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980;
58. ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986;
59. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959;
60. საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991; II, თბ., 1992;
61. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970;
62. საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბ., 2015;
63. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბ., 1990;
64. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, I-III, თბ., 2012-2013;
65. ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007;
66. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1989;
67. აპ. სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010;
68. ირ. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003;
69. ნ. სულავა, კავკასიის ფიბულები, თბ., 2011;
70. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964;
71. ლ. ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988;

72. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990;
73. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (XV-VI), თბ., 1975;
74. კ. ფიცხელაური, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, თბ., 2013;
75. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, თბ., 2005;
76. გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985;
77. ქართლის ცხოვრება, თბ., 1996;
78. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, თბ., 1975-1989;
79. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII,თბ., 1950-1964;
80. ქართული ლიტერატურის ისტორია, II თბ., 1966;
81. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართულ ლექსიკონი, I-III, თბ., 2001-2002;
82. მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბ., 2007;
83. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942;
84. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979;
85. მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1965;
86. რ. ჩხეიძე, ამირანის თქმულება, თბ., 1991;
87. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., III, თბ., 1980;
88. დ. შენგელაია, მუდმივი თანამგზავრები, თბ., 1964;

89. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, „ენიმკის მოამბე“, XIII, 1942;
90. ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები, „ძეგლის მეგობარი“, №33, 1973;
91. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988;
92. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978;
93. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984;
94. ნ. ხაზარაძე, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბ., 2005;
95. მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005;
96. მ. ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, თბ., 1939;
97. გ. ჯავახიშვილი, ანთროპოლოგიური პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984;
98. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად: I, ქართველთა ერის ისტორია, თბ., 1979; X, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992; XI, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1998;
99. ს. ჯანაშია, შრომები, I-V, თბ., 1949-1986;
100. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1965.
101. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, თბ., 1996;
102. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები, თბ., 2012;

103. В. Алексеев, Становление человечества, М., 1984
104. Большая иллюстрированная энциклопедия древностей, Прага, 1980
105. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тб., 1984
106. Кавказ и Восточная Европа в древности, М., 1973
107. Е. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960;
108. Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941
109. Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949
110. К. Леви-Стросс, Структурная антропология, М., 1983
111. Дж. Мелларт, Древняя цивилизация, М., 1982
112. Мифы народов мира, I-II, М., 1991-1992
113. Р. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975;
114. Фр. Ницше, Воля к власти, М., 2005
115. А. Оппенхейм, Древняя Месопотамия, М., 1990
116. Д. Регер, Е. Черкасова, История древнего мира, I, М., 1979
117. А. Скрипник, Культурология, М., 2006;
118. А. Тойнби, Постижение истории, М., 1991
119. С. Токарев, Ранные формы религии, М., 1990;
120. М., Фасмер, Этимологический словарь русского языка, I-IV, М., 1986-1987;
121. Дж. Дж. Фрэзер, Золотая ветвь, М., 1980;
122. Т. Шамахова, Х. Пхитикова, Хатты в древних языках и культурах, Нальчик, 2015;
123. К. Шмидт, Они строили первые храмы, 2011.

# დანართი

# გვარ-ტომი და ფუძე-ენა

## ლიდერი და მიკრო-წრე

ადამიანთა მცირე ჯგუფი აყალიბებს რელიგიას, ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, მეცნიერებას, ფილოსოფიას. მას ჰყავს წინამორბედები, რომლებიც ამზადებდნენ ინტელექტუალურ ატმოსფეროს. მათ მიჰყვება უამრავი მიმბაძველი და მიმდევარი, მათ გადააქვთ კულტურა მასებში, თაობიდან თაობაში.

12 ძე ჰყავდა ბიბლიურ იაკობს, რომელთაგან წარმოსდგა ისრაელის 12 ტომი (ირანული ტოჰმ ნიშნავს გვარს, ნათესავს, ძველქართულ „სახლს“).

ქრისტეს 12 მოციქული ჰყავდა, მაგრამ მისი იდეა 2000 წელია ცოცხლობს და ჰყავს აურაცხელი მიმდევარი, წმინდანი და წამებული.

ადამიანთა მცირე ჯგუფი ჰყავდა კორტესს, როცა მექსიკა დაიპყრო; 122 ინგლისელი პურიტანელი ჩავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში 1620 წელს, რომელთა ერთიანობისა და რწმენის იდეა დაიცვეს და განავრცეს შთამომავლებმა.

ასეთ მიკრო-წრეში არის კონდენსირებული ენერგია, როგორც კვერცხში ჩანასახი, რომლისგანაც მოდის სიცოცხლე.

მცირე ჯგუფი ანუ ელიტა ქმნის სახელმწიფოსა და კონტრკულტურას, რომელსაც ელის უნივერსალიზება. იგი უმცირესი ქმედების პრინციპით, იზოლირებული აგრესიულ ძალთაგან, აყალიბებს თავის წრესა და წარმოდგენებს; რაც უფრო მტკიცეა და მონოლითური, იმდენად აქვს გაშლის პერსპექტივა.

ამ მცირე ჯგუფს ანუ სუბკულტურის ელიტას ჰყავს ლიდერი. ის არის ძალისა და იდეების გენერატორი, როგორც ქრისტე, მუჰამედი, ჩინგის ხანი, ნაპოლეონი, ჰიტლერი თუ სტალინი. იგი

კრავს და აერთიანებს ამ ჯგუფის ინტერესებს, აძლევს ხედვისა და მოქმედების მიმართულებას.

ასეთივე პრინციპით ხდებოდა უძველეს დროში გვარ-ტომისა და ფუძე-ენის კრისტალიზება. მაგ., გამყრელიძე-ივანოვის თეორიის თანახმად, პრაინდოევროპელთა მიგრაცია წინააზიიდან ბალკანეთისა, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ნახევარკუნძულისაკენ, შემდეგ – ვოლგისა და დნეპრის გავლით ევროპისაკენ.

გენეტიკოსთა აზრით, ინდოევროპული ტომების სამშობლოა ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპები, საიდანაც 4.500 წლის წინათ გადასულან ცენტრალურ ევროპაში.

ეს იყო დერივაციული, აგრესიული, შედარებით სწრაფი პროცესი. მის დამწყებ და წარმმართველ ლიდერებს ეთნარქები ერქვათ ან ღმერთებად ჰყავდათ გამოცხადებული.

ყველა დიდი მდინარის სათავე მცირე წყაროა.

არსებობდა მეორე გზაც – ეს იყო პრიმიტიული ტომების ენების თანდათანი შერწყმა, როცა მრავალი მეტყველება ერთმა-ნეთში ირეოდა, ერთმანეთში იძირებოდა.

ეს არის დროში გაწელილი კონვერგენციული, მშვიდობიანი პროცესი, რომელსაც არ ჰყავს ლიდერი და მხოლოდ ლეგენდამ უნდა დაამკვიდროს (მაგ., კავკასიელთა თარგამოსი, ქართველთა ქართლოსი).

ამღვრეული პროცესის დაწმენდას მოსდევდა ახალი ენის წარმოშობა, რაც რაღაც ფაქტორით უნდა მომხდარიყო.

ინტეგრირებას პარალელურად ახლდა დიფერენცირებაც (არნ. ჩიქობავა) ისე, რომ ახალი მეტყველება ვერც ასწრებდა დროში გამყარებას, ტერიტორიულ განფენას.

მთიდან დაქანებული ნიაღვრის ტოტები ბარში ერთმანეთს ერთვიან ერთ მდინარედ, გუბდებიან ერთ ტბად.

## ფუძე-ენის არსი

ფუძე-ენა არის ლინგვისტური აბსტრაქცია, წარმოსახვაში შექმნილი ხელოვნური, სამუშაო მოდელი თუ აღდგენილი რეალობა?

თუ რეალობაა, როდის, სად და რა პერიოდში არსებობდა, როგორ წარმოიქმნა, ვინ იყვნენ შემქმნელი ტომები?

ეს არის ინტერესის საგანი, როცა ჩავდივართ პრეისტორიის ქვესკნელში, როგორც სპელეოლოგი-მღვიმეში.

ენათმეცნიერთა წარმოდგენით, საუკუნეების მანძილზე, ვრცელ არეალში მოქმედებდა პრა-ენა, რომლის დაშლას მოჰყვა ენათა ოჯახების შექმნა. ოჯახებს კი გამოეყო ჯგუფები და ენები.

ლინგვისტური რეკონსტრუქციით აღადგენენ ამ ჯგუფებისა და ენების საწყის ძირებს (მაგ., ინდო-ევროპულს თუ სემიტურს), რომელსაც ფუძე-ენას უწოდებენ.

ეს მითიური ფუძე-ენა არის გაქვავებული სტრუქტურა, რომელსაც ეყრდნობიან, რომელსაც ეძებენ და რომლიდანაც იწყებენ ათვლასა და შედარებას.

ზოგი სულაც ფანტასტიკას გვთავაზობს, რომ თითქოს 100.000 წლის წინათ არსებულა პრაენა, რომელიც 15.000 წლის წინათ რამდენიმე ოჯახად გაყოფილა!

ვ. ივანოვის აზრით, ეს არის ინდო-ევროპული, იბერიულ-კავკასიური, აფრ-აზიური, დრავიდული, ურალური, ალტაური ენების ოჯახები.

არ ეჭვობენ თუ როგორ უნდა ემეტყველათ ველურებს 80.000 წელი ერთი ენით მთელს მსოფლიოში, როცა დაცილებულ გეოგრაფიულ წერტილებს შორის არ არსებობს კომუნიკაცია.

ეს თვალსაზრისი ემყარება მონოცენტრისტულ კონცეფციას, რომ თითქოს დედამიწის ერთი წერტილში გაჩნდა ადამიანი და შემდეგ მისი შთამომავლები გადავიდნენ სხვადასხვა კონ-

ტინენტზე; წავიდნენ და წაიღეს პრაენაც, რაც პრობლემის მითოსურ-რელიგიურ ახსნას ჰგავს. ეს რომც ვირწმუნოთ, 80.000 წელი ენა მაინც შეიცვლებოდა, არათუ ვრცელ, არამედ – ვიწრო არეალშიც.

მითუმეტეს, რომ ადამიანის ბიოლოგიური სრულქმნა გრძელდებოდა.

## მონოცენტრიზმი და პოლიცენტრიზმი

ასე რომ, პრა-ენისა და ფუძე-ენის საკითხი უკავშირდება ანთროპოლოგიას, კერძოდ – მონოცენტრიზმსა და პოლიცენტრიზმს, ნეანდერტალური ადამიანური ფაზისა და პრე-საპიენსის თეორიებს, ე. ი. ჰომო საპიენსი არის ერთი ტიპის ჰომინიდის – შიმპანზეს ევოლუციის შედეგი თუ არსებობდა მრავალი შტო, რომელთაგან ზოგი გადაშენდა ან ერთმანეთს შეენაცვლა და შეეზარდა.

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ევროპის, აფრიკისა და აზიის კონტინენტზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა სამი რასა – ევროპეიდი (თეთრი), ნეგროიდი (შავი) და მონგოლოიდი (ყვითელი). მათ შიგნით კი იყო მრავალი შტო (როგორც დღეს ერებია), რომელთაგან ზოგის განვითარება დაკონსერვდა, ზოგი – გაძლიერდა და გაიშალა. გამოიყო ახალი სახეობებიც, მოხდა შერწყმაც.

ადამიანის ევოლუცია არ უნდა ყოფილიყო სწორხაზოვანი განვითარება, მუდმივი აღმასვლა და სრულყოფა.

ნეანდერტალელის ტიპის ადამიანის გარდა შეიძლება არსებულიყო სხვა სახის ადამიანებიც. ამას ადასტურებს ჩინეთში ახლად აღმოჩენილი ე. წ. „წითელი ირმის ადამიანის“ ძვალთა ფრაგმენტებიც, რომლის ასაკია მხოლოდ 14.500 წელი.

ბევრი თვლის, რომ ნეანდერტალელი არც ყოფილა Homo

sapiens-ის წინაპარი, რომ ადამის მოდგმის სამშობლო აფრიკაა. ახლახანს სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ მღვიმეში სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს Homo Sapiensi-ს მონათესავე ჰომო ნალედის თავის ქალები და ძვლები - ასაკი 3 მლნ წელი.

თეორიებს თავი რომც დავანებოთ, ისედაც ცხადი უნდა იყოს, რომ დიდ გეოგრაფიულ არეალში, როცა ტომები იზოლირებულად ცხოვრობენ, როცა არ არსებობს გამაერთიანებელი ფაქტორები – სახელმწიფო, ეკლესია, დამწერლობა, გზა – ენა ვერც ერთგვარი და ვერც უცვლელი ვერ იქნებოდა.

რეალურად უნდა არსებულიყო არა პრა-ენა – Lingua Adamica, არამედ – ამეტყველების ერთნაირი პროცესი, როგორც ბიოლოგიური ბაზისი (ერნსტ კასირერი).

## პროტო-ენები და ტომები

დარჩება ფუძე-ენა და პრა-ენა სიმბოლურ ცნებებად თუ არ შეიცვალა მათი სტატიკური გაგება, თუ არ გავიაზრეთ წარმომშობი პროცესები, მათი რეალური სახე.

საწყისი წერტილი, საწყისი ბიძგი აქვს ყველაფერს, ყოველ მოვლენას. როგორც ვთქვით, ასეთი საწყისი უნდა ყოფილიყო ენობრივი ბირთვი, როგორც კვერცხუჯრედი, რომელიც ჰქონდა ერთ, სისხლით ნათესავ კლანს და გადადიოდა ფრატრიებსა და ტომზე.

იგი არ გამოდიოდა ე. წ. პრა-ენიდან, არც რომელიმე ე. წ. ფუძე-ენიდან.

ენობრივი ბირთვები, პროტო-ენები, მინიმალურ ლექსიკასა და გრამატიკულ პრაფორმებს რომ შეიცავდა, უამრავ ტომს ჰქონდა.

ისინი სამივე კონტინენტზე იყვნენ გაფანტულნი.

პროტო-ენების განვითარებულმა რელიქტებმა მოაღწია ისტორიულ პერიოდამდე (მაგ., ალბანური ითვლიდა 26 ენას) და

თანამედროვეობამდე (მაგ., დაღესტნელებს 20 თუ 28 ენა აქვთ. მათგან – 5 სამწერლოა).

ამჟამად მსოფლიოში 5.000-მდე სხვადასხვა დონის ენაა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნით კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებსა და ტომებს.

ისინი გვაჩვენებენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინდოევროპული, სემიტური თუ იბერიულ-კავკასიური ენების პროტომეტყველება მათ ოჯახებად ინტეგრირებამდე.

ავსტრალიური ტომები XX საუკუნის ბოლოს ითვლიდნენ 600-მდე ენას. მათგან თითქმის გამქრალია 450.

მალაიზიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახში შედის 500-მდე ენა.

აფრიკაში დღესაც ცოცხლობს 1.000-მდე ენა.

მათგან ნიგერ-კონგოს ოჯახი აერთიანებს 900-მდე ენას.

ასევე მრავალი ენა შემორჩათ ამერიკელ ინდიელებს, მათ მცირერიცხოვან ტომებს.

მაგ., ათაბასკური შეიცავს 20 ენას, ალგოკინური – 13 ენას, პენუტიური ენების ფილუმი – 24 ენას.

სამხრეთ ამერიკაში ანდურ-ეკვატორულ ენათა ფილუმი ნაწილდება 14 ოჯახად. მათგან ერთ-ერთ, არავაკულ ოჯახში შედის 100 ენა.

ულპანო-კარიბულ ფილუმში 200 ცოცხალი ენაა.

ყველა ტომი თავის ენაზე მეტყველებს, როგორც ეს იყო ათასწლეულების წინათ ევროპასა და აზიაში.

ასევე დღესაც პროტო-ენებია პაპუა ენები. ჭირს მათი ნათესაობის დადგენა. არც ისინი აღმოჩნდნენ ინტეგრირებული და შერჩათ უძველესი, პრიმიტიული მეტყველება.

მათ ახალ გვინეის ენათა ფილუმს უწოდებენ (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, თ. შადური, ნ. შენგელაია).

საქართველოს ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრ დიოსკურიაში, პლინიუსის (ახ. წ. I ს.) ცნობით, 300 თავ-თავის ენაზე მოლაპარაკე ტომი იყრიდა თავს. იქ რომაელები 130 თარჯიმანს იყენებდნენ.

პროტო-ენების გამსხვილება და გავრცელება ტომების ასიმილირებას ან გაწყვეტას უკავშირდება, ეს პროცესი – ომებს, ომები კი – ტექნიკის გაჩენას, შუბსა და მშვილდ-ისარს, ბრინჯაოს ცულებსა და მახვილებს, ე. ი. კულტურასა და ცივილიზაციას.

ომი ახალი დროის მოვლენაა. ომებით იწყება ცივილიზაციის პროგრესი და კულტურის განვითარება, რადგან ეს არის როგორც გამოცდილების ათვისება, ისე ძალთა მაქსიმალური გამოვლენა და კონცენტრირება, პირველადი ბარბაროსული ინტეგრირება (მაგ., დაპყრობა, მოსახლეობის დეპორტაცია, ტყვეთა შემოყვანა, საცხოვრისების გავრცობა, ღმერთების სიკვდილი, ჭარბი ენერგიის მოპოვება).

## გვარ-ტომი და დედა

ადამიანთა ჯოგი დაშალა და გვარ-ტომი გამოყო დედის ფაქტორმა.

ტომის სათავეში, როგორც ვიცით, ყველგან დედა იდგა, რომლის ტოტემ-გვარი შვილებს გადაეცემოდა, რადგან სექსსა და ბავშვის დაბადებას ერთმანეთთან ვერ აკავშირდებდნენ.

ომებმა წამოსწია ქურუმ-ბელადის – მეომარი ლიდერის როლი, რომელსაც სარჩო მოჰქონდა და ტომსაც იცავდა.

დედის გვარი (უძველესი ფორმით – გოვარი) თანდათან მამის გვარით შეიცვალა, რაც ნიშნავდა ტოტემის ფუნქციის სახეცვლას და ძალის აღიარებას, ძალაუფლების აღმატებას მშობლიურობასა და ნათესაობაზე.

ტოტემის ადგილს იკავებენ ღმერთები, გასაგები ხდება მამის როლიც. თუმცა ინერციით კვლავაც დიდხანს რჩება ქალის

უპირატესი ნიშნები (მაგ., ეგვიპტის ფარაონის ტახტი გადადიოდა ქალის ხაზით, რის გამოც ძმა დას ირთავდა. თავდაპირველად ასევე იყო ხეთებში).

გვარ-ტომი ემორჩილებოდა ტაბუსა და ტოტემის კოდექსს, აკრძალვათა სტიქიურ სისტემას, ინცესტის შიშს.

ინცესტის ტაბუირება ნიშნავდა ტომის, კლანის ფარგლებიდან გასვლას, უცნობი სივრცის მოხილვას, სხვა ტომთან ადგილობრივ კავშირს, ქალთა მოტაცებას თუ თხოვას – გაცვლას.

ასე იქმნებოდა ფრატრიები – ტომთა კავშირები, რაც სისხლისღვრის გარეშე ვერ მოხდებოდა (შდრ. ბერძნულში პერსეფონეს, მედეას, ელენეს მოტაცება).

ინდო-ევროპულში სიტყვა ქორწინება ფორმირდება გაცვლიდან ან ძალით წაყვანიდან – მოტაცებიდან.

ასევეა ქართულშიც. შდრ. თხოვება და ქორ-წილი. ქართ. ქორი– სახლი მთაზე, ქორედი – სახლი სახლზე, სვან. ქორი – სახლი.

აქედან – ქორა მახვში, სახლის ანუ გვარის უფროსი (შდრ., გამოთქმა ოჯახ-ქორი).

ქორ არის იგივე გორ (გორა), რომლის ბინადარნი ქმნიან გუარს (გოვარს).

წილ მეგრულსა და ლაზურში აღნიშნავს კრეფას, მოწყვეტას ანუ თავდაპირველად ქორწილი უნდა ყოფილიყო სახლის ანუ გვარის მიერ ქალის უცხო მიწიდან მოწყვეტა-მოტაცება, რასაც ზეიმობდნენ, როცა განსაცდელი დაძლეული იყო:

იგი იქცეოდა გორის (ქორის, ბორცვის) ბინადარის წილად, საკუთრებად. ამ გორა-გუარის მოსახლეთ სახელი გადაეცემათ ტოტემისაგან დედის მიხედვით.

გა-თხ-ოვ-ებ-ა მოდის თხ-ძირიდან და ნიშნავს ქალის სხვაზე თიხაზე, სხვა მიწაზე გადასვლას, ქორის (გორის, გუარის) შეცვლას.

## მიგრაცია და ასიმილირება

გამარჯვებული თუ ბუნების კატაკლიზმებს გადარჩენილი ტომი იმორჩილებდა და იერთებდა დამარცხებულ, დასუსტებულ ტომებს, სპობდა ან გადმოჰყავდა თავის ენაზე, თანაც მსხვილდებოდა და იკავებდა ახალ-ახალ ტერიტორიას, განავრცობდა ოიკუმენს, ამრავლებდა თავის მოდგმას, რომლის განშტოებები ჯერ დიალექტებად, შემდეგ დროთა მანძილზე, ისტორიულ ვითარებათა შესაბამისად, ენებად იქცეოდნენ.

მაგ., მეგრულ, ჭანურ და სვანურ ენებს არასდროს ჰქონიათ დამწერლობა ანუ ფიქსირებული ისტორია თავიანთ ენაზე. არავინ ზრუნავდა მათ დაცვასა და დახვეწაზე. მაგრამ დღემდე ცოცხლობენ, იმიტომ რომ ცოცხლობს ამ ენებზე მეტყველი ხალხი.

ტომთა ასიმილირება ბუნებრივი, შედარებით უმტკივნეულო პროცესიც იყო, როცა იქმნებოდა ფრატრიები, როცა ერთი ტომის ვაჟებს კოლექტიურად მოჰყავდათ მეორე ტომის ქალები, ან როცა მეჯოგე ტომები გადადიოდნენ ერთიდან მეორე ადგილზე, იცვლიდნენ სამოვრებს, მუდმივად და სეზონურად.

კონფლიქტი შეიძლება მაშინაც წარმოქმნილიყო, მაგრამ დიდი მასშტაბი ვერ ექნებოდა. ხოლო ომებს წარმოშობდა და ამრავლებდა მიგრაციები.

როცა ველურთა მასა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უამრავ საქონელთან ერთად მოდიოდა, დამხვდურებთან შეტაკება გარდაუვალი იყო.

ისინი ეძებდნენ უკეთეს სამოვრებს, უკეთეს მიწას, წყალს, თბილ ჰავას. გვარ-ტომი იყოფოდა შიდაკონფლიქტების გამოც, რასაც იწვევდა ბრძოლა მდედრისა და სარჩოსათვის, ბრძოლა ლიდერობისათვის.

დამარცხებული თავს აფარებდა მთებს, უდაბნოებს, ყინუ-

ლეთს, სუსხსა და სიცივეს. მტერს აქეთკენ გული არ მოუწევდა, აქ თავისათვის სასარგებლოს ვერაფერს იპოვიდა.

შემდეგ, როცა ძლიერდებოდნენ ყინულეთის ბინადარნი, ახლა ისინი ეშვებოდნენ თბილი და მწვანე სივრცისაკენ. ასე შეიჭრნენ ინდოევროპელთა წინაპრები ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ძველი ბერძნები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველი გერმანელები – რომის იმპერიაში, ალტაელი თურქები და მონღოლები – შუა აზიასა და მცირე-აზიაში, ვიკინგები და ჰუნები – ევროპაში.

ის ტომები, რომლებიც ჩარჩნენ ყინულეთში, ვერც განვითარდნენ (მაგ., ციმბირული ტომები).

ასეთი მიგრაცია, სისხლიანი ადგილმონაცვლეობა იყო პირველადი ინტეგრაცია, რაც პერიოდულად მეორდებოდა ჰომინიდების ისტორიაში.

ასე იკვრებოდა სისხლით ნათესავ გვართა და ტომთა კავშირი, რაც მსგავს, ნათესაურ ენობრივ წრესაც წარმოქმნიდა.

ამიტომ ჩარჩა ქართულ ენაში ურალური, დრავიდული, მელანეზიური თუ აფრიკული ევეს ენის სიტყვები, რომლებთანაც ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ ნათესაობა, არც გეოგრაფია, არც ისტორია არ აკავშირებდათ (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

ქალების მოტაცებას, ისევე როგორც ცხვრების ფარის ან საქონლის ჯოგის წასხმას, შეტაკება მოსდევდა.

ამიტომ აიგივებდნენ სიყვარულს სიკვდილთან, ბრძოლასა და სისხლისღვრასთან. წარმოქმნილი შუღლი, სანადირო სივრცე, ფრატრიების გავრცობა და გადაადგილება იწვევდა ტომთა შეჯახებებს, რასაც ბელადი უძღოდა – ძლიერი მამაკაცი.

გვარ-ტომში, დედის წრეში დამკვიდრებული პროტო-ენა ბელადს გადაჰქონდა სხვა წრეში. მაგრამ თავად დედა იყო შე-

მოყვანილი სხვა გვარ-ტომიდან, რომელსაც შემოჰყვებოდა თავისი ლექსიკა და წარმოდგენები, რაც ერწყმოდა დამხვდურ ტომს და წარმოიქმნებოდა ენობრივი სიმბიოზი. ასევე კაცებიც გადადიოდნენ და რჩებოდნენ სხვა ტომში.

ქმრის ნათესავი ქალებიც სტოვებდნენ თავიანთ სამყოფელს, გვარ-ტომს, კარგავდნენ მშობლიურ წრეს და ახალ გარემოში მკვიდრდებოდნენ.

ქალთა თუ კაცთა გასვლა და შემოსვლა, ნებითი თუ ძალადობითი, მუდმივი პროცესი იყო ანუ სისხლის განახლებას ახლდა ენობრივი დიფერენცირებაც, ენობრივი განახლებაც.

ეს იყო როგორც ინტეგრირების, ისე დიფერენცირების სტიმული, სისხლით, ენითა და რწმენით როგორც შეკვრა, ისე განყოფა.

ქალი იყო გვარ-ტომთა დამაკავშირებელი, კაცი – სტუმარი, უცხო, რომელთანაც ქალმა ისიძვა. აქედან – სიძე. სულხან-საბას ახსნით, „სიძვა – უმეუღლეოსაგან ბოზობა“, „მძუვნობა – ძაღლთა და მხეცთ მაკინტლობა“, „მაკინტლობა – ზროხათა და ყურდგელთ მძუვნობა“. მაკინტლობიდან - მაკე. ძუ-დედალი ძაღლი (მეგრ. ჯუა, სვან. ჯუ).

გვარ-ტომთა კავშირს სისხლით ნათესაობა აერთიანებდა, რასაც ზელად-ქურუმი ორგანიზაციულ ფორმას აძლევდა. მაგ., კოლხური თი (სახლეული) იყოფა დინოებად, დინოები - ნოცოებად.

ტომის წევრები იყვნენ სხვადასხვა გვარ-ტომისა, მაგრამ სხვადასხვა დონის ნათესავები, მშობლები, შვილები, და-ძმები, გასული ვაჟები, შემოყვანილი ქალები, მათი შთამომავლები და ასე განივრცოდა როგორც ნათესავ-თავისიანთა წრე, ისე დაკავებული ტერიტორია.

მათ ერთი ენა ჰქონდათ – დედის ენა (დედა-ენა).

ეს მაშინ, როცა ხდებოდა ტომების მშვიდობიანი დანათესავება, პროტო-ენების გამსხვილება და თანდათანი შეზრდა,

საერთო ენობრივი ბაზისის ფორმირება, რაც იყო ჯერ ფილუმი, შემდეგ – ოჯახი.

მას ქმნიდა კონვერგენციული პროცესი, პროტო-ენების მშვიდობიანი შეზრდა, რაც შეიძლება საუკუნეები გაგრძელებულიყო (მაგ., იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის ჩამოყალიბება).

სტიქიური სესხების დროს ზუსტად როდი შენარჩუნდება სიტყვის მნიშვნელობა, ბგერათგანლაგება და ჟღერადობა.

მსესხებელი მაქსიმალურად აცლის მას უცხო კვალს, ელფერს და უმორჩილებს მშობლიური მეტყველების ბუნებას.

ამიტომ არის ქართულში უამრავი უცხო სიტყვა, რომელთა მშობლიურობა თითქოს უეჭველია (მაგ, ვერცხლი, სისხლი, ხე, მუხა, თიხა, ცა, სამარე, ველი), იმდენად არის შეზრდილი მეტყველებასთან.

ამ მხრივ ყველაზე თავისთავადია პროტო-ენები, რომლებშიც ფიქსირდება პირველად წარმოდგენათა წრე.

როგორც ვთქვით, ენას ცვლიდა ტომთა შეჯახება: მარცხი თუ ძლევა – სწრაფად, მშვიდი არსებობა – თანდათან.

მიგრაციული პროცესები, სწრაფი თუ შეუმჩნეველი გადაადგილება, ახალ-ახალი სივრცის ათვისება, დროში ურთიერთდაცილება უდევს საფუძვლად ინდოევროპული ენის დაყოფასა და განტოტვას.

ასევეა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

მათი ერთობა დაშალა მტკვარ-არაქსის კულტურის მომსპობმა ძალებმა, როცა ტომები განსახლდა სხვადასხვა მიმართულებით.

ამის შედეგად ენები ენათა ჯგუფებად იქცნენ, დიალექტები – ენებად. მაგ., ხურიტების ვრცელმა განფენამ წარმოშვა მათი სახელმწიფოები და გაერთიანებები, შესაბამისად დაიყო მათი ენაც.

ასევე მოხდა, როცა განადგურდა თრიალეთის კულტურა.

ამის შემდეგ ფორმირდება ქართული და კოლხური ენები. ხოლო ის ენა, რომლითაც მეტყველებდნენ –კვდება.

მიგრაცია და ომები სპობდა ენის წარმომშობ ტომებს და ენებიც მათთან ერთად იღუპებოდა.

მათ ადგილს იკავებდა ადამიანთა სხვა ერთობა.

დაპყრობითი ბრძოლებით ტომი ავრცობდა თავის მცირე ოიკუმენს, შთამომავლებს გადაჰქონდათ მეტყველება ვიწრო, ნაცნობი გარემოდან უცხო და ვრცელ ველებსა და მთებზე.

ერთი ტომის მეტყველება იქცეოდა სხვა მრავალი ტომის ენად, თუმცა თავადაც იცვლიდა ლექსიკასა და ფორმებს, როგორც მიწაში ჩაგდებული ერთი მარცვალი იქცევა მრავალმარცვლიან მცენარედ.

ეს იყო ენობრივი ოჯახის ჩამოყალიბების, თანდათანობითი აგრესიული გავრცობის დერივაციული პროცესი, როცა ერთი გვარ-ტომი, ერთი ლიდერი, ერთი რეალურად არსებული ეთნარქი იყო ეთნოსის ფუძემდებელი, დამწყები.

მძაფრი პროცესები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იშლება და ენაში იჭრება როგორც სემანტიკა, როცა საგანი თუ მოქმედება სიტყვის გარსში ვერ ეტევა, გასდრეკს მას და იწვევს ფორმის ტრანსფორმაციას.

ეს არის შინაგანი პოტენციალის განვითარება, შინაგანი კანონზომიერების არაცნობიერი გამოვლენა, რომლის მექანიზმი უამრავი მაგალითით აქვთ ახსნილი თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვს.

ლექსიკის სიმცირე და გრამატიკული ლაბილობა, მარტივი ფორმები აიოლებდა შერწყმას, გაქრობას, ახალი ენის ფორმირებას. დროთა მანძილზე იკარგებოდა წარმომავლობის კვალი ან რამდენიმე პლასტი შეეზრდებოდა ერთმანეთს. ამიტომ ის, რაც ჩანს, რისი მიგნებაც შეიძლება, არ სცილდება რამდენიმე ათასწლეულს.

დროის ბარბაროსულ სრბოლაში ჩნდებოდა და ქრებოდა

უამრავი პროტო-ენა, ვიდრე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები და მათი წინამორბედი პირველადი კულტურები, ცივილიზაციური ნიშნები ჩარჩოში არ მოაქცევდა რღვევა-შექმნის პროცესს.

აქ იგივე განმეორდა, რაც ადრევე მოხდა რწმენა-წარმოდგენების ფორმირების პროცესში, რომელიც დაიწყო საგანთა სახელდებით, მათი სულებად აღქმით და ბგერადი ფიქსირებით, რომელთაგან გამოიყო სიმბოლური წარმომშობი ძალა – ტოტემი ანუ მთავარი სული, რომელიც ჰქონდა მცენარეს თუ ცხოველს. მრავალსულიანობა კი გადავიდა მრავალღმერთიანობაში. შემდეგ გამოიყო მთავარი ღმერთი, ბოლოს კი დარჩა მხოლოდ ერთი ღმერთი.

რელიგიურ წარმოდგენებს აწესრიგებდა ქურუმი, ხოლო ენას და ურთიერთობებს – ქურუმ-ბელადის აგრესიული მოქმედება.

ქურუმები მნიშვნელობას, ადგილსა და ფუნქციას აძლევდნენ ფეტიშიდან და ტოტემებიდან, საგან-სიტყვებიდან წარმოქმნილ ღმერთებს, ხლართავდნენ რთულ სისტემას, განალაგებდნენ ერთიანი პრინციპით (მაგ., ადგენდნენ ტრიადებს), თხზავდნენ მათ უჩვეულო ისტორიას, მათ სახელობაზე დგამდნენ სისხლიან რიტუალებს, როგორც სპექტაკლებს, სადაც ერთიანდებოდა როკვა, სიტყვა, ჰანგი, მუსიკა, დრამა.

მასში მონაწილეობდა მთელი ტომი და ღვთაებას განადიდებდნენ, რწმენას განამტკიცებდნენ სამსხვერპლო პირის თუ შეწირული ცხოველის სისხლით, რომელსაც ყველა ეზიარებოდა.

ეს პროცესი წარმოქმნიდა პრა-ხელოვნების ფორმებს, ანაწევრებდა მათ, მათ შორის – მეტყველებასაც.

რიტუალის რეჟისორი იყო ქურუმ-ბელადი.

ასე რომ ათასეული და ათიათასეული წლები ერთი, ენათა კონსერვატიული ოჯახი ვერ იარსებებდა, ვერც დიდ მანძილზე იქნებოდა განფენილი, რომც ჰქონოდა რელიგიური და სახელმწიფოებრივი სალტეები.

## პროტო-ენები, ფილუმი და მეტა-ენა

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გენეტიკური ერთიანობა არაერთ გამოჩენილ სპეციალისტს საეჭვოდ ან მხოლოდ ჰიპოთეზად მიაჩნია, რადგან აქ ნაკლებად არის ისეთი კონკრეტული ნათესაური ნიშნები, რაც აქვს ინდო-ევროპულ ენებს (მაგ., რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა).

მიზეზი არის სწორედ წარმოშობა, ფორმირების პროცესი.

იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენა ყალიბდებოდა არა ერთი გვარის დომინანტობით, არამედ – სტიქიური, თანდათანობითი შეზრდით, მშვიდობიანი თანაარსებობით, რაც გულისხმობს დროის ვრცელ ლოკალსაც. „პირველად ბულიონში" იხარშებოდა ტომები და ენები.

ეს უნდა ყოფილიყო როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის წრე, ისე ის დროც, ის კონტაქტებიც, რამაც მოამზადა ამ კულტურის ერთგვაროვანი სპეციფიკა (ძვ. წ. V-IV ათასწლეულები).

აქ პროტო-ენები ერთმანეთთან სიახლოვით ქმნიდნენ ფილუმს, მსგავს სამეტყველო ფონსა და ფენას, რომლიდანაც რაღაც ძალით (ზელადი, ქურუმი, ეპიდემია, მიგრაცია, მიწისძვრა, ბრინჯაოს აღმოჩენა) გამოიკვეთა მეტა-ენა, რაც იქცა ფუძე-ენად.

დანარჩენები დარჩნენ პარალელურ დიალექტურ ფორმებად, ტომთა მეტყველებად.

ამ მეტა-ენას მასაში ავრცელებს და ამკვიდრებს რელიგიური რიტუალები, ღმერთები, მოსახლეთა, მესაქონლეთა თუ მჭედელთა გადაადგილება, ქორწინება, სტიქიური უბედურება. შემდეგ კი სივრცეში განიშლება.

ასე მოხდა მტკვარ-არაქსის მატერიალური კულტურით გაერთიანებულ ტომებში ინტეგრირებული მეტა-ენის რამდენიმე ჯგუფად გაყოფა (ხურიტული, ხათური, ქართველური).

პროტო-ენების, დიალექტების თუ ენების მტარებელ ტო-

მეზს სახელებიც ხშირად ეცვლებოდა, რაც აირეკლავდა როგორც შინაგან, ისე გარეგან პროცესებს, აირეკლავდა ძალთა გადაადგილებას, მეზობელთა დამოკიდებულებას, განსაკუთრებით – ბარბაროსებში.

ამას შენიშნავდა სტრაბონი.

არათუ უშორეს დროში, ბოლო ორი საუკუნის მიჯნაზეც კი მკვეთრად შეცვლილა ჩრდილო კავკასიურ ენებში ლექსიკური ძირები.

ისტორიული მოვლენები, განვითარების დინამიკა ასევე ცვლის სიტყვის აზრობრივ მნიშვნელობას, რომლის არაერთ მაგალითს ვეცნობით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“.

## ფუძე-ენა და დიალექტები

ენობრივი ბირთვების, სხვადასხვა დონის პროტო-ენების შერწყმა კონკრეტულ დრო-სივრცეში ქმნის მეტა-ენას ანუ ფუძე-ენას, რომელიც ისევე სწრაფად ქრება, როგორც რკო, რომლისგანაც მუხა აღმოცენდა.

ვრცელ გეოგრაფიულ არეალსა და დროის ლოკალში ყოველი ენა იშლება დიალექტებად, დიალექტები – ენებად ყალიბდება თუ არ წარმოიშვა მათი ისევ ერთად შემკრები ძალა, თუნდაც ჰქონდეთ ნათესაური წარმომავლობა.

მაგ., ინდოევროპულ ენათა ოჯახი დაიყო ჯგუფებად, ერთი ძირისაგან წარმოიქმნა მრავალი ენობრივი ჯგუფი (ირანული, ინდური, რომანული, გერმანული, სლავური, კელტური, ანატოლიური, ბერძნული, სომხური) და კიდევ უფრო მრავალი ენა – ამ ჯგუფების დაშლა-განშლის შედეგები, დიალექტებზე რომ არაფერი ვთქვათ.

რეალურად საწყისი იყო ენობრივი ბირთვი, რომელიც ოდესღაც წარმოიქმნა ერთ წრეში, ეკუთვნოდა ერთ გვარ-ტომს.

ასეთი ენობრივი ბირთვი უამრავი იარსებებდა, პერიოდულად რომ ტომებთან ერთად ჩნდებოდა და ქრებოდა.

მათგან მხოლოდ რამდენიმეს ეწერა გადარჩენა და გამრავლება, როგორც ეს ხდება ბრძოლის ველად ქცეულ სამყაროსი, ანდა იმ უამრავ რკოს შორის, მუხის ტოტებიდან რომ ცვივა და მხოლოდ რამდენიმე აღმოცენდება.

ენობრივი ბირთვის გაშლა ისევე დაედო საფუძვლად ენას, როგორც ინდუისტური პრაჯაპათი – სიცოცხლეს.

ასახელებენ 30-ზე მეტ ქართველურ ტომს, რომელთა სახელები დააფიქსირეს ძველი დროის წარწერებმა და ისტორიკოსებმა, მაგრამ რამდენი ჩაიკარგა ისტორიის წყვდიადში – არავინ იცის.

ეს 30 ტომიც მონათესავენი იყვნენ, იცვლიდნენ სახელებს, საზღვრებს, განფენის არეს, წეს-ჩვეულებებს, რაც ენაში აირეკლებოდა.

შდრ. – 1900 წელს ამაზონის აუზში ცხოვრობდა 230 ტომი.

სტრაბონის ცნობით, მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა 300-მდე ტომი ( ძვ. წ. I საუკუნე).

ჰეროდოტე წერს (ძვ. წ. V ს.) მრავალ კავკასიურ ტომზე, რომლებიც ტყის მცენარეთა ნაყოფით იკვებებოდნენ.

გვარ-ტომის წარმატება და გამარჯვება, დემოგრაფიული ექსპანსია უზრუნველყოფდა მისი ენის გავრცელებას. ახლა იგი იქცეოდა ფუძე-ენად და ყლაპავდა სუსტი ტომების ენებს. შეიძლებოდა ეს დროებითი მოვლენაც ყოფილიყო, შემდეგ კი იგი შეეცვალა სხვა გვარ-ტომს.

განმეორდებოდა იგივე პროცესი.

ასე გორგალივით ბრუნავდა სიტყვათა ლაშქარი, იღუპებოდა და აღდგებოდა. როგორც ტაძრის კედელში ქვები, ისე რჩებოდა ენის შრეში ასიმილირებული სიტყვების კვალი. ხოლო ენობრივი განტოტვა, ახალი ენებისა და დიალექტების წარმოქმნა იყო

ბირთვის გაშლა, თესლის აღმოცენება ანუ გვარტომის დიფერენცირება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ძალადობრივად თუ ნებაყოფლობით იქმნებოდა ტომთა კავშირები, ისინი საუკუნეების მანძილზე სტიქიურად აყალიბებდნენ საერთო ენას, ერთმანეთისათვის გასაგებ მეტყველებას. ეს იყო სტიქიური კომპრომისი, სტიქიური ინტეგრაცია.

ასე უნდა მომხდარიყო ფუძე-ენის ფორმირება, რომელსაც სტატიკურ თეორიულ საყრდენად კი გამოდგება. მაგრამ ვერ იქნება პრეისტორიული ენათწარმოქმნის რეალური სურათი – „ფუძე-ენა რეგულატიური ცნებაა“ (არნ. ჩიქობავა).

## ფუძე-ენა და სივრცე-დროის ლოკალი

ინდო-ევროპული ენების გავრცელების გეოგრაფია – ეს არის ერთი ძლიერი ტომის მიერ სწრაფი და თანდათანობითი გადაადგილებით სხვა ტომთა ასიმილირება ან ცარიელი სივრცის ათვისება, რომელსაც შემდეგ სამშობლო დაერქვა. ეს პროცესიც მრავალი საუკუნე გაგრძელდა.

ახალ დროში ასე მოხდა, როცა ოსმან პირველმა თავისი საუფლისწულო მამული აქცია იმპერიის საწყისად, გვარი – დინასტიად, სახელი – ქვეყნის სახელწოდებად, კაის ტომი – გაბატონებულ ეროვნებად თურქ-სელჯუკებს შორის.

ასევე ჩინგიზ ხანმა თავისი ტომის, თავისი ენის, თავისი გვარის გარშემო შეაკავშირა მომთაბარე მონღოლური ტომები და წარუძღვა მსოფლიოს დასაპყრობად.

როგორც ვთქვით, ძველ დროში ასეთი ლიდერის სახელს შეესაბამება ლეგენდური ეთნარქი.

ფუძე-ენაც ეკუთვნის ერთ მცირე გვარ-ტომს, რომელსაც თავისი შორეული წარსული და ჯოგური ცხოვრებიდან წამო-

ყოლილი ლექსიკა ჰქონდა (მაგ., თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ინდოევროპელთა პრასამშობლოდ მიიჩნევენ ვიწრო არეალს – ანატოლიის, სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილო მესოპოტამიის შესაყარს).

მისი გავრცელება მიგრაციებითა და ომებით ხდებოდა. ომებს მოსდევდა ბარბაროსული სისასტიკით სახელმწიფოებრივი ინტეგრირება და გენეტიკური მუტაცია (მაგ., რასობრივი და ანთროპოლოგიური სახეცვლა).

სადაც სივრცე ვიწროა და შეზღუდული, როგორც არის კავკასიაში, მესოპოტამიაში ან ბალკანეთზე, იქ ძლიერია კონკურენცია, ზეგავლენა, ჰეგემონის ცვალებადობა.

იქ ლიდერ ტომს არ ჰქონდა ახალი მიწების ათვისების პერსპექტივა. ამიტომ ის იცავდა მოპოვებულს და წინ ვერ იწევდა. აგრესიის შენელება იწვევდა დასუსტებას და მას იოლად იმორჩილებდა ახალი ველური და ბარბაროსული ძალა, რაც პერიოდულად მეორდებოდა პრეისტორიასა და ისტორიაში.

როგორც ვთქვით, იოლი იყო მცირე ლექსიკისა და საწყისი გრამატიკული ფორმების მქონე ენების ახლებური მოდელირება. ამიტომ ფუძე-ენა შეიძლებოდა არსებულიყო შეზღუდულ, ვიწრო სივრცე-დროის ლოკალში.

ის, რაც ცოცხალია, ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობას და საუკუნეთა მანძილზე არსებობას აგრძელებს ამ სახეცვლით.

დიფერენცირება უსასრულოდ გრძელდება, გრძელდება დღესაც, ისევე როგორც ინტეგრირება.

მოხდა ტომების გამსხვილება, სახელმწიფოს წარმოქმნა, შემდეგ – დაშლა, შერწყმა და კვლავ დაშლა.

ეს პრინციპი მოქმედებდა როგორც იბერიულ-კავკასიურ და ქართველურ ტომებში, ისე პროტო-ენებსა, ენებსა და დიალექტებში.

2011, ოქტომბერი

# ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საწყისები

ქართული ეთნოსი, ქართული კულტურა, მათი პირველადი ფორმები სათავეს იღებს ძვ. წ. III ათასწლეულიდან, ამიერკავკასიის ტერიტორიიდან.

საქართველოს თანამედროვე თუ ისტორიულ ტერიტორიაზე ნაპოვნ უძველესი ადამიან-მაიმუნის ნაშთებს, პალეოლითის, ნეოლითის, მეზოლითის და ენეოლითის არქეოლოგიურ საგნებსა და იარაღებს ვერც ქართველთა, ვერც სხვა რომელიმე ერის წინაპრებს ვერ მივაკუთვნებთ.

შელის, აშელის, მუსტიეს თუ ორინიაკის კულტურის ეპოქები კაცთა მოდგმის საერთო წარსულია, რომლის ერთგვარობიდან 5–6 ათასი წლის წინათ დაიწყო ცალ-ცალკე მობინადრე ველური თუ ბარბაროსი ტომების შერწყმა, შესაბამისად – ტომთა ენების ინტეგრირება.

ჩვენი წინაპრებისათვის ასეთი საწყისი ფუძე იყო მტკვარ–არაქსის მატერიალური კულტურა. იგი მოიცავდა ამიერკავკასიასა და წინააზიას (გარდა შავიზღვისპირეთისა), დღევანდელი ირანის ჩრდილო-დასავლეთს, ჩრდილო კავკასიას (ძვ. წ. 3.200–2.200 წ. წ.).

მისი შემქმნელები არიან, როგორც მიიჩნევს მეცნიერთა უმრავლესი ნაწილი, ძირითადად იბერიელ-კავკასიური, ნაწილობრივ – ინდო-ევროპული ტომები. მაგრამ არ ამოდიან ადგილობრივი ნეოლითური კულტურიდან (ბორის კუფტინი).

მატერიალური ერთიანობა არ ნიშნავს გენეტიკურ ერთიანობას. მაგრამ უძველეს დროში სწორედ სისხლით ნათესავ ტომებს

უნდა ჰქონოდათ კავშირები, რასაც მოსდევდა მატერიალური ერთგვაროვნობაც.

უძველეს დროში ყველა ტომი თავის პროტო-ენაზე მეტყველებდა (სიმონ ჯანაშია). ამ ენებს სიმყარე არ ჰქონდა და სწრაფად იცვლებოდა. ლექსიკური ფონდიც უაღრესად მცირე იყო.

ბევრი ტომი გაქრა, შეერწყა ერთმანეთს და მათი ენებიც გადაშენდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხებს ერთი ენა არ ექნებოდათ. მაგრამ ინტეგრაციის პროცესში ალბათ გამოუმუშავდათ ერთიანი ენობრივი ბაზისი: პროტო-ენები ერთმანეთს შეეზარდა.

III ათასწლეულში ჯერ არ არის ფორმირებული ქართული, სვანური და კოლხური ტომები. ისინი არ გამოყოფილან ნათესავ ტომთა სიმრავლიდან, შესაბამისად – არც ენები იქნებოდა გამოკვეთილი (თამაზ გამყრელიძე).

ამ დროს უკვე დაძრულია პრაინდოევროპული ტომები წინააზიიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით.

ენობრივი ერთობა თავდაპირველად ყალიბდება გარკვეულ წრესა და დონეზე, მოდის გვარ-ტომიდან, შემდეგ კი განიშლება.

ასე რომ პირველადი სიმრავლე იცვლება ინტეგრირებით, შემ-დეგ ისევ იწყება დიფერენცირება (სიმრავლიდან – ერთობისაკენ, ერთობიდან – სიმრავლისაკენ).

ჯერ სახელმწიფოებრიობა არ არსებობს, შესაბამისად – არც ომებია. ლოკალური კონფლიქტები საერთო წონასწორობას ვერ არღვევენ. ამ პერიოდში ომებს იწვევს მხოლოდ ტომების მიგრაცია. რაღაც მიზეზით საკუთარი საცხოვრისიდან აყრილი ნათესავი ტომები ეძებენ უკეთეს გარემოსა და მიწას, ან – გაურბიან მათთან მომდგარ მიგრაციის ტალღას (მაგ., აქადები შეიჭრნენ შუმერში, ებრაელები – ქანაანის მიწაზე, აქაველები, დორიელები და ეოლიელები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხეთები

– ხათების ქვეყანაში, ვედები – ინდოეთის ნახევარკუნძულზე, სკვითები და კიმერიელები – ამიერკავკასიაში...).

ისინი მკვიდრდებიან ახალ მიწაზე.

XXX

მტკვარ-არაქსის კულტურის ტომებს აქვთ ერთიანი სახის მოხატული კერამიკა, იყენებენ ბრინჯაოს იარაღებს, თაყვანს სცემენ ნაყოფიერების ღვთებას, რომელსაც ქალის სახე აქვს.

ამ კულტურის შემოქმედი ხალხი ერთგვაროვანი ჩანს – ეწევიან ბინადარ ცხოვრებას, არიან მიწათმოქმედნი, ხელოსნები, მჭედლები, მეთუნეები, მიწის დასამუშავებლად იყენებენ პირუტყვს, მისდევენ მესაქონლეობას.

კავკასიაც ის ადგილია, სადაც მიდიოდა მაიმუნის გაადამიანების პროცესი, სადაც უძველესი დროიდანვე იცნობდნენ ჯვარსა და სვასტიკას, კულტურულ მცენარეებს, მოიშინაურეს ცხვარი და ძაღლი, ცხოვრობდნენ ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში, აგებდნენ მეგალითურ ციხე-დარბაზებს.

აქაც ყოფილა გავრცელებული მენჰირები (ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მიწაში ჩარჭობილი ქვის სალოცავი თევზები).

მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ყალიბდება იბერიულ–კავკასიური ენობრივი ბირთვი, მაგრამ ამავე წიაღში დაიწყო დიფერენცირებაც.

რაღაც უცნობი მიზეზის გამო, შეიძლება უცხო ტომების შემოსევების შედეგად, III ათასწლეულის შუაწლებში ძირითადი მასა ტოვებს წინაპართა სამოსახლოებს, მიდიან დასავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ეს იყო პირველი დიდი გაფანტვა, სწრაფვა ახალი მიწებისაკენ, უცნობი სივრცისაკენ.

საერთოდ – ენის კვდომა ან მკვეთრი, რადიკალური სახე-

ცვლა უკავშირდება ისტორიულ პროცესებს – მარცხსა და დაცემას ან ნებაყოფლობით მიგრაციას, ხალხთა განტოტვას, ურთიერთიზოლირებას.

შეიძლება იბერიელ-კავკასიელთა მიგრაციის მიზეზი ასევე იყო გამრავლების ტემპი, ან ტომობრივი ინტეგრირება, რომელთაც უკვე ჰქონდათ სხვადასხვა ენა.

თავდაპირველი განყოფა უნდა მომხდარიყო ხურიტულ და ხათურ ტომებად, შესაბამისად – ენებად.

1. ხურიტული – მისგან განვითარდა ურარტული → ალბანური → ნახურ-დაღესტნური;

2. ხათური – მისი შემდგომი ეტაპებია ქაშქური და ქართველური.

ქართველურისაგან – ჯერ გამოდის სვანური, შემდეგ მოსოხურ-მესხური (ქართული), ქართულიდან – კოლხური; ქაშქურიდან → ქაშაგური → აფხაზურ-ადიღეური;

3. ინდოევროპულ–ნესიტური – აქედან გამოდის ლუვიური და ხეთური, ხეთურიდან–ლიდიური.

მუშქურ-ქართველურისგან გამოდის ჯერ სვანური მოსოხურ–მესხური (ქართული), შემდეგ – კოლხური;

შეიძლება ამ ნაკადის ერთი ნაწილი, რომლის ფორმირება შემდეგ მოხდა კოლხთა სახელით, გადასულიყო ეგეიდაში. მათი მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ პელაზგები, ეტრუსკები და ბასკები.

ეს თეორია, რომელიც ევროპელი მეცნიერებისა და ნიკო მარისაგან მოდიოდა, ერთხან ჩვენში დაამკვიდრა სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტმა.

შემდეგ დავიწყებას მიეცა. მაგრამ საუკუნის მიწურულს ისევ გაჩნდა ინტერესი (მაგ., რისმაგ გორდეზიანი, ზვიად გამსახურდია).

## XXX

კავკასიაში დარჩენილი ქართველური, ხურიტული და ინდო–ევროპული ტომები ქმნიან ახალ, თრიალეთურ კულტურას (ძვ. წ. 2000–1500 წ. წ.).

იგი არ გადასულა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთით კი წვდებოდა თანამედროვე არარატის ველსა და ყარსის მიდამოებს, როგორც აღნიშნავს არქეოლოგი ბორის კუფტინი, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების აღმომჩენი.

ამ დროიდან განსაკუთრებით აქტიურობენ ხურიტული ტომები, რაც გრძელდება ძვ. წ. VI საუკუნემდე.

ისინი იმორჩილებენ ასურეთს, აარსებენ ხურიტების სამეფოს, მითანს, შემდეგ – დიაოხსა და ურარტუს...

ხათური და ქართველური ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხურიტებთან.

ეს იყო უძველესი იბერიულ-კავკასიური ერთობა.

ხურიტული ტომები სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობდნენ. მაგ., ხეთასა და კოლხაში. ხურიტულია კოლხას დედაქალაქის სახელი ილდამუსა, სუფიქსი – ხი, რომელიც სადაურობას აღნიშნავდა (გიორგი მელიქიშვილი).

იგი აითვისეს ქართველურმა ტომებმა (კოლხი, სომეხი, მესხი, ზაბახა, კახი, ტაოხი) და ბევრს ქართულიც კი ჰგონია.

თრიალეთური ტომები ამზადებდნენ ერთგვაროვან პრიალა კერამიკას, მიცვალებულს წვავდნენ, ფერფლს ჭურჭელში ყრიდნენ, შეწირულებთან ერთად ათავსებდნენ ურნებზე და ასე ქვაყრილებში მარხავდნენ.

კრემაციას ძველი დროის სხვა მრავალი ხალხიც მიმართავდა (მაგ., სემიტები, ინდოელები, ბერძნები, გერმანელები).

ამ მხრივ თრიალეთელებიც ისე იქცევიან, როგორც ხეთები.

მიცვალებულს ყორღანებში მარხავდნენ ბედენური და თრიალეთური კულტურის მოსახლენი.

ასეთი საფლავები სხვადასხვა ზომისა იყო, ალბათ ქურუმი და ბელადი უფრო დიდ ადგილს იკავებდა. მაგ., ერთ ყორღანს უჭირავს მთელი ჰექტარი მიწა, აქედან დასაკრძალავ დარბაზს – 160 კვ. მ.

თრიალეთის კულტურა ცხენს არ იცნობს, არც რკინას. სიტყვა „თრიალეთიც“ არაქართულია – მოდის ერთ–ერთი კიმერიული ტომის სახელწოდებისაგან.

ამ კულტურის დაშლის მიზეზიც იყო შემქნელთა მიგრაცია, მეორე ტალღა, რომელმაც საწყისი მისცა დღევანდელი ეთნოსების ჩამოყალიბებას.

XXX

სუსტი ან არარსებული ცენტრალიზების გამო, ტომთა გაერთიანებაშიც მრავალ ტომს თავისი განსხვავებული მეტყველება ჰქონდა.

მსოფლიოში დღეისათვის ითვლიან 5.000-მდე ენას (ზოგი მეტს, ზოგი – ნაკლებს). მათგან განვითარებულია მხოლოდ რამდენიმე ათეული ენა, რომელსაც სიმტკიცეს ანიჭებს სახელმწიფო, ლიტერატურა და ეკლესია.

ძველ დროში კი, როცა არ არსებობდა სახელმწიფო სტრუქტურა, სუსტი იყო ყოველი კულტურული და ცივილიზაციური წარმონაქმნი, კონკრეტული ენაც სუსტი იყო და ლაბილური და მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეს აკავშირებდა.

ენათა სიმრავლიდან ის გამოიყოფოდა, რომლის მატარებელ ტომსაც შეეძლო სხვა ტომთა დამორჩილება ან მათში უსისხლოდ შეღწევის უნარი ჰქონდა.

თრიალეთის კულტურის შემდეგ ვრცელდება კოლხური კულ-

ტურა (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან I ათასწლეულის I ნახევრამდე). იგი გადადის ჩრდილო კავკასიაშიც.

აკად. ბორის კუფტინის აზრით, აღწევდა მცხეთამდე და დღევანდელ სამაჩაბლომდეც კი.

როგორც ვთქვით, მანამდე ათასი წლის წინათაც აღმოსავლეთიდან, მტკვარ-არაქსის კულტურის არეალიდან, წავიდნენ ჭოროხის აუზისაკენ, მცირე აზიისაკენ, შორეული დასავლეთისაკენ.

მაგრამ ამჯერად მობრუნდა მიგრაციის ტალღა და კოლხები დაუბრუნდნენ წინაპართა მიწას. კოლხური ტოპონიმები და მცენარის სახელები შემორჩა ქართლში (მაგ., ეგრისი, დუდეთი), თბილისში (მაგ., ვერე, დიღომი), ფშავ-ხევსურეთში (მაგ., ჭითახევი, ხუნწი), დუშეთში (მაგ., ჟინვალი), კახეთში (მაგ., ჯიმასყურე), თუშეთში (მაგ., სოფ. დოჭუ), სამაჩაბლოში (სოფლები – სკვირეთი, დოდოთი, ჟბა), არა მხოლოდ აჭარასა, იმერეთსა, გურიასა, მესხეთსა და ბორჯომის ხეობაში.

## XXX

ქართველური ტომების კონსოლიდირებისა და სახელმწიფოთა პირველადი ფორმების წარმოქმნისათვის დიდი მნიშვნელობა იქონია მეზობელი ქვეყნების, კერძოდ – მითანისა (XVI-XII ს.ს.) და ხეთას (XIX-XIII) დაცემამ და დაშლამ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ ისინი, თუ მთლიანად არა, დიდი ნაწილი მაინც.

ხეთების სამეფო მდებარეობდა ანატოლიაში.

იგი წარმოიშვა ქალაქ-სახელმწიფოების შერწყმით XVIII საუკუნეში. ადგილობრივი ხათები არც სემიტები იყვნენ, არც ინდო-ევროპელები. მაგრამ თანდათან შემოვიდნენ ინდოევროპელი ნესიტები და მათი ტერიტორია უსისხლოდ დაიკავეს, დემოგრაფიულად აითვისეს.

ხალხები და ენები ერთმანეთს შეერწყმა და წარმოიშვა ნესურ-ქანესური ანუ ხეთური ენა.

ნესიტებმა ისევე მიიღეს ხეთების სახელი, როგორც არაბებმა – ეგვიპტისა.

ნესიტების ხეთებისაგან გასარჩევად შემოიღეს ტერმინი – ხათური (პროტო-ხეთური).

ხეთებს ზოგი ანთროპოლოგიურად ბალკანურ ტიპს მიაკუთვნებს, ზოგი – ევროაფრიკულს.

ხათების ენას მიიჩნევენ იბერიულ–კავკასიური ენების, კერძოდ – აფხაზურ-ადიღეურის და კოლხურის მონათესავედ. იგი არსებობდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული ქაშქური, ქართული, კოლხური და სვანური ენები.

ხათების ის ტომები, რომელთაც შეინარჩუნეს თავის თავადობა, ქაშქების სახელითაა ცნობილი (შემდეგში – ქაშაგები).

ხეთების მეფის ტიტული იყო თაბარნა, დედოფლისა – თავანანა, უზენაესი ღვთაება – მზის ღმერთქალი, დედაქალაქი – ხათუსა.

ხეთები საბოლოოდ დამარცხდნენ ძვ. წ. 1200 წელს „ზღვის ხალხებთან“ ბრძოლაში და სხვა ხალხებში აღირივნენ.

ძველ დროშიც მნიშვნელოვანი იყო მეზობლობის, ურთიერთობისა და მეტოქეობის ფაქტორები, ოღონდ დროში იყო გაწელილი.

პროცესი შენელებულ კადრებს ჰგავდა.

მითანის დედაქალაქი იყო ვაშუქანი, მოსახლეობა – ხურიტული, მდებარეობდა შუამდინარეთის ზემო წელში.

იგი დაამარცხეს ხეთებმა და დაანგრიეს ვაშუქანი. შეიჭრნენ ასურელებიც (გიორგი მელიქიშვილი).

XII საუკუნეში მითანი დაიშალა. შემდეგ ხურიტებმა შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ.

ხურიტები ცხოვრობდნენ ხეთების სამეფოშიც. მათ ეკავათ დღევანდელი ქართლი და კახეთი.

მას შემდეგ, რაც დასუსტდნენ ხეთები და მითანელები, რაც შემოვიდა ცხენი და დაიწყეს რკინის წრთობა, ხალხებს მიეცათ სწრაფი გადაადგილებისა და ეფექტური ბრძოლის საშუალება.

რკინა უფრო ბასრი იყო, ვიდრე ბრინჯაო.

ახლა უკვე თავდაცვა გახდა აუცილებელი. ეს უპატრონოდ დარჩენილ ტომებს აიძულებდა ეფიქრათ ერთიანობაზე. ქურუმ–ბელადი თავის ძალასა და წარმოდგენებს ავრცელებდა და გარშემო იკრებდა უმწეო ხალხებს.

XII საუკუნიდან ასე სტიქიურად მოხდა კოლხური ტომების კონსოლიდირება. ისინი ცხოვრობდნენ ჭოროხის აუზსა და ჭაობიან შავიზღვისპირეთში.

მათ ადრეულად ჩამოუყალიბდათ ერთიანი სახის მატერიალური კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ექნებოდათ ქართველური ფუძე – ენისაგან განსხვავებული მეტყველება.

ჭოროხის აუზის ხალხებს კილხებს ეძახდნენ ასურელები, კოლხებს – ხურიტები და ბერძნები. თავად კი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ გამაერთიანებელი სახელი და ტომთა სახელებით იფარგლებოდნენ.

კოლხების დედაქალაქი იყო ილდამუსა, რკინის წარმოების ცენტრი. შემდეგ ამ გეოგრაფიულ პუნქტს კოლხური სახელი დაერქვა – არტანუჯი (ნიკო მარი).

ილდამუსა ხურიტების დაარსებული უნდა ყოფილიყო, რადგან ეს სიტყვა ხურიტულია.

მითანის სახელმწიფოდან XII საუკუნეში გამოდის დიაოხი, რომლის მოსახლენი იყვნენ ქართველური და ხურიტული ტომები.

მდებარეობდა არზრუმისა და ევფრატის სათავეების რაიონში (გიორგი მელიქიშვილი).

დიაოხს (დაიაენს) ებრძოდნენ ასურელები და ურარტუელები, მტრობდნენ კოლხებიც.

768 წელს ურარტუ საბოლოოდ ამარცხებს დიაოხს და ამის შემდეგ დიაოხი არენიდან ქრება.

დამარცხებულის ტერიტორიას ინაწილებენ კოლხები და ურარტუელები.

ახლა მათ შორის იწყება ბრძოლები, რადგან ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ. მომდევნო საუკუნეებში ამ გაერთიანების ტერიტორიის ერთი ნაწილი ტაოხის სახელით ხდება ცნობილი, სადაც უკვე მომხდარი იყო ხურიტების ასიმილირება. მაგრამ დარჩა ხურიტული წარმომავლობის ტოპონიმები.

VIII საუკუნიდან ბერძნები გადმოდიან შავი ზღვიდან, აარსებენ სავაჭრო ფაქტორიებსა და ახალშენებს.

ამ დროს უნდა ელაშქრათ არგონავტებს კოლხეთში, რომლის მეფე იყო ბერძენი აიეტი, მზის ღმერთის ჰელიოსის ძე, რომელსაც სამკვიდრო ჰქონდა საბერძნეთში, კორინთოში.

XII საუკუნიდან მცირეაზიის აღმოსავლეთით ყალიბდება კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ხეთების ცენტრების სიახლოვეს.

მას ასურელები მუშქების ქვეყანას ეძახდნენ, ბერძნები – ფრიგიას. დედაქალაქი იყო მაზაკა.

არც ეს სიტყვაა ქართველური (შდრ – მაზაკვალი// მზაკვარი).

საინტერესოა, რომ სვანები თავიანთ თავს უწოდებენ მუშუანს. იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მუშქების განაყოფი ტომები, რომლებიც ჯერ კოლხეთში დაემკვიდრნენ, შემდეგ მიგრაციის ახალმა ტალღამ თოვლიანი მთებისკენ გახიზნა.

IX საუკუნიდან, ბალკანეთიდან შემოდიან ინდოევროპელი

ფრიგიელები. ისინიც ისევე უსისხლოდ დაეუფლნენ ამ ტერიტორიას, როგორც ნესიტები ხათების მიწას.

ამიტომ ქვეყანას მიეცა სახელად ფრიგია.

მუშქების სამეფოს სამხრეთ–აღმოსავლეთით წარმოიქმნა კიდევ ერთი, ქართველური ტომების – ტაბალების (ტიბარენების) გაერთიანება (IX-VII ს.ს.), რაც ტბას, წყალს უნდა უკავშირდებოდეს.

ასურეთის ერთ-ერთი მეფის წარწერაში ნახსენებია ტაბალების 24 მეფე (ბელადი) ანუ იგი ყოფილა მრავალეთნიკური ქვეყანა.

ამ ხანებში იხსენიება სხვა მრავალი ქართველური ტომიც (ტარიელ ფუტკარაძე), მაგრამ ისინი ან ამ სამეფოთა შემადგენლობაში შედიოდნენ, ან თუ ცალკე იყვნენ – არ ეკავათ ვრცელი ტერიტორია. შეიძლება ზოგ მათგანს სახელი ეცვლებოდა ან მეზობელი ტომები სხვადასხვა სახელს არქმევდნენ. მათ ექნებოდათ განსხვავებული მეტყველებაც, რაც დრომ წაშალა.

X X X

VIII საუკუნის 20-იან წლებში ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ინდოევროპელმა სკვითებმა და კიმერიელებმა გაანადგურეს ძველი კოლხეთის სამეფო, დაამარცხეს ურარტუ, 676 წელს მოსპეს მუშქების სამეფო – ფრიგია, დაშალეს ტაბალები, დალაშქრეს მთელი კავკასია და წინა აზია და ეგვიპტეს მიადგნენ.

შემდეგ ისინი დასახლდნენ დამარცხებული ხალხების ცალკეულ მიწებზე და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ამ დროიდან მკვიდრდებიან ჰაიკების (სომხების) ადგილზე ინდოევროპელი არმენები, რომელთაც ქართველები ისევ სომხებს ვუწოდებდით, თუმცა სომხები იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომები (ნიკო მარის აზრით, ქართველური, სხვათა აზრით – ხურიტული).

ფრიგია გახდა ლიდიის ქვეშევრდომი. მუშქების დიდი ნაწილი კი წავიდა აღმოსავლეთით, წინაპართა მიწისაკენ, მიაღწიეს მტკვრისა და არაგვის შესართავს, იქ დააარსეს ქალაქი მცხეთა და მოახდინეს ვაინახთა (ჩეჩენ-ინგუშთა) წინაპრების ასიმილირება.

ამიტომაც ეძახიან დაღესტნელები ქართველებს მოსოქს, რაც არის იგივე მუშქი (მესხი). ანატოლიის მესხების ლოკალიზება მოხდა კაპადოკიაში.

მესხური ტომები გაჰყვეს და ერთმანეთს დააცილეს კოლხებმა (როგორც შემდეგ პირიქით მოხდა). კაპადოკიასა და პონტოში კიდევ მრავალ წელს იქნევდნენ ხმალს ქართველური ტომები, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ტრაპიზონსა და ხოფას შორის და შენარჩუნებული აქვთ უძველესი ენაც.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ შეცვალა ამიერკავკასიასა და მცირეაზიაში ქვეყნებისა და ხალხების ბედი, შეცვალა ანთროპოლოგიურადაც – დოლიქოცეფალი ბრაქიცეფალი გახდა.

კოლხები გაიფანტნენ ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ. ზოგი მუშქების კვალს გაჰყვა დღევანდელი მესხეთისა და ქართლის ტერიტორიისაკენ, ისევ პირველსაცხოვრისისაკენ.

ჭაობიანი ზღვისპირეთი დაიკავეს ანატოლიიდან გამოძევებულმა აფხაზ-ადიღეველთა და სვანთა წინაპრებმა.

კოლხებმა დააარსეს ახალი ცენტრი -ვანი, შეძლეს ერთიანობის შენარჩუნება, მაგრამ XIX სატრაპიის სახით მოექცნენ ირანის იმპერიაში, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად.

ისინი ყოველწლიურად აქემენიადებს უხდიდნენ 300 ვერცხლის ტალანტს, ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდნენ 100-100 რჩეულ ქალ-ვაჟს.

მონები გაჰყავდათ ბერძნებსაც, რომელთაც განავითარეს ახალშენები (მაგ., ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი, პიტიუნტი).

შავიზღვის სანაპირო დაფარული იყო მათი ფაქტორიებითა

და პოლისებით, ავრცელებდნენ თავიანთ ნაწარმს, ფულს – ტეტ-რადრაქმას (რომლის მიბაძვით კოლხებიც ჭრიდნენ „კოლხურ თეთრს“), ენას, კულტურას, პოლითეისტურ რელიგიას.

ფაზისში აპოლონის ტაძარიც კი მდგარა.

ამ პერიოდს ზოგი კოლხეთის აღმავალ პერიოდად თვლის. მაგრამ რიონის ხეობის კოლხეთის ახალ სამეფოს რეალურად ბერძნები მართავდნენ, ხოლო ჭოროხის ხეობის მცხოვრებ-ლებს – ირანელები. მაგრამ შეწყდა შემოსევები და ბარბაროსთა თარეში, ეკონომიურად ხალხმა სული მოითქვა, გავრცელდა ელინური კულტურა, ბერძნული ენა.

კოლხეთის დარად იბერიაც ხარკს აძლევდა ირანს, რომელმაც დაიკავა ამიერკავკასია, მცირე აზია, შუამდინარეთი და ეგვიპტე.

ქართველი მოლაშქრენიც მონაწილეობდნენ V საუკუნის ცნობილ ომებში ბერძენთა წინააღმდეგ.

ირანმა შეცვალა მუშქების მიერ მცირეაზიიდან წამოყოლილი ღმერთები და ცხოვრების წესი. ხეთური არმა ირანული აჰუ-რამაზდა გახდა. არც ამ დროისათვის არსებობს ქართველური ტომების გამაერთიანებელი სახელი. იგი საკმაოდ გვიან გაჩნდა. ასევე არ არსებობს ერთიანი ენა, ერთიანი რელიგია.

მთლიანობის ცნება არც ჩვენი შორეული წინაპრების, არც უცხოელების წარმოდგენაში არ იყო.

ისინი ხედავდნენ იმ რეალობას, რასაც ჩვენ ნაწილებად ვღე-ბულობთ და დღევანდელი თვალთახედვით, ჩვენი აღქმის წერტილიდან ვაერთიანებთ.

ამ ნაწილებს სხვადასხვა სახელები ერქვათ – კოლხა, დიაოხი, მუშქების სამეფო, ტაბალების სამეფო, იბერია...

მათ შიგნით კი იყო ტომობრივი დანაწევრება. ერთი მხრივ, ბერძნებსა და ირანელებს შემოჰქონდათ უფრო მაღალი კულტურა

და ცივილიზაცია, ვიდრე ჰქონდათ ადგილობრივ ტომებს, მეორე მხრივ – ეს ამუხრუჭებდა ხალხთა აქტივობას, რადგან ქურუმები უცხო რელიგიების მსახური აღმოჩნდნენ. არისტოკრატიამ სამაგალითოდ მიიჩნია მათი ენა და ცხოვრების წესი, ხოლო ადგილობრივი ღმერთები და მეტყველება კულტურული ცენტრებიდან და ტაძრებიდან განდევნეს.

ქრისტიანობის მიღებამდე ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის შესაქმნელად არც მოთხოვნილება, არც პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია არ არსებობდა.

ჩამოდგა ბნელი ოთხასწლეული სკვითებისა და კიმერიელების შემოსევიდან ძვ. წ. 284 წლამდე, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელმა არ დაამსხვრია ირანის იმპერია და ფარნავაზ მეფემ არ დაიწყო განთავისუფლებულ ქართველურ ტომთა შემოკრება, მათი საცხოვრისების გაერთიანება, რომელთა სათავეში ჩააყენა ცისა და ომის შეჯავშნული ღმერთი არმაზი, ხეთური თუ ირანული სამყაროდან წამოსული.

*2011, ოქტომბერი*

# ფასკუნჯი – მფრინავი ვეშაპი

მითისა და ლეგენდის მთხზველი ქურუმი თუ მწყემსი, მჭედელი თუ ზღვაოსანი ოცნების ფრთებით თავს ევლებოდა მშობლიურ ველებსა და მთა-გორებს, ცხოველებსა და მცენარეებს ადამიანის სულს უდგამდა, მწედ სახავდა.

მისი აღქმა და ხედვა იყო ისეთი, როგორიცაა ჩვენი სიზმრული ცნობიერება, რომელიც არღვევს ლოგიკას და რეალობას, ერთმანეთს უხამებს ნამდვილს, მიამიტურსა და ფანტასტიკურს, ცხოველურსა და ადამიანურს.

ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელად დანაწილებულ სამყაროს იერარქიას, ღმერთების პანთეონსა და ადამიანთა სამყოფელს ავსებდნენ ფრთოსანი ხარ-კაცები, ცხენ-კაცები, მგელ-კაცები, ლომ-კაცები, ლომ-არწივები, მფრინავი ცხენები, ძაღლები და ვერძები, ქალ-თევზები (სირინოზები) ქალ-ურჩხულები (ჰარპიები), ფრთოსანი გველთევზა გორგონები.

ერთი მათგანია ქართული ფასკუნჯიც.

## ფასკუნჯის განმარტება

,,ფასკუნჯი'' – ქართული ზღაპრის ჯადოსნური პერსონაჟი – გრძნეული ფრინველი. ცხოვრობს მთაზე ან ქვესკნელში. ადამიანივით მეტყველებს, მფარველობს გმირებს და ქვესკნელიდან ზესკნელში ამოჰყავს. მის ფრთებს მაგიური და სამკურნალო თვისებები აქვს: ფრთის დაწვა ფ-ის მოხმობის საშუალებაა, ხოლო ჭრილობაზე წასმა – მკურნალობა. ფ. იშვიათად ბოროტ ბუნებასაც ამჟღავნებს – მტრობს და ებრძვის გმირებს''.

ასე ახასიათებს ფასკუნჯს ქართული ენციკლოპედია [1].

ხოლო ,,Мифы Народов мира'' უფრო სრულად წარმოგვიდგენს ამ ,,დრაკონის მსგავს'' ფრინველს. აქ იგი მითოსური სამყაროს

ბინადარია, რომელსაც მოგვიანებით განუცდია ირანული სიმურგის (იგივე სენმურვი) ზეგავლენა [2].

სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, ფასკუნჯი (პასკუნჯი) ,,ეთიოპიას გვარობს ტანითა მსგავსი ლომისა; თავი, ნიკარტი, ფრთე და ფერჴი მსგავსი არწივისა., ნაკრტენ მრავალი, რომელიმე არს ოთხ ფერჴი და რომელიმე ორფერჴი. პილოს აიტაცებს, ცხენთ მაზიანებელ არს. სხვა გვარიც არის სრულიად არწივის მსგავსი და ფრიად დიდი'' [3].

სულხან-საბა ორბელიანისათვის ფასკუნჯი არის არა მითოსური ან ზღაპრული, არამედ რეალურად არსებული, ოღონდ უცხო და უცნაური ფრინველი, ფენიქსივით ეთიოპიაში მობინადრე. ამიტომ უთითებს ბიბლიასაც (მეორე შჯული, 14, 13).

ამ სტრიქონის ახალი ქართული თარგმანი ასეთია: ,,ძერა, შევარდენი და ქორი''. შდრ. რუს. ,,И коршуна, и сокола, и кречета''. Кречет – სონღული, ,,საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი შავარდენისებრთა ოჯახისა'' [4].

სულხან-საბასვე ცნობით, ფასკუნჯს სომხურად პასკუნჯი რქმევია.

## I. ფასკუნჯის ლინგვისტური რეკონსტრუქცია

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ფასკუნჯი არის კოლხური ენობრივი და მითოსური სამყაროს კუთვნილება და მხოლოდ ქართული ენის მონაცემებით ვერ გაიშიფრება.

ფასკუნჯი სამი სიტყვის შერწყმის შედეგია და, შესაბამისად, ასე დაიშლება – ფას-სკუ-ნ-ჯ-ი.

არაერთი მსგავსი მაგალითი აქვთ განხილული ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს თუ არნ. ჩიქობავას (მაგ., ზაფხული, ზამთარი, დეკეული, ხეპეგუაში).

ახლა განვმარტოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა და ბოლოს მოვახდინოთ მთლიანი სემანტიკური რეკონსტრუქცია, რადგან უძველეს დროში, თავდაპირველად ეს სახელი ასე კონდენსირებულად არ წარმოითქმოდა. მაგრამ სიტყვათშერწყმა სიტყვათწარმოქმნის ერთ-ერთი ფორმა იყო, როცა ძირები ჰკარგავდა ძველ მნიშვნელობასა და ახალ ცნებად იქცეოდა.

## 1. ფას-ფასისი

ბა/ფა ან ბას/ფაზ უკავშირდება ფასისს/ფაზისს, რომელსაც რიონს უწოდებენ ძველი ბერძნები.

როგორც ცნობილია, ისინი ხოხობს ,,ფასიავოს'', ე.ი. მდინარე ფაზისის ფრინველს ეძახდნენ. მათგან გავრცელდა ეს სახელი ლათინურ, რუსულ, ჩეხურ, პოლონურ და სხვა ენებში.

## 2. სკუ – შობა, შვილი

განვიხილოთ ერთი ძირის ორი სიტყვა:

სკუა/სქუა – შვილი, სკუალჲა/ სქუალჲა – დადება, შობა.

ფასკუნჯში სკუ ისევე იკითხება, როგორც ბერძნულ დიოსკურში.

მეგრულად შვილი არის სკუა/ სქუა (შდრ. მიმინოშვილი – მიმინოსკუა, ასაბაშვილი – ასაბასკუა), სკუალჲა – კვერცხის დადება. დედა (მეგრ. დიდა, სვან. – დი) უკავშირდება დადებას (მეგრ. დოდვალჲა, დებს – დვანს).

კვერცხის დადება და შობა მეგრულ ენაში სინონიმებია. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ შობა, დაბადება არის ხალჲა, ხოლო მშობელი, დამბადებელი – მახალი.

ოსკუ ჰქვია საღორეს, ე.ი. ადგილი, სადაც ხდება სკუალჲა, დღევანდელი გაგებით – კვერცხის დადება, ძველი მნიშვნელობით – შობა, დაბადება.

აზრობრივად მეგრ. ოსკუ ბოსელს შეესაბამება, რაც შობის ადგილი იყო [5].

საშვილოსნოს ჰქვია სასკუე. აქედან გამომდინარე სკუალა პირდაპირი თარგმანით არის შვილობა. ენას დღეს ეს ნიუანსი არ გააჩნია. მაგრამ ლინგვისტური ძიებით საცნაური ხდება: ქართულ შუ-ს მეგრულში შეესაბამება სკ/სქ (მაგ., შენი – სკანი/ სქანი. შვენის – ოსკვამანს/ოსქვამანს), თუმცა, არა ყოველთვის (მაგ.: სკვირი – სკვნილი) [6].

სკვამი (სქვამი) არის ლამაზი. საწყისია სკუამი (სქუამი) ანუ შვილიანი.

სკირი შობილს, შვილს ნიშნავს, სკილირი – დადებულს (ქოთომს კვერცხი აფუ სკილირი – ქათამს კვერცხი აქვს დადებული (კვერცხი დაუდვია). ეს განყოფა გვიანდელია. ხოლო ადრე შობილიც სკილირი, სკუალირი იქნებოდა.

მაგრამ გვაქვს სკუნა (გასკვნა) გინოსკუალდა (გადასკვნა, გადაბმა), გინოსკვირი (გადასკვნილი, გადაბმული), ქუსკუუ, ერთი მხრივ – კვერცხი დაუდო (კვერცხი დაუდვია, მეორე მხრივ – შეაბა, მაგ., ხარი უღელში). სკვირი (სკვნილი, ბმული), იგივე სკილირი, სკუალირი.

ასე რომ, სკუა ნიშნავს, აგრეთვე, ბმულს, გადაბმულს, არა მხოლოდ დადებულს.

ამრიგად, – სკუ – ძირი შობისა და შვილის აღმნიშვნელია (შდრ. ბერძნული დიოსკურები – ცის ღმერთის შვილები), ხოლო სკური ეწოდება მდინარეს, წყაროს, ღელეს, რომელიც მიწიდან იშვა ანუ მიწის შვილია.

ასეთი მნიშვნელობით მრავალი ტოპონიმია სამეგრელოში, ჭანეთში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, აფხაზეთში (მაგ., სკურდიდი, სკურდიბი, სკურჩა, ოღასკურა, მელესკური).

ამ კონტექსტში საინტერესოა სიტყვა გინოსკილჲადა (გადარჩენა, სიკვდილისაგან ხსნა), სკილჲადა (მშობიარობა – სკილის შობა, სიტყვასიტყვით – დარჩენა, სიკვდილგამოვლა), მასკილჲადუ (მშობიარე, სკილის მომლოდინე), სკიდუ (რჩება, მშობიარობს). პარალელური ფორმა – ხალჲა – შობა, დაბადება, მახალი – მშობელი, დამბადებელი ანუ ის, ვინც სიკვდილის ფაზა უკვე განვლო.

ამიტომ ოთხივე სიტყვა უკავშირდება სიკვდილს.

ძველი ქართული ენის მიხედვით, სიკვდილი არის სულის მოკლება – მოაკულდა – მოკულდა – მოკუდა – მოკვდა.

მეგრულში გადმოდის ღვრიდან (მეგრ. – ღურა, ლაზ. – ღურა, სვან. – ღარ). შდრ. – წყალი დაღვარა და სული დალია (მეგრ. გეღუფუ – ხარბად, უცებ დალია); ქართ. დაღუპული, მეგრ. ღურელი, სვან. – ლუღუმპავ [7].

სულხან-საბა: ,,დაღუპვა – წყალთაგან დანთქმა''.

ქართველურ ენებში სიკვდილი წყალთან ასოცირდება, ისევე როგორც ინდოევროპულში – ზღვასთან.

პირველყოფილ ადამიანთა წარმოდგენით, მიწა და წიაღი გაიგივებულია, საშო უდრის ქვესკნელს, დაბადება – გარდაცვალებას, ქორწილი – დაკრძალვას. ნაყოფიერების ღმერთები ხთონური ღვთაებანია. სიცოცხლე ისახება ბნელში, სკნელში, წიაღში, საიდანაც სინათლეზე გამოდის.

სკნელი სამყაროს მრავალ გარსს მოიცავს (ზესკნელი, ქვესკნელი, შუასკნელი, წინასკნელი, უკანასკნელი, გარესკნელი), რომელშიც გამოიყოფა ძირი – სკნ/სკუნ.

მეგრულში გვექნებოდა სკნირი/ სკნური.

სკნირი/სკილირი არის სკნილირი, ე.ი. სკნირიდან (სკნელიდან) შობილი, სკუალირი – სკუნილიდან (სკუნირიდან) შობილი, რაც უდრის წყვდიადიდან, უკუნიდან გამოსვლას.

ამრიგად, სკუა ნიშნავს არა მხოლოდ დებულს (დადებულს), ზმულს (გადაზმულს), არამედ, აგრეთვე სკნელიდან (სკუნირიდან) გამოსულსაც [8] – სკუალირს.

ახლა დავაკვირდეთ, თუ რას ნიშნავს, როგორ და რისთვის გაჩნდა საძიებელი სიტყვის ფუძის ბოლო – ნჯ, რა სიტყვა იყო იგი.

## 3. ჯრ/რჯ – ერჯი

სიტყვა ფასკუნჯის მესამე ძირი ნიშნავს ქონებას, კერძოდ – ვერძს.

განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა, რომელთა არქაული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (რ ან ნ ყველგან შემდეგ განვითარებული ბგერაა, რომელიც ფუძეს შეეზარდა).

ა) ორინჯი/ორიჯი – საქონელი

მეგრულად დაუკოდავ მამალ ცხვარს – ვერძს ჰქვია ერჯი, ძროხას – ორჯი (ბანძა-მარტვილი), ხარს – ხოჯი, საქონელს – ორინჯი (ორიჯი), დედალ ცხვარს (ნეზვს) უნდა რქმეოდა ნერჯი, რომელმაც ნერჩის – ადგილის, დედამიწის ღვთაების სახელით მოაღწია ჩვენამდე, როგორც თვლიდა ივანე ჯავახიშვილი.

ყველა სიტყვაში გამოიყოფა სუფიქსი – რჯ/ნჯ.

ყველა სიტყვა შინაური ცხოველის აღმნიშვნელია (დედალი ცხვარი, მამალი ცხვარი, ძროხა, ხარი, საქონელი).

ორინჯი იგივეა, რაც ორენჯი (საყოლიებელი, საქონელი). შდრ. – ქონა, ყოლა, მეგრულად ორენჯი (ორენჯშური, შური – სული) არის ის, რაც საერთოდ ჰყავს ადამიანს, ან კიდევ – სადგომი. ეს ეტიმოლოგიურად. მაგრამ დღეს ჰქვია რქოსან პირუტყვს (ხარი, ძროხა, კამეჩი, თხა) და არ ითქმის ღორსა და ცხენზე, მითუმეტეს – ფრინველზე.

ი. ჯავახიშვილი აიგივებს ერჯსა და ორინჯს, როგორც ზოგადად ცხოველის გამომხატველ ფუძეს, რომლის სქესობრივი განრჩევა მერმინდელი მოვლენაა.

ორ-პრეფიქსის გასაგებად მეცნიერი მოუხმობს მეგრულ სიტყვას – რინა (ყოფა, არსებობა) და ორინჯის სინონიმად ასახელებს ორინალს (საყოლიებელი). ხოლო ნარენჯი არის ნამყოფი, ნაყოლები, მარენჯი – არსებული, მყოფი.

ჩვეულებრივ, ქართულ ძ-ს ენაცვლება მეგრული ჯ (მაგ. ძაღლი – ჯოღორი, ძმა – ჯიმა, ვერძი – ერჯი) და ამდენად მეგრული სუფიქსი – რჯ/ნჯ არის ქართული – რძ-ის შესატყვისი (შდრ. რძე მეგრულში იქნებოდა რჯა (ბჯა) [9].

საქონელს სომხურად ჰქვია ერინჯ, ხოლო ვერძს – ვორძ (ვერც). განსხვავებით სომეხ მეცნიერთაგან, ი. ჯავახიშვილი მათ ქართული ძირის სიტყვებად თვლიდა.

ნ. მარი ხაზს უსვამდა ერჯის კავკასიურ წარმომავლობას.

მაგრამ დღეს სხვაგვარი სურათი იშლება:

მზია ანდრონიკაშვილს მოაქვს სიტყვები – ოსური Wears (მამრი), ძველინდური vrsan, ახ. სპარსული gusan (ხვადი), ლათინური verres (ტახი), პამირული vorts (ცხენი) [10], რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ივანე ჯავახიშვილის დებულებას, რომ ერჯ/ვერძ ქართველურ სამყაროში ზოგადად ცხოველს ნიშნავდა, თუმცა იგი არც ქართული და არც სომხური არ ყოფილა.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი აღნიშნავენ, რომ უნგრულ-ფინურ ენებში ვერდძ ნიშნავს კვებას, აღზრდას.

თითქოს მართლდება ბიბლიური მითი, რომ უხსოვარ დროში ერთი ენა უნდა არსებულიყო, რაც სტიქიური თუ ისტორიული ქარტეხილებით ადამიანთა გაფანტვის შედეგად დაიშალა, მაგრამ დარჩა საერთო, ნათესაურ სიტყვათა ძირები და ფუძეები, რომლებიც სხვადასხვა ენებში ვარიაციულად თავს იჩენდნენ.

მათი მსგავსება არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის ნასესხებია ან შემოჭრილი.

## ბ) ქომონჯი (ქომოჯი) – ქმარი

მეგრულად ქომოლი მამაკაცს, მამრს ნიშნავს, ქომოლკოჩი – ვაჟკაცს, ქომოლისკუა – ვაჟიშვილს, ხოლო ქომონჯი (ქომოჯი)– ქმარს.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ქმარი ქმნისაგან არის მიღებული. მაგრამ უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ საწყისია არა ქმნა, არამედ – ქნა, კეთება.

ქმარი არის მაქმარი, მქნელი და არა შემქნელი, რადგან უძველეს დროში მამის ცნება არ არსებობდა. მამა იყო გვარ-ტომის ბელადი, სქესობრივ აქტსა და ბავშვის დაბადებას შორის კავშირი წარმოდგენილი არ ჰქონდათ.

აქედან იღებს სათავეს მითოსური უმანკოდ ჩასახვის მოტივი მაგ., ფრიგიელთა ღვთაება ატისი დედას – ქალწულ ნანას ჩაესახა მკერდზე ბროწეულის შეხებით (შდრ. წმ. მარიამი). ზარატუსტრა მცენარის ღეროსაგან იშვა, ადონისი – ხორბლის მარცვლისაგან, ხუან-დი – ელვისაგან, შაკიამუნი – ციური ხუთფეროვანი შუქისაგან. გილგამეშიც ქალწულმა დაბადა [11].

მეგრული ქიმინუა ნიშნავს როგორც კეთებას, ისე შობასა და შექმნას.

ბგერათშესატყვისობის წესით ქომოლ – ქართულად იქნებოდა ქამარ და არა ქმარ-.

არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ძველქართულში გვქონდა ძლიერი მახვილი, რაც იწვევდა ფუძეთა კუმშვას: ვაშლი – ვაშალი – უშქური, მატლი – მატალი – მუნტური, ძაღლი – ძაღალი – ჯოღორი...

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, რქოსანი საქონელი უნდა ყოფილიყო კემალ-, რომლის ძირია კემ-.

კემალ/კამალ/ქამარ – (სვან. კავილ) უნდა მივიჩნიოთ ქომოლის ქართულ ფორმად, ე.ი. საწყისია რქოსანი საქონელი (შდრ.– ჩრდილოკავკასიურ ენებში – ქუნ, ქუნა, ქუ, ქუი, ქიუნ), მეორეს

მხრივ – ძველქართული – აქუნდეს, თანამ. – ქონება, სვან. ქიუნ/ქუნ – სული, სუნი, მეგრ. ქენთელი (ჩქარი სუნთქვა), ძვ., ქართ. ქუინ – სუნთქვა, ე.ი. სიცოცხლე.

მეგრ. მიკაქუნალი - საცმელი, ლაზ. დოლოქუნუ - საცმელი, ჩაცმა, ე.ი.უკავშირდება ქონება-საქონელს, ტყავით შემოსვას და მოდის ამავე ძირისაგან.

ამჯერად არ მოგვაქვს ინდოევროპული, მაგ. სომხური შესატყვისები.

ორინჯის ეტიმოლოგიის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ აქაც – ნჯ სუფიქსი (მორფემა) არის ერჯი/ვერძი ანუ ცხოველი (ცხოვარი), რაც ცხოვრებას და ცოცხალს უკავშირდება.

ტრანსფორმაციით – ქომოლ-ერჯი – ქომოლ-ენჯი – ქომოლ-ნჯი – ქომონჯი, ქომოჯი, რაც გვაძლევს ქართული ერკემალის მნიშვნელობას (შდრ. ერჯკოჩი ტყისკაცის, ველურის გაგებით).

### გ) ერჯი – ერკემალი

ერკემალი (ვერძკემალი) არის გამორჩეული ჯიშის მამალი ცხვარი, მნერბავი. ხოლო ქომონჯის ეტიმოლოგია ასეთ სახეს იღებს – მქმნელი ვერძი. მაგრამ უძველეს დროში ერჯი/ვერძი ზოგადად ცოხველს ნიშნავდა: ერცქემი (მეგრ.) – ჯიხვი, ერსკან (სვან.) – გარეული მამალი თხა, ერი კაიმ/ერი კუიმ (ჩეჩნ.) – ერკემალი, დაუკოდავი ცხვარი.

ყველა ეს სიტყვა ერკემალის სახეცვლაა.

ცხვარს, თხას და ჯიხვს ეწოდა ნათესაური სახელი, რადგან ადამიანი მათ ერთმანეთს ამსგავსებდა. შემდეგ მოხდა ზოგადი სახელის დანაწევრება, ნიშნების დაკონკრეტება (მაგ. სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, ბოტი არის თხის ერკემალი, ე.ი. ამ სიტყვით უნდა ყოფილიყო სახელდებული ჯიხვი, ცხვარი, თხა).

ხოლო ქამარ-, ქომოლ-, კავილ-, კაიმ გვაფიქრებინებს, რომ

თავდაპირველად იქნებოდა ვერძკამალი და არა ვერძკემალი. მაგრამ წინა ე ხმოვნის გავლენით ა იქცა ე-დ.

ამრიგად, ერკემალი ნიშნავს ვერძ-ცხოველს, ისევე როგორც ქომონჯი (ქმარი). ხოლო თვით ძირი ქმ პრაინდოევროპულ ენაში იღებს სათავეს [12].

## დ) –რჯ/ნჯ-დან – ალ-ისაკენ

მეგრულ ენაში არის ტენდენცია, უძველესი – რჯ/ნჯ სუფიქსი შეიცვალოს -ალ სუფიქსით, ან ჯ ფონემა საერთოდ ამოვარდეს სიტყვიდან. ძირითადად ეს ითქმის დღეს გავრცელებულ სიტყვებზე:

**მიკოქვენჯი –** მიკაქუნალი (სამოსელი);

**გიოქვენჯი –** გიოქუნალი (დასახური);

**გეხვენჯი –** ოხორალი (სამოსახლო);

**მახენჯი –** მახირალი (ქურდი, მპარავი);

**ლჲურენჯი –** ლჲურენი (მძინარი).

ასე რომ, თანდათან ქრება შორეული წარმომავლობის კვალი. ეს -ალ სუფიქსი არის იგივე -არ, აკ. შანიძის მტკიცებით, კოლხური სამყაროდან შემოსული (მაგ. ოპიზარი – ოპიზელი), რომელსაც შეესაბამება ქართული -ელ [13].

ახლა ვნახოთ სხვა სიტყვები, რომელთაც უცვლელად შემოინახეს -ნჯ სუფიქსად ქცეული ერჯი.

## ე) მენჯი – ვეძა

მენჯი – სოფ. სენაკის რაიონში, კურორტი, სამეგრელოში გავრცელებული ტოპონიმი. ქართულად – ვეძა, მჟავე წყალი,

რომელსაც ეტანება ცხვარი, ძროხა, თხა, ირემი, შველი [14].

ნიშნავს ვერძის, ე.ი. საქონლის, ცხოველის წყალს.

## ვ) მინჯე – პატრონი

მ-ი-ნ-ჯ-ე – მე-ერჯ-ე – მე-ენჯ-ე – მე-ინჯ-ე – მინჯე:

ერჯის (ვერძის) ანუ საქონლის მფლობელი, ის, ვისაც ჰყავს ვერძი ანუ საქონელი (ან– მინჯე შეიძლება იყოს მე-უნჯ-ე).

## ზ) საუნჯე და უნჯი

**საუნჯე –** ,,შესაკრებელი საქონლისა'',

**საქონელი –** ,,უსულო ხვასტაგი'',

**ხვასტაგი –** ,,საქონელი და საყოლელი'',

**უნჯი –** ,,საქონელი''.

ასე განმარტავს ამ სიტყვებს სულხან-საბა ორბელიანი.

დავით ჩუბინაშვილი: უნჯი (სომხ.) – განძი, ლარი, სიმდიდრე [15].

ილია აბულაძე: უნჯი – ,,საზრდელი'', ,,საჭმელი'', ,,საგზალი'', ,,მოღუაწება'', სარჩო, საკვები [17].

მ. ანდრონიკაშვილი უნჯის თანამედროვე გაგებას იძლევა (განძი) და მას ირანული ძირის სიტყვად მიიჩნევს.

ამრიგად, უნჯი ძველქართულში არის უსულო, უძრავი ქონება. მაგრამ უძველეს დროში უნდა ყოფილიყო საერთოდ ქონების აღმნიშვნელი, სანამ დიფერენცირება მოხდებოდა. ძველ რუსულში ,,საქონელი'' (скот) არის როგორც პირუტყვი, ისე ფული, ქონება, მიტანა [18]. ხოლო ზოგადევროპული ფუძით ცხვარი უკავშირდება ქონებას, ფულს. ამავე დროს, საერთოდ საქონლის აღმნიშვნელია [19].

საბოლოოდ ლინგვისტური რეკონსტრუქციით მივიღეთ

პირველადი სიტყვათჯგუფი – ფასისის სკუალირი ერჯი//ფასისში შობილი ვერძი, ფასისიშ სკუა ერჯი/ფასისისშვილი ერჯი.

ახლა ვნახოთ სემანტიკური ასპექტი.

## II. ფასკუნჯის სემანტიკური რეკონსტრუქცია

### 1. ცხვარი და სიცოცხლე

დროთა განმავლობაში დაიკარგა – რჯ/ნჯ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა, განივრცო, შეივსო ახალი ნიუანსებით და სიტყვათა მწარმოებელ ფორმანტად – სუფიქსად ჩამოყალიბდა. გაქრა კავშირი პირველსაწყისთან. ზოგ ფორმებშიც მოხდა ჩანაცვლება. ამიტომ მრავალ -რჯ/ნჯ სუფიქსიან მეგრულ სიტყვებს არაფერი აქვს საერთო ვერძთან, საქონელთან ან ფლობასთან.

ხოლო უძველეს დროში იგი უნდა ყოფილიყო ზოგადად ფლობის აღმნიშვნელი, როცა სიტყვას ჰქონდა პოლისემიური მნიშვნელობა და მოიცავდა მრავალ მსგავს საგანს. ენა და აზროვნება არ იყო დანაწევრებული, დიფერენცირებული. ნიუანსების განცდა და სახელდება დაკვირვების, გამოცდილებისა და ენის განტოტვის შედეგია.

ასე თანდათან - რჯ/ნჯ სიტყვა-სუფიქსის არეალიც დავიწროვდა და იქცა საქონლის, ფრინველის, ცხოველის გამომხატველად. შემდეგ გამოეყო რქოსან პირუტყვთა ჯგუფი, რომელიც ადამიანმა მოიშინაურა და მას დაუკავშირა სიცოცხლე და ცხოვრება (ცხოვარი ანუ ცხოველი), რომლის სიმბოლიკა გახდა ვერძი (ერჯი, ერკემალი), ვერძკემალი, როგორც ტომის ბელადის ანალოგი ცხოველთა შორის.

საერთოდ ცხ-/ჩხ/შხ ძირის სიტყვები ქმნიან ერთიან წრეს, რაც სიცოცხლეს უკავშირდება – ცხოვარი – ცხვარი, მეგრ. შხური/

ჩხური (შდრ.– სომხ. ვოჩხარ), ჩხე (ცხელი), სინჩხე (სიცხე), დაჩხირი (ცეცხლი), ჩხოუ (ძროხა), ჩხონაფა (ცხონება ანუ ცხოველება, ცოცხლად ყოფნა).

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მიიჩნევდნენ, რომ ცხვრის გვიანდელი სახელწოდება ინდოევროპულ ენებში გაჩნდა მოძრაობისაგან, ადრეული – მატყლისაგან (ცხვრის ბალანი).

ხოლო მოძრაობა – ეს იგივე სიცოცხლეა, როგორც სუნთქვა.

## 2. ფრინველ-ვერძის ქანდაკება

უძველეს დროში არსებულა ფასკუნჯის ქანდაკებებიც.

ძვ. წ. I ათასწლეულის ბრილის სამარხებში აღმოჩნდა ვერძისთავიანი და ფრინველისტანიანი ქანდაკებები.

ფანტასტიკურ ვერძებს აქვთ საომარ ცულებად ქცეული ფრთები და მზის სიმბოლოები [20].

როგორც ჩანს, მოქანდაკემ მითოსურ ფანტაზიას მისცა საგნობრივი სახე.

## 3. ვერძი – ვარძი

ქართველურ ტომებში ერთ-ერთი ტოტემ-ცხოველი ყოფილა ვერძი – მამალი ცხვარი.

ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ვარძი (ვერძი) უძველეს დროში მამაკაცს უნდა რქმეოდა და აქედან მოდის საუფროსო სკამის სახელი – სავარძელი [21].

ვერძ – ვარძს უნდა დაუკავშირდეს ვარძიაც – კლდეში ნაკვეთი ქალაქის სახელი (შდრ. – ვარძია და ნავარძეთი, სოფლები ზემო იმერეთში).

შეიძლება ვერძი იყო ტოტემი ან მამაკაცის სიმბოლური სახელი, როგორც დღესაც იტყვიან კაცზე – ლომი, მგელი, ძაღლი, ე.ი. ხაზი გაესმის რაღაც თვისებას – ძალმოსილებას, ვერაგობასა

თუ ერთგულებას, რასაც თვალსაჩინოებისათვის აკავშირებენ ცხოველთა სამყაროსთან, ანდა – ბელადის ანალოგი სიტყვა – ტომის ვერძი.

მაგრამ შედარების თუ სიმბოლური სახელდების დროს ამოიწევა ტოტემის ხატი.

ფრთოსანი ვერძი იყო ფასკუნჯი.

## 4. მფრინავი ვერძი და ფრიქსე

ამრიგად, ფასკუნჯი არის მფრინავი ვერძი, ფრინველ-ვერძი, ისეთივე უჩვეულო არსება, როგორც პეგასი – ფრთოსანი ცხენი, ოკეანის წიაღში ნაშობი, საიდანაც ოლიმპოზე ზევსთან მიაქვს ელვა და ქუხილი, ანდა – გრიფონი – ,,ზევსის ძაღლი'', ლომისტანიანი ურჩხულისებრი ფრინველი; ასეთივეა ირანული ძაღლ-ფრინველი სენმურვი [22].

მაგრამ ფასკუნჯი უნდა ყოფილიყო არგონავტების მითის მფრინავი ვერძი, რომელსაც ლაპარაკი შეეძლო.

ორქომენოსის მეფის შვილები – ფრიქსე და ჰელე ავი დედანაცვლისაგან რომ ეხსნა, დედამ – ღრუბელთ ღმერთქალმა ნეფელემ შესვა ოქროსფრთოსან ვერძზე (სხვათაშორის– ორქო მეგრულად ოქროს ჰქვია). ეს უჩვეულო ვერძი ჰერმესს ეჩუქებინა ნეფელესათვის. ფრენას ვერ გაუძლო ჰელემ და ზღვაში ჩავარდა.

ამიტომ ეწოდა ამ ადგილს ჰელესპონტი.

ვერძმა მიაღწია შავი ზღვის სანაპიროს, აიას, კოლხების ქვეყანას, სადაც მეფობდა აიეტი, მზის ღმერთის ჰელიოსის და ოკეანიდ პერსეიდეს ვაჟი, კირკეს ძმა.

აიეტს სამკვიდრო კორინთოში ჰქონდა ანუ იგი ჩასულია კოლხეთში.

ფრიქსემ ცოლად შეირთო აიეტის ასული ქალკიოპე, ვერძი ზევსს შესწირა მსხვერპლად, ხოლო ოქროსმატყლიანი ტყავი

(ოქროს საწმისი) სიმამრს აჩუქა, რომელმაც იგი ფაზისის პირას, არესის ჭალაში, მუხაზე დაჰკიდა და მცველად დრაკონი მიუჩინა.

ოქროს საწმისის დასაბრუნებლად წარმოგზავნა იაზონი კოლხეთში ბიძამისმა – პელიასმა [23]. მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნებდა იგი მიტაცებულ ტახტს.

## 5. ოქროს საწმისი – ძალაუფლების სიმბოლიკა

ცხვარი ადამიანის უძველესი თანამგზავრია (ძვ. წ. X ათასწლეულიდან).

იგი აძლევდა ჩვენს წინაპარს რძეს, ყველას, ხორცს, ქონს, ტყავს, მატყლს, რომლისგანაც ძაფს ამზადებდნენ და ტანსაცმელს ქსოვდნენ.

ცხვარი არის სიუხვის სიმბოლო, უძველეს დროში – ტოტემური ცხოველი, როგორც სიცოცხლის მომცემი, შემდეგ – ძალაუფლების სიმბოლიკა, სამსხვერპლო ცხოველი.

ამიტომ ანიჭებდნენ ცხვრისბეწვიან ტყავს (საწმისს) განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც აღმოსავლეთში – ვეფხვის ტყავს.

ასეა ეგვიპტურ მითოსშიც, სადაც მზის ღმერთის სიმბოლოა ფრთოსანი ვერძი.

ბერძნებზე ათასი წლით ადრე ხეთებსაც ჰქონდათ ოქროს საწმისის მითი. მათ საწმისი ურთხელის ხეზე – ეიაზე ეკიდათ.

პელიასი იცავს ტრადიციას – ოქროს საწმისი მისთვისაც ძალაუფლების სიმბოლიკაა. ძალაუფლება კი ქონებისაგან განუყოფელია.

## 6. ელინური ლეგენდა

ფასკუნჯი არის ოქროსფრთოსანი, ოქროსმატყლიანი ელინური ვერძის კოლხური ორეული, რომელსაც ხალხის ფანტაზიამ შეუნარჩუნა ძველი ნიშან-თვისებანი – გრძნეულება, მეტყველება, შობა, ე.ი. შორეული სამყაროდან ამოსვლა, გმირთა მფარველობა

(ფრიქსეს წამოყვანა), სამკურნალო ძალა (შდრ. – ჯადოქარი და მკურნალი მედეა). მაგრამ მიეცა ახალი, ადგილობრივი სახელი (შდრ. – სირაქლემა, იგივე ჩიტაქლემა, ძვ. ქართ. სირი – ჩიტი). შემდეგ კი ქანდაკებადაც გამოსახა.

ტრადიციულად ჩვენ აიეტსა და მედეას კოლხებად ვთვლით. მაგრამ ისინი ბერძნები იყვნენ, ბერძენი კოლონიზატორები, მზის ღვთაების ჰელიოსის შვილი და შვილიშვილი. ხოლო ბერძენი სხვა ტომის შვილს ბარბაროსს უწოდებდა, როგორც უცხოსა და ველურს („ბარბაროსი" ბერძნულად „ქვესკნელის მკვიდრს" ნიშნავს).

საგულისხმოა, რომ კოლხეთში მოლაშქრე 50 არგონავტს შორის არის ავგიე, აიეტის ძმა – ელიდელების მბრძანებელი [24].

მაგრამ აიეტი პელაზგი იყო. ხოლო თუ პელაზგები ქართველურ სამყაროს ეკუთვნოდნენ, როგორც ამტკიცებს არაერთი მეცნიერი, მაშინ გამოდის, რომ იგი დაბრუნებია წინაპართა სამშობლოს. ამიტომ გამეფდება აქ მისი შვილიშვილი მედოსიც – მედეას ვაჟი.

ასე რომ, ოქროს საწმისის ლეგენდა ჩარჩა ხალხის მეხსიერებაში, გახდა კოლხეთის საკუთრება და კოლხურ სიტყვასა და სკულპტურაში მოექცა.

განმტკიცდა რწმენა, რომ ბერძნებმა კი არ დაიბრუნეს დაკარგული, არამედ – იაზონის სიმამაცისა და მედეას ღალატის შედეგად გაიტაცეს კოლხური ოქროს საწმისი.

## 7. ოქროს საწმისი – ფასკუნჯის ტყავი

ოქროს საწმისი უნდა ყოფილიყო კოლხურ მეტყველებაში ფასკუნჯის ტყავად სახელდებული. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წინარებერძნული კო/ვ/ას, რომელიც ტყავს აღნიშნავს, კოლხური (ზანური) ტყოვისაგან ყოფილა მიღებული, როგორც მიუთითებენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი.

ისიც საგულისხმოა, რომ ქრომოსომების მიხედვით, ცხვრის ყველა ჯიშის საწყისია ერთი ტიპი, რომელიც მოუშინაურებიათ მცირე აზიის არეალში. აქვე გამოუყვანიათ ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში, რომელსაც შემდეგ მერინოსი ეწოდა.

ასეთი ჯიშის ვერძის ტყავი იქნებოდა ოქროს საწმისი.

აიეტის მეფობა, ბერძნების დამკვიდრება რიონის ხეობის კოლხეთში და არგონავტების ლაშქრობა განეკუთვნება ძვ. წ. VIII საუკუნეს.

ამ დროს უკვე ჭოროხის ხეობის კოლხეთი დაპყრობილი აქვს ურარტუს მეფე სარდური მეორეს, ხოლო ილდამუსა, გაერთიანებული კოლხეთის დედაქალაქი – გადამწვარი (ძვ. წ. 747-741 წწ.) [25].

ფასკუნჯის მითი ამის შემდეგ უნდა შექმნილიყო.

ამრიგად, მითიური მფრინავი ვერძი, ფაზისში ნაშობი ფასკუნჯი უნდა განვიხილოთ არგონავტების წრეში, მას დავუკავშიროთ, ისევე როგორც ამირანი – პრომეთეს, რაში – პეგასს, ოჩოკოჩი – სატირსა და პანს, აგუნა – დიონისეს, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ქართველური ტომების კულტურულ თანაზიარობას ელინურ სამყაროსთან.

შემდეგ ფასკუნჯმა იცვალა სახე და მნიშვნელობა, რაც ყველა მითის, ლეგენდისა და თქმულების თვისებაა (მაგ., ასფურცელა მოჰყავს ქვესკნელიდან; იშთარს წარმოიდგენდნენ ძუძუებიან ფრინველ-ფასკუნჯად, არწივად თუ მამლად; ფასკუნჯი ებრძვის გმირებს, რადგან გმირი მეომარ კიმერიელს,ე.ი. მტერს ნიშნავს).

## შენიშვნები:

1. ქსე, X, გვ. 238. სტატიის ავტორია მ. ჩაჩავა.

2. II, M., 1992, გვ. 291.

3. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 681.

4. ქეგლ, VI, გვ. 1127.

5. ოსკუ/ოსქუ მიჩნეულია გარეული ღორის – ტახის, ეშუს (ეშვის) სახელისაგან მიღებულად. ავიწყდებათ, რომ ძველ დროში გარეულ ტახს კი არა, შინაურ ღორს არ ჰქონდა სადგომი. ოსკუ იქნებოდა ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა ქალი მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს, როგორც ახლობელთაგან იზოლირებული.

6. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, ძვ. 376-378.

7. გ. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბ., 1995, გვ. 29.

8. სკუ ძირს შეიცავს ძველბერძნული დიოსკურები, სკვითური სკა/სკი (შვილი), რუმინული გვარი ჩაუშესკუ (ჩაუშეს ძე, შვილი), პოლონური მალინოვსკი (სკი – ძე, შვილი) და ა.შ. როგორც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მიუთითებენ, ინდოევროპული seu პრაძირისაგან მოდის შვ/შვილი – Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, გვ. 878. ამ პრაძირს ენათესავება ხეთური siuatt - დღე და siuna - ღმერთი, რაც იგივე სინათლეა.

9. ბ. გიგინეიშვილი, დამატებანი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკურ ფონდში, თსუ შრომები, 1984, ტ. 245, გვ. 36.

10. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966. გვ. 71, 87.

11. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, I, კულტურის გენეზისი, თბ., 2013, გვ., 88-89.

12. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, დას. წიგნი, გვ. 878.

13. ვ. თოფურია, –ენჯ სუფიქსი მეგრულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, შდრ. – ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება’’, I, 1946, გვ. 355-358.

14. პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. I, 1999, გვ. 48-51.

15. ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 469.

16. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 1264.

17. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 428.

18. იქვე, გვ. 357.

19. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, III, 1987, გვ. 655.

20. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, დასახ. წიგნი, გვ. 579.

21. გ. გობეჯიშვილი, შუა ბრინჯაოს ხანა, წიგნში: ,,საქართველოს არქეოლოგია'', თბ., 1959, გვ. 114 (ტაბ. XII, 1, 9).

22. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თხზ., ტ. XI, 1998, გვ. 163-164. ძველქართულში არსებულა სიტყვა ,,სავრძელი'', (შემდგომში – სავარძელი), ე.ი. ვერძისათვის ანუ ბელადისათვის განკუთვნილი ხის სკამი. ე ბგერა ამოაგდო ძლიერმა მახვილმა. მახვილის შესუსტების შემდეგ აღდგა არა ე, არამედ პირველი ა-ს გავლენით გაჩნდა მეორე ა. შდრ. – ,,დაუდგეს სავრძელი დედასა მეფისასა'', მესამე მეფეთა, 2, 19; რუს. ,,Поставили престол и для матери царя'' (престол – ტახტი).

23. К. Тревер, Сенмурв – Паскунджи. Собака-птица, Л., 1937. ატენის ტაძრის კედელზე (VII ს.) გამოსახული ყოფილა სენმურვი (გვ. 50-52). ავტორის აზრით, ქართული ფასკუნჯი არის ირანული (ავესტის) ძაღლ-ფრინველის სენმურვის ორეული. მაგრამ მტკიცება გარეგნულ მსგავსებას არ სცილდება. ნ. მარი ფასკუნჯს ოსური ზღაპრების ფადონდს უკავშირებს (Изв. Ак. Наук, I, 1918), როგორც გრძნეულ და მაგიურ ფრინველს; ბ. კუფტინი - გრიფონს(Материалы к архелогии Колхиды, Тб., 1949, გვ. 69-91).

24. Мифы народов мира, I, M., 1991, გვ. 100.

25. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975, გვ. 48.

26. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I, გვ. 387.

27. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 345.

ჟურნ. „პარალელი“, N7, 2015

# სარჩევი


წინასიტყვა ........ 3

I. მატერიალური კულტურა და ეთნოსი: ქართველური ტომები, ენები, მიგრაციები ........ 7

1. პრა-ქართველური ტომების სადგომები და არტეფაქტები ........ 8
   - გვარ-ტომებისა და ტომების ინტეგრირება ........ 16

2. მტკვარ-არაქსის კულტურა (XXXII-XXII ს.ს.) ........ 18
   - ქრონოლოგია და განფენის არეალი ........ 18
   - ენეოლითური ძირები ........ 20
   - ბრინჯაოთ და მატერიალური ერთგვარობა ........ 22
   - პროტო-ენები და ტომთა ნათესაობა ........ 29
   - პროტო-ენები და დრო-სივრცე ........ 31
   - ეთნარქის ლეგენდა ........ 33
   - ენობრივ-ეთნიკური ბირთვი ........ 35

3. პირველი მიგრაცია და ენობრივ-ეთნიკური დაყოფა (XXIII-XXII ს.ს.) ........ 37
   - მიგრაცია და ომი ........ 39
   - მტკვარ-არაქსელი მიგრანტები ........ 41
   - მიგრაციის ნაკადები ........ 45
   - ოთხი ძირითადი ენა ........ 47
   - პრეისტორიის ფანტომები ........ 51

4. თრიალეთური ყორღანები (XX-XV ს.ს.) ........ 57
   - ჩრდილო და აღმოსავლური იმპულსები ........ 58
   - თრიალეთური არტეფაქტები ........ 60
   - ყორღანები და კრემაცია ........ 62
   - ხეთური ალუზია ........ 65
   - ხურიტული ექსპანსია და მეორე მიგრაცია (XVI ს.) ........ 66

5. კოლხური ცული და დიხაგუძუბა (XV-VII სს) ........ 69

II. ქართველური სივრცის ფორმირება:
პრა-სახელმწიფოებიდან სახელმწიფოსაკენ............................76
1. წინააზიური კულტურის ცენტრები (XIX-VI სს).......................76
ხეთური ფედერაცია.......................................................77
ხურიტები და მითანი....................................................87
ურარტუ (ბიაინილი).....................................................89
2. ქართველური პრა-სახელმწიფოების წარმოქმნა (XII-VII სს).....91
კონსოლიდირების აუცილებლობა.........................................92
კოლხა - ჭოროხისა და რიონის ხეობები..............................94
ხურიტულ-ქართველური დაიაენი (დიაოხი)........................101
მუშქების ფრიგიული სამეფო.........................................105
ტაბალების სამეფო.....................................................107
ხალდების გაერთიანება...............................................109
3. სკვითურ-კიმერიული ციკლონი და მესამე
მიგრაცია (VIII-VI სს)................................................110
პრასამშობლოსაკენ: მუშქების გაყოფა.................................112
მესხები კაპადოკიაში....................................................115
კოლხების კვალი აღმოსავლეთში......................................116
4. ბნელი ოთხასწლეული და კულტურა (VII-IV სს).................119
მიგრაციები და კულტურული დაქვეითება.............................119
ზარატუსტრას სახელით..................................................120
კოლხეთის გაყოფა: ეგრისი და ლაზიკა...............................122
ზღვისპირა ქართველური ტომები........................................124
ეგრისის ბერძნული სამეფო..............................................127
ეგრისელთა და იბერთა საცხოვრისები..................................129
5. ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები........................132
აგრესიის სიმცირე და სწრაფვა კულტურისაკენ.....................132
კულტურის ელიტურ-მასობრივი დიფერენცირება....................141
სახელმწიფო და დამწერლობა..........................................147

6. მუშქები და KARDA - ქართლი ....................................................151
**7. ქართული სახელმწიფოს წარმოშობა (ძვ. წ. III ს.)**..............156
გადაგვარების პროცესი................................................................156
ხსნა: ირანის იმპერიის დამხობა ...............................................158
პოლიტიკური სიტუაცია და ლიდერი ......................................159
ადმინისტრაციული და რელიგიური რეფორმა.................162
ახალი მთავარღმერთი: არმაზი – აჰურამაზდა ..................165
ხეთური ღმერთები და იბერიული ტრიადა .........................168
ქართული ენა და მწიგნობრობა ქართული ....................172
ფარნავაზი – ქართველურ კუთხე-ტომთა შემომკრები..173

**III. ქართველური კოსმოლოგია: მითოსურ-პოლითეისტური წრე** ...........................................................................................175
**1. ენობრივი მსოფლმხედველობა**.............................................175
ქართული ენა – ქართული ცნობიერების ბაზისი ............175
აფექტები და ამეტყველება...........................................................177
პრა-ძირების წარმოქმნა...............................................................179
ცხ-ცხა და ცეცხლი........................................................................181
სისხლი .............................................................................................183
წყ – წყალი და წყანი ...................................................................184
თხ – თხრა და თიხა.......................................................................185
სიცოცხლე და გამრავლება..........................................................186
**2. პირველადი წარმოდგენები** ..................................................189
ასტრალური პრა-ღმერთები ........................................................190
ცეცხლისა და წყლის კულტი ......................................................194
ცხოველთა კულტი.........................................................................196
ხეების კულტი და უსუართშეწირვა.........................................197

**3. სივრცე – დროის არქაული მოდელი** ........ 204
სკნელთა სტრუქტურა ........ 205
დროის რიტუალური დაყოფა ........ 207
**4. მიცვალებულის კულტი** ........ 211
საიქიო – ზესკნელ-ქვესკნელი ........ 212
დაფლვა და დაკრძალვა ........ 215
კრემაცია და დამარხვა ........ 217
კრემაცია, როგორც მსხვერპლშეწირვა და განწმენდა.. 219
ხორცისა და ძვალის განყოფა ........ 220
ქვევრში დამარხვა – აღდგომის სიმბოლო ........ 223
რწმენა და განშორება ........ 224
**5. მითი და რიტუალი** ........ 226
არგონავტული იმპულსები ........ 226
ტელეფინუ და მელია-ტულეფია ........ 227
**6. ამირანიანის პლასტები და პერსონაჟები** ........ 230
არქაულ-მითოსური პლასტი ........ 231
შუასაუკუნეთა სპარსული პლასტი ........ 238
ამირან დალისძე და ამირან დარეჯანის ძე ........ 239
არქაულ-მითოსური პლასტის თარიღი ........ 241
**7. ქართველური არქაიკის არტეფაქტები**
**(ძვ. წ. III ათასწლეული-ძვ. წ. IV საუკუნე)** ........ 244

**IV. ელინისტური და ირანული ნაკადები:**
**ფარნავაზიდან მირიანამდე** ........ 262
**1. „მეფენი ქართლს შინა წარმართნი“ (ძვ. წ. III, ახ. წ. IV ს.)**.... 262
მეფეთა წარმომავლობა ........ 263
სპარსული დინასტია. ........ 266
სპარსულ-სომხური დინასტია ........ 267

ეგრისული დინასტია ..... 269
რადამისტი ..... 275
ონომასტიკა ..... 276
არმაზის ბილინგვა ..... 278
სახელმწიფო სტრუქტურა იბერიაში ..... 280
**2. წარმართული ღმერთების არმაზული პანთეონი** ..... 282
ანიმისტურ-ტოტემური პრა-ღმერთები ..... 283
მეორე ფენა – ასტრალური ..... 285
მესამე ფენა – ანთროპომორფული პოლითეისტური ..... 286
მეოთხე ფენა – არმაზული ..... 286
**3. არმაზის მსხვრევა (326 წ.)** ..... **292**
მითრა და ქრისტე ..... 292
კაპადოკიელი ნინო ..... 294
**4. ლაზიკის სამეფო I-IV საუკუნეებში** ..... 297
**5. ლაზთა და იბერთა წარმართული კულტურის კონტურები (ძვ. წ. III ს. – ახ. წ. IV ს)** ..... 302

**გამოყენებული ლიტერატურა** ..... 310

**დანართი** ..... 317

**გვარ-ტომი და ფუძე ენა** ..... 319
ლიდერი და მიკრო-წრე ..... 321
ფუძე-ენის არსი ..... 322
მონოცენტრიზმი და პოლიცენტრიზმი ..... 322
პროტო-ენები და ტომები ..... 323
გვარ-ტომი და დედა ..... 325
მიგრაცია და ასიმილირება ..... 327
პროტო-ენები, ფილუმი და მეტა-ენა ..... 333

ფუძე-ენა და დიალექტები ... 334
ფუძე-ენა და სივრცე-დროის ლოკალი ... 336

**ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საწყისები** ... 338

**ფასკუნჯი – მფრინავი ვერძი** ... 352
ფასკუნჯის განმარტება ... 352
**I. ფასკუნჯის ლინგვისტური რეკონსტრუქცია** ... 353
**1. ფას-ფასისი** ... 354
**2. სკუ – შობა, შვილი** ... 354
**3. ჯრ/რჯ – ერჯი** ... 357
ბ) ქომონჯი (ქომოჯი) – ქმარი ... 359
გ) ერჯი – ერკემალი ... 360
დ) –რჯ/ნჯ-დან – ალ-ისაკენ ... 361
ე) მენჯი – ვეძა ... 361
ვ) მინჯე – პატრონი ... 362
ზ) საუნჯე და უნჯი ... 362
**II. ფასკუნჯის სემანტიკური რეკონსტრუქცია** ... 363
1. ცხვარი და სიცოცხლე ... 363
2. ფრინველ-ვერძის ქანდაკება ... 364
3. ვერძი – ვარძი ... 364
4. მფრინავი ვერძი და ფრიქსე ... 365
5. ოქროს საწმისი – ძალაუფლების სიმბოლიკა ... 366
6. ელინური ლეგენდა ... 366
7. ოქროს საწმისი – ფასკუნჯის ტყავი ... 367

**შენიშვნები:** ... 369



სოსო სიგუა – საქართველოს ტექნიკური და გორის სასწავლო უნივერსიტეტების პროფესორი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი.

კვლევის სფეროები – ქართული ლიტერატურა, ჟურნალისტიკა და კულტურა, მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, შემოქმედების ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

ძირითადი წიგნები – „მარტვილი და ალამდარი", „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა", „კულტუროლოგიის საფუძვლები", „მოდერნიზმი", „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში", „სიტყვა, როგორც ბედისწერა", „დევნილი ტრიუმფატორი".

ISBN 978-9941-0-8489-8

9 789941 084898